ავტორის სტილი დაცულია

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი**

**არქეოლოგიის სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტი**

ანა სახვაძე

# ურბნისის სამაროვანი

არქეოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

**დისერტაცია**

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

სრული პროფესორი ვახტანგ ლიჩელი

თბილისი

2023

ურბნისის სამაროვანზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალა დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის, ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ურბნისი-ალევის, ძვირფასი ლითონების, განძების და გლიპტიკის ფონდებში. საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორის დ. ლორთქიფანიძის ნებართვით და ზემოთ ხსენებული ფონდების კურატორების: აკაკი გოგიჩაიშვილის, მინდია ჯალაბაძის, ლუიზა გვრიტიშვილის, ვაჟა მამიაშვილის, მედეა შეროზიას, მარიამ ქორიძის (ასისტენტ-კურატორი) და ქეთევან რამიშვილის ხელშეწყობით ჩემთვის შესაძლებელი გახდა სამაროვანზე აღმოჩენილ მასალაზე მუშაობა. ლითონის სარკის შემადგენლობა განსაზღვრა საქართველოს ეროვნული მუზეუმის რესტავრაციისა და კონსერვაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ნინო კალანდაძემ. ტაბულები ტექნიკურად მოაწესრიგა ელეონორა სახვაძემ. ნაშრომი არ შედგებოდა დომენტი ქორიძის არქივის გარეშე, რომელიც მისმა შვილმა ერეკლე ქორიძემ გადმომცა. უღრმეს მადლობას მოვახსენებ თითოეულ მათგანს.

მადლობა საქართველოს ეროვნული მუზეუმის ძირითადი ფონდის კურატორ დარეჯან კაჭარავას და ყველა იმ ადამიანს ვინც დისერტაციაზე მუშაობის პროცესში დახმარება გამიწია კონსულტაციებითა და რჩევებით.

ნაშრომის შესრულების პროცესში აქტიური ჩართულობისა და კონსულტაციისთვის დიდი მადლობა ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს პროფესორ ვახტანგ ლიჩელს.

## აბსტრაქტი

**საკვანძო სიტყვები -** ურბნისი, სამაროვანი, თიხის სანელსაცხებლე, მინის ჭურჭელი, ქართლი

ურბნისის სამაროვანი გვიანანტიკური ხანის ძეგლებს შორის ერთ-ერთი გამორჩეული ძეგლია საქართველოში. ის ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ურბნისში მტკვრის მარცხენა ნაპირზე, თანამედროვე დასახლების აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობდა. 1953-1962 წლებში აქ ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედგად გამოვლინდა ვრცელი სამაროვანი, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში უწყვეტად ფუნქციონირებდა. შესასწავლად შეირჩა ახ.წ. I-IV საუკუნეების სამარხები, რომელთა აგების პრინციპი, დაკრძალვის საერთო წესის არსებობა, იმპორტული ნივთების (მინის ჭურჭელი, გლიპტიკური ძეგლები) სიუხვე და მათი თანაარსებობა ადგილობრივ ნაწარმთან სამარხების განსაკუთრებული სიზუსტით დათარიღების საშუალებას იძლევა. სამაროვნის კომპლექსური კვლევა დღემდე არ ჩატარებულა და აქ აღმოჩენილი ნივთების მხოლოდ ნაწილი - მინის ჭურჭელი (საგინაშვილი 1970) და გლიპტიკური ძეგლებია (ჯავახიშვილი 1972) გამოქვეყნებული. ჩვენი მიზანი იყო სამაროვანზე აღმოჩენილი თითოეული სამარხის არქეოლოგიური კონტექსტით შესწავლა, რაც თანადროული არქეოლოგიური ძეგლების (სამთავროს, კამარახევის, ბაიათხევის, ტახტიძირის, ჟინვალის სამაროვნები, კარსნისხევის ნამოსახლარი და სამაროვანი, დედოფლის გორის სასახლე და სხვ.) ფონზე მნიშვნელოვნად გააფართოებს ცოდნას, როგორც ქვეყნის შიდა რეგიონებს შორის, ისე გარე სამყაროსთან არსებულ კონტაქტებზე, აგრეთვე გვიანანტიკურ ხანაში ურბნისში მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ და ქონებრივ სტატუსზე და მის ადგილზე I-IV საუკუნეების ქართლის საზოგადოებაში.

ნაშრომში სამარხები ქრონოლოგიური თანამიმდევრობითაა განხილული. თითოეულ სამარხს ახლავს ინფორმაცია სამარხის აღნაგობის, მიცვალებულთა დაკრძალვის პოზის და დამხრობის შესახებ (ასეთი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში). შემდეგ მოცემულია სამარხეული ინვენტარის დეტალური აღწერა, რაც

მნიშვნელოვანია ქრონოლოგიური ატრიბუციისთვის. ნაშრომის ძირითად ნაწილში 860 საკატალოგე ნომერია აღწერილი საინვენტარო ნომრის მითითებით. თითოეული სამარხის ინვენტარი ცალკეა წარმოდგენილი დანართში მასშტაბის დართვით, მხოლოდ მონეტებისა და გლიპტიკური მასალის ფოტოები გადიდებულია, რათა მათზე დატანილი გამოსახულებები გასარჩევი ყოფილიყო. ტაბულებზე წარმოდგენილია ისეთი ეგზემპლარები, რომელიც ნაკლებადაა დაზიანებული და შესაძლებელია გარჩევა თუ რა ნივთთან გვაქვს საქმე. ნივთები გამჭოლი ნუმერაციითაა მოცემული ტექსტში და შესაბამისი ნომრით იძებნება დანართშიც. არქეოლოგიური კონტექსტით სამარხების შესწავლამ საშუალება მოგვცა, მასში დადასტურებული დამათარიღებელი ნივთების ანალიზის საფუძველზე, გვემსჯელა თითოეული სამარხის გამართვის თარიღზე.

ურბნისის სამაროვნის შესწავლით სამეცნიერო მიმოქცევაში შევა აქამდე უცნობი მასალა, რომელიც მნიშვნელოვნად გააფართოებს ცოდნას გვიანატიკური ხანის ძეგლების შესახებ და, იმედია, გახდება გამოსადეგი ნაშრომი ამ პერიოდით დაინტერესებულ მკვლევართათვის.

# Abstract

**Key words -** Urbnisi, Cemetery, Unguentarium, Glass vessel, Kartli

The Urbnisi necropolis (burial ground) is one of the outstanding monuments in Georgia among the monuments of the Late Antiquity. It situated in Urbnisi Village, Kareli Municipality, on the left bank of the Mtkvari River, in the eastern part of the modern settlement. Archaeological excavations carried out here in 1953-1962 revealed a vast cemetery, which functioned continuously for a long time. For investigations, we selected burial grounds dated to the 1st-4th centuries AD. The principle of its construction, the existence of a common burial practice, the abundance of imported items (glass vessels, glyptic artefacts) and their coexistence with local products allow us to date the burial ground with exceptional accuracy.

The complex study of the necropolis has never been done yet and just a part of finds has been published, namely glassware (Saginashvili 1970) and glyptic materials (Javakhishvili 1972). Our goal was to study each burial revealed in the archaeological context, which, against the background of contemporary archaeological monuments (Samtavro, Kamarakhevi, Bayatkhevi, Takhtidziri, Zhinvali burial sites, Karsniskhevi settlement and cemetery, Dedoflis Gora Palace, etc.), will significantly increase our knowledge about the contacts between the internal regions of the country and with the outside world, as well as on the social and property status of the population living in Urbnisi in the period of Late Antiquity and its place in the Kartli society of the 1st-4th centuries AD.

In the presented work burials are discussed in the chronological order. Each grave is accompanied by the information about the structure of the tomb, the position and the orientation of deceased (if such information is available). The detailed description of the grave goods follows, which is important for their chronological attribution. The main body of the paper presents a description of 860 catalogue entries with the reference to the grave goods number.

The grave inventory of each burial is presented separately in the appendix with scale. Only the photos of coins and glyptic material have been enlarged so that the images on them can be

distinguished. The plates present the specimens that are more or less well preserved and it is possible to perceive what we are dealing with. The grave goods have their own numbers in the text and by these numbers it is easy to find them on the plates. The study of the archaeological context of the burial grounds allowed us to discuss the date of each grave, based on the analysis of the items with confirmed dates.

The study of the Urbnisi necropolis will put into circulation the material previously unknown to the scientific society, which, will significantly increase our knowledge about the monuments of Late Antiquity. Hopefully it become a useful work for the researchers interested in this period.

**შინაარსი**

**შესავალი …………………………………………………..…………………………………. 1**

**თავი I. ურბნისის ახ.წ. I-IV საუკუნეების სამაროვანი ………………………………….. 2**

**თავი II. კვლევის მეთოდიკა …………………………………………………………….... 5**

**თავი III. ქრონოლოგიური ჯგუფები ………………………………………………..….... 8**

§3.1. I ქრონოლოგიური ჯგუფი - ძვ.წ. I საუკუნის ბოლო - ახ.წ. I საუკუნის დასაწყისი………………………………………………………………………………. 8

§3.2. II ქრონოლოგიური ჯგუფი - ახ.წ. I საუკუნის ბოლო ახ.წ. II საუკუნე ..…... 19

§3.3. III ქრონოლოგიური ჯგუფი - ახ.წ. III საუკუნე ……..…………………….…... 134

§3.4. IV ქრონოლოგიური ჯგუფი - ახ.წ. IV საუკუნე …..………………………… 173

**თავი IV. ურბნისის სამაროვნის კვლევის შედეგები:**

§4.1. სამარხთა აღნაგობა და დაკრძალვის წესი ……………………………….... 180

§4.2. სამარხეული ინვენტარის ანალიზი ………………………………………... 184

**დასკვნა ………………………………………………………………………………….. 199**

**გამოყენებული ლიტერატურა …………………………………………………..... 210**

**ტაბულების აღწერა ………………………………………………………………... 219**

**ტაბულები ………………………………………………………………………….. 222**

## შესავალი

### ურბნისი

დღევანდელი არქეოლოგიური ძეგლის - ურბნისის - ტერიტორია, რომელიც შიდა ქართლში, ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ურბნისში მდებარეობს, ადამიანმა ჯერ კიდევ ძვ.წ. III ათასწლეულში აირჩია საცხოვრებლად, რაზეც აქ აღმოჩენილი ძეგლები - ქვაცხელა და ხიზანაანთგორა მეტყველებს (ჯავახიშვილი, ღლონტი 1962; კიკვიძე 1972). ამ ხანიდან მოყოლებული ახ.წ. VIII საუკუნემდე, აქ ადამიანის ცხოვრების თითქმის უწყვეტი კვალი დასტურდება (ჭილაშვილი 1964:130-156). წერილობითი წყაროების მიხედვით ურბნისი ქალაქად ძვ.წ. IV საუკუნეში მოიხსენიება და მისი დაარსება ქართლოსის შვილს უფლოსს მიეწერება (ქც 4:373,10). ძვ.წ. III საუკუნეში ქალაქი განადგურდა დამპყრობლების მიერ და ახ.წ. პირველი საუკუნეებიდან იწყებს აღორძინებას (ზაქარაია 1990:396-397). სამი მხრიდან გალავნით შემოსაზღვრულ ქალაქში სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობები - აბანო, წარმართული ტაძრები და ებრაელთა სამლოცველო - ფუნქციონირებდა. საყურადღებოა, რომ ქალაქის ზღუდის ქვეშ მოექცა ჩვენ მიერ შესწავლილი რამდენიმე სამარხი (სამარხი N20, 23, 4, ნაშთი N7. ტაბ. $XX_2$, $XXVIII_2$, $XXXIV_4$, $XXI_4$). „მოქცევაი ქართლისაი"-ს მიხედვით ურბნისში ქართველთა განმანათლებელი წმინდა ნინო შემოდის: „და შევიდა ბაგინსა ჰურიათასა ენისათვის ებრაულისა და დაყო მუნ ერთი თვე".. (ქც 1996:95). წყაროები ქართლში ქრისტიანობის გავრცელებას ებრაელებს უკავშირებს, რომლებიც აქ ჯერ კიდევ ნაბუქოდონოსორის დროიდან ცხოვრობდნენ (Mgaloblishvili, Gagoshidze 1998:39-58). VIII ს-ის 30-იან წლებში მურვან ყრუს შემოსევების შედეგად ურბნისი განადგურდა და ამ დროიდან როგორც ქალაქი აღარ იხსენიება (ზაქარაია 1990:396-403). მიუხედავად ამისა, ის რჩება ქრისტიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კერად - აქ იმართება რუის-ურბნისის საეკლესიო კრება და ვახტანგ გორგასლის მიერ დაარსებული საეპისკოპოსო დღემდე არსებობს.

## თავი I

### ურბნისის ახ.წ. I-IV საუკუნეების სამაროვანი

წინამდებარე ნაშრომი სოფელ ურბნისში აღმოჩენილი გვიანანტიკური ხანის სამაროვნის კომპლექსურ კვლევას წარმოადგენს. სამაროვანი მტკვრის მარცხენა ნაპირზე, თანამედროვე დასახლების აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობდა და მასზე არქეოლოგიური სამუშაოები 1953-1962 წლებში მიმდინარეობდა. ურბნისის შესწავლით ჯერ კიდევ XIX საუკუნეში დაინტერესდა პ. უვაროვა, რომელსაც აქ მცირე გათხრები ჩაუტარებია. გათხრები მხოლოდ სასინჯი თხრილების გავლებით შემოიფარგლა და მოპოვებული არქეოლოგიური მასალა მოსკოვის ისტორიის მუზეუმში დაბინავდა. ცნობილია, რომ ამავე მუზეუმში მასალას დაემატა კიდევ ორი ნივთი პ.ი. შჩუკინის კოლექციიდან. უვაროვას მიერ ურბნისში აღმოჩენილი მასალის ნაწილი გამოქვეყნებულია (Уварова 1894:141-142; ჭილაშვილი 1964:6).

აკადემიკოს ნ. ბერძენიშვილის წინადადებით საქართველოს სახელმწიფო მუზეუმმა ურბნისში არქეოლოგიური სამუშაოები 1953 წლიდან დაიწყო. 1957 წლამდე ექსპედიციას ხელმძღვანელობდა გ. ლომთათიძე, ხოლო შემდეგ აკადემიკოსი ნ. ბერძენიშვილი. ექსპედიციის ხელმძღვანელის უცვლელი მოადგილე პ. ზაქარაია გახლდათ, რომელიც საველე სამუშაოებს ხელმძღვანელობდა (ქორიძე 1965[1]: 1, ხელნაწერი; ჯავახიშვილი, ღლონტი 1962:6).

არქეოლოგიური სამუშაოები სოფელ ურბნისში, ძველ ნაქალაქარზე, საკმაოდ ფართო მონაკვეთზე მიმდინარეობდა, რის გამოც ტერიტორია ცალკეულ უბნებად დაიყო. უბნები თანამედროვე დასახლების ჩრდილო-დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილში იყო კონცენტრირებული სხვადასხვა პერიოდისა და ფუნქციური დანიშნულების ობიექტებით. ნაქალაქარის უკიდურეს დასავლეთით, I უბანზე, 1953-1954 და 1959 წლებში ძვ.წ. IV-III საუკუნეების ნამოსახლარები ითხრებოდა (ჭილაშვილი 1964: 29, 34) X უბანზე მრავალფენიანი ნამოსახლარი „ხიზანაანთ გორა“ შეისწავლეს (ჭილაშვილი

[1] ქორიძე 1965: ქორიძე დ., „ურბნისის სამაროვანზე (XXV უბანი) აღმოჩენილი გვიანანტიკური ხანის ძეგლების პერიოდიზაციის საკითხისათვის“.

1964:8; ჯავახიშვილი, ღლონტი 1962). ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, XII და XVI უბნებზე, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამარხთა ნაშთები დადასტურდა (ჭილაშვილი 1964:25). XVI უბანზე 1956 წელს ადრეანტიკური ხანის ერთი (ჭილაშვილი 1964:29-33) და გვიანანტიკური ხანის რამდენიმე სამარხი აღმოჩნდა (ჭილაშვილი 1964:47-51), ქვედა ფენაში ძვ.წ. VI-V საუკუნეების სამარხია დადასტურებული (ჭილაშვილი 1964:60). 1957 წელს, XX უბანზე, ექსპედიციამ ადრებრინჯაოს ხანის ერთი სამარხი შეისწავლა, ხოლო 1959-1960 წლებში საცხოვრებელი ნაგებობების ნაწილს მიაკვლია (ჭილაშვილი 1964:9,90). ახ.წ. IV-V საუკუნეების სამარხები გამოვლინდა XXXIV უბანზე (ჭილაშვილი 1964:83-84), XXXVI უბანზე კი - ძვ.წ. IV-III სს ნამოსახლარები (ჭილაშვილი 1964:29) და ახ.წ. IV საუკუნის სამაროვანი დადასტურდა. ამავე სამაროვანზე 1960-1962 წლებში ადრებრინჯაოს ხანის 7 სამარხი აღმოჩნდა (N5, 16, 17, 28, 29, 44, 45) (ჭილაშვილი 1964:8, 10-24, 60). ძვ.წ. IV-III საუკუნეების ნამოსახლარებს მიაკვლიეს ნაქალაქარის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე, XXXIX უბანზე (ჭილაშვილი 1964:29). აქვე ადრეფეოდალური ხანის მასალა და ელინისტური ხანის საწარმოს ნაშთები დადასტურდა (ჭილაშვილი 1964:41-42) (ლომთათიძე 1964).

### ურბნისის ნაქალაქარის XXV უბანი

1956 წელს, დ. ქორიძის ხელმძღვანელობით მეცნიერთა ერთმა ნაწილმა (ნ. ბაქრაძე, მ. ზამთარაძე, მ. სინაურიძე, ქ. ჯავახიშვილი, მ. საყვარელიძე, მ. საგინაშვილი და სხვ.) XXV უბანზე, ნაქალაქარის აღმოსავლეთ ნაწილში სამაროვანს მიაკვლია. სამარხთა დიდი ნაწილი გვიანანტიკური პერიოდის ინვენტარს შეიცავდა, თუმცა აქვე იყო გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის და ძვ.წ. III-I საუკუნეების რამდენიმე სამარხიც.[2] უნდა ითქვას ისიც, რომ ახ.წ. I-II საუკუნეების სამარხების ქვეშ თლილი ქვით ნაგები ანტიკური ნაგებობის კედლის ნაშთის არსებობა ივარაუდება (ჭილაშვილი 1964:55).

ნაქალაქარის აღმოსავლეთ ნაწილში, XXV უბანზე, ჩვენი საკვლევი გვიანანტიკური ხანის სამაროვნის სამარხეული ინვენტარი დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში. აქვე ინახება

[2] დ. ქორიძე, ხელნაწერი - „ელინისტური (ძვ.წ. III-I სს.) ხანის არქეოლოგიური ძეგლები ურბნისის სამაროვნიდან (XXV უბანი)“.

ურბნისის არქეოლოგიური ექსპედიციის ერთ-ერთი ჯგუფის ხელმძღვანელის დ. ქორიძის საველე არქეოლოგიური დღიურები და ხელნაწერი ნაშრომი, სადაც უმეტეს შემთხვევაში დაცულია ინფორმაცია სამარხთა აგებულების, მიცვალებულთა დაკრძალვის პოზისა და დამხრობის შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ სამაროვანზე აღმოჩენილი ნივთების ნაწილი - მინის ჭურჭელი (საგინაშვილი 1970) და გლიპტიკური ძეგლები (ჯავახიშვილი 1972) გამოქვეყნებულია და სამაგიდო წიგნს წარმოადგენს ამ პერიოდის ძეგლებით დაინტერესებულ მკვლევართათვის. ჩვენი მიზანი იყო სამაროვანზე აღმოჩენილი თითოეული სამარხი არქეოლოგიური კონტექსტით შეგვესწავლა, რაც თანადროული არქეოლოგიური ძეგლების ფონზე (სამთავროს, კამარახევის, ბაიათხევის, ტახტიძირის, ჟინვალის სამაროვნები, კარსნისხევის ნამოსახლარი და სამაროვანი, დედოფლის გორის სასახლე და სხვ.), მნიშვნელოვნად გააფართოებს ცოდნას კონტაქტებზე, როგორც ქვეყნის შიდა რეგიონებს შორის, ისე გარესამყაროსთან, აგრეთვე გვიანანტიკურ ხანაში ურბნისში მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ და ქონებრივ სტატუსზე და მის ადგილზე I-IV საუკუნეების ქართლის საზოგადოებაში.

ურბნისის სამაროვანი გვიანანტიკური ხანის ძეგლებს შორის გამორჩეული ობიექტია. სამარხის აგების პრინციპი, დაკრძალვის საერთო წესის არსებობა, იმპორტული ნივთების (მინის ჭურჭელი, გლიპტიკური ძეგლები) სიუხვე და მათი თანაარსებობა ადგილობრივ ნაწარმთან, სამარხების განსაკუთრებული სიზუსტით დათარიღების საშუალებას იძლევა. სწორედ ზემოაღნიშნულმა თავისებურებებმა განაპირობა მუშაობის სტრუქტურა.

# თავი II

## კვლევის მეთოდიკა

ურბნისის სამაროვნის გენერალურ გეგმას ვერ მივაკვლიეთ, შესაძლოა, ის არც არსებობდა, რადგან არქეოლოგიური სამუშაოები სხვადასხვა საკარმიდამო ნაკვეთში მიმდინარეობდა. გენერალური გეგმის უქონლობა ნაშრომისთვის დიდი დანაკლისია. იმის წარმოსადგენად, თუ თუ რა მიმართებაში იყო ერთმანეთთან ურბნისის სამაროვნის უბნები, ვიხელმძღვანელეთ ლ. ჭილაშვილის წიგნით - „ნაქალაქარი ურბნისი“, სადაც მოცემულია ნაქალაქარის ტოპოგეგმა განათხარი ობიექტებით (ჭილაშვილი 1964, სურ. 1). არქეოლოგიური ობიექტები გამოვლინდა ნაქალაქარის როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ ნაწილში. ჩვენი საკვლევი მონაკვეთია XXV უბნის სამაროვანი, რომელიც განცალკევებით, ნაქალაქარის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობდა.

კვლევის პირველ ეტაპზე დამუშავებულ იქნა სამუზეუმო დავთრებში დაცული ინფორმაცია XXV უბანზე აღმოჩენილი სამარხების და სამარხეული ინვენტარის შესახებ, რათა წარმოდგენა შეგვქმნოდა შესასრულებელი სამუშაოს მოცულობის შესახებ. პარალელურად დამუშავდა დ. ქორიძის (XXV უბნის არქეოლოგთა ჯგუფის ხელმძღვანელი) - საველე დღიურები და ხელნაწერი ნაშრომი - „ურბნისის სამაროვანზე (XXV უბანი) აღმოჩენილი გვიანანტიკური ხანის ძეგლების პერიოდიზაციის საკითხისათვის“, სადაც უმეტეს შემთხვევაში დაცულია ინფორმაცია სამარხთა აღნაგობის, დაკრძალულთა პოზისა და დამხრობის შესახებ. გაირკვა, რომ XXV უბანზე სულ 280 სამარხი და 24 სამარხის ნაშთია გათხრილი, მათგან უინვენტარო იყო 51 სამარხი (NN5, 8, 10, 11, 12 ნაშთი, 14 ნაშთი, 17, 17 ნაშთი, 19, 21, 22, 26, 29, 33, 37, 41, 42, 43, 44, 46, 56, 63, 70, 71, 89, 101, 103, 108, 117, 119, 120, 121, 126, 130, 137, 140, 141, 147, 154, 159, 166, 167, 169, 171, 174, 177, 186, 249, 259, 264, 268); დანარჩენი სამარხებიდან ათი სამარხი (სამარხი N9,27,188,194,198,210,228,235,254 და N262 ორმო-სამარხი) დ. ქორიძემ ელინისტური პერიოდით დაათარიღა თავის ნაშრომში „ელინისტური (ძვ.წ. III-I სს.) ხანის არქეოლოგიური ძეგლები ურბნისის სამაროვნიდან (XXV უბანი)". აქვე, ძვ.წ. III-I საუკუნეებით განისაზღვრა ჩვილი ბავშვების ექვსი ურნა-სამარხის თარიღი (ქორიძე, იხ.

სქოლიო N1, გვ. 8-24). სამარხეულ ინვენტარზე მუშაობის დროს XXV უბანზე არაგვიანანტიკური ხანის კიდევ 12 სამარხი გამოვლინდა (N4, 18, 18 ნაშთი, 24 ნაშთი, 25, 31, 143,144, 195, 213, 219, 270). აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი სამარხის შემთხვევაში ინვენტარი არ იძლეოდა დათარიღების შესაძლებლობას. აღნიშნულ უბანზე არქეოლოგიური მასალის სიჭარბემ და ფართო ქრონოლოგიურმა დიაპაზონმა საშუალება მოგვცა დაგვეზუსტებინა ნაშრომის ქრონოლოგია - შესწავლილია მხოლოდ ის სამარხები, რომელთა ინვენტარი ახ.წ. I-IV საუკუნეებით თარიღდება. ასეთი სულ 116 სამარხია. ფართო ქრონოლოგიური დიაპაზონი მოითხოვდა სამარხების მჭიდრო ქრონოლოგიურ მონაკვეთებად დაყოფას, რაც ამ პერიოდის ძეგლებისთვის საკმაოდ რთულია. პირველ რიგში, ვიხელმძღვანელეთ უკვე დათარიღებული მინის ჭურჭლითა (საგინაშვილი 1970) და გლიპტიკური ნიმუშებით (ჯავახიშვილი 1972), შემდეგ კი, სამარხში დადასტურებული სხვადასხვა დამათარიღებელი ინვენტარით (თიხის ჭურჭელი, სამგლოვიარო გვირგვინის ფურცლები, მინის საკინძისთავები..), რის შედეგადაც გამოიყო ოთხი ძირითადი ქრონოლოგიური ჯგუფი: 1. ძვ.წ. I საუკუნის ბოლო - ახ.წ. I საუკუნის დასაწყისი; 2. ახ.წ. I საუკუნის ბოლო - II საუკუნე; 3. III საუკუნე; 4. ახ.წ. IV საუკუნე.

ნაშრომში სამარხები ქრონოლოგიური თანმიმდევრობითაა განხილული. თითოეულს ახლავს ინფორმაცია სამარხის აგებულების მიცვალებულთა დაკრძალვის პოზის და დამხრობის შესახებ (ასეთი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში). ასევე, მოცემულია სამარხეული ინვენტარის დეტალური აღწერა, რაც მნიშვნელოვანია ქრონოლოგიური ატრიბუციისთვის. ნაშრომში ინვენტარის თანმიმდევრობა სამარხში ნივთების განლაგების მიხედვითაა წარმოდგენილი. უნდა აღინიშნოს, რომ კვლევის პროცესში ყველაზე დიდი დრო სწორედ ნივთების აღწერა-გაზომვას და ფოტოფიქსაციას დასჭირდა იმის გამო, რომ ისინი სხვადასხვა ფონდში ინახება. წარმოდგენილი ნაშრომის ძირითად ნაწილში 860 ნივთია აღწერილი ინვენტარის ნომრის მითითებით. თითოეული სამარხის ინვენტარი ცალკეა წარმოდგენილი დანართში მასშტაბის დართვით, მხოლოდ მონეტებისა და გლიპტიკური მასალის ფოტოებია გადიდებული, რათა მათზე დატანილი გამოსახულებები გასარჩევი ყოფილიყო. ფოტოზე წარმოდგენილია ისეთი ეგზემპლარები, რომლებიც ნაკლებადაა დაზიანებული და შესაძლებელია გარჩევა თუ რა

ნივთთან გვაქვს საქმე. ნივთები გამჭოლი ნუმერაციითაა მოცემული ტექსტში და შესაბამისი ნომრით იძებნება დანართშიც. არქეოლოგიური კონტექსტით სამარხების შესწავლამ, საშუალება მოგვცა, მასში დადასტურებული დამათარიღებელი ნივთების ანალიზის საფუძველზე, გვემსჯელა თითოეული სამარხის გამართვის სავარაუდო თარიღზე.

* * *

ურბნისის გვიანანტიკური ხანის სამაროვანზე აღმოჩენილი ნივთები საკმაოდ მრავალფეროვანია და შეიცავს როგორც იმპორტულ, ისე ადგილობრივ დამზადებულ სხვადასხვა სახეობის ნივთს. იმპორტული ნაწარმი ძირითადად თიხის სანელსაცხებლეებით, მინის ჭურჭლით და გლიპტიკური ნიმუშებით შემოიფარგლება. დანარჩენი ინვენტარი - ადგილობრივი თიხის ჭურჭელი, სამკაული, ტანსაცმლის აქსესუარები, სამეურნეო იარაღი და სხვა, მსგავსია საქართველოში თანადროულ ძეგლებზე ფართოდ გავრცელებული ნივთებისა. გვხვდება იშვიათი გამონაკლისები, რომელთა ანალოგების მიკვლევა ვერ შევძელით. ერთგვარი სირთულე იყო ადგილობრივი თიხის ჭურჭლისთვის სახელის შერჩევაც. როგორც ცნობილია, ერთი ტიპის ჭურჭელს სხვადასხვა სახელი აქვს ამა თუ იმ სამეცნიერო ლიტერატურაში, რაც გამოწვეულია იმით, რომ დღემდე არ არსებობს ქართული არქეოლოგიური ტერმინოლოგია, რომელიც გაამარტივებდა კონკრეტული ნივთისთვის სახელის მინიჭებას მისი ფუნქციური და გარეგნული მახასიათებლების გათვალისწინებით. გადავწყვიტეთ, შეგვერჩია ისეთი ტერმინი, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში ანტიკური ხანის თიხის ჭურჭლებზე ყველაზე ფართოდაა გამოყენებული.

## თავი III

## ქრონოლოგიური ჯგუფები

### §3.1. I ქრონოლოგიური ჯგუფი - ძვ.წ. I საუკუნის ბოლო - ახ.წ. I საუკუნის დასაწყისი

**სამარხი N50 (ტაბ. X1).** სამარხი დაზიანებული იყო მის მახლობლად N42 სამარხისათვის ორმოს ამოღების დროს. მიცვალებული გვერდზე დაუკრძალავთ, ხელ-ფეხ მოხრილი.

1. ტოლჩა, თიხა. მოყავისფრო, პირგადაშლილი, ბაკომომრგვალებული, ყელი დაბალცილინდრული, მუცელი სფერული, ძირი ბრტყელი, ცალყურა. გრეხილი ყური მიმაგრებულია მუცელზე, ყურზე ხუთი კოპია დატანილი. მუცელს ირიბი ღარები ამკობს. პირი ერთ ნაწილში ჩამოტეხილია. სიმაღლე - 12 სმ, პირის დიამეტრი - 6,2 სმ, ძირის დიამეტრი - 8 სმ. აღმოჩნდა ჩონჩხის ფეხებთან. (GNM1-1-59:2251).

N50 სამარხში აღმოჩენილი დოქი (ტაბ. X1, კატ. N1)გ. ნარიმანიშვილის მიერ შემუშავებული კლასიფიკაციის მე-5 ჯგუფს შეესაბამება (ძვ.წ. I- ახ.წ. I სს.) (Нариманишвили 1991:39-40, кат. 651). მსგავსი ტოლჩები აღმოჩენილია აგრეთვე ტახტიძირის N26 სამარხში (გაგოშიძე 2020:273, კატ. N605), ზამბების ნამოსახლარის N6 სამარხში (ხახუტაიშვილი 1964:81, ტაბ. XXXII, 8), მოგვთაკარის სამაროვნის N8 კრამიტსამარხში (სიხარულიძე, აბუთიძე 1985:125-127, სურ. 703). ტახტიძირის სამაროვანზე ტოლჩა სამარხში ერთადერთი ნივთი იყო, ხოლო ზამბების და მოგვთაკარის სამარხებში ისინი აღმოჩნდა მონეტებთან ერთად, რომელთა თარიღი ძვ.წ. I-ახ.წ. I საუკუნეებს არ სცდება. აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, ვფიქრობთ, ურბნისის სამაროვნის N50 სამარხის თარიღი ძვ.წ. I-ახ.წ. I საუკუნეების დასაწყისით განვსაზღვროთ.

**სამარხი N241 (ტაბ. X2).**

2. დოქი, თიხა. ჩალისფრად გამომწვარი. პირი გადაშლილი, ბაკო მომრგვალებული, მუცელი სფერული, ძირი ბრტყელი, ცალყურა. გრეხილი ყური მიძერწილია ყელსა და მხარზე. ყურის ყელთან მიერთების ადგილას დასმულია კოპი, კოპებია დატანილი გრეხილ ყურზეც. პირი ჩამოტეხილია. ჭურჭელს მთელს ზედაპირზე ეტყობა წითლად

შეღებვის კვალი. სიმაღლე - 16,5 სმ, პირის დიამეტრი - 7,3 სმ, ძირის დიამეტრი - 10,7 სმ. (GNM1-1-62:3965).

3. საყურე, ბრინჯაო. წყვილი. გახვრეტილი და დაბრტყელებული ბოლოები ერთმანეთზე აქვს გადადებული, დიამეტრი - 1,3; (GNM1-1-62:3968).

4. მძივები, პასტა (6ც.). თეთრი. წრიული მოყვანილობის. ბრტყელი. დიამეტრი - 0,8 სმ. (GNM1-1-62:3969).

5. სამაჯური, რკინა. ბრტყელგანივკვეთიანი ღეროსი, დამტვრეული. სიგანე-1,3 სმ; (GNM1-1-62:3966).

6. ბეჭედი, რკინა. ფარაკის ფრაგმენტი. ფარაკის ზომები: 1,8-1,4 სმ. (GNM1-1-62:3967).

სამარხში აღმოჩენილი წითლადშეღებილი დოქი (ტაბ. $X_2$, კატ. N2) ფორმით მსგავსია ასეთივე წითლადშეღებილი დოქებისა სამთავროს ქვევრსამარხებიდან, რომელთა თარიღი ძვ.წ. III-I საუკუნეებია (თოლორდავა 1963:142, ტაბ. IV-4,5). მათგან განსხვავებით, ურბნულ დოქს დაგრეხილი და კოპებიანი ყური აქვს მსგავსად ამავე სამაროვნის, ძვ.წ. I საუკუნის ბოლო - ახ.წ. I საუკუნის დასაწყისით დათარიღებული, N50 და N77 სამარხებში აღმოჩენილი მინიატურული დოქებისა (ტაბ. $X_1$, კატ. N1; ტაბ. $X_3$, კატ. N7). აქვე აღმოჩენილი მინის მძივები ფორმით მიესადაგა ე.მ. ალექსეევას კლასიფიკაციის 71-76-ე ტიპებს, რომელთა თარიღი ზოგადად ახ.წ. I-IV საუკუნეებია (Алексеева 1978:68, таб. 33-20). ჭურჭლის მსგავსება როგორც ძვ.წ. III-I საუკუნეების, ისე ახ.წ. I საუკუნის დოქებთან და მძივების ქვედა თარიღი - ახ.წ. I საუკუნე, გვაფიქრებინებს, რომ სამარხის თარიღი ახ.წ. I საუკუნის დასაწყისით განვსაზღვროთ.

**სამარხი N77 (ტაბ. $X_3$).** ხის ძელებით შემოსაზღვრულ სამარხ ორმოში მკვეთრად მოხრილი მიცვალებული მარცხენა გვერდზე ესვენა.

7. დოქი, თიხა. მინიატურული. შავად გამომწვარი. სამტუჩა, ყელი ცილინდრული, მუცელი სფერული, ძირი ბრტყელი, ცალყურა. გრეხილი ყური მიძერწილია პირსა და მუცელზე, პირთან მიერთების ადგილი შემაღლებულია, შემაღლების ადგილას მრგვალი ფოსოა, შესაძლოა ზედ კოპი იყო დატანილი. სიმაღლე - 6,8 სმ, ძირის დიამეტრი - 4,4 სმ. (GNM1-1-59:2415).

8. კოჭობი, თიხა. ჩალისფრად გამომწვარი. პირი გადაშლილი, ყელი დაბალი, მუცელი სფერული, ძირი ბრტყელი, ცალყურა. ბრტყელგანივკვეთიანი ყური მიძერწილია მუცელზე. ნაკლული. სიმაღლე - 7,6 სმ. (GNM1-1-59:2416).

შავადგამომწვარი თიხის მინიატურული დოქი კი (ტაბ. $X_3$, კატ. N7), ფორმით მსგავსია ურბნისის N118, N271 და N269 სამარხებში აღმოჩენილი მინიატურული დოქებისა (ტაბ. $X_4$, კატ. N12; ტაბ. $XI_1$, კატ. N13; ტაბ. $XI_2$, კატ. N20). მათი თარიღი არაუგვიანეს ახ.წ. I საუკუნის დასაწყისით განვსაზღვრეთ. დოქი ხაოიანი ზედაპირით და გრეხილი ყურით ემსგავსება ურბნისის სამაროვნის N50 და N241 სამარხების ჭურჭლებს (ტაბ. $X_1$, კატ. N1; ტაბ. $X_2$, კატ. N2), რომელთა თარიღიც პარალელური მასალის მიხედვით არაუგვიანეს ახ.წ. I საუკუნის დასაწყისით განვსაზღვრეთ. ვფიქრობთ, N77 სამარხი ჩვენს მიერ შემუშავებული ქრონოლოგიური კლასიფიკაციის ყველაზე ადრეულ ჯგუფში გავაერთიანოთ და ძვ.წ. I საუკუნის ბოლოთი - ახ.წ. I საუკუნის დასაწყისით დავათარიღოთ.

**N28 სამარხი (ტაბ. $X_5$).** აღმოჩნდა N23 სამარხის ქვეშ. მიცვალებული ესვენა მარცხენა გვერდზე მკვეთრად მოხრილი, თავით აღმოსავლეთით.

9. ჯამი, თიხა. ვარდისფრად გამომწვარი. პირმოყრილი, კალთა დაქანებული, ქუსლიანი. აღდგენილი, ნაკლული. სიმაღლე - 7,2 სმ, პირის დიამეტრი - 16, 7 სმ, ქუსლის სიმაღლე - 1,5 სმ, ქუსლის დიამეტრი - 9 სმ. (GNM1-1-59:2177).

10. ჭურჭელი, თიხა. ფრაგმენტი. ვარდისფრად გამომწვარი. ორივე მხრიდან შეღებილია წითლად. პირ-ყელის ფრაგმენტი. (GNM1-1-59:2182).

11. სანელსაცხებლე, მინა. თეთრი, გამჭვირვალე, თავისუფლად ნაბერი. დამტვრეული. (GNM1-1-59:2178).

N28 სამარხში აღმოჩენილი თიხის ჯამი (ტაბ. $X_5$, კატ. N9) ფორმით მიესადაგა გ. ნარიმანიშვილის მიერ შემუშავებული კლასიფიკაციის VII ჯგუფს (ნარიმანიშვილი 2018:117, ტაბ. XLVI 5; ნარიმანიშვილი 2021:297-309, ტაბ. V, 13), რომელიც ძვ.წ. I საუკუნის მეორე ნახევარს და ახ.წ. II საუკუნეს მოიცავს. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ N28 სამარხი აღმოჩნდა N23 სამარხის ქვეშ, რომელიც იქ აღმოჩენილი მინის ჭურჭლის მიხედვით (ტაბ. $XXVIII_2$, კატ. N446, 447) ჩვენ მიერ შემუშავებული ქრონოლოლოგიური

კლასიფიკაციის II ჯგუფს (ახ.წ. I საუკუნის დასასრული - II საუკუნე) მიესადაგა. სამარხის გამართვა სტრატიგრაფიული მონაცემების საფუძველზე ახ.წ. I საუკუნის დასაწყისში უნდა ვივარაუდოთ.

**სამარხი N118 (ტაბ. X4).** სამარხი ნაგებობის კვალი არ შეინიშნებოდა. სამარხი ბავშვს ეკუთვნოდა, რომელიც ესვენა მარცხენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში.

12. დოქი, თიხა. მინიატურული. ჩალისფრად გამომწვარი, უხეში ზედაპირით. სამტუჩა, ბაკომომრგვალებული, ყელი ცილინდრული, მუცელი სფერული, ძირი ბრტყელი, ცალყურა. ბრტყელგანივკვეთიანი ყური მიმაგრებულია პირსა და მუცელზე, პირთან მიერთების ადგილი ოდნავ შემაღლებულია. მუცელზე აქვს ისრის ფორმის ნაჭდევი. სიმაღლე - 10,3 სმ, პირის სიგანე - 5,4 სმ, ძირის დიამეტრი - 6,5 სმ. (GNM1-1-60:2822).

ჭურჭელი მსგავსია ამავე სამაროვნის N271 და N269 სამარხებში აღმოჩენილი დოქების (ტაბ. XI1, კატ. N13; ტაბ. XI2, კატ. N20). სამარხები ინვენტარის მიხედვით ძვ.წ. I საუკუნის ბოლო - ახ.წ. I საუკუნის დასაწყისით დავათარიღეთ. ვფიქრობთ, N118 სამარხის თარიღიც ჩვენს მიერ შემუშავებული კლასიფიკაციის პირველ ჯგუფს უნდა მივუსადაგოთ და არაუგვიანეს ახ.წ. I საუკუნის დასაწყისით დავათარიღოთ.

**სამარხი N271 (ტაბ. XI1).** მიცვალებული ესვენა გულაღმა, ზურგზე გაშოტილი. ორიენტირებულია OW-მიმართულებაზე.

13. დოქი, თიხა. მინიატურული. სამტუჩა, ბაკომომრგვალებული, სფერულმუცლიანი, ბრტყელძირა, ცალყურა, წითლად მოხატული. ბრტყელგანივკვეთიანი ყური მიძერწილია პირის კიდესა და მხარზე, პირთან მიერთების ადგილი ოდნავ შემაღლებულია. ჭურჭელს პირის კიდეზე ყელსა და მუცელზე შემოუყვება სადა, ირგვლივი ზოლები. სიმაღლე - 9,8 სმ, პირის ზომები: 4,8X5 სმ, ძირის დიამეტრი - 6,2 სმ. (GNM1-1-63:4205).

14. საყურე, ბრინჯაო. წყვილი. წრიული ფორმის, ბოლოებგახსნილი. დიამეტრი - 1,5 სმ. (GNM1-1-63:4206).

15. მძივები, მინა. (GNM1-1-63:4210).

16. ზარაკები, ბრინჯაო, 1. ნახევარსფერული, სიმაღლე- 1,3 სმ, დიამეტრი -1,8 სმ; 2. კონუსური, სიმაღლე -1,3 სმ. (GNM1-1-63:4208).

17. ბეჭედი, რკინა. (2 ცალი). (GNM1-1-63:4211).

18. დანა, რკინა. მოკლე. შერჩენილი აქვს ორი მანჭვალი. გატეხილია სამ ნაწილად. სიგრძე - 11,1 სმ. (GNM1-1-63:4207).

N271 სამარხში აღმოჩენილი სამტუჩა კოჭობი მოხატულობით და ფორმით ამავე სამაროვნის N269 სამარხში აღმოჩენილი სამტუჩას მსგავსია (ტაბ. $XI_2$, კატ. N20). თიხის ფაქტურით და ფორმით ისინი რამდენადმე ემსგავსება ტახტიძირის N21 სამარხში აღმოჩენილ ჭურჭელს, რომლის თარიღი ძვ.წ. I - ახ.წ. I საუკუნით განსაზღვრეს (გაგოშიძე 2020:264-265, კატ. N577). ნახევარსფეროს ფორმის ზარაკი თ. ჭანიშვილის კლასიფიკაციის მე-4 ტიპში განიხილება და დათარიღებულია ახ.წ. I საუკუნით (ჭანიშვილი 2021:630-631, ტაბ. I-II). სამარხეული ინვენტარის მიხედვით N271 სამარხი ჩვენს მიერ შემუშავებული ქრონოლოგიის I ჯგუფში უნდა მოთავსდეს და დათარიღდეს ძვ.წ. I საუკუნის ბოლოთი - ახ.წ. I საუკუნის დასაწყისით.

**სამარხი N269 (ტაბ. $XI_2$).** ჩონჩხი ესვენა ზურგზე გაშოტილი.

19. დოქი, თიხა. მინიატურული. ჩალისფრად გამომწვარი, პირი გადაშლილი, ბაკომომრგვალებული, ყელი გამოყვანილი, მუცელი სფერული, ძირი ბრტყელი, ცალყურა. ოვალურგანივკვეთიანი ყური მიძერწილია პირის კიდესა და მხარზე. პირთან მიერთების ადგილი ოდნავ შემაღლებულია. ყელთან და მუცელზე შეინიშნება წითელი საღებავის კვალი, შესაძლოა ირგვლივი ზოლებით იყო შემკული ჭურჭლის ეს ნაწილი, საღებავი გაცვეთილია. სიმაღლე - 11 სმ, პირის დიამეტრი - 5 სმ, ძირის დიამეტრი - 7 სმ. (GNM1-1-63:4186).

20. დოქი, თიხა. მინიატურული. ჩალისფრად გამომწვარი, სამტუჩა, ბაკომომრგვალებული, მუცელი მსხლისებური, ძირი ბრტყელი, ცალყურა. ოვალურგანივკვეთიანი ყური მიძერწილია პირის კიდესა და მუცელზე. ჭურჭელი შემკულია წითელი საღებავით შესრულებული ირგვლივი და ტალღოვანი ორნამენტით. სიმაღლე - 10,4 სმ, პირის ზომები: 6 სმX5,2 სმ, ძირის დიამეტრი - 5,2 სმ. (GNM1-1-63:4187).

21. ბეჭედი, რკინა. ფარაკიანი, დაჟანგული, ნაკლული. ფარაკის სიგრძე-2,8 სმ; (GNM1-1-63:4191).

22. ბეჭედი, რკინა. თვალბუდიანი. თვალი ამოვარდნილია. ორადგატეხილი. თვალბუდის სიგრძე - 1,1 სმ, ბეჭდის დიამეტრი -1,9 სმ (GNM1-1-63:4192).

23. რგოლი, ბრინჯაო. დიამეტრი - 2,2 სმ (GNM1-1-63:4190).

24. ნივთი, ძვალი. ღეროვანი. ერთი ბოლო გაწვრილებული. ნაკლული. შერჩენილი სიგრძე - 16,9 სმ (GNM1-1-63:4188). ნივთი მოხსენიებულია როგორც სტილოსი და დათარიღებულია ახ.წ. I-II საუკუნეებით (კერესელიძე 1978:76, კატ. N258).

N269 სამარხში აღმოჩენილი დოქი მსგავსია N271 სამარხში აღმოჩენილი სამტუჩა დოქისა (ტაბ. $XI_1$, კატ. N13). მათი მსგავსება ტახტიძირის N28 სამარხში აღმოჩენილ სამტუჩასთან სამარხის თარიღს ძვ.წ. I - ახ.წ. I საუკუნეებით განსაზღვრავს. საყურადღებოა N269 სამარხში აღმოჩენილი ძვლის ნივთი (ტაბ. $XI_2$, კატ. N24). მსგავსი ტიპის ნივთები გამოჩენას იწყებს ახ.წ. I საუკუნიდან, მაშინ როცა იზრდება მოთხოვნილება სტილოსით შესრულებულ წარწერებსა და ორნამენტებზე. შესაძლებელია, საქმე გვქონდეს სწორედ სტილოსთან. მსგავსი ძვლის ნივთები აღმოჩენილია დედოფლის გორაზე, მოიხსენიება სტილოსებად და თარიღდება ახ.წ. I საუკუნით (Gagoshidze 2008:112-113, cat. N99). სტილოსი აღმოჩენილია საყანჩიის ნამოსახლარზეც (ლიჩელი 1991: 67). სამარხში აღმოჩენილი ინვენტარის პარალელები სამარხის თარიღს არაუგვიანეს ახ.წ. I საუკუნის დასაწყისით განსაზღვრავს.

**სამარხი N116 (ტაბ. $XII_1$).** სამარხი ნაგებობის სამხრეთ ნაწილი ალიზის აგურით ყოფილა ნაგები და დაუზიანებლად შემორჩენილა. მიცვალებული იწვა ზურგზე, ფეხები ერთმანეთზე ჰქონდა გადადებული.

25. ჯამი, თიხა. შავპრიალა, პირმოყრილი. მკვეთრად დაქანებული კალთა დაბალი ქუსლით ბოლოვდება. აღდგენილი, ნაკლული. სიმაღლე - 3,1 სმ, პირის დიამეტრი - 6,8 სმ, ქუსლის დიამეტრი - 4,6 სმ, ქუსლის სიმაღლე - 0,4 სმ (GNM1-1-60:2819).

26. მძივები, ფაიანსი. (2 ც). (GNM1-1-60:2820).

27. ზარაკები, ბრინჯაო. ფრაგმენტები. (GNM1-1-60:2821).

ერთ-ერთ ადრეულ სამარხად მივიჩნიეთ ურბნისის სამაროვნის N116 სამარხი, რომელშიც მხოლოდ შავპრიალა თიხის ჯამი (ტაბ. $XII_1$, კატ. N25) და ფაიანსის მძივები აღმოჩნდა (ტაბ. $XII_1$, კატ. N26). ჯამი ფორმით მსგავსია ტახტიძირის სამაროვნის N30

სამარხში აღმოჩენილი მოყავისფრო თიხის ჯამის. სამარხი თანმხლები ინვენტარით დათარიღებულია ახ.წ. I საუკუნის დასაწყისით (გაგოშიძე 2020:280-281, კატ. 631). გასათვალისწინებელია გ. ნარიმანიშვილის დაკვირვება შავპრიალა მკვეთრად პროფილირებულ და დაბალქუსლიან ჯამ-ფიალების ჯგუფზე, რომელიც ძვ.წ. I ს-ის მეორე ნახევარსა და ახ.წ. II საუკუნეშია გავრცელებული (ნარიმანიშვილი 2018: 105). ტახტიძირის ჭურჭლის მსგავსებისა და ჭურჭლის სიპრიალის მდარე ხარისხი სამარხის თარიღს ძვ.წ. I საუკუნის ბოლოთი - ახ.წ. I საუკუნის დასაწყისით განსაზღვრავს.

**სამარხი N7 (ტაბ. XII2).** სამარხი აღმოჩნდა N73 სამარხის ქვეშ. სამარხში ბავშვი (4-5 წლის) დაუკრძალავთ ზურგზე, გაშოტილი ორიენტირებული OW მიმართულებაზე. ჩონჩხის გარშემო რიყის ქვები იყო დაწყობილი.

28. მძივები, გიშერი. აღმოჩნდა ჩონჩხის ყელისა და გულმკერდის არეში. (GNM1-1-7:1001).

29. ინტალიო, მინა. თეთრი, გამჭვირვალე. გამოსახულია მოცეკვავე მენადა. ინტალიოს სიგრძე - 16 მმ, სიგანე - 8 მმ. აღმოჩნდა მიცვალებულის ყელის არეში. (GNM1-გ.ფ. N943). ძვ.წ. I საუკუნე (ჯავახიშვილი 1972:22, კატ. 2).

ჩვენი ქრონოლოგიური ინტერესების შესაბამისი მონაკვეთის ერთ-ერთ ადრეულ სამარხს სამაროვანზე წარმოადგენს სამარხი N7. აქ აღმოჩენილი მინის ინტალიო (ტაბ. XII2, კატ. N29) ძვ.წ. I საუკუნით თარიღდება (ჯავახიშვილი 1972:22, კატ. N2). აქვე აღმოჩენილია გიშრის მძივები, ისეთივე, როგორიც ტანაისის სამაროვანზეა ნაპოვნი და თარიღდება ძვ.წ. II-I საუკუნეებით (Алексеева 1975, таб. 19). ვფიქრობთ, სამარხის თარიღი ძვ.წ. I საუკუნის დასაწყისით განვსაზღვროთ. გასათვალისწინებელია N7 სამარხის მდებარეობა N73 სამარხის ქვეშ (ტაბ. XXXIV5, კატ. N689-709). ეს უკანასკნელი, არქეოლოგიური კონტექსტით ჩვენს მიერ შემუშავებული კლასიფიკაციის III ქრ. ჯგუფში გავაერთიანეთ. ვფიქრობთ, სამარხის გამართვის თარიღი არაუგვიანეს ახ.წ. I საუკუნის დასაწყისია.

### I ქრონოლოგიური ჯგუფის (ძვ.წ. I საუკუნის ბოლო - ახ.წ. I საუკუნის დასაწყისი) ანალიზი

*სამარხთა აგებულება და დაკრძალვის წესი: (იხ. დანართი N1 და N2; დიაგრამები NN1, 2)*

პირველ ქრონოლოგიურ ჯგუფში (ძვ.წ. I საუკუნის ბოლო - ახ.წ. I საუკუნის დასაწყისი) გაერთიანებული ცხრა სამარხიდან არ გვაქვს ინფორმაცია ხუთი სამარხის აგებულებაზე (სამარხი NN50, 241, 28, 271, 269; ტაბ. $X_{1,2,5}$, $XI_{1,2}$), ნაგებობის გარეშე გაუმართავთ N118 სამარხი (ტაბ. $X_2$). დარჩენილ სამ შემთხვევაში სამარხები აგებულებით ერთმანეთისგან განსხვავებულია. კერძოდ, N77 სამარხი (ტაბ. $X_3$) ორმო ხის ძელებით იყო ამოშენებული, N116 სამარხი (ტაბ. $XII_1$) ნაგებობა ალიზის აგურით აუგიათ, N7 სამარხის გარშემო კი ქვები ეწყო (ტაბ. $XII_2$).

**დიაგრამა N1**




ცხრა შემთხვევიდან ცნობილია რვა ჩონჩხის დაკრძალვის პოზა. ზურგზე ესვენა ოთხი (სამარხი NN271, 269, 116, 7. ტაბ. $XI_{1,2}$, $XII_{1,2}$), მათგან ორი თავით აღმოსავლეთით (NN271, 7). დანარჩენი ოთხი დაკრძალული იყო მარცხენა გვერდზე, ხელ-ფეხ მოკეცილი (სამარხი NN50, 77, 118, 28. ტაბ. $X_{1,3,4,5}$), რომელთაგან ერთი მიცვალებული დაუკრძალავთ თავით აღმოსავლეთით (სამარხი N28). აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ ჯგუფში, N116

სამარხში ზურგზე გაშოტილ მიცვალებულს ფეხები ერთმანეთზე ჰქონდა გადადებული, ისევე როგორც ამავე სამაროვნის N230 სამარხში.

**დიაგრამა N2**




*სამარხეული ინვენტარი (იხ. დიაგრამა N3):*

**თიხის ჭურჭელი.** პირველი ქრონოლოგიური ჯგუფისთვის (ძვ.წ. I საუკუნის ბოლო - ახ.წ. I საუკუნის დასაწყისი) ძირითად სამარხეულ ინვენტარს ადგილობრივ დამზადებული თიხის ჭურჭელი წარმოადგენს. ისინი ცხრიდან რვა სამარხში დაფიქსირდა - სულ 10 ერთეული (2 ჯამი, 6 დოქი, 1 ტოლჩა, 1 კოჭობი). კერამიკის 80% ჩალისფერკეციანია. წითლად შეღებილია ერთი დოქი (ტაბ. $X_2$, კატ. N2), მოხატულია სამი მინიატურული დოქი (ტაბ. XI, კატ. NN13, 19, 20). ხუთ სამარხში დაფიქსირდა თითო ჭურჭლის აღმოჩენის ფაქტი (ტაბ. $X_{1,2,4}$, $XI_{1,2}$. სამარხი N50, 241, 118, 271, 116), სამ შემთხვევაში ორი ჭურჭელი ფიქსირდება (ტაბ. $X_{3,5}$, $XI_2$. სამარხი N77, 28, 269).

**ჯამი.** პირველ ქრონოლოგიურ ჯგუფში (ძვ.წ. I საუკუნის ბოლო - ახ.წ. I საუკუნის დასაწყისი) ორი ჯამის აღმოჩენის ფაქტი ფიქსირდება. მათგან ერთი ჩალისფერკეციანი, უხეშფაქტურიანი, პირმოყრილი, კალთადაქანებული და დაბალქუსლიანი ჭურჭელია

(სამარხი N28, ტაბ. X5, კატ. N9). მეორე - შავპრიალა, პირმოყრილი, კალთადაქანებული, ქუსლიანი ჭურჭელი (სამარხი N116, ტაბ. XII1, კატ. N25).

**დოქი, ტოლჩა, კოჭობი.** პირველ ქრონოლოგიურ ჯგუფში (ძვ.წ. I საუკუნის ბოლო - ახ.წ. I საუკუნის დასაწყისი) ექვსი დოქი აღმოჩნდა (ტაბ. X2,3,4. კატ. NN2, 7, 12. ტაბ. XI1, 13, ტაბ. XI2, კატ. N19, 20). ერთი შავად გამომწვარი (ტაბ. X3. კატ. N7), დანარჩენი მოვარდისფრო-ჩალისფერი კეცით. დოქებიდან ოთხი სამტუჩაა (ტაბ. X3, კატ. N7, ტაბ. X4, კატ. N12, ტაბ. XI1, კატ. N13, ტაბ. XI2, კატ. N20), დანარჩენი სწორპირიანი. ყველა მათგანი დაბალყელიანი, სფერულმუცლიანი, ვიწრობირიანი, ბრტყელძირა და ცალყურაა. მათგან ორ შემთხვევაში პირთან მიერთების ადგილზე ყური ოდნავ შემსხვილებულია და პირის კიდის მაღლაა (ტაბ. X3, კატ. N7, ტაბ. X4, კატ. N12, ტაბ. XI1, კატ. N13). აქვე უნდა ითქვას, რომ მთელს სამაროვანზე აღმოჩენილ თიხის დოქებს ორ შემთხვევაში გრეხილი ყური აქვთ (ტაბ. X2, კატ. N2, ტაბ. X3, კატ. N7), გრეხილყურიანი დოქების აღმოჩენის სამი შემთხვევა სწორედ პირველ ქრონოლოგიურ ჯგუფში (ძვ.წ. I საუკუნის ბოლო - ახ.წ. I საუკუნის დასაწყისი) იყრის თავს, სამივე შემთხვევაში ყურზე შეინიშნება ბურცობები, განსხვავებით მეორე ქრონოლოგიურ ჯგუფში (ახ.წ. I საუკუნის ბოლო - II საუკუნე) შემავალი გრეხილყურიანი დოქისა (ტაბ. XX1, კატ. N221). ჭურჭლების უმრავლესობას ხაოიანი ზედაპირი აქვს (ტაბ. X3, კატ. N7, ტაბ. X4, კატ. N12, ტაბ. X1, კატ. N13, ტაბ. X2, კატ. N19, 20), შედარებით კარგად განლექილი კეცი აქვს N241 და N77 სამარხებში აღმოჩენილ დოქებს (ტაბ. X2, კატ. N2, ტაბ. X3, კატ. N8), ხოლო N50 სამარხის დოქის ზედაპირი პრიალაა (ტაბ. X1, კატ. N1). წითლად შეღებილია მხოლოდ ერთი დოქი (ტაბ. X2, კატ. N2), წითლად მოხატულია N271 და N269 სამარხში აღმოჩენილი დოქები - სულ სამი ერთეული. მოხატულობა დატანილია ჭურჭლის ხაოიან ზედაპირზე და წარმოადგენს სადა ირგვლივი ზოლების რამდენიმე რიგს ჭურჭლის მხარსა და მუცელზე (ტაბ. XI1, კატ. N13, ტაბ. XI2, კატ. N13, 19, 20).

**მინის ჭურჭელი.** პირველ ქრონოლოგიურ ჯგუფში (ძვ.წ. I საუკუნის ბოლო - ახ.წ. I საუკუნის დასაწყისი) შემავალი სამარხებიდან მხოლოდ ერთ შემთხვევაში დადასტურდა მინის ჭურჭელი, რომელიც ფრაგმენტულადაა წარმოდგენილი (ტაბ. X5, კატ. N11).

**საყურე.** წყვილი საყურეები დადასტურდა N241 და N271 სამარხებში. ორივე ბრინჯაოს მრგვალგანივკვეთიანი რგოლებია (ტაბ. X2, კატ. N3, ტაბ. XI1, კატ. N14).

**მძივები.** მძივები დადასტურდა N241, 271, 116 და N7 სამარხებში და ერთმანეთისგან განსხვავებულია როგორც მასალით (მინა, ფაიანსი, გიშერი), ისე ფორმით (ტაბ. $X_2$, კატ. N4, ტაბ. $XI_1$, კატ. N15, ტაბ. $XII_1$, კატ. N26, ტაბ. $XII_2$, კატ. N28).

**ზარაკი.** ზარაკები აღმოჩნდა მხოლოდ ორ, N271 და N116 სამარხში. N271 სამარხში აღმოჩენილი ზარაკები ორი ტიპისაა - ნახევარსფერული და კონუსური (ტაბ. $XI_1$, კატ. 16). N116 სამარხის ზარაკები ფრაგმენტულადაა შემორჩენილი, რის გამოც ფორმის წარმოდგენა შეუძლებელია (კატ. N27).

**სამაჯური.** პირველ ქრონოლოგიურ ჯგუფში (ძვ.წ. I საუკუნის ბოლო - ახ.წ. I საუკუნის დასაწყისი) მხოლოდ ერთი რკინის სამაჯური აღმოჩნდა (სამარხი N241; ტაბ. $X_2$, კატ. N5).

**ბეჭედი.** მიცვალებულისთვის რკინის ბეჭდები ჩაუყოლებიათ სამ სამარხში (N241, 271, 269), სულ ხუთი ცალი (კატ. N6, 17, 21, 22). N269 და N271 სამარხებში ორ-ორი ბეჭედი დაფიქსირდა. ბეჭდები ფრაგმენტულადაა შემორჩენილი და მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ სამ შემთხვევაში ისინი ფარაკიანია (კატ. N6, 17, 21), მხოლოდ ერთ შემთხვევაში ბეჭედს თვალბუდე ჰქონდა (კატ. N22). უნდა აღინიშნოს, რომ N269 სამარხში მიცვალებულს ორივე ტიპის ბეჭედი ახლდა (კატ. N21, 22).

**გლიპტიკური ძეგლი.** ერთ-ერთი გამორჩეული ნიმუშია მინის ინტალიო (ტაბ. $XII_2$, კატ. N29), რომელიც ერთადერთი გლიპტიკური ძეგლია პირველი ქრონოლოგიური ჯგუფისთვის (ძვ.წ. I საუკუნის ბოლო - ახ.წ. I საუკუნის დასაწყისი).

**იარაღი.** პირველ ქრონოლოგიურ ჯგუფში (ძვ.წ. I საუკუნის ბოლო - ახ.წ. I საუკუნის დასაწყისი) მხოლოდ ერთი შემთხვევაში, N271 სამარხში აღმოჩნდა სამეურნეო დანიშნულების რკინის დანა (ტაბ. $XI_1$, კატ. N 18).

**სხვა ინვეტარი.** დანარჩენ ინვენტარს წარმოადგენს ძვლის ღეროვანი ნივთი, რომელიც აღმოჩნდა N269 სამარხში (ტაბ. $XI_2$, კატ. N24). მსგავსი ნივთები II და III ქრონოლოგიურ ჯგუფებშიც დასტურდება (ახ.წ. I საუკუნის ბოლო - III საუკუნე) (ტაბ. XV, კატ. N119, ტაბ. $XVII_1$, კატ. N168, ტაბ. $XXIII_2$, კატ. N330, ტაბ. $XXIX_6$, კატ. N482, ტაბ. $XXXIV_5$, კატ. N709, ტაბ. $XXXV_5$, კატ. N755, ტაბ. $XXXV_9$, კატ. N777, ტაბ. $XXXVI_9$, კატ. N837).

## დიაგრამა N3




### §3.2. II ქრონოლოგიური ჯგუფი - ახ.წ. I საუკუნის ბოლო - ახ.წ. II საუკუნე

**სამარხი N136 (ტაბ. XIII1).** სამარხი ორმო ალიზით იყო შელესილი და გარშემო ხის ძელებით შემოუფარგლავთ. ჩონჩხი ბავშვს ეკუთვნოდა.

30. სანელსაცხებლე, თიხა. ღია ვარდისფერი. პირი ოდნავ გადაშლილი, ბაკო ბრტყელი, ოდნავ დაქანებული, გრძელი ყელი და წაგრძელებული ფორმის მუცელი, მაღალი, გამოყვანილი ქუსლი, რომელიც შეღრმავებულია. ქუსლზე შემოუყვება ირგვლივი ღარი. აღმოჩნდა ჩონჩხის მენჯთან. ჭურჭლის სიმაღლე - 21 სმ, პირის დიამეტრი - 2,8 სმ, მუცლის დიამეტრი - 5,4 სმ, ძირის დიამეტრი - 4,6. (GNM1-N1-1-60:2853).

სამარხში ერთადერთი ინვენტარი თიხის სანელსაცხებლეა (ტაბ. XIII1, კატ. N30), რომელიც ფორმით განსხვავებულია ურბნისის სამაროვანზე აღმოჩენილ სხვა თიხის სანელსაცხებლეებისგან (ტაბ. XIII2, კატ. N31; XIV1, კატ. NN66, 67; XIV2, კატ. N76). ურბნისის N136 სამარხის სანელსაცხებლე ე. ლაფლის მიერ შემუშავებული ტიპოლოგიური კლასიფიკაციის XIV ფორმას მიესადაგა და თარიღდება ახ.წ. III საუკუნით (Lafli 2003:245-246, fig. 11b, c). შედარებით ადრე გამოქვეყნებულ ნაშრომში ავტორი მსგავს ჭურჭელს ათარიღებს ძვ.წ. I საუკუნის დასაწყისით (Tuluk 1999:148, taf. 5;

kat. N47, 48). ჩანს, სანელსაცხებლეები დიდი ხნის განმავლობაში იყო მიმოქცევაში. ურბნისის სამაროვნის ის სამარხები, სადაც მსგავსი ტიპის ჭურჭელი აღმოჩნდა, თანმხლები ინვენტარის მიხედვით ახ.წ. I საუკუნით თარიღდება. თითისტარისებური ფორმის თიხის სანელსაცხებლეების მსგავსება ელინისტური პერიოდის ჭურჭლებთან (Максимова 1979:108-109; Anderson-Stojanović 1987:105-122) და თანმხლები ინვენტარის ასაკი გვაფიქრებინებს, რომ ის სამარხები, სადაც ეს ჭურჭელი აღმოჩნდა, სამაროვნის ადრეულ ჯგუფს უნდა ეკუთვნოდეს. ვფიქრობთ, სამარხში აღმოჩენილი ამ ტიპის სანელსაცხებლის არქაული ფორმა, სამარხს ჩვენს მიერ შედგენილ პირველი ქრონოლოგიური ჯგუფის (ძვ.წ. I საუკუნის ბოლო - ახ.წ. I საუკუნის დასაწყისი) თარიღთან აახლოებს, თუმცა ტიპოლოგიურად მსგავსი ჭურჭლების აღმოჩენა მომდევნო ქრონოლოგიური ჯგუფის სამარხებში არ გამორიცხავს ამგვარი ჭურჭლის (ტაბ. XIII$_1$, კატ. N30) ახ.წ. I საუკუნის მიწურულში არსებობას. ვფიქრობთ, N136 სამარხი სხვა თიხის სანელსაცხებლეებიან სამარხებთან ერთად (სამარხი N230, ტაბ. XIII$_2$; სამარხი N205, ტაბ. XIV$_1$; სამარხი N245, ტაბ. XIV$_2$), ერთ კონტექსტში განვიხილოთ და მათი ზედა თარიღი ახ.წ. I საუკუნის მიწურულით განვსაზღვროთ.

**სამარხი N230 (ტაბ. VI$_1$, XIII$_2$).** სამარხის იატაკად ხის ძელები იყო გამოყენებული. ხის მასალით შეუკრავთ სამარხის კედლებიც. მიცვალებული ზურგზე ესვენა, პირაღმა, გაშოტილ პოზაში, ფეხები ერთმანეთზე ჰქონდა გადადებული. ორიენტირებული იყო OW.

31. სანელსაცხებლე, თიხა. ყავისფერკეციანი. ბაკო სწორი, თითისტარის ფორმის ტანით, მაღალი, შეღრმავებული ქუსლით. მხარზე ირგვლივი ღარები შემოუყვება. სიმაღლე - 225 სმ, პირის დიამეტრი - 4,1, ქუსლის სიმაღლე - 1,9 (GNM1-N1-62:3879).

32. ჭურჭელი, მინა. ცალყურა. მომწვანო, გამჭვირვალე ფორმაში გამობერილი. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი, ბაკო ოდნავ დახრილი, ყელი ცილინდრული, ტანი ოთხწახნაგა, ძირი ოთხკუთხა, ოდნავ შედრეკილი. ყური მიმაგრებულია ყელსა და მხარზე. ძირის ოთხივე კუთხეში და ცენტრში დატანილია ირგვლივი წრეები. სიმაღლე - 20 სმ, პირის დიამეტრი - 5 სმ, ძირის ზომები: 7X7 სმ. (GNM1-1-62:3890). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:52, კატ. 16).

33. სანელსაცხებლე, მინა. მომწვანო, გამჭვირვალე, თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი, ყელი ცილინდრული, მუცელი მსხლისებური, ძირი ბრტყელი, ოდნავ შედრეკილი. დაბზარული. სიმაღლე -13,5 სმ, პირის დიამეტრი - 3,2 სმ, ძირის დიამეტრი -2 სმ. (GNM1-1-62:3881). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:69, კატ. 107).

34. სანელსაცხებლე, მინა. მწვანე, გამჭვირვალე, თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი ჩაკეცილი, ყელი მაღალი, ტანი კონუსური, ძირი ბრტყელი ოდნავ შედრეკილი. ირიზებული. სიმაღლე - 15,2 სმ, პირის დიამეტრი - 3 სმ, ძირის დიამეტრი - 3,8 სმ. (GNM1- 1-62:3882). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:63, კატ. 72).

35. სანელსაცხებლე, მინა. ლურჯი, გამჭვირვალე. თავისუფლად ნაბერი. პირგადაშლილი, ბრტყელი, ოდნავ შედრეკილი ძირით. ირიზებული. სიმაღლე - 4,2 სმ, პირის დიამეტრი - 1,3 სმ, ძირის დიამეტრი - 0,16 სმ. (GNM1-1-62:3883). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:55, კატ. 28).

36. სანელსაცხებლე, მინა. ლურჯი, გამჭვირვალე. თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი, ყელი მაღალი, ძირი ბრტყელი. სიმაღლე - 4 სმ, პირის დიამეტრი - 1,2 სმ, ძირის დიამეტრი - 0,7 სმ. (GNM1- 1-62:3884). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:55, კატ. 30).

37. სანელსაცხებლე, მინა. ლურჯი, თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი, ყელი მაღალი, მუცელი მსხლისებური, ძირი ბრტყელი, ოდნავ შედრეკილი. სიმაღლე - 4 სმ, პირის დიამეტრი - 1,5 სმ. (GNM1-1-62:3885). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:55, კატ. 31).

38. სანელსაცხებლე, მინა. იასამნისფერი, თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი, ყელი მაღალი, მუცელი მსხლისებური, ძირი ბრტყელი, ოდნავ შედრეკილი. სიმაღლე - 3,5 სმ, პირის დიამეტრი - 1,1 სმ. (GNM1-1-62:3886). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:55, კატ. 32).

39. სანელსაცხებლე, მინა. იასამნისფერი, გამჭვირვალე, თავისუფლად ნაბერი. პირგადაშლილი, ბრტყელი ძირით. სიმაღლე - 3,7 სმ, პირის დიამეტრი - 1,3 სმ, ძირის დიამეტრი - 0,8 სმ. (GNM1-N1-62:3887). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:55, კატ. 33).

40. სანელსაცხებლე, მინა. გამჭვირვალე, თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი, ყელი მაღალი, მუცელი მსხლისებური, ძირი ბრტყელი, ოდნავ შედრეკილი. სიმაღლე - 3,7 სმ, პირის დიამეტრი -1,4 სმ. (GNM1- 1-62:3888). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:56, კატ. 34).

41. სანელსაცხებლე, მინა. მუქი მწვანე, გამჭვირვალე, თავისუფლად ნაბერი. პირი ჩაკეცილი, ყელი უშუალოდ გადადის დაბალ მუცელში. ძირი ბრტყელი, ოდნავ შედრეკილი. სიმაღლე - 2,3 სმ, პირის დიამეტრი -1 სმ. (GNM1-1-62:3889). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:56, კატ. 35).

42. სანელსაცხებლე, მინა. მწვანე, გამჭვირვალე, თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი, ყელი მაღალი, ცილინდრული, მუცელი დაბალი, მომრგვალებული, ძირი ბრტყელი და ოდნავ შედრეკილი. სიმაღლე - 13,3 სმ, პირის დიამეტრი - 3,3 სმ, ძირის დიამეტრი - 3,4 სმ. (GNM1-1-62:3880). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:67, კატ. 97).

43. სანელსაცხებლე, მინა. მოთეთრო-მოყვითალო, გამჭვირვალე, თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი, ყელი მაღალი, ძირი ბრტყელი, ოდნავ შედრეკილი. სიმაღლე - 4,1 სმ, პირის დიამეტრი - 1,2 სმ, ძირის დიამეტრი - 0,9 სმ. (GNM1-1-62:3891). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:56, კატ. 36).

44. სანელსაცხებლე, მინა. თეთრი, გამჭვირვალე, თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი, მუცელი სფერული. ძირი ნაკლული. სიმაღლე - 3,3 სმ, პირის დიამეტრი - 1,3 სმ. (GNM1-1-62:3892). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:56, კატ. 37).

45. სანელსაცხებლე, მინა. ლურჯი, გამჭვირვალე, თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი, მუცელი მსხლისებური, ძირი ბრტყელი, ოდნავ შედრეკილი. სიმაღლე - 3,4 სმ, პირის დიამეტრი - 1,3 სმ. (GNM1-1-62:3893). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:55, კატ. 29).

46. სანელსაცხებლე, მინა. ლურჯი, გამჭვირვალე, თავისუფლად ნაბერი. პირი ფართო, გადაშლილი, ჩაკეცილი, მუცელი მსხლისებური, ძირი ოდნავ შედრეკილი. სიმაღლე - 3,4 სმ, პირის დიამეტრი - 1,8 სმ. (GNM1-1-62:3894). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:54, კატ. 27).

47. სანელსაცხებლე, მინა. მოყავისფრო, გამჭვირვალე, თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი, მუცელი მსხლისებური. ძირი ბრტყელი, ოდნავ შედრეკილი. სიმაღლე - 3,2 სმ, პირის დიამეტრი - 1,3 სმ. (GNM1-1-62:3895). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:56, კატ. 38).

48. სანელსაცხებლე, მინა. მწვანე, გამჭვირვალე, თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი, ოდნავ გადახრილი პირ-ყელი, მუცელი კონუსური, ძირი ოდნავ შედრეკილი. სიმაღლე - 3,5 სმ, პირის დიამეტრი - 1,1 სმ. (GNM1-1-62:3896). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:56, კატ. 39).

49. სანელსაცხებლე, მინა. ორყურა. ყვითელი, გამჭვირვალე, ფორმაში გამობერილი. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი, ყელი ცილინდრული, მუცელი ელიფსოიდური, დაბალქუსლიანი, ძირი ბრტყელი, ოდნავ შედრეკილი. ფიგურული ყურები მიმაგრებულია ყელსა და მხარზე. მხარი შემკულია კანელურებით, მუცელი ცენტრალურ ნაწილში ორმაგ კონცენტრულ წრეებს შორის მოქცეული ვოლუტებითაა შემკული, რომლის ქვეშაც ვერტიკალური კანელურებია. აღდგენილი. ნაკლული. სიმაღლე - 7,4 სმ, პირის დიამეტრი - 2,7, ძირის დიამეტრი - 1,9 სმ (GNM1- N1-62:3897). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:49, კატ. 2).

50. სანელსაცხებლე, მინა. თხელკედლიანი. იისფერი, გამჭვირვალე. პირგადაშლილი, მაღალი, ვიწრო ყელით და გამობერილი ტანით. შედრეკილი ძირით. ყური მოყვითალო-მოიისფროა. სიმაღლე - 6,1 სმ, პირის დიამეტრი – 2 სმ, ძირის დიამეტრი - 1,9 სმ. (GNM1-1-62:3898). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:59, კატ. 55).

51. სანელსაცხებლე, მინა. თხელკედლიანი, ყვითელი, გამჭვირვალე, ფორმაში გამობერილი. პირი გადაშლილი, ყელი ცილინდრული, მუცელი ელიფსოიდური, ფართო ქუსლიანი. ორყურა, ფიგურული ყურები მიმაგრებულია ყელსა და მხარზე. გატეხილი. პირის დიამეტრი - 2,1 სმ, ძირის დიამეტრი - 2,5 სმ. (GNM1-1-62:3899). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:60, კატ. 56).

52. სანელსაცხებლე, მინა. თხელკედლიანი, ყვითელი, გამჭვირვალე. ფორმაში გამობერილი. პირი გადაშლილი, ყელი ცილინდრული, მუცელი ელიფსოიდური. ძირი ბრტყელი, ოდნავ შედრეკილი. ორყურა, ფიგურული ყურები მიმაგრებულია ყელსა და

მხარზე. გატეხილი. პირის დიამეტრი - 2,2 სმ, ძირის დიამეტრი - 1,3 სმ. (GNM1-1-62:3900). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:59, კატ. 53).

53. საკიდი. ბრინჯაო, მთის ბროლი. ბრინჯაოს მავთულში მოქცეული მთის ბროლი. მავთული ყუნწთან ყულფადაა მოხვეული. სიგრძე-4,9 სმ; (GNM1-1-62:3911).

54. მძივები და საკიდები. ბრინჯაო, ქვა (გრანატი, აქატი, სარდიონი), მინა, გიშერი, ფაიანსი, ნიჟარა. (GNM1-1-62:3910, 3912, 3913, 3923).

55. მძივები. მინა, პასტა. შერჩენილია სავარაუდოდ ტყავის ნაჭერზე. (GNM1-1-62:3920). ნაჭრის სიგრძე-4,5 სმ.

56. ზარაკები, ბრინჯაო. კონუსური (5ც.). სიმაღლე - 1,7-2,3 სმ; (GNM1-1-62:3914, 3917), ნახევარსფერული (5ც.). რკინის ენებით. ერთმანეთზეა გადაბმული ბრინჯაოს მავთულებით. სიმაღლე - 1,7, დიამეტრი - 1,9 სმ. (GNM1-1-62:3915), კონუსური, სამკუთხედებით დაფანჯრული (2ც.), სიმაღლე - 2,5-3,2 სმ, დიამეტრი - 2,1 სმ (GNM1-1-62:3916), ნახევარსფერული (2ც.), სიმაღლე- 1,3 სმ, დიამეტრი - 2,1-2,7 სმ. ნაკლული (GNM1-1-62:3918).

57. საკინძი, ბრინჯაო. ბრინჯაოს მრგვალგანივკვეთიანი ღეროს ერთ ბოლოზე ბრინჯაოს მოხვეული მავთულებია, რომელზეც ასხმულია პასტის მძივები. ერთ ნაწილში მიჟანგულია რკინის ნივთი. ნაკლული. შერჩენილი სიგრძე - 6,8 სმ (GNM1-1-62:3907).

58. საკინძი, ბრინჯაო. ნაკლული. სიგრძე-4,4 სმ(GNM1-1-62:3908).

59. ბეჭედი, ინტალიო. ვერცხლი, გრანატი. გამოსახულია ნიღაბი პროფილით მარჯვნივ. ბეჭდის დიამეტრი 1,5 მმ, სიმაღლე 2,0 სმ, ინტალიოს დიამეტრი 0,7 სმ (GNM1-გლ.ფ.1077). ახ.წ. I საუკუნე და II საუკუნის დასაწყისი (ჯავახიშვილი 1972:33, კატ. 25).

60. ბეჭედი, ინტალიო. ბრინჯაო, სარდიონი. გამოსახულია მორბენალი ძაღლი. ბეჭდის დიამეტრი - 1,6 სმ, სიმაღლე - 1,7 სმ, ინტალიოს სიგრძე - 0,7 სმ (GNM1- გლ.ფ.1076). ახ.წ. I საუკუნე და II საუკუნის დასაწყისი (ჯავახიშვილი 1972:33, კატ.26).

61. ბეჭედი, ინტალიო. რკინა, სარდიონი. გამოსახულია ათენა. ბეჭედი ნაკლულია. ინტალიოს სიგრძე - 1,0 სმ, სიგანე 0,9სმ (GNM1-გლ.ფ.1075). ინტალიო - ახ.წ. I საუკუნე და II საუკუნის დასაწყისი (ჯავახიშვილი 1972:34, კატ.27).

62. ბეჭედი, ინტალიო. რკინა, სარდიონი. გამოსახულია ხელის ჩამორთმევა, ხელებს შორის თავთავებია. ბეჭედი ნაკლულია. ინტალიოს სიგრძე - 0,7 სმ, სიგანე - 0,5 სმ (GNM1-გლ.ფ.1078). ინტალიო - ახ.წ. I საუკუნე და II საუკუნის დასაწყისი (ჯავახიშვილი 1972:34, კატ. 28).

63. ბეჭედი, ბრინჯაო. ბრტყელგანივკვეთიანი მავთული გადადის ორმაგ მავთულში და რომბულ ფორმას იძენს ფარაკთან, სადაც ჩასმულია პასტის ორი თვალი თეთრი და ლურჯი. ნაკლული (GNM1-1-62:3904).

64. სარკე, ბრინჯაო. დამტვრეული (GNM1-1-62:3905).

65. კოვზი, ბრინჯაო. მრგვალგანივკვეთიანი ღერო დაღარულია განივად; სიგრძე- 16,3 სმ (GNM1-1-62:3909).

N230 სამარხში აღმოჩენილ თიხის სანელსაცხებლეს (ტაბ. XIII$_2$, კატ. N31) ანალოგი ამავე სამაროვნის N205 და N245 სამარხებში ეძებნება (ტაბ. XIV$_1$, კატ. N66, 67; ტაბ. XIV$_2$, კატ. N76). საქართველოს საზღვრებს გარეთ ისინი დაფიქსირდა თანამედროვე თურქეთის დასავლეთ ნაწილში, ფრიგიაში, ჰიეროპოლისის აღმოსავლეთ ნეკროპოლზე (Cappelletto, Hallvard 2016:683-684, fig.1, 3-4). N230 სამარხის სანელსაცხებლის ანალოგი დაცულია იზმირის მუზეუმში და დათარიღებულია ძვ.წ. I საუკუნის დასასრულით (Tuluk 1999:149, taf. 6 c-d, kat. 63). გარდა თიხის სანელსაცხებლისა, N230 სამარხში ნაპოვნია მინის ჭურჭლის ისეთი ნიმუში, რომელიც დათარიღებულია ახ.წ. I საუკუნის დასაწყისით (საგინაშვილი 1970:52, კატ. N2), დანარჩენი მინის სანელსაცხებლეები კი - ზოგადად, ახ.წ. I საუკუნით (საგინაშვილი 1970:54-56, 59-63, 67). N230 სამარხში აღმოჩნდა სამაროვანზე ერთადერთი მინის კუბიკოსი (ტაბ. XIII$_2$, კატ. N32), რომლის ანალოგების თარიღი განსაზღვრულია ახ.წ. I საუკუნის მეორე ნახევრით (Kunina 1997, kat. N165). ამ თარიღს ეთანხმება N230 სამარხში აღმოჩენილი გლიპტიკური ძეგლებიც (ტაბ. XIII$_2$, კატ. N59-62) (ჯავახიშვილი 1972:33, კატ. 25, 26, 27, 28). აქვე აღმოჩენილი ბრინჯაოს ბეჭედი ორი თვალბუდით მსგავსია ამავე სამაროვნის N187 სამარხში აღმოჩენილი ასეთივე ბეჭდისა (ტაბ. XIV$_3$, კატ. N88). მსგავსი ტიპის ოქროს ბეჭდები, ქალცედონის თვლებით განხილული აქვს ფ. ჰენკელს და ახ.წ. I საუკუნით ათარიღებს (Henkel 1913:27, taf. IX, 181). N187 სამარხი (ტაბ. XIV$_3$), ინვენტარის მიხედვით ახ.წ. I საუკუნის დასასრულით

განვსაზღვრეთ. არქეოლოგიური კონტექსტის გათვალისწინებით N230 სამარხის თარიღიც არაუგვიანეს ახ.წ. I საუკუნის დასასრულით უნდა განისაზღვროს.

**სამარხი N205 (ტაბ. XIV1).** სამარხის იატაკად ხის ძელები იყო გამოყენებული. ხის მასალით შეუკრავთ სამარხის კედლებიც, რომელთა დასაკავშირებლად ლურსმნები გამოუყენებიათ. მიცვალებული იწვა ზურგზე გაშოტილი, ორიენტირებული OW მიმართულებაზე.

66. სანელსაცხებლე, თიხა. თეთრი. პირის კიდე გადაშლილი, ბაკო დაქანებული, მაღალი ყელი, ელიფსოიდური, ე.წ. თითისტარისებური ფორმის, მუცელი და მაღალი შეღრმავებული ქუსლი. წითელი ფერის საღებავი შეიმჩნევა ჭურჭლის ყელის შიდა მხარეს და პირის ზედაპირზე. გარეთა კორპუსზე ალაგ-ალაგ შეიმჩნევა საღებავის კვალი. სიმაღლე - 24,8 სმ, პირის დიამეტრი - 3,7 სმ, მუცლის დიამეტრი - 7 სმ, ქუსლის დიამეტრი - 4,8 სმ (GNM1-1-62:3722).

67. სანელსაცხებლე, თიხა. წითლად გამომწვარი, პრიალა. ბაკო დახრილი, ე.წ. თითსტარისებური ფორმის ტანით, ქუსლით. ბაკოზე მუქი წითელი საღებავის კვალი შეიმჩნევა. ტანი აღდგენილია, ნაწილები აკლია. სიმაღლე - 24,4 სმ, პირის დიამეტრი -4,5 სმ, მუცლის დიამეტრი - 7,4 სმ, ქუსლის სიმაღლე - 2,5 სმ, ქუსლის დიამეტრი - 5,0 სმ (GNM1-1-62:3723).

68. სანელსაცხებლე, მინა. ლურჯი, გამჭვირვალე, ფორმაში გამობერილი, თხელკედლიანი. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი, ყელი ცილინდრული, მუცელი მომრგვალებული, ბრტყელძირა, ორყურა. ფიგურული ყურები მიმაგრებულია ყელსა და მხარზე. სიმაღლე - 7,8 სმ, პირის დიამეტრი - 2,8 სმ, ძირის ზომები: 2,2X2,6 სმ. (GNM1-1-62:3724). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:50, კატ. 4).

69. სანელსაცხებლე, მინა. მწვანე, გამჭვირვალე, სქელკედლიანი, თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი, ოდნავ ჩაკეცილი, ყელი მაღალი, მუცელი კონუსური, ძირი ოდნავ შედრეკილი. სიმაღლე - 11,8 სმ, პირის დიამეტრი - 4,1 სმ, ძირის დიამეტრი - 3,6 სმ. (GNM1-1-62:3725). ახ.წ. I-II საუკუნე (საგინაშვილი 1970:74, კატ. 132).

70. მძივები. ბრინჯაო, ქვა, გიშერი, მინა. სხვადასხვა ფორმისა (GNM1-1-62:3733).

71. ზარაკები, ბრინჯაო (3ც). ნახევარსფერული (2ც.). ერთ-ერთს შერჩენილი აქვს რკინის ენა. სიმაღლე - 1,3-1,2 სმ. კონუსური - ზედაპირზე ერთმანეთის პარალელური 3 ირგვლივი ზოლით. შერჩენილი აქვს რკინის ენა. სიმაღლე-1,4 სმ, დიამეტრი -1,7 სმ (GNM1-1-62:3729).

72. ბეჭედი, ინტალიო. ბრინჯაო, მინა. გამოსახულია თავთავი. ბეჭედი დაზიანებულია. ბეჭდის დიამეტრი - 1,7 სმ, სიმაღლე - 1,9 სმ, ინტალიოს დიამეტრი 0,4 სმ (GNM1-გლ.ფ.1064). ინტალიო ახ.წ. I-II საუკუნე (ჯავახიშვილი 1972:34-35, კატ. 29).

73. ბეჭედი, ინტალიო. რკინა, მინა. გამოსახულია ღვთაება ნიკეს, ფორტუნასა და ათენას ატრიბუტებით (GNM1-გლ.ფ.1063). ინტალიო - ახ.წ. I-II საუკუნე (ჯავახიშვილი 1972:35, კატ. 30).

74. ნივთი, ბრინჯაო. ღეროვანი, ერთი ბოლო ოდნავ შემსხვილებულია, მეორე ბოლო სამკუთხაა და ბრტყელი. სიგრძე - 11,1 სმ. (GNM1-1-62:3728).

75. სარკე, ბრინჯაო. დამტვრეული. (GNM1-1-62:3726).

N205 სამარხში აღმოჩენილი თიხის სანელსაცხებლეები ტიპოლოგიურად მსგავსია ამავე სამაროვნის N230 და N245 სამარხში აღმოჩენილი ასეთივე ტიპის ჭურჭლებისა (ტაბ. $XIII_2$, კატ. N31; ტაბ. $XIV_2$, კატ. N76) თუმცა თიხის ფაქტურა განსხვავებულია. N205 სამარხში აღმოჩენილ სანელსაცხებლეებთაგან ერთს შედარებით მაღალი ქუსლი აქვს (ტაბ. $XIV_1$, კატ. N66). ფორმით მას ემსგავსება თურქეთში, ბერგამადან 14 კმ-ით დაშორებულ სამაროვანზე აღმოჩენილი სანელსაცხებლე. სამაროვნის თარიღი ძვ.წ. I - ახ.წ. II საუკუნითაა განსაზღვრული (Yaraş 2018:74-75, fig. 2). თიხის ფაქტურით და ფორმით აღნიშნული ჭურჭლის ანალოგი დაცულია იზმირის მუზეუმში და ძვ.წ. I საუკუნის დასასრულით თარიღდება (Cappelletto, Hallvard 2016:683-684, fig.1, 3-4; Tuluk 1999:149, taf. 6 c-d, kat. 63). N205 სამარხში აღმოჩენილი მინის ჭურჭლისა და გლიპტიკური ნიმუშების თარიღი ახ.წ. I საუკუნის ბოლოთი - II საუკუნითაა განსაზღვრული (საგინაშვილი 1970:50, 74; ჯავახიშვილი 1972:34-35, კატ. N29-30). ვფიქრობთ, სანელსაცხებლეების პარალელების მიხედვით N205 სამარხის ახ.წ. I საუკუნის დასასრულით დათარიღებას სამარხეული კონტექსტი არ ეწინააღმდეგება.

**სამარხი N245 (ტაბ. IX, XIV2).** სამარხის იატაკად ხის ძელები იყო გამოყენებული, ხის ძელებით აუგიათ სამარხის კედლებიც. მიცვალებული ესვენა ზურგზე, გაშოტილ პოზაში და ორიენტირებული იყო - NO-SW მიმართულებაზე. სამარხის თავზე გამართული იყო N242 სამარხი (ტაბ. XXXV11).

76. სანელსაცხებლე, თიხა. ყავისფრად გამომწვარი. ბაკო ბრტყელი, მაღალი ყელი, ელიფსოიდური ფორმის მუცელი, ქუსლიანი. მუცლის ქვედა ნაწილში ირგვლივი ღარებია. ყელის შიდაპირზე წითელი საღებავის, ხოლო მუცელზე გაპრიალების კვალი შეინიშნება. ქუსლზე წვეტიანი კოპი აქვს. ყელს შიდა მხრიდან რელიეფური ღარები აქვს, რაც, ალბათ, სითხის ნელა გადმოღვრას უწყობდა ხელს. სიმაღლე - 19 სმ, პირის დიამეტრი - 3,7 სმ, მუცლის დიამეტრი - 6 სმ, ქუსლის დიამეტრი - 4 სმ. (GNM1-1-62:3978).

77. სანელსაცხებლე, მინა. მომწვანო, გამჭვირვალე, თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი, ყელი მაღალი. მსხლისებური ფორმის მუცელი. ძირი ბრტყელი, ოდნავ შედრეკილი. სიმაღლე - 12,6 სმ, პირის დიამეტრი - 3,3 სმ, ძირის დიამეტრი - 3,2 სმ (GNM1-1-62:3979), ახ.წ. I-II საუკუნე (საგინაშვილი 1970:76, კატ. 140).

78. სანელსაცხებლე, მინა. მოცისფრო, გამჭვირვალე, თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი, ყელი მაღალი, კონუსური ფორმის მუცელი, ძირი ბრტყელი ოდნავ შედრეკილი. სიმაღლე - 13 სმ, პირის დიამეტრი - 2,6 სმ, ძირის დიამეტრი - 4სმ (GNM1-1-62:3980), ახ.წ. I-II საუკუნე (საგინაშვილი 1970:75, კატ. 135).

79. სანელსაცხებლე, მინა. მოცისფრო, გამჭივრვალე, თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი, ყელი ცილინდრული, დამტვრეული. პირის დიამეტრი - 3,6 სმ (GNM1-1-62:3981).

N245 სამარხში ნაპოვნი თიხის სანელსაცხებლე მსგავსია N230 და N205 სამარხში აღმოჩენილი თიხის სანელსაცხებლეებისა (ტაბ. XIII2, კატ. N31, ტაბ. XIV1, კატ. N66, 67), რომლებიც თარიღდება ძვ.წ. I - ახ.წ. I საუკუნეებით (Cappelletto, Hallvard 2016:683-684, fig.1, 3-4). აქვე ნაპოვნი მინის ჭურჭელი ახ.წ. I-II საუკუნეებითაა დათარიღებული (საგინაშვილი 1970:75-76, კატ. N135, 140). თიხის სანელსაცხებლის ზუსტი ანალოგი ამავე სამაროვნის N230 სამარხიდან (ტაბ. XIII2, კატ. N31) N245 სამარხის თარიღს ახ.წ. I საუკუნის ბოლოსკენ სწევს.

**სამარხი N187 (ტაბ. XIV3).** სამარხის იატაკად ხის ძელები იყო გამოყენებული, გვერდებიც ხის მასალით შეუკრავთ.

80. დოქი, თიხა. შავპრიალა, პირი გადაშლილი, ბაკომომრგვალებული, ყელი ცილინდრული, მუცელი სფერული, ძირი ბრტყელი, ოვალურგანივკვეთიანი ყური მიძერწილია პირის კიდესა და მხარზე. პირთან მიერთების ადგილი ოდნავ შემაღლებულია. სიმაღლე - 15,3 სმ, პირის დიამეტრი - 7 სმ, ძირის დიამეტრი - 8,5 სმ (GNM1-1-61:3463).

81. სანელსაცხებლე, მინა. იისფერი, გამჭვირვალე, ფორმაში გამობერილი. მაღალყელიანი, მოთეთრო, ნახევრადგამჭვირვალე ყურით. სიმაღლე - 6,8 სმ, პირის დიამეტრი - 2,4 სმ, ძირის დიამეტრი - 2,1 სმ (GNM1-1-61:3464). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:50, კატ. 5).

82. სანელსაცხებლე, მინა. მწვანე, თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი, ყელი მაღალი, მუცელი კონუსური, ძირი ბრტყელი ოდნავ შედრეკილი. აღდგენილია, ირიზებული. სიმაღლე - 15,3 სმ, პირის დიამეტრი - 3,5 სმ, მუცლის დიამეტრი -5,6 სმ, ძირის დიამეტრი - 4 სმ (GNM1-1-61:3465). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:62, კატ. 72).

83. საკიდი, ფაიანსი. ჰარპოკრატეს გამოსახულება, განივი ნახვრეტით. ნაკლული. შერჩენილი სიგრძე - 1,3 სმ (GNM1-1-61:3471).

84. მძივები და მძივსაკიდები: ქვა, მინა, გიშერი (GNM1-1-61:3472).

85. საკინძი, ბრინჯაო. მრგვალგანივკვეთიანი ღერო თავბურთულოვანია, ნაკლული. შერჩენილი სიგრძე - 2,5 სმ (GNM1-1-61:3470).

86. ბეჭედი, ბრინჯაო. ბრტყელგანივკვეთიანი მავთულისა, რკალი ფართოვდება და გადადის ოვალურ თვალბუდეში, რომელშიც თვალი უნდა ყოფილიყო. ბეჭდის დიამეტრი -1,9 სმ, სიმაღლე - 1,8 (GNM1-1-61:3466).

87. ბეჭედი. ბრინჯაო, პასტა. ბრტყელგანივკვეთიანი მავთულის რკალი ფართოვდება და გადადის ოვალურთვალბუდეში, რომელშიც პასტის თეთრი თვალია. დაზიანებული. დიამეტრი - 1,8 სმ (GNM1-1-61:3467).

88. ბეჭედი, ბრინჯაო. ბრტყელგანივკვეთიანი მავთულის რკალი ფარაკისკენ ფართოვდება. რკალს ფართო ნაწილში ღარი აქვს და ფარაკზე ორი თვალბუდეა. რკალი გატეხილია (GNM1-1-61:3468).

89. ბეჭედი, ინტალიო. რკინა, სარდიონი. გამოსახულება გაურკვეველია. ბეჭედი დაზიანებულია. ინტალიოს სიგრძე - 0,5 სმ, სიგანე - 0,4 სმ. (GNM1-გლ. ფ.1038). (ჯავახიშვილი 1972:80, კატ.128).

N187 სამარხში აღმოჩენილი შავპრიალა დოქი (ტაბ. XIV3, კატ. N80) ფორმით მსგავსია ამავე სამაროვნის N215 სამარხსა და სამარხის ნაშთ N6-ში აღმოჩენილი დოქებისა (ტაბ. XXII1, კატ. N283; ტაბ. XXV2, კატ. N377). სამარხები თანმხლები ინვენტარით თარიღდება ახ.წ. I საუკუნის ბოლო - II საუკუნის დასაწყისით. N187 სამარხის დოქი ფორმით (სწორი პირი, სფერული მუცელი, ფართო, ბრტყელი ძირი) (ტაბ. XIV3, კატ. N80) მსგავსია ტახტიძირის ძვ.წ. I საუკუნის დასასრულით და ახ.წ. I საუკუნის დასაწყისით დათარიღებული N21 სამარხის დოქის (გაგოშიძე 2020:261-264, კატ. 578), თუმცა განსხვავდება ყურის მოყვანილობით. უფრო მეტიც, ურბნისის სამაროვანზე აღმოჩენილ არცერთ დოქს არ აქვს N187 სამარხში აღმოჩენილი დოქის ანალოგიური ყური. მსგავს ყურიანი დოქი ისევ ტახტიძირის სამაროვნის N28 სამარხშია აღმოჩენილი. ითვალისწინებენ რა გაპრიალების დაბალ ხარისხს, ჭურჭელს ახ.წ. I საუკუნის შუა ხანებით ათარიღებენ (გაგოშიძე 2020:278-279, კატ. 625). ახ.წ. I საუკუნითაა დათარიღებული N187 სამარხში აღმოჩენილი მინის სანელსაცხებლეები (ტაბ. XIV3, კატ. NN81, 82) (საგინაშვილი 1970:50;62, კატ. N5, 71), აქვე ნაპოვნი ბრინჯაოს ორთვლიანი ბეჭედი (ტაბ. XIV3, კატ. N88) მსგავსია ჩვენს მიერ ახ.წ. I საუკუნის დასასრულით დათარიღებულ N230 სამარხში ნაპოვნი ბეჭდისა (ტაბ. XIII2, კატ. N63). მსგავსი ტიპის ოქროს ბეჭდები ქალცედონის თვლებით განხილული აქვს ფ. ჰენკელს და ახ.წ. I საუკუნით ათარიღებს (Henkel 1913:27, taf. IX, 181), სარდიონის ინტალიო კი (ტაბ. XIV3, კატ. N89) ახ.წ. I-II საუკუნეებით თარიღდება (ჯავახიშვილი 1972:80, კატ. 128). N187 სამარხში აღმოჩენილი თიხის ჭურჭლის მსგავსება ძვ.წ. I ახ.წ. I საუკუნის შუა ხანებით დათარიღებულ ტახტიძირის დოქებსა და, აქვე ნაპოვნი ბეჭდის მსგავსება ახ.წ. I საუკუნის

დასასრულით დათარიღებულ N230 სამარხის ორთვლიან ბეჭედთან N187 სამარხის თარიღს არაუგვიანეს ახ.წ. I საუკუნის დასასრულით განსაზღვრავს.

**სამარხი N59 (ტაბ. XIV4).** სამარხი ხის ძელებით იყო ნაგები და მის გარშემო რიყის ქვები იყო შემოწყობილი. ჩონჩხი გულაღმა ესვენა გაშოტილ პოზაში, თავით აღმოსავლეთით. ძვლები დაზიანებული იყო.

90. კოვზი, ბრინჯაო. ბოლოსკენ შევიწროვებული ნავისებური ფორმის პირით, ტარი ერთ ნაწილში დაღარულია, ტარის ბოლო - შემსხვილებული. სიგრძე -14, 3 სმ. (GNM1-1-59:2310).

სამარხში აღმოჩენილი ერთადერთი ნივთი, ბრინჯაოს კოვზი (ტაბ. XIV4, კატ. N90), ანალოგიურია N230 სამარხში აღმოჩენილი კოვზისა (ტაბ. XIII2, კატ. N65). ვფიქრობთ, N59 და N230 სამარხები ერთ ქრონოლოგიურ ჯგუფში უნდა გაერთიანდეს და N59 სამარხი, N230 სამარხის მსგავსად, ახ.წ. I საუკუნის დასასრულით უნდა დათარიღდეს.

**სამარხი N189 (ტაბ. XV).** სამარხის იატაკი ხის ძელებით იყო ნაშენი, ხის იყო სამარხის კედლებიც, რომლებიც ერთმანეთთან ლურსმნებით დაუკავშირებიათ. მიცვალებული იწვა ზურგზე გაშოტილი, ორიენტირებულია OW მიმართულებაზე.

91. დერგი, თიხა. ვარდისფრად გამომწვარი, წითლად მოხატული. ბაკო გათხელებული, დაქანებული, ყელწიბოიანი. აქვს ელიფსოიდური ფორმის მუცელი, ბრტყელი, ფართო ძირი. ორყურა. ოვალუგანივკვეთიანი ყურები მუცელზეა მიძერწილი. ბაკოსა და ყელის წიბოს შემოუყვება ირგვლივი წითელი ზოლი. ჭურჭლის კორპუსი შემკულია ერთმანეთის პარალელური ზოლებით, წერტილოვანი, ტალღოვანი და მცენარეული ორნამენტით (ხის სქემატური გამოსახულება). სიმაღლე - 33 სმ, პირის დიამეტრი -10,8 სმ, ძირის დიამეტრი - 15,5 სმ. (GNM1-1-61:3476).

92. სანელსაცხებლე, მინა. გამჭვირვალე, თავისფულად ნაბერი. პირგადაშლილი, ბაკოს შემოუყვება ირგვლივი ღარი, ყელი ცილინდრული, მუცელი სფერული, ძირი ბრტყელი. ორყურა. ყურები მიმაგრებულია ყელსა და მხარზე. სიმაღლე - 6 სმ, პირის დიამეტრი - 2,7 სმ, მუცლის დიამეტრი - 4,8 სმ (GNM1-1-61:3477). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:58, კატ. N48).

93. სანელსაცხებლე, მინა. მუქი მწვანე, თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი, ძირი ბრტყელი, შედრეკილი. სიმაღლე - 15,5 სმ, პირის დიამეტრი - 3,7 სმ, ძირის დიამეტრი - 3,9 სმ (GNM1-1-61:3478). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:60, კატ. 59).

94. სანელსაცხებლე, მინა. მუქი მწვანე, თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი. ძირი ბრტყელი, შედრეკილი. სიმაღლე - 15,3 სმ, პირის დიამეტრი - 3,3 სმ, ძირის დიამეტრი - 3,6 სმ (GNM1-1-61:3479). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:60, კატ. N60).

95. სანელსაცხებლე, მინა. მუქი მწვანე, გამჭვირვალე, თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი. მუცელი კონუსური, ძირი ბრტყელი, შედრეკილი. სიმაღლე - 12 სმ, პირის დიამეტრი - 3,5 სმ, მუცლის უდიდ. დიამეტრი - 5,4 სმ (GNM1-1-61:3480). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:63, კატ. 74).

96. სანელსაცხებლე, მინა. მწვანე, გამჭვირვალე, თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი, ყელი მაღალი, მუცელი კონუსური, ძირი ბრტყელი, შედრეკილი. დეფორმირებული. აღდგენილია. ნაკლული. სიმაღლე - 15,2 სმ, პირის დიამეტრი - 3,3 სმ, მუცლის უდიდ. დიამეტრი - 5,3 სმ (GNM1-1-61:3481). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:62, კატ. 69).

97. სანელსაცხებლე, მინა. მუქი მწვანე, გამჭვირვალე, თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი, ბაკოდაქანებული, ყელი მაღალი, მუცელი კონუსური. ძირი ბრტყელი, შედრეკილი. სიმაღლე - 11,7 სმ, პირის დიამეტრი - 3,6 სმ, მუცლის დიამეტრი - 5,9 სმ (GNM1-1-61:3482). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:63, კატ. 75).

98. სანელსაცხებლე, მინა. მწვანე, გამჭვირვალე, თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი, ყელი მაღალი, მუცელი კონუსური, ძირი ბრტყელი, ოდნავ შედრეკილი. დამტვრეული. პირის დიამეტრი - 3,5 სმ, მუცლის დიამეტრი - 5,2 სმ (GNM1-1-61:3483). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:62, კატ. 70).

99. სანელსაცხებლე, მინა. მოცისფრო, გამჭვირვალე, თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი, ყელი ცილინდრული, მუცელი მსხლისებური. ძირი ბრტყელი, ოდნავ შედრეკილი. სიმაღლე - 13 სმ, პირის დიამეტრი - 3,1 სმ, ძირის დიამეტრი - 2 სმ (GNM1-1-61:3484). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:68, კატ. 98).

100. სანელსაცხებლე, მინა. მომწვანო, თავისუფლად ნაბერი. მუცელი კონუსური, ძირი ბრტყელი. დამტვრეული. ძირის დიამეტრი - 2 სმ (GNM1-1-61:3485).

101. სამგლოვიარო გვირგვინი, ფურცლები (14 ცალი). ფურცლოვანი ოქრო. რომბის ფორმის, რელიეფური ძარღვებით (GNM1-1-61:3488).

102. საყურე, ოქრო. წყვილი. მასიური, მრგვალგანივკვეთიანი ღერო ბოლოებისკენ მსხვილდება. დიამეტრი 1) 1,5 სმ; 2) 1,55 სმ (GNM1-1-61:3487).

103. ბაგისსაფარი, ფურცლოვანი ოქრო. რომბის ფორმის. წვერებთან ნახვრეტებით. მიცვალებულს პირზე ეფინა (GNM1-1-61:3486).

104. საკიდები, ეგვიპტური ფაიანსი (2ც.). (GNM1-1-61:3490).

105. მძივები. ბრინჯაო (8 ც.), სარდიონი, აქატი, მინა, პასტა, გიშერი. მძივსაკიდი, პასტა. (GNM1-1-61:3495).

106. ზარაკი, ბრინჯაო. ნახევარსფერული, შიდა მხრიდან შერჩენილი აქვს ბრინჯაოს მავთულის ყულფი. სიმაღლე - 1,6 სმ, დიამეტრი - 2,4 სმ (GNM1-1-61:3492).

107. საკინძისთავი, მინა. იისფერი, კონუსური, წრიული მოყვანილობის ფუძით, შუაში ნახვრეტით. დიამეტრი - 2,4 სმ, სიმაღლე - 1 სმ (GNM1-1-61:3494).

108. ბეჭედი, ინტალიო. ვერცხლი, გრანატი. აფროდიტეს გამოსახულებით. ბეჭდის დიამეტრი 1,6 სმ (GNM1-გლ.ფ. N1044). ინტალიო - ძვ.წ. I საუკუნის ბოლო ახ.წ. I საუკუნის დასაწყისი (ჯავახიშვილი 1972:23, კატ. N3).

109. ბეჭედი, ინტალიო. ბრინჯაო, სარდიონი. ჰერმესის გამოსახულებით. ბეჭდის დიამეტრი 1,8 სმ. (GNM1-გლ.ფ. N1039). ინტალიო - ახ.წ. I საუკუნე და II საუკუნის დასაწყისი (ჯავახიშვილი 1972:24, კატ. N6).

110. ბეჭედი, ინტალიო. ბრინჯაო, მინა. არტემიდა ეფესელის გამოსახულებით. ბეჭდის სიმაღლე - 1,1 სმ. (GNM1- გლ.ფ. N1041). ახ.წ. I საუკუნე და II საუკუნის დასაწყისი (ჯავახიშვილი 1972:25, კატ. N7).

111. ბეჭედი, ინტალიო. ბრინჯაო, მინა. ძაღლის გამოსახულებით. ბეჭდის სიმაღლე -1,9 სმ. (GNM1-გლ.ფ. N1042). ინტალიო - ახ.წ. I საუკუნე და II საუკუნის დასაწყისი (ჯავახიშვილი 1972:25, კატ. N8).

112. ბეჭედი, ინტალიო. რკინა, მინა. გამოსახულია მხედარი. ზომები: 1,1X0,9 სმ. (GNM1-გლ.ფ.N1040). ახ.წ. I საუკუნე და II საუკუნის დასაწყისი (ჯავახიშვილი 1972:81, კატ. N131).

113. ბეჭედი, ინტალიო. რკინა, მინა. გამოსახულია ხელი ყაყაჩოებით და თავთავებით. (GNM1-გლ.ფ.N1043). ახ.წ. I საუკუნე და II საუკუნის დასაწყისი (ჯავახიშვილი 1972:25, კატ. N9).

114. ბეჭედი, ვერცხლი. დეფორმირებულია. რკალი ფარაკისკენ განიერდება და გადადის ოვალურ თვალბუდეში, რომელშიც ჩასმულია თეთრი პასტის თვალი. დიამეტრი - 2,2 სმ. (GNM1-1-61:3503).

115. ბეჭედი, ბრინჯაო. თვალბუდიანი. დაზიანებული, ნაკლული (GNM1-1-61:3504).

116. მონეტა. ვერცხლი. ავგუსტეს დენარი. ქარონის ობოლი. (GNM1-1-61:3489).

117. ილარი, ვერცხლი. შერჩენილი სიგრძე - 8,9 სმ. (GNM1-1-61:3493).

118. ნემსი/მახათი, ბრინჯაო. ნამტვრევები. (GNM1-1-61:3491).

119. ნივთი/სტილოსი, ძვალი. მრგვალგანივკვეთიანი ღერო, გატეხილია, ნაკლული. (GNM1-1-61:3496). (კერესელიძე 1978:75).

120. ლურსმნები, რკინა. მსხვილი. დაჟანგული. სარკოფაგის ნაწილები. (GNM1-1-61:3505).

სამარხში აღმოჩენილი თიხის ჭურჭლის (ტაბ. XV, კატ. N91) ანალოგია წითლად მოხატული თიხის დერგი დედოფლის გორის სასახლიდან, რომლის ნგრევის თარიღიც განსაზღვრულია ახ.წ. 80 წლით (Chanishvili 2008:70-71, cat. 99). სამარხში აღმოჩენილი მინის ჭურჭლების თარიღი განსაზღვრულია ახ.წ. I საუკუნით (ტაბ. XV, კატ. N92-99) (საგინაშვილი 1970:58, 60, 62-63), ხოლო გლიპტიკური ნიმუშების გვიანდელი თარიღი ახ.წ. I საუკუნის ბოლო - II საუკუნის დასაწყისზე მოდის (ტაბ. XV, კატ. N108-114) (ჯავახიშვილი 1972:23-25,81). საინტერესოა სამარხში აღმოჩენილი სამგლოვიარო გვირგვინის ფურცლები (ტაბ. XV, კატ. N101), რომელთა პარალელი საქართველოში ისევ ურბნისის სამაროვნის N193, 51, 170, 215, 231 და N216 სამარხებში იძებნება (ტაბ. XVI, კატ. N140; ტაბ. XIX$_1$, კატ. N198; ტაბ. XX$_1$, კატ. N231; ტაბ. XXII$_1$, კატ. N287; ტაბ. XXII$_2$, კატ. N299; ტაბ. XXII$_3$, კატ. N305). მათი ზუსტი ანალოგები ფაიუმის პორტრეტებზეა ასახული. პორტრეტების თარიღი ახ.წ. II საუკუნის პირველი ნახევარი და ამავე საუკუნის შუა

ხანებია (Стрелков 1936:103-108, таб. III,V), ხოლო ჰავარაში, ერ-რუბაიატში, ანტინოოპოლისსა და სხვადასხვა ძეგლებზე აღმოჩენილი პორტრეტების თარიღი ახ.წ. 50-170 წლების ფარგლებში მერყეობს (Walker, Bierbier 1997:40, 56, 71, 94-96, 108, 113, 115-116; cat. 13, 32, 48, 84, 86,103, 108, 111).

N189 სამარხში აღმოჩენილია წაკვეთილი კონუსის ფორმის ნივთი, მინის საკინძისთავი (ტაბ. XV, კატ. N107). სამაროვანზე მსგავსი ტიპის საკინძისთავები აღმოჩნდა N193, 105, 152, 163, 54, 218, 172, 266, 180, 142 და 92 სამარხებში (ტაბ. XVI, კატ. N148; ტაბ. XVII$_1$, კატ. N165; ტაბ. XVII$_2$, კატ. N174; ტაბ. XIX$_3$, კატ. N216; ტაბ. XXII$_2$, კატ. N323; ტაბ. XXIV$_2$, კატ. N360; ტაბ. XXVIII$_1$, კატ. N429; ტაბ. XXX$_2$, კატ. N496; ტაბ. XXX$_3$, კატ. N502; ტაბ. XXXII$_5$, კატ. N604; ტაბ. XXXIII$_2$, კატ. N634). მინის საკინძისთავები შესწავლილი აქვს ე. ჰევერნიკს, მათ შორის ურბნულიც, რომელთა თარიღი ახ.წ. I-II საუკუნეებით განსაზღვრა (Haevernick 1981:226). თიხის დერგის ზუსტი ანალოგი დედოფლის გორის სასახლიდან, მინის ჭურჭლის, სამგლოვიარო გვირგვინის, ბეჭდების და საკინძისთავების გავრცელების თარიღი N189 სამარხის გამართვას ახ.წ. I საუკუნის ბოლო - ახ.წ. II საუკუნის დასაწყისით განსაზღვრავს.

**სამარხი N193 (ტაბ. XVI).** სამარხის იატაკი ხის ძელებით იყო ნაშენები, კედლებიც ხის მასალით ამოუშენებიათ. მიცვალებული იწვა ზურგზე გაშოტილი, ორიენტირებული OW მიმართულებაზე.

121. დოქი, თიხა. ჩალისფერკეციანი, წითლად მოხატული. სამტუჩა, ფართო პირი, ბაკომომრგვალებული, დაბალი გამოყვანილი ყელი, სფერული მუცელი, ფართო, ბრტყელი ძირი. ოვალურგანივკვეთიანი ყური მიმაგრებულია პირის კიდესა და მხარზე. პირთან მიერთების ადგილი ოდნავ შემაღლებულია. მოხატულია წითლად, ერთმანეთის პარალელური ირგვლივი, ტალღოვანი და წერტილოვანი ორნამენტით. სიმაღლე - 21,5 სმ, პირის ზომები - 10X10 სმ, ძირის დიამეტრი 13,5 სმ. (GNM1-1-61:3537).

122. ჭურჭელი, მინა. ყვითელი, გამჭვირვალე, თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი. ყელი ცილინდრული, მუცელი სფერული უნდა ჰქონოდა, ძირი ოდნავ შედრეკილი. ფიგურული ყურები მიმაგრებულია ყელსა და მხარზე. დამსხვრეული.

პირის დიამეტრი - 4,8 სმ. (GNM1-1-61:3541). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:57, კატ. 45).

123. ჭურჭელი, მინა. მომწვანო, გამჭვირვალე, თავისუფლად ნაბერი. ყელი გადაშლილი, ჩაკეცილი, ბაკო დაქანებული, ყელი ცილინდრული, მუცელი სფერული, ძირი ფართო, შედრეკილი. მუცელს შემოუყვება ირგვლივი ზოლები. ორყურა. ფიგურული ყურები მიმაგრებულია ყელსა და მხარზე. აღდგენილი, ნაკლული. სიმაღლე - 12 სმ, პირის დიამეტრი - 4,6 სმ, ძირის დიამეტრი - 5,6 სმ. (GNM1-1-61:3542). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:58, კატ. 46).

124. სანელსაცხებლე, მინა. ყვითელი, გამჭვირვალე, თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი, ყელი ცილინდრული, მუცელი სფერული, ძირი ვიწრო ბრტყელი, ოდნავ შედრეკილი. ორყურა. ფიგურული ყურები მიმაგრებულია ყელსა და მხარზე. სიმაღლე - 7,4 სმ, პირის დიამეტრი 3 სმ. (GNM1-1-61:3538). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:58, კატ. 49).

125. სანელსაცხებლე, მინა. მოყვითალო-მომწვანო. N124-ის ანალოგიური, აღდგენილი. სიმაღლე - 7,1 სმ, პირის დიამეტრი - 2,8 სმ. (GNM1-1-61:3539). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:58, კატ. 50).

126. სანელსაცხებლე, მინა. მოყვითალო. N124-125-ის ანალოგიური. სიმაღლე - 6,2 სმ, პირის დიამეტრი 2,6 სმ. (GNM1-1-61:3540). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:59, კატ. 51).

127. სანელსაცხებლე, მინა. თეთრი, გამჭვირვალე, თავისუფლად ნაბერი. ყელი ცილინდრული. ძირი ოდნავ შედრეკილი, დამსხვრეული. (GNM1-1-61:3543). ახ.წ. I საუკუნე. (საგინაშვილი 1970:70, კატ. 112).

128. სანელსაცხებელე, მინა. მინიატურული. ყვითელი, გამჭვირვალე, თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი, ტანი გამოყვანილი, ძირისკენ გაფართოებული, ძირი ბრტყელი. სიმაღლე - 3,5 სმ, პირის დიამეტრი - 1,6 სმ, ძირ-მუცლის დიამეტრი – 2,4 სმ. (GNM1-1-61:3555). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:57, კატ. 40).

129. სანელსაცხებლე, მინა. მწვანე, გამჭვირვალე, თავისუფლადნაბერი. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი, უსწორმასწორო, მუცელი კონუსური, ძირი ბრტყელი,

შედრეკილი. პირის უდიდ. დიამეტრი - 3,5 სმ. (GNM1-1-61:3544). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:70, კატ. 109).

130. სანელსაცხებლე, მინა. მწვანე, გამჭვირვალე. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი, მაღალი ყელი, კონუსური ტანი, ძირი კატლს წარმოადგენს. ნაკლული. პირის დიამეტრი - 3,2 სმ, ძირის დიამეტრი - 2,3 სმ (GNM1-1-61:3545). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:70, კატ. 110).

131. სანელსაცხებლე, მინა. მწვანე, გამჭვირვალე, თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი. ყელი - მაღალი; დაბალი, კონუსური მუცელი, ძირი ბრტყელი. ეტყობა საბერავი მილის კვალი. აღდგენილი. სიმაღლე - 9,7 სმ, პირის დიამეტრი - 3,8 სმ, ძირის დიამეტრი - 4,6. (GNM1-1-61:3547). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:73, კატ. 125).

132. სანელსაცხებლე, მინა. მწვანე, გამჭვირვალე, თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი, ბაკოდაქანებული, ყელი - მაღალი, ტანი - კონუსური, ძირი ბრტყელი, შედრეკილი. სიმაღლე - 12 სმ, პირის დიამეტრი - 3,9 სმ, ძირის დიამეტრი - 4,1 სმ. (GNM1-1-61:3546). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:63, კატ. 76).

133. სანელსაცხებლე, მინა. მწვანე, გამჭვირვალე, სქელკედლიანი, თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი, ყელი მაღალი, მუცელი მსხლისებური. ძირი ბრტყელი, უსწორმასწორო, ეტყობა საბერავი მილის კვალი. სიმაღლე - 13,7 სმ, პირის დიამეტრი - 3,2 სმ, ძირის დიამეტრი – 2,8 სმ. (GNM1-1-61:3554). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:69, კატ. 108).

134. სანელსაცხებლე, მინა. მწვანე, გამჭვირვალე, სქელკედლიანი, თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი; ყელი მაღალი, მუცელი მსხლისებური, ძირი ბრტყელი, ოდნავ შედრეკილი. სიმაღლე - 15,1 სმ, პირის დიამეტრი - 3,5 სმ, ძირის დიამეტრი - 2,3 სმ. (GNM1-1-61:3553). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:66, კატ. 91).

135. სანელსაცხებლე, მინა. მწვანე, გამჭვირვალე, სქელკედლიანი, თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი, ყელი მაღალი, ძირი ბრტყელი, ოდნავ შედრეკილი. აღდგენილი, ნაკლული. პირის დიამეტრი - 3,7 სმ, ძირის დიამეტრი - 4,6 სმ. (GNM1-1-61:3548). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:64, კატ. 82).

136. სანელსაცხებლე, მინა. ღია მწვანე, გამჭვირვალე, სქელკედლიანი, თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი. დამსხვრეული. პირის დიამეტრი - 3,4 სმ. (GNM1-1-61:3549).

137. სანელსაცხებლე, მინა. ცისფერი, გამჭვირვალე, თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი, ყელი მაღალი. ნაკლული. პირის დიამეტრი - 3,2 სმ, ყელის სიმაღლე - 9,3 სმ. (GNM1-1-61:3551). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:69, კატ. 103).

138. სანელსაცხებლე, მინა. მოყვითალო, გამჭვირვალე. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი, ყელი მაღალი. ნაკლული. პირის დიამეტრი - 3,3 სმ, ყელის სიმაღლე - 9,8 სმ. (GNM1-1-61:3552). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:69, კატ. 104).

139. სანელსაცხებლე, მინა. თეთრი, გამჭვირვალე, თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი, ყელი გამოყვანილი, ძირი ბრტყელი, ოდნავ შედრეკილი. დამსხვრეული, ნაკლული. პირის დიამეტრი - 2,6 სმ, ძირის დიამეტრი - 2,3 სმ. (GNM1-1-61:3550).

140. სამგლოვიარო გვირგვინი, ფურცლები, ოქრო. რომბის ფორმის, ზედაპირზე ფოთლის მსგავსი რელიეფური ძარღვებით (28 ც.). სამკბილა (2ც.). აღმოჩნდა თავთან. (GNM1-1-61:3564).

141. ბაგისსაფარი, ფურცლოვანი ოქრო. რომბის ფორმის. წვეროებთან გახვრეტილი. ეფინა პირზე. (GNM1-1-61:3565).

142. საყურე, ოქრო. წყვილი. მრგვალგანივკვეთიან ღეროზე უძრავად მირჩილულია ბურთულებისგან შედგენილი მტევანი. (GNM1-1-61:3566).

143. საკიდი, ბრინჯაო. წყვილი. ბურცობებით შემკული. სიგრძე - 2,1 სმ. (GNM1-1-61:3573).

144. მძივსაკიდები, ქარვა. კურდღლის/ძაღლის გამოსახულება. სიგრძე - 2,2-2,3 სმ. (GNM1-1-61:3567, 3568).

145. მძივსაკიდი, ქარვა. (4ც.). 1. ირიბი ხაზებით ორნამენტირებული, ყუნწიანი, სიგრძე - 1,5-2,3 სმ (2ც.); 2. გირის ფორმისა, სიგრძე-1,1-1,2 სმ (2 ც.); (GNM1-1-61:3569).

146. მძივები. ქარვა, გიშერი, მთის ბროლი, მინა. (GNM1-1-61:3570).

147. ზარაკი, ბრინჯაო. ნახევარსფერული. სიმაღლე - 1,6 სმ, დიამეტრი - 2,2 სმ. (GNM1-1-61:3572).

148. საკინძისთავი, მინა. ლურჯ ფონზე თეთრი ირგვლივი ზოლებით. დიამეტრი - 2,4 სმ, სიმაღლე - 0,9 სმ (GNM1-1-61:3571).

149. ბეჭედი, ინტალიო. ბრინჯაო, მინა. ბრინჯაოს ბეჭედში ჩასმულია მინის ინტალიო ფორტუნას გამოსახულებით. ბეჭდის დიამეტრი - 1,8 სმ (GNM1 გლ.ფ. N1054). ინტალიო-ახ.წ. I საუკუნე და II საუკუნის დასაწყისი (ჯავახიშვილი 1972:41-42, კატ. N44)

150. ბეჭედი, ინტალიო. ბრინჯაო, სამფენიანი მინა. ბრინჯაოს ბეჭედში ჩასმულია მინის ინტალიო ფორტუნას გამოსახულებით. ბეჭდის დიამეტრი - 1,9 სმ (GNM1-გლ.ფ. N1052). (ჯავახიშვილი 1972:42, კატ. N45). ინტალიო - ახ.წ. I საუკუნის მეორე ნახევრითა და II საუკუნის დასაწყისით თარიღდება (ჯავახიშვილი 1972:42, კატ. N45).

151. ბეჭედი, ინტალიო. ბრინჯაო, სამფენიანი მინა. ბრინჯაოს ბეჭედში ჩასმულია ინტალიო ფორტუნას გამოსახულებით. ბეჭდის დიამეტრი - 1,8 სმ, სიმაღლე - 2,5 სმ (GNM1- გლ.ფ. N1053). ახ.წ. I საუკუნე და II საუკუნის დასაწყისი (ჯავახიშვილი 1972:43, კატ. 46).

152. ბეჭედი, ინტალიო. რკინა, სამფენიანი მინა. რკინის ბეჭედში ჩასმულ მინის ინტალიოზე გამოსახულია ათენა. (GNM1- გლ.ფ. N1050). ინტალიო - ახ.წ. I საუკუნე და II საუკუნის დასაწყისი (ჯავახიშვილი 1972:43, კატ. 47).

153. ბეჭედი, ინტალიო. რკინა, სარდიონი. ქვაზე გამოსახულია სამფეხა არსება (გორგონა) - ადამიანის თავით ცენტრში. (GNM1- გლ.ფ. N1051). (ჯავახიშვილი 1972:41, კატ. 43).

154. ბეჭედი, ინტალიო. რკინა, პასტა. თვალზე გამოსახულია ცხოველი. (GNM1-1-61:3561, გლ.ფ. N1055). (ჯავახიშვილი 1972:44, კატ. N48).

155. მონეტა, ვერცხლი. გოტარზე-არტაბან II. ქარონის ობოლი (GNM1-1-61:3563, გ.ფ. N11049).

156. სარკე, ბრინჯაო. დამტვრეული. (GNM1-1-61:3576).

157. ნივთი, ბრინჯაო. ბრტყელგანივკვეთიანი ღერო ყუნწით ბოლოვდება. ყუნწის ქვეშ ბრინჯაოსავე ირგვლივი რგოლია, ასეთივე რგოლია მეორე ბოლოზე, რომელიც

ბურთულოვანია. ღეროს ერთ მხარეს მთელს სიგრძეზე გასდევს ბურცობების რიგი. (GNM1-1-61:3574).

158. ნივთი, ძვალი. ღეროვანი, ნატეხები. (GNM1-1-61:3575).

159. ნიჟარა. დამტვრეული. (GNM1-1-61:3577).

წითლად მოხატული თიხის დოქის (ტაბ. XVI, კატ. N121) ზუსტი ანალოგები აღმოჩენილია ამავე სამაროვნის N105, 152 და 207 სამარხებში (ტაბ. XVII1,2, კატ. NN160, 169; XVIII1, კატ. N179), აგრეთვე, ახ.წ. 80 წლით დათარიღებულ დედოფლის გორის სასახლესა (Chanishvili 2008:78, cat. 54) და არაუგვიანეს ახ.წ. I საუკუნის დასასრულით დათარიღებულ რიყიანების ველის სამაროვნის N6 სამარხში (მირიანაშვილი 1983:24-26, სურ. 42). გლიპტიკური ნიმუშები (ტაბ. XVI, კატ. N149-151) ახ.წ. I საუკუნის ბოლო - II საუკუნის დასაწყისით თარიღდება (ჯავახიშვილი 1972:41-44, კატ. N43-48), ხოლო მინის ჭურჭელი ახ.წ. I საუკუნეს არ სცდება (ტაბ. XVI, კატ. N123-134) (საგინაშვილი 1970:57, 58, 59, 63, 64, 66, 69, 70, 73; კატ. 40, 45, 46, 49, 50, 51, 76, 82, 94, 103, 104, 108, 109, 110, 112, 125). საინტერესოა აქვე აღმოჩენილი ქარვის მძივი კურდღლის გამოსახულებით (ტაბ. XVI, კატ. N144), რომელიც ე.მ. ალექსეევას კლასიფიკაციის 34-ე ტიპს მიესადაგა და თარიღდება ახ.წ. I ს. მეორე ნახევარი - II საუკუნით (Алексеева 1978:25, таб. 25,10). აქვეა ნაპოვნი მინის საკინძისთავი (ტაბ. XVI, კატ. N148), რომლის გავრცელება ახ.წ. I-II საუკუნეებს უკავშირდება (Haevernick 1981:226). N193 სამარხში აღმოჩენილი რომბისებური ფორმის სამგლოვიარო გვირგვინის ფურცლების გავრცელების ხანაც ამავე პერიოდს ემთხვევა (ტაბ. XVI, კატ. N140) (Walker, Bierbier 1997:40, 56, 71,94-96, 108, 113, 115-116; cat. 13, 32, 48, 84, 86, 103, 108, 111). აღსანიშნავია, რომ N193 სამარხში სამგლოვიარო გვირგვინის ფურცლების ორი ტიპი (რომბისებური ფორმის, სამკბილა) ერთ სამარხში იყრის თავს. თუ რომბისებურ ფურცლებს ანალოგი არ ეძებნებათ საქართველოში, სამკბილა ფოთლები გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოს ისეთ ძეგლებზე, როგორიცაა სამთავროს სამაროვნის ახ.წ. II საუკუნეების კრამიტსამარხები (ჯალაბაძე ... 2019:13, კატ. N3, 4; მანჯგალაძე 1985, კატ. 228-229), არმაზისხევის ბერსუმა პიტიახშისა და ერისთავთა ახ.წ. II-III საუკუნეების სამარხები (აფაქიძე ... 1955:22-59). მიუხედავად იმისა, რომ სამკბილა ოქროს ფურცლები ფართოდაა გავრცელებული ამ პერიოდში, ურბნისის სამაროვანზე

უპირატესად რომბის ფორმის ფურცლები გვხვდება. მიგვაჩნია, რომ სამარხის გამართვის თარიღი ახ.წ. I საუკუნის მეორე ნახევარი - ახ.წ. II საუკუნის დასაწყისია.

**სამარხი N105 (ტაბ. XVII1).** სამარხი ხის ძელებით იყო აგებული. მიცვალებული იწვა ზურგზე გაშოტილი, ორიენტირებული NO-SW მიმართულებით.

160. დოქი, თიხა. ვარდისფრად გამომწვარი, წითლად მოხატული. სამტუჩა, ბაკომომრგვალებული, დაბალი ყელი, სფერული მუცელი, ბრტყელი ძირი, ცალყურა. ბრტყელგანივკვეთიანი ყური მიმაგრებულია პირსა და მუცელზე, პირთან მიმაგრების ადგილი ოდნავ შემაღლებულია. მოხატულია წითელი, ერთმანეთის პარალელური კონცეტრული ზოლებით და ტალღოვანი ორნამენტით. პირი ჩამოტეხილი აქვს. სიმაღლე - 16 სმ, პირის სიგრძე - 6,5, ძირის დიამეტრი - 7 სმ. (GNM1-1-60:2278).

161. სანელსაცხებლე, მინა. მოყვითალო, გამჭვირვალე, თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი, ყელი მაღალი. ძირი ბრტყელი, ოდნავ შედრეკილი. სიმაღლე - 7,7 სმ, პირის დიამეტრი - 1,9 სმ, მუცლის დიამეტრი - 2,9 სმ. (GNM1-1-60:2780). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:71, კატ. 116).

162. სანელსაცხებლე, მინა. ყვითელი, გამჭვირვალე, თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი, ყელი ცილინდრული, მუცელი კონუსური. აღდგენილი, ნაკლული. სიმაღლე - 9,2 სმ, პირის დიამეტრი - 2,6 სმ, მუცლის დიამეტრი - 4,2 სმ. (GNM1-1-60:2781). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:72, კატ. 121).

163. სანელსაცხებლე, მინა. ლურჯი, გაუმჭვირვალე, თავისუფლად ნაბერი. მინიატურული, პირი გადაშლილი, ჩაკეცილი. სიმაღლე - 3,4 სმ, პირის დიამეტრი - 1,2 სმ. (GNM1-1-60:2779). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:53, კატ. 17).

164. მძივები: სარდიონი (21ც.), მინა, მთის ბროლი. (GNM1-1-60:2783).

165. საკინძისთავი, მინა. მოყვითალო. გადაჭრილი კონუსის ფორმისა, ცენტრში გახვრეტილი. ხვრელში შერჩენილი აქვს რკინის ღერაკი. აღმოჩნდა გულ-მკერდის არეში. სიმაღლე - 1 სმ, ძირის დიამეტრი 2,6 სმ. (GNM1-1-60:2782).

166. ბეჭედი. ბრინჯაო, პასტა. ოვალურ თვალბუდეში ჩასმულია პასტის თვალი. დიამეტრი - 1,7 სმ, სიმაღლე - 1,6 სმ. აღმოჩნდა მარცხენა ხელთან. (GNM1-1-60:2785).

167. ბეჭედი, რკინა. ფარაკის ნაწილი (GNM1-1-60:2786).

168. ნივთი, (საკინძი?), ძვალი. ბოლო გაწვრილებული. ორად გატეხილი. აღმოჩნდა გულ-მკერდის არეში. (GNM1-1-60:2784). (კერესელიძე 1978:75, კატ. N251).

N105 სამარხში ნაპოვნი დოქი (ტაბ. XVII$_1$, კატ. N160) ანალოგიურია ამავე სამაროვნის N193,152 და 207 სამარხების დოქებისა (ტაბ. XVI, კატ. NN121; ტაბ. XVII$_2$, კატ. N169; ტაბ. XVIII$_1$, კატ. N179). მათი ზუსტი ანალოგებია დადასტურებული ახ.წ. 80 წლით დათარიღებულ დედოფლის გორის სასახლეში (Chanishvili 2008:78, cat. 54). თარიღს არ ეწინააღმდეგება აქვე ნაპოვნი მინის ჭურჭელი, რომელიც ახ.წ. I საუკუნითაა დათრიღებული (ტაბ. XVII$_1$, კატ. N161-163) (საგინაშვილი 1970:53, 71, 72; კატ. N17, 116, 121). ახ.წ. I-II საუკუნეებს უკავშირდება მინის საკინძისთავების გავრცელებაც (ტაბ. XVII$_1$, კატ. N165). ვფიქრობთ, სამარხის თარიღი ახ.წ. I საუკუნის მეორე ნახევრით - ახ.წ. II საუკუნით განვსაზღვროთ.

**სამარხი N152 (ტაბ. XVII$_2$).** სამარხის იატაკად გამოყენებული იყო ხის ძელები. ხის მასალით ამოუშენებიათ და ლურსმნებით შეუკრავთ სამარხის კედლები. ჩონჩხი ესვენა ზურგზე, გაშოტილი და ორიენტირებული იყო OW მიმართულებაზე. სამარხი გამართული იყო N151 სამარხის ქვეშ (ტაბ. XXXVII$_4$).

169. დოქი, თიხა. ჩალისფრად გამომწვარი, წითლად მოხატული. სამტუჩა, დაბალყელიანი, სფერულმუცლიანი, ბრტყელძირა, ცალყურა. ბრტყელგანივკვეთიანი ყური მიძერწილია პირის კიდესა და მუცელზე, პირთან მიერთების ადგილი ოდნავ შემაღლებულია. ჭურჭელი შემკულია წერტილოვანი, ტალღოვანი და ირგვლივი ზოლებით. მუცელს ოთხ ადგილას ირიბი მოკლე ზოლებით შედგენილი ორნამენტი გასდევს. ყურიც შემკულია წითელი ზოლით. სიმაღლე - 16,3 სმ, ძირის დიამეტრი - 10,1 სმ, პირის ზომები: 8X8სმ. (GNM1-1-61:3252).

170. სანელსაცხებლე, მინა. ლურჯი, ნახევრადგამჭვირვალე, ფორმაში ნაბერი. პირგადაშლილი, ცილინდრული ყელი, მაღალი, ძირისკენ შევიწროებული მუცელი, ბრტყელი ძირი. (GNM1-1-61:3257). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:52, კატ. 14).

171. მძივსაკიდები, ფაიანსი, მინა, პასტა. (GNM1-1-61:3254).

172. მძივები. ბრინჯაო, გიშერი, მინა, პასტა. (GNM1-1-61:3253).

173. ზარაკები, ბრინჯაო. 1. კონუსური (2ც.), ზედაპირზე ერთმანეთის პარალელური ირგვლივი ღარებით. ერთს შერჩენილი აქვს რკინის ენა. სიმაღლე - 1,4 -1,5 სმ; დიამ -1,7-1,8 სმ; 2. ნახევარსფერული (5 ც.), ორს შერჩენილი აქვს რკინის ენა, ერთს კი ბრინჯაოს მავთული. სიმაღლე - 1,2-1,6, დიამ-1,8-2,1 სმ. (GNM1-1-61:3258).

174. საკინძისთავი, მინა. ირგვლივი ლურჯი და ყვითელი ზოლებით. სიმაღლე - 0,8 სმ, დიამ-2,2 სმ. (GNM1-1-61:3255).

175. ბეჭედი, რკინა (2ც.). ფარაკიანი. ერთს ფარაკზე შერჩენილი აქვს თეთრი პასტის თვალი. ნაკლული. (GNM1-1-61:3259).

176. ბეჭედი, პასტა. ბრტყელგანივკვეთიანი ღერო გადადის ოვალურ ფარაკში. ბეჭდის დიამ. 1,9 სმ; (GNM1-1-61:3261).

177. ნივთი, ძვალი. ზედაპირზე X ნიშნით, გატეხილია ორად. (GNM1-1-61:3256).

178. ნიჟარა. ნაკლული. (GNM1-1-61:3262).

წითლად მოხატული დოქის (ტაბ. XVII2, კატ. N169) ანალოგები აღმოჩენილია ამავე სამაროვნის N193, 105 და 207 სამარხებში (ტაბ. XVI, კატ. N121; ტაბ. XVII1, კატ. N160; ტაბ. XVIII1, კატ. N179). ჭურჭლის ზუსტი ანალოგები დედოფლის გორის სასახლეში აღმოჩნდა, რომლის ნგრევის ზუსტი თარიღი ახ.წ. I საუკუნის დასასრულითაა განსაზღვრული (Chanishvili 2008:78, cat. 54). ახ.წ. I საუკუნითაა დათარიღებული მინის სანელსაცხებლე (ტაბ. XVII2, კატ. N170) (საგინაშვილი 1970:52, კატ. N14), ხოლო მინის საკინძისთავების გავრცელების ხანა ახ.წ. I-II საუკუნეებს უკავშირდება (ტაბ. XVII2, კატ. N174). N152 სამარხის დასათარიღებლად გასათვალისწინებელია მისი მდებარეობა. ის გამართული იყო N151 სამარხის ქვეშ, სადაც სამარხეულ ინვენტარს ოქროფენილი მძივები შეადგენდა (ტაბ. XXXVII4, კატ. N859). მსგავსი ტიპის მძივები ახ.წ. II-IV საუკუნეებში იყო გავრცელებული (Алексеева 1978:32, Таб. 2635, тип. 28). N152 სამარხი სტრატიგრაფიული მონაცემების გათვალისწინებით და მასში აღმოჩენილი ინვენტარის მიხედვით ახ.წ. I საუკუნის ბოლოთი - II საუკუნის დასაწყისით განვსაზღვრეთ.

**სამარხი N207 (ტაბ. XVIII1).** სამარხი ხის ძელებითა და ალიზით იყო ნაგები. ჩონჩხი ესვენა ზურგზე, გაშოტილი, ორიენტირებული OW მიმართულებაზე.

179. დოქი, თიხა. ვარდისფერკეციანი, წითლად მოხატული. სამტუჩა, ბაკომომრგვალებული, სფერულმუცლიანი, ბრტყელძირა, ცალყურა. ბრტყელგანივკვეთიანი ყური მიძერწილია პირის კიდესა და მხარზე, პირთან მიერთების ადგილი ოდნავ შემაღლებულია. ჭურჭლის კორპუსი დეკორირებულია ერთმანეთის პარალელური ირგვლივ ზოლებით, ზიგზაგებითა და წერტილებით. მოხატულია ყურიც. აღდგენილია, ნაკლული. სიმაღლე - 19,5 სმ, პირის ზომები: 8,9X9,7სმ, ძირის დიამეტრი- 11,5 სმ. (GNM1-1-62:3734).

180. სანელსაცხებლე, მინა. იისფერი, გამჭვირვალე, ფორმაში ნაბერი, თხელკედლიანი. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი, მუცელი სფერული, ძირი დაბალ ქუსლს წარმოადგენს, ცალყურა. ფიგურული, ლურჯი ყური მიმაგრებულია პირის კიდესა და მხარზე. მუცელი შემკულია ვერტიკალური კანელურებით. სიმაღლე - 7,5 სმ, პირის დიამეტრი - 2,5 სმ, ქუსლის დიამეტრი - 2,3 სმ. (GNM1-1-62:3737). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:50, კატ. 6).

181. სანელსაცხებლე, მინა. ცისფერი, გამჭვირვალე, თავისუფლად ნაბერი, თხელკედლიანი. პირი უსწორმასწორო, გადაშლილი, ჩაკეცილი, ყელი მაღალი, მუცელი კოლბისებური. ძირი ბრტყელი, ოდნავ შეზნექილი. სიმაღლე - 10,7 სმ, პირის დიამეტრი - 2,4 სმ, ძირის დიამეტრი - 4,2 სმ. (GNM1-1-62:3736). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:70, კატ. 113).

182. სანელსაცხებლე, მინა. მწვანე, გამჭვირვალე, სქელკედლიანი, თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი, ყელი მაღალი, მუცელი სფერული, ძირი ბრტყელი, შეზნექილი. სიმაღლე - 12 სმ, პირის დიამეტრი - 3,5 სმ, ძირის დიამეტრი -2,8 სმ. (GNM1-1-62:3735). ახ.წ. I-II საუკუნე (საგინაშვილი 1970:78, კატ. 150).

183. მძივები. გიშერი, მინა. (GNM1-1-62:3741).

184. ბეჭედი. ვერცხლი, მინა. სქემატური გამოსახულებით. დამსხვრეული. (GNM1-1-62:3738).

185. ბეჭედი, ბრინჯაო. ბრტყელგანივკვეთიანი მავთულის რკალი განიერდება და გადადის ფარაკში. ბეჭდის დიამეტრი - 1,8 სმ. (GNM1-1-62:3739).

186. მონეტა. ავგუსტუსის. ქარონის ობოლი. (GNM1-1-62:3740).

წითლად მოხატული დოქის (ტაბ. XVIII1, კატ. N179) ზუსტი ანალოგი ამავე სამაროვნის N193, 105, 152, სამარხებში დასტურდება (ტაბ. XVI, კატ. N121; ტაბ. XVII1, კატ. N160; ტაბ. XVIII1, კატ. N169), რომელიც დედოფლის გორაზე აღმოჩენილი დოქების მიხედვით დავათარიღეთ ახ.წ. I საუკუნის მიწურულით (Chanishvili … 2008:78, cat. 54). ახ.წ. I-II საუკუნეებით განისაზღვრა სამარხში აღმოჩენილი მინის ჭურჭელი (ტაბ. XVIII1, კატ. N180-182) (საგინაშვილი 1970:50, 70, 78, კატ. N6, 113, 150). აქ აღმოჩენილი ერთ-ერთი მინის ჭურჭლის (ტაბ. XVIII1, კატ. N182) ანალოგია N208 სამარხის მინის სანელსაცხებლე (ტაბ. XVIII2, კატ. N188), რომელთა მსგავსი ჭურჭელი ახ.წ. I საუკუნის მეორე ნახევრით განისაზღვრა მკვლევარმა (Kunina 1997, cat. N359-375). განხილული მაგალითების ფონზე სამარხის თარიღი ახ.წ. I საუკუნის მიწურულით და II საუკუნის დასაწყისით უნდა დათარიღდეს.

**სამარხი N208 (ტაბ. XVIII2).** სამარხის იატაკი ხის ძელებით იყო ნაგები, ხის მასალით ამოუშენებიათ და რკინის ლურსმნებით შეუკრავთ სამარხის კედლებიც. ჩონჩხი იწვა ზურგზე, გაშოტილი, ორიენტირებული OW მიმართულებაზე.

187. დოქი, თიხა. ვარდისფრად გამომწვარი, წითლად მოხატული. პირი გადაშლილი, ბაკოდაქანებული, ყელწიბოიანი, სფერულმუცლიანი, ბრტყელძირა, ცალყურა. ოვალურგანივკვეთიანი ყური მიძერწილია წიბოსა და მხარზე, მასზე დატანილია სამი კოპი. ჭურჭლის კორპუსს ამკობს ირგვლივი წერტილოვანი, ტალღოვანი და სადა ზოლები. მხრებზე რამდენიმე ადგილას გასდევს მოკლე ირიბი ზოლებისგან შედგენილი კომპოზიცია. ირიბი და ჰორიზონტალური ზოლებითაა შემკული ჭურჭლის ყური. სიმაღლე - 24,1 სმ, პირის დიამეტრი - 10 სმ, ძირის დიამეტრი - 13 სმ. (GNM1-1-62:3742).

188. სანელსაცხებლე, მინა. მწვანე, გამჭვირვალე, სქელკედლიანი, თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი, ყელი მაღალი, მუცელი სფერული, ძირი ბრტყელი, შეღრმავებული. აღდგენილი. სიმაღლე-13,6 სმ, პირის დიამეტრი -3,8 სმ, ძირის დიამეტრი - 3,2 სმ. (GNM1-1-62:3743). ახ.წ. I-II საუკუნე (საგინაშვილი 1970:78, კატ. 151).

189. მძივი, მინა. სიგრძე - 1,6 სმ. (GNM1-1-62:3751).

190. ზარაკი, ბრინჯაო. ცილინდრული, გვერდშეჭრილი, ყუნწიანი. სიმაღლე - 2,6 სმ; სიგანე - 1,5 სმ. (GNM1-1-62:3746).

191. საბეჭდავი, მინა. ლურჯი, მრავალწახნაგა. გამოსახულია ირემი. სიგრძე - 2 სმ, სიგანე - 1 სმ, სიმაღლე - 0,9 სმ. (GNM1-1-62:3744, გლ. ფ. 1066). ახ.წ. I-II საუკუნეები (ჯავახიშვილი 1972:80-81, კატ. 130).

192. მონეტა. ავგუსტისა. ქარონის ობოლი (GNM1-1-62:3745).

სამარხში აღმოჩენილი ყელწიბოიანი დოქი (ტაბ. XVIII$_2$, კატ. N187) მსგავსია დედოფლის გორაზე აღმოჩენილი დოქის (GNM1-27-977:5490) და ურბნისის სამაროვნის ახ.წ. II საუკუნის მეორე ნახევრით დათარიღებულ N51 სამარხში აღმოჩენილი დოქის (ტაბ. XIX$_1$, კატ. N193). ეს უკანასკნელი დამზადების განსხვავდება დამზადების ტექნიკით, რაც გამოწვეული უნდა იყოს მათ შორის არსებული მცირე ქრონოლოგიური სხვაობით. როგორც უკვე ითქვა, N208 სამარხის დოქს ყურზე კოპები აქვს. ურბნისის სამაროვანზე აღმოჩენილ თიხის ის ჭურჭლები, რომელთა ყურებიც კოპებითაა შემკული, პირველ ქრონოლოგიურ ჯგუფშია (ძვ.წ. I საუკუნის ბოლო - ახ.წ. I საუკუნის დასაწყისი) გაერთიანებული (ტაბ. X$_1$, კატ. N1; ტაბ. X$_2$, კატ. N2; ტაბ. X$_3$, კატ. N7). დ. გაგოშიძის მოსაზრებით, ყელწიბოიანი ჭურჭლები ახ.წ. I საუკუნის მეორე ნახევარზე ადრე არ გვხვდება (გაგოშიძე 2020:258). გარდა ამისა, ვფიქრობთ, თიხის ფაქტურა და ყურზე დატანილი კოპი ჭურჭელს ახ.წ. I საუკუნის შუა ხანებით და არაუგვიანეს ამავე საუკუნის მიწურულით ათარიღებს. ამ თარიღს ამყარებს N208 სამარხში აღმოჩენილი ბრინჯაოს ზარაკი (ტაბ. XVIII$_2$, კატ. N190), რომელიც თ. ჭანიშვილის მიერ შემუშავებული ტიპოლოგიური კლასიფიკაციის ძვ.წ. I საუკუნეში გავრცელებულ, II ტიპს მიესადაგა და წელთაღრიცხვათა მიჯნით თარიღდება (ჭანიშვილი 2021:348, 630-631). სამარხში აღმოჩენილი მინის ჭურჭელი (ტაბ. XVIII$_2$, კატ. N188) ახ.წ. I-II საუკუნეებითაა დათარიღებული (საგინაშვილი 1970:50, 70, 78) და მსგავსია N207 სამარხის სანელსაცხებლისა (ტაბ. XVIII$_1$, კატ. N182). მსგავსი ტიპის ჭურჭელს კუნინა ახ.წ. I საუკუნის მეორე ნახევრით განსაზღვრავს (Kunina 1997, kat. 359-375). ახ.წ. I საუკუნით თარიღდება აქვე აღმოჩენილი ოთხწახნაგა საბეჭდავი (ტაბ. XVIII$_2$, კატ. N191) (ჯავახიშვილი 1972:81, კატ. 130). სამარხეული კონტექსტი სამარხის თარიღს ახ.წ. I საუკუნის მეორე ნახევრით განსაზღვრავს.

**სამარხი N51 (ტაბ. IV, XIX1).** სამარხი ორმო ხის მასალით იყო შემოფარგლული, რომელზეც ზემოდან რიყის ქვები იყო დაყრილი. სამარხში წყვილი ჩონჩხი ერთდროულად დაუკრძალავთ ზურგზე, გაშოტილი, თავით აღმოსავლეთით.

193. დოქი, თიხა. ჩალისფრად გამომწვარი, წითლად მოხატული,. ბაკოდაქანებული, ყელწიბოიანი. მხრები დაქანებული, მუცელი სფერული, ძირი ბრტელი, ცალყურა. ბრტყელგანივკვეთიანი ყური მიძერწილია წიბოსა და მხარზე. ჭურჭელი მოხატულია წითლად ირგვლივი ტალღოვანი, წერტილოვანი, ირიბი ზოლებით. მხარი ოთხ ადგილას ირიბი მოკლე ზოლებით შედგენილი ორნამენტითაა შემკული. ერთმანეთის პარალელური ხაზებითაა შემკული ჭურჭლის ყურიც. სიმაღლე - 26 სმ, პირის დიამეტრი - 8,5 სმ, ძირის დიამეტრი - 13,2 სმ. (GNM1-1-59:2253).

194. დოქი, თიხა. ჩალისფრად გამომწვარი, სამტუჩა. დაბალყელიანი, სფერულმუცლიანი, ცალყურა. ოვალურგანივკვეთიანი ყური მიძერწილია პირსა და მხარზე. სიმაღლე - 19 სმ, ძირის დიამეტრი - 11,2 სმ. (GNM1-1-59:2252).

195. სანელსაცხებლე, მინა. იოდისფერი, გამჭვირვალე. პირი გადაშლილი, სფერულმუცლიანი, ბრტყელი, ოდნავ შედრეკილი ძირით, ორყურა. სიმაღლე - 4,4 სმ, მუცლის დიამეტრი - 3,5 სმ. (GNM1-1-59:2256). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:59, კატ. 52).

196. სანელსაცხებლე, მინა. მოთეთრო-მოცისფრო გამჭვირვალე, სქელკედლიანი. გადაშლილი, ჩაკეცილი პირით, მაღალი, ფართო ყელით, გამობერილი მუცლით, ფართო, ბრტყელი ძირით. სიმაღლე - 14,9 სმ, პირის დიამეტრი - 4,3 სმ, ძირის დიამეტრი - 6 სმ. (GNM1-1-59:2254). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:67, კატ. 94).

197. სანელსაცხებლე, მინა, მოცისფრო გამჭვირვალე, სქელკედლიანი. გადაშლილი, ჩაკეცილი პირი. მაღალი, ცილინდრული ყელი, ბრტყელძირა. აღდგენილი. სიმაღლე - 15,2 სმ, პირის დიამეტრი - 4,2 სმ, ძირის დიამეტრი - 4,8 სმ. (GNM1-1-59:2255). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:67, კატ. 95).

198. სამგლოვიარო გვირგვინი, ფურცლები, ოქრო. (21 ც.). რომბის ფორმის, ფოთლის მსგავსად რელიეფურად გამოყვანილია ძარღვები. რამდენიმე გატეხილი,

დეფორმირებული, დაზიანებული. საშუალო სიგრძე - 5,0 სმ, სიგანე - 2,8 სმ. (GNM1-1-59:2264).

199. მძივი, სარდიონი. ღია ვარდისფერი, სფერული. დიამეტრი - 1,5 სმ. (GNM1-1-59:2257).

200. ბეჭედი, ინტალიო. ვერცხლი, მინა. ვერცხლის ბეჭედში ჩასმულია მინის ინტალიო, რომელზეც გამოსახულია ამური და ფსიქეა. (GNM1-გლ.ფ. N973). ახ.წ. I საუკუნე და II საუკუნის დასაწყისი (ჯავახიშვილი 1972:40, კატ. 41).

201. ბეჭედი, ინტალიო. ბრინჯაო, მინა. ბრინჯაოს ბეჭედში ჩასმულია მინის ბრტყელი ინტალიო აპოლონის გამოსახულებით. ინტალიოს სიგრძე - 1,3 სმ, სიგანე - 0,9 სმ, ბეჭდის დიამეტრი - 2,6 სმ, სიმაღლე - 2,4 სმ. (GNM1-1-59:2265; გლ.ფ. N971). ახ.წ. I საუკუნე და II საუკუნის დასაწყისი (ჯავახიშვილი 1972:40, კატ. 42).

202. ბეჭედი, ინტალიო. ბრინჯაო, სარდიონი. ბრინჯაოს ბეჭედში ჩასმულია სარდიონის თვალი, რომელზეც ათენაა გამოხატული. ბეჭდის დიამეტრი - 1,9 სმ, სიმაღლე 2,1 სმ. (GNM1-1-59:2266, გლ.ფ. N972). ახ.წ. I საუკუნე და II საუკუნის დასაწყისი (ჯავახიშვილი 1972:39, კატ. 40).

203. ბალთა, ბრინჯაო. ფირფიტოვან ღეროს ბოლოებზე მანჭვლები აქვს. სიგრძე - 6 სმ. (GNM1-1-59:2262).

204. აბზინდა, რკინა. ფრაგმენტები. ძლიერ დაჟანგული. (GNM1-1-59:2260).

205. მონეტა, ვერცხლი. ავგუსტუსის. ქარონის ობოლი. სამხრეთით მდებარე ჩონჩხს ეკუთვნოდა. (GNM1-1-59:2263).

206. რგოლი, წყვილი. ბრინჯაო. 1. მრგვალგანივკვეთიანი მავთულისა. 2. მრგვალგანივკვეთიანი მავთულის ბოლოები გახსნილია და ერთმანეთზე გადასული. დიამეტრი - 4,0 სმ, რგოლის დიამეტრი - 3,8-4 სმ. (GNM1-1-59:2258, 2259).

წითლად მოხატული ყელწიბოიანი თიხის დოქი (ტაბ. XIX$_1$, კატ. N193) ფორმით მსგავსია ამავე სამაროვნის ახ.წ. I საუკუნის მიწურულით დათარიღებული N208 სამარხის დოქისა (ტაბ. XVIII$_2$, კატ. N187), თუმცა გარკვეული ნიშნებით (თიხის ფაქტურა, ყურზე დატანილი კოპები) ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ეს განსხვავება მათი მცირე ქრონოლოგიური სხვაობით ავხსენით. სამარხში აღმოჩენილი მინის ჭურჭელი (ტაბ. XIX$_1$,

კატ. N195) მიჩნეულია სირიულ ნაწარმად და დათარიღებულია ახ.წ. I საუკუნით (საგინაშვილი 1970:67, კატ. 94, 95). გლიპტიკური ძეგლები კი ახ.წ. I-II საუკუნეებითაა დაათარიღებული (ტაბ. XIX1, კატ. N200-202) (ჯავახიშვილი 1972:39-40, კატ. N40, 41, 42). ამავე პერიოდით განვსაზღვრეთ სამგლოვიარო გვირგვინის ფურცლებიც ფაიუმის პორტრეტების მიხედვით (ტაბ. XIX1, კატ. 198) (Walker, Bierbier 1997:40, 56, 71, 94-96, 108, 113, 115-116; cat.13, 32, 48, 84, 86, 103, 108, 111). სამარხეული კონტექსტი და მისი მსგავსება ამავე სამაროვნის არაუგვიანეს ახ.წ. II სუკუნის დასაწყისით დათარიღებული სამარხების ინვენტართან (თიხის ჭურჭელი, სამგლოვიარო გვირგვინი, გლიპტიკური ნიმუშები, მინის ჭურჭელი), N51 სამარხის თარიღს არაუგვიანეს ახ.წ. II საუკუნის დასაწყისით განსაზღვრავს.

**სამარხი N178 (ტაბ. XIX2).** სამარხის იატაკი ხის ძელებით იყო ნაგები, ხის მასალით ამოუშენებიათ და რკინის ლურსმნებით შეუკრავთ სამარხის გვერდები. ჩონჩხი იწვა ზურგზე, გაშოტილი, ორიენტირებული OW მიმართულებაზე.

207. დოქი, თიხა. მოყავისფროდ გაპრიალებული, წითლად მოხატული. სამტუჩა, ყელი ცილინდრული, მუცელი სფერული, ძირი ბრტყელი, ცალყურა. ბრტყელგანივკვეთიანი ყური მიძერწილია პირის კიდესა და მხარზე. პირთან მიერთების ადგილი ოდნავ შემაღლებულია. ჭურჭლის კორპუსი შემკულია ირგვლივი ტალღოვანი, სადა და წერტილოვანი ორნამენტით. მხარზე რამდენიმე ადგილას დატანილია მოკლე ირიბი ხაზები. პარალელური წითელი ზოლებითაა შემკული ყური. აღდგენილი, ნაკლული. სიმაღლე - 18,9 სმ, ყელის დიამეტრი - 5,4 სმ, ძირის დიამეტრი - 9,7 სმ (GNM1-1-61:3422).

208. სანელსაცხებლე, მინა. მწვანე, გამჭვირვალე, სქელკედლიანი. პირი გადაშლილი ჩაკეცილი, მაღალი ყელი, მსხლისებური მუცელი. ძირი ბრტყელი, შედრეკილი. აღდგენილი. სიმაღლე - 13,3სმ, პირის დიამეტრი - 2,6სმ, ძირის დიამეტრი - 1,6სმ. (GNM1-1-61:3423). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:68, კატ. 100).

209. სანელსაცხებლე, მინა. მწვანე, გამჭვირვალე, სქელკედლიანი. პირი გადაშლილი ჩაკეცილი, ყელი მაღალი, მუცელი მსხლისებური, ძირი ბრტყელი, ოდნავ შდრეკილი. სიმაღლე - 12,3 სმ, პირის დიამეტრი - 3,1სმ, ძირის დიამეტრი - 1,7 სმ. (GNM1-1-61:3424). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:68, კატ. 101).

210. მძივები, მინა. ოქროფენილი. (GNM1-1-61:3425).

211. მონეტა, ვერცხლი. ავგუსტუსის. (GNM1-1-61:3426).

სამარხში აღმოჩენილი თიხის დოქი (ტაბ. XIX2, კატ. N207) განსხვავებულია დედოფლის გორაზე აღმოჩენილი კერამიკისგან, თუმცა მოხატულობის სტილი ისეთივეა, როგორიც N152, 208, 51 და N163 სამარხებში აღმოჩენილ დოქებისა (ტაბ. XVII2, კატ. N169; ტაბ. XVIII2, კატ. N187; ტაბ. XIX1, კატ. N193; ტაბ. XIX3, კატ. N212). ყველა სამარხი ახ.წ. I საუკუნის დასასრულით ან II საუკუნით თარიღდება. ფორმით ურბნული დოქის მსგავსი და მოხატულობით განსხვავებული ჭურჭელი შემთხვევით აღმოჩნდა თბილისში, დიდუბეში, 30-იან წლებში მექანიკური ქარხნის მშენებლობის დროს და ძვ.წ. I ათასწლეულის მეორე ნახევარით დათარიღდა (ქორიძე 1958:47-53, სურ.18). N178 სამარხში ახ.წ. I საუკუნით დათარიღებული მინის სანელსაცხებლეები აღმოჩნდა (ტაბ. XIX2, კატ. NN208, 209) (საგინაშვილი 1970:68, კატ. N100, 101). გადავამოწმეთ აქვე აღმოჩენილი ოქროფენილი მძივების (ტაბ. XIX2, კატ. N210) ანალოგების თარიღიც. გაირკვა, რომ მსგავსი მძივები ე.მ. ალექსეევას კლასიფიკაციის 1 ზ, 2 ზ და 31-ე ტიპებს შეესაბამა და მათი გავრცელება ახ.წ. I საუკუნე ან ამავე საუკუნის მეორე ნახევარს უკავშირდება (Алексеева 1978:33, таб. 26). სამარხეული ინვენტარის ანალიზი და თიხის დოქის არქაული ფორმა სამარხის გამართვის თარიღს ახ.წ. I საუკუნის მეორე ნახევრით განსაზღვრავს.

**სამარხი N163 (ტაბ. XIX3).** სამარხის იატაკი ხის ძელებით იყო ნაგები, ხის მასალით ამოუშენებიათ და რკინის ლურსმნებით შეუკრავთ სამარხის გვერდები. ჩონჩხი იწვა ზურგზე, გაშოტილი, ორიენტირებული OW მიმართულებაზე.

212. ტოლჩა, თიხა. ვარდისფრად გამომწვარი, წითლად მოხატული. პირი გადაშლილი, ბაკომომრგვალებული, ყელი ცილინდრული, მუცელი სფერული, ძირი ბრტყელი, ცალყურა. ოვალურგანივკვეთიანი ყური მიძერწილია მუცელზე. კორპუსი შემკულია ირგვლივი ზოლებით და წერტილებით. მხარზე სამ ადგილას ირიბად დატანილია მოკლე ზოლები. აღდგენილი, ნაკლული. სიმაღლე - 14,4 სმ, პირის დიამეტრი - 7,2 სმ, ძირის დიამეტრი - 8,8 სმ. (GNM1-1-61:3310).

213. სანელსაცხებლე, მინა. თეთრი, გამჭვირვალე, თხელკედლიანი, თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი, ყელი უშუალოდ გადადის ოთხგვერდა მუცელში, რომელიც ყველა მხრიდან შედრეკილია, ძირი შეზნექილი. აღდგენილი, ნაკლული. სიმაღლე - 4,8 სმ, პირის დიამეტრი - 1,3 სმ (GNM1-1-61:3311). ახ.წ. II საუკუნე (საგინაშვილი 1970:82, კატ. 170).

214. მძივები. სარდიონი, გიშერი, პასტა (GNM1-1-61:3314).

215. ზარაკი, ბრინჯაო. კონუსური, ახლავს რკინის ენა. სიმაღლე - 1,2 სმ, დიამეტრი - 1,5 სმ (GNM1-1-61:3313).

216. საკინძისთავი, მინა. ზედაპირზე დაღარული, ღარებს შორის ყვითელი პასტით, სიმაღლე - 0,7 სმ, დიამეტრი -2,1 სმ. (GNM1-1-61:3315).

217. ბეჭედი, ბრინჯაო. ფარაკიანი. (GNM1-1-61:3312).

N163 სამარხში აღმოჩენილი თიხის ჭურჭელი (ტაბ. $XIX_3$, კატ. N212) აღნაგობით მსგავსია ამავე სამაროვნის N50 სამარხში აღმოჩენილი ასეთივე ჭურჭლისა (ტაბ. $X_1$, კატ. N1), რომელიც პარალელების საფუძველზე ძვ.წ. I - ახ.წ. I საუკუნეების დასაწყისით განვსაზღვრეთ. დოქის ანალოგია კასპში შემთხვევით აღმოჩენილი მოხატული კოჭობი, რომელიც ამავე პერიოდით თარიღდება (შატბერაშვილი ... 2017:112, ტაბ. I-7). ურბნისის N163 სამარხში აღმოჩენილი კოჭობის მოხატულობა იდენტურია ამავე სამაროვნის ახ.წ. I საუკუნის ბოლოთი - II საუკუნის დასაწყისით დათარიღებულ N152, 208, 51, 178 სამარხებში აღმოჩენილი კერამიკის (ტაბ. $XVII_2$, კატ. N169; ტაბ. $XVIII_2$, კატ. N187; ტაბ. $XIX_1$, კატ. N193; ტაბ. $XIX_2$, კატ. N207) და დედოფლის გორის კერამიკის მოხატულობისა. N163 სამარხში კოჭობთან ერთად აღმოჩნდა მინის ჭურჭელი (ტაბ. $XIX_3$, კატ. N213), რომელიც ახ.წ. II საუკუნითაა დათარიღებული (საგინაშვილი 1970:82, კატ. 170) და მინის საკინძის თავი (ტაბ. $XIX_3$, კატ. N216), რომლის მსგავსი ახ.წ. I-II საუკუნეებით დათარიღებულ კომპლექსებში ფიქსირდება (Haevernick 1981:226). რაც შეეხება აქ აღმოჩენილ მინის მძივებს, ისინი ე.მ. ალექსეევას კლასიფიკაციის 92-ა ტიპს მიესადაგება და ათარიღებს ახ.წ. II საუკუნით (Алексеева 1975:69, таб. $15_{22}$).

დადგინდა, რომ N163 სამარხში ყველაზე გვიანდელი ნივთები ახ.წ. II საუკუნით განსაზღვრული მინის ჭურჭელი (ტაბ. $XIX_3$, კატ. N213) და მძივებია (ტაბ. $XIX_3$, კატ. N214).

ის სამარხები კი, რომელშიც აღმოჩენილი დოქების მოხატულობა იდენტურია N163 სამარხში აღმოჩენილ დოქების მოხატულობისაა არაუგვიანეს ახ.წ. II საუკუნის დასაწყისით თარიღდება. ამავე ხანით ვათარიღებთ N163 სამარხს.

**სამარხი N68 (ტაბ. XIX$_4$).** სამარხი ხის ძელებით იყო შეკრული. გამთხრელთა ვარაუდით, სამარხი ორმოს სიმოკლის გამო მიცვალებული უცნაურად ესვენა. იწვა ზურგზე, გაშოტილი, თავით აღმოსავლეთით და ფეხები მოხრილი ჰქონდა. არ დაფიქსირდა თავის ქალა და მასთან დაკავშირებული რაიმე ნაშთი. ვარაუდობენ, რომ არც ჰქონდა, რადგან თავთან დადგმული თიხის ჭურჭელი ადგილიდან დაძრული არ ყოფილა.

218. დოქი, თიხა. მოვარდისფროდ გამომწვარი, ანგობირებული, პრიალა. სამტუჩა, სფერულმუცლიანი, ბრტყელძირა, ბრტყელგანივკვეთიანი ყური მიმაგრებულია პირსა და მხარზე, პირთან მიერთების ადგილი ოდნავ შემაღლებულია. სიმაღლე - 16,3 სმ, ძირის დიამეტრი - 10,2 სმ (GNM1-1-59:2342).

219. ნემსი, ბრინჯაო. ფრაგმენტული. შერჩენილი სიგრძე - 3,1 სმ (GNM1-1-59:2343).

220. ქვები (26 ც.). აღმოჩნდა ჩონჩხის ფეხებთან (GNM1-1-59:2345).

სამარხში აღმოჩენილი თიხის სამატუჩა დოქი (ტაბ. XIX$_4$, კატ. N218) ანალოგიურია ყათლანიხევის ბორცვზე, N2 ორმოსამარხში ნაპოვნი ჭურჭლისა, რომელიც ახ.წ. I-II საუკუნეებით თარიღდება (ხახუტაიშვილი 1964:91, ტაბ. LI,1). გ. ნარიმანიშვილის მიხედვით დოქები, რომელთაც პროფილში ტალღისებური პირი და დახრილი ტუჩი აქვს, აგრეთვე დამზადებულია კარგად განლექილი თიხისგან და გამომწვარია მოვარდისფროდ, გავრცელებულია ძვ.წ. I საუკუნის მეორე ნახევარში - ახ.წ. II საუკუნეში (ნარიმანიშვილი 2018:77-79). ასეთივე დოქი აღმოჩნდა ახ.წ. 80 წლით დათარიღებულ დედოფლის გორის სასახლეში[3] (Gagoshidze 2017:42). სამარხის თარიღს ახ.წ. I საუკუნის ბოლო-ხ.წ. II საუკუნის დასაწყისით განვსაზღვრავთ.

**სამარხი N170 (ტაბ. XX$_1$).** სამარხის იატაკი ხის ძელებით იყო ნაგები. ხის ძელებით ნაშენი სამარხის კედლები ლურსმნებით შეუკრავთ. ჩონჩხი ესვენა ზურგზე გაშოტილი და

[3] ჭურჭელი დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის, ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის დედოფლის მინდვრის და მცირე ექსპედიციების III ფონდში. საინვ. GNM1-27-977:11495.

ორიენტირებული იყო OW მიმართულებაზე. N170 სამარხი გამართული იყო N168 სამარხის ქვეშ (ტაბ. XXXV2).

221. პელიკისებრი ჭურჭელი, თიხა. ვარდისფრად გამომწვარი, გამსხვილებული, დაქანებული ბაკო, პირგადაშლილი, ყელწიბოიანი, სფერულმუცლიანი, ბრტყელძირა, ორყურა. დაგრეხილი ყურების ერთი ბოლო მხარზე, ხოლო მეორე პირის ქვეშაა მიძერწილი. მუცლის განიერ ნაწილზე ერთმანეთის პარალელური ირგვლივი ღარია შემოვლებული. ნაკლული. სიმაღლე - 21,5 სმ, პირის დიამეტრი - 10,5 სმ, ძირის დიამეტრი - 13, 3 სმ (GNM1-1-61:3351).

222. სანელსაცხებლე, მინა. ლურჯი, გაუმჭვირვალე, ფორმაში ნაბერი. პირი გადაშლილი, შიგნით ჩაკეცილი, ყელი დაბალი. ტანი ოვალური. ძირი დაბალ ქუსლს წარმოადგენს. ორყურა. ნაკლული. სიმაღლე - 6,0 სმ, პირის დიამეტრი - 2,0 სმ. (GNM1-1-61:3352). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:52, კატ. N15).

223. სანელსაცხებლე, მინა. იისფერი, გამჭვირვალე, ფორმაში ნაბერი. პირი გადაშლილი, შიგნით ჩაკეცილი, ყელი დაბალია და ცილინდრული, ტანი მათარის ფორმის. ორყურა. სიმაღლე - 7,2 სმ. მუცლის დიამეტრი - 5,6 სმ. (GNM1-1-61:3354). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:51, კატ. 10).

224. სანელსაცხებლე, მინა. თეთრი, გამჭვირვალე, თავისუფლად ნაბერი. პირგადაშლილი, მაღალი ყელი, კონუსური მუცელი, ფართო, ბრტყელი ძირი ნაკლული. სიმაღლე - 6,9 სმ, პირის დიამეტრი - 1,2 სმ, ძირის დიამეტრი - 2,8 სმ. (GNM1-1-61:3353). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:71, კატ. N119).

225. სანელსაცხებლე, მინა. თეთრი, გამჭვირვალე, თავისუფალდ ნაბერი. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი, ყელი მაღალი, მუცელი კონუსური, ძირი ფართო და ოდნავ შედრეკილი. სიმაღლე - 17,8 სმ, პირის დიამეტრი - 2,3 სმ, ძირის დიამეტრი - 3,4 სმ. (GNM1-1-61:3355). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:72, კატ. N120).

226. ჭურჭელი, მინა. ცისფერი, გამჭვირვალე, თავისუფლად ნაბერი, სქელკედლიანი. პირი გადაშლილი, ყელი მაღალი. მუცელი კონუსური. ძირი ღრმად შეზნექილი. სიმაღლე - 10,1 სმ, პირის დიამეტრი - 4,6 სმ, ძირის დიამეტრი - 5,9სმ. (GNM1-1-61:3356). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:70, კატ. N111).

227. სანელსაცხებლე, მინა. მწვანე, გამჭვირვალე, თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი, ყელი მაღალი. მუცელი კონუსური უნდა ჰქონოდა. პირ-ყელის ფრაგმენტი. პირის დიამეტრი - 3,3 სმ, ყელის სიმაღლე - 7, 0 სმ. (GNM1-1-61:3357). (საგინაშვილი 1970:84, კატ. N183).

228. სანელსაცხებლე, მინა. მწვანე, გამჭვირვალე, სქელკედლიანი, თავისუფლად ნაბერი. ყელი ცილინდრული, ტანი კონუსური უნდა ყოფილიყო, ძირი ფართო, ბრტყელი. დამტვრეული. (GNM1-1-61:3358) (საგინაშვილი 1970:84, კატ. N184).

229. სანელსაცხებლე, მინა. მწვანე, გამჭვირვალე, სქელკედლიანი, თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი, ყელი მაღალი და ცილინდრული, მუცელი, ძირი ბრტყელი, შედრეკილი. პირის დიამეტრი - 3,3 სმ, ძირის დიამეტრი - 2,2 სმ. დამტვრეული. (GNM1-1-61:3359). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:68, კატ. N102).

230. ჭურჭელი, მინა. მწვანე, გამჭვირვალე, სქელკედლიანი, თავისუფლად ნაბერი. გადაშლილი, ჩაკეცილი პირით, ყელი ცილინდრული. პირის დიამეტრი - 3,5 სმ. (GNM1-1-61:3360) (საგინაშვილი 1970:84, კატ. N182).

231. სამგლოვიარო გვირგვინი, ფურცლები, ოქრო. (7 ც.). რომბის ფორმის, რელიეფური ძარღვებით, რაც ქმნის ფოთლის იმიტაციას (GNM1-1-61:3376).

232. მძივსაკიდები (3 ც.), მინისებრი პასტა. (GNM1-1-61:3373).

233. მძივები. ბრინჯაო, სარდიონი, მინა, პასტა, გიშერი, ქარვა. (GNM1-1-61:3372).

234. სკარაბეოიდი, მინა. ლურჯი, ბრტყელი ძირით, განივი ნახვრეტით. ზომები -0,8X0,9 სმ (GNM1-1-61:3374).

235. ზარაკი, ბრინჯაო. კონუსური. დეფორმირებული. სიმაღლე - 1,5 სმ (GNM1-1-61:3370).

236. საკინძი, ბრინჯაო. წვრილი მავთულისა, გატეხილი. (GNM1-1-61:3371).

237. ბეჭედი, ინტალიო. ვერცხლი, სარდიონი. ოვალური ღერო ფართოვდება და გადადის ოვალური ფორმის დაბალ თვალბუდეში, რომელშიც სარდიონის თვალია. მასზე გამოსახულია ეტლში შებმული ორი ცხენი. ეტლში დგას გამარჯვების ქალღმერთი ნიკეა?, ბეჭდის დიამეტრი - 2,5 სმ, თვალის სიგრძე -1,3 სმ, სიგანე - 1,1 სმ. (GNM1-1-61:3361, გლ. ფ. N1021). ახ.წ. I-II საუკუნეები (ჯავახიშვილი 1972:38, კატ. 37).

238. ბეჭედი, ინტალიო. ბრინჯაო, მინა. ბრინჯაოს ბეჭედში ჩასმულ ინტალიოზე გამოსახულია ფრთოსანი ნიკეა. ბეჭედი გატეხილია. ინტალიოს სიგრძე - 0,8 სმ, სიგანე - 0,6 სმ. (GNM1- გლ. ფ. N1024). ახ.წ. II საუკუნე (ჯავახიშვილი 1972:39, კატ. 39).

239. ბეჭედი, ინტალიო. ბრინჯაო, მინა. ბრინჯაოს ბეჭდის თვალბუდეში ჩასმულია მოთეთრო-მოყვითალო მინის ინტალიო არტემიდეს გამოსახულებით. ღერო ნაკლულია. თვალის სიგრძე - 0,6 სმ, სიგანე - 0,5 სმ. (GNM1 გლ. ფ. N1023). ახ.წ. I საუკუნე და II საუკუნის დასაწყისი (ჯავახიშვილი 1972:37, კატ. 36).

240. ბეჭედი, ინტალიო. რკინა, სარდიონი. თვალბუდეში ჩასმულია სარდიონის ინტალიო ათენას გამოსახულებით. ძალზე დაჟანგულია. თვალის სიგრძე - 1, 2 სმ, სიგანე - 1,0 სმ. (GNM1-1-61:3362, გლ. ფ. N1022). გემა - ახ.წ. II საუკუნე (ჯავახიშვილი 1972:38, კატ. 38).

241. ბეჭედი, ბრინჯაო. წვრილი მავთულის ოვალური რკალი მხრებისაკენ განიერდება და გადადის დაბალ თვალბუდეში, რომელშიც ჩასმულია გლუვ ზედაპირიანი მომწვანო ფერის მინის თვალი. ბეჭდის დიამეტრი - 1,9 სმ, თვალის სიგრძე - 0,3 სმ. (GNM1-1-61:3365).

242. ბეჭედი, ბრინჯაო. ბრტყელგანივკვეთიანი მავთული გადადის წრიული ფორმის თვალბუდეში, რომელშიც ყვითელი მინის თვალი ყოფილა ჩასმული. ბეჭედი გატეხილია, თვალი ამოვარდნილი. თვალის დიამეტრი - 0,4 სმ. (GNM1-1-61:3366).

243. ბეჭედი, ბრინჯაო. წვრილი მავთულის რკალი თვალბუდით. ფრაგმენტული. (GNM1-1-61:3367).

244. ბეჭედი, რკინა. შერჩენილია თვალბუდე, რომელშიც მინის თვალი ყოფილა ჩასმული. ფრაგმენტები. (GNM1-1-61:3368).

245. ბეჭედი, მინა. ყვითელი. ორმაგი რკალის ბოლოები ერთმანეთზეა გადასული, დიამეტრი - 1,8 სმ. (GNM1-1-61:3369).

246. ნივთი, ძვალი. მრგვალგანივკვეთიანი ღეროს ფრაგმენტები. (GNM1-1-61:3375). (კერესელიძე 1978:75, კატ. N254).

ორყურა, ყელწიბოიანი დოქი (ტაბ. XX1, კატ. N221) მსგავსია ახ.წ. I საუკუნის მეორე ნახევრით დათარიღებულ დედოფლის გორის სასახლეში აღმოჩენილი ასეთივე

ჭურჭლის (Chanishvili 2008:69, kat. 67). ამავე პერიოდს უკავშირებს დ. გაგოშიძე ყელწიბოიანი ჭურჭლების გავრცელებას (გაგოშიძე 2021:258). სამარხში ნაპოვნი მინის ჭურჭელი ახ.წ. I საუკუნით (ტაბ. XX1, კატ. N222-226) (საგინაშვილი 1970:51, 52, 68, 70, 72, 84), გლიპტიკური ნიმუშები ახ.წ. I ან II საუკუნეებითა (ტაბ. XX1, კატ. N237-240) (ჯავახიშვილი 1971: 37-39), სამგლოვიარო გვირგვინის ფურცლები კი ახ.წ. 50-170 წლებით თარიღდება (ტაბ. XX1, კატ. N231) (Walker, Bierbier 1997:40, 56, 71, 94-96, 108, 113, 115-116; cat.13, 32, 48, 84, 86, 103, 108, 111). დათარიღებისთვის გასათვალისწინებელია სამარხის სტრატიგრაფიაც. N170 სამარხის თავზე გამართული იყო ახ.წ. III საუკუნის N168 სამარხი (ტაბ. XXXV2). ირკვევა, რომ სამარხი ახ.წ. III საუკუნემდე გაიმართა, სამარხეული ინვენტარის მიედვით კი  N170 სამრხის თარიღს  ახ.წ. II საუკუნის პირველი ნახევრით განვსაზღვრავთ.

**სამარხი N20 (ტაბ. III, XX2).** სამარხის აღმოსავლეთი და დასავლეთი ნაწილი ხის ძელებით შემოუფარგლავთ, ჩრდილო და სამხრეთი მხარე კი - რიყის ქვებით. სახურავად ხის საკმაოდ მსხვილი ძელები გამოუყენებიათ. სამარხში დაკრძალული იყო კბილებმოუცვლელი ბავშვი, ზურგზე დაწვენილი, გაშოტილ პოზაში, თავით აღმოსავლეთით და ორიენტირებული OW მიმართულებაზე. სამარხი გამართული იყო ალიზის კედლის ქვეშ.

247. ამფორისკოსი, მინა. ლურჯი, ნახევრადგამჭვირვალე, ფორმაში ნაბერი. პირგადაშლილი, მაღალი, ვიწრო ყელი, ორყურა. აღდგენილი. სიმაღლე - 7,6 სმ, პირის დიამეტრი - 2,5 სმ (GNM1-1-58:1910). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:51, კატ. 9).

248. ფიალა, მინა. მოცისფრო, გამჭვირვალე, ფორმაში ნაბერი. ტანი კანელურებითაა შემკული. ფრაგმენტი. აღდგენილი, ნაკლული. (GNM1-1-58:1901). ახ.წ. I საუკუნის პირველი ნახევარი (საგინაშვილი 1970:51, კატ. 11).

249. ოინოხოია, მინა. მუქი წითელი, გამჭვირვალე, ფორმაში გამობერილი. სამტუჩა, ყელი მაღალი, ძირი ბრტყელი. აღდგენილი, ნაკლული. სიმაღლე - 11,6 სმ, მუცლის დიამეტრი - 8,1 სმ. (GNM1-1-58:1905). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:52, კატ. 12).

250. ჭურჭელი, მინა. ყვითელი,  გაუმჭვირვალე, სქელკედლიანი, ფორმაში ნაბერი. პირი ფართო, ძირი ბრტყელი. სიმაღლე - 4,2 სმ, პირის დიამეტრი - 3,3 სმ, ძირის დიამეტრი -

1,9 სმ. აღდგენილი, ნაკლული. (GNM1-1-58:1914). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:52, კატ. 13).

251. სანელსაცხებლე, მინა. მუქი მწვანე, გამჭვირვალე, სქელკედლიანი, თავისუფლად ნაბერი. პირი ჩაკეცილი, გადაშლილი, ყელი - მაღალი, ტანი კონუსური, ძირი ბრტყელი ოდნავ შეზნექილი. სიმაღლე - 1,6 სმ, პირის დიამეტრი - 4 სმ, ძირის დიამეტრი - 3 სმ. (GNM1-1-58:1902). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:64, კატ. 80).

252. სანელსაცხებლე, მინა. მწვანე, გამჭვირვალე, სქელკედლიანი, თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი, ყელი - მაღალი, მუცელი - კონუსური, ძირი - ბრტყელი, ოდნავ შედრეკილი. სიმაღლე - 12,1 სმ, პირის დიამეტრი - 4,1 სმ, ძირის დიამეტრი - 4 სმ. (GNM1-1-58:1906). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:65, კატ. 83).

253. სანელსაცხებლე, მინა. მოცისფრო, გამჭვირვალე, თავისუფლად ნაბერი. პირი - გადაშლილი, ჩაკეცილი. ძირი - ბრტყელი. სიმაღლე - 7,5 სმ, პირის დიამეტრი - 2,1 სმ, (GNM1-1-58:1903). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:71, კატ. 115).

254. ჭურჭელი, მინა. მოთეთრო, გამჭვირვალე, სქელკედლიანი. ფრაგმენტები. აღდგენილი, ნაკლული. (GNM1-1-58:1918). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:72, კატ. 124).

255. სანელსაცხებლე, მინა. ღვინისფერი, გამჭვირვალე, თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი, ყელი დაბალი, მუცელი კონუსური, ძირი ბრტყელი, ოდნავ შეზნექილი. ნაკლული. პირის დიამეტრი - 2,7 სმ, ძირის დიამეტრი - 1, 6 სმ. (GNM1-1-58:1904). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:60, კატ. 57).

256. სანელსაცხებლე, მინა. მწვანე, გამჭვირვალე, სქელკედლიანი, თავისუფლად ნაბერი. ფრაგმენტები. ძირის დიამეტრი - 5 სმ. (GNM1-1-58:1900).

257. ჭურჭელი, მინა. გამჭვირვალე. კედლის და ყურის ფრაგმენტები. (GNM1-1-58:1917).

258. მძივები. გიშერი, ქარვა, სარდიონი, აქატი. (GNM1-1-58:1915).

259. ჟღარუნა, ბრინჯაო. წარმოადგენს ბრინჯაოს ორი ნახევარსფეროსაგან შედგენილ ფუყე სფეროს, მათგან ერთი გახვრეტილია. სავარაუდოდ მასში უნდა ყოფილიყო გაყრილი ბრინჯაოს ძეწკვები, რომელიც რგოლზეა შეკიდული. სფეროს სიმაღლე - 3,1 სმ, დიამეტრი - 3,1 სმ(GNM1-1-58:1908).

260. ბეჭედი, ინტალიო. ბრინჯაო, მინა. ბრინჯაოს ბეჭედში ჩასმულია მინის ინტალიო, გამოსახულია ხე და ორი თხა. ბეჭედი ნაკლულია. ბეჭდის შერჩენილი დიამეტრი - 1,1 სმ, ინტალიოს სიგრძე 0,6 სმ, სიგანე - 0,5 სმ. (GNM1-1-58:1909, გლ.ფ. 946). ახ.წ. I საუკუნე და II საუკუნის დასაწყისი (ჯავახიშვილი 1972:31-32, კატ. 22).

261. ბეჭედი, ქალცედონი. სრულად დაღარული რკალი დაბრტყელებულ ფარაკში გადადის. დიამეტრი - 2,1 სმ, სიმაღლე - 1,9 სმ. (GNM1-1-58:1911).

262. სარკე, ბრინჯაო. წრიული, ორყურა. დიამეტრი - 5,5 სმ. (GNM1-1-58:1913).

263. ნივთი, ფრინველის გამოსახულება. სადაფი. ნაკლული. სიმაღლე - 1,7 სმ, სიგრძე - 2,2 სმ. (GNM1-1-58:1912).

N20 სამარხში ნაპოვნი მინის ჭურჭლის ქრონოლოგიური დიაპაზონი ახ.წ. I საუკუნის პირველი ნახევრის და II საუკუნის დასაწყისის ფარგლებში მერყეობს (ტაბ. XX2, კატ. N247-254) (საგინაშვილი 1970:51-52, 60, 64, 65, 71, 72; კატ. N9, 11-13, 57-58, 80, 83, 115, 124; Kunina 1997:279, kat. 142-144). ინტალიო (ტაბ. XX2, კატ. N260) ახ.წ. I საუკუნის დასასრულს და II საუკუნის დასაწყისს მიეკუთვნება (ჯავახიშვილი 1972:31-32, კატ. 22). ამავე სამარხში აღმოჩენილია ბროწეულის ფორმის ქარვის მძივი (ტაბ. XX2, კატ. N258), რომელიც ე.მ. ალექსეევას კლასიფიკაციის N35 ტიპს მიესადაგა და ახ.წ. I საუკუნის პირველი ნახევრით - II საუკუნის დასაწყისით თარიღდება (Алексеева 1978:25, таб. 25). სამაროვანზე, N20, 57 და N96 სამარხებში, ქალცედონის ოთხი ბეჭედია აღმოჩენილი (ტაბ. XX2, კატ. N261; ტაბ. XXIII1, კატ. N316; XXXVI9, კატ. N833). N20 სამარხის ბეჭედი (ტაბ. XX2, კატ. N261) დანარჩენებისგან გამოირჩევა გრეხილი რკალით. მსგავსი ტიპის ბეჭდები იმეორებს რომის იმპერიაში გავრცლებული ბეჭდების ფორმას, მათზე დატანილი გამოსახულება სასანურია და არაუადრეს ახ.წ. III საუკუნით თარიღდება (რამიშვილი 2021:257-265). აღსანიშნავია, რომ ურბნისის არცერთ ბეჭედზე გამოსახულება არაა, თუმცა ფარაკის დამუშავება გვავარაუდებინებს, რომ ის იყო ნამზადი. სამარხეული ინვენტარის მიხედვით სამარხის თარიღი ახ.წ. II საუკუნის დასაწყისზე ადრეული არ უნდა იყოს.

**სამარხი N15 (ტაბ. XXI1).** სამარხი ხის ძელებით აუგიათ. ჩონჩხი იწვა ზურგზე, გაშოტილი. ორიენტირებული იყო OW მიმართულებაზე. სამარხი მოზარდს ეკუთვნოდა.

264. ჭურჭელი, თიხა. სხვადასხვა. ფრაგმენტები. GNM1-1-58:1895, 1896, 1997, 1998).

265. სანელსაცხებლე, მინა. ყვითელი, გამჭვირვალე, სქელკედლიანი, თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი, ყელი მაღალი, ტანი კონუსური, ძირი ბრტყელი ოდნავ შეზნექილი. ეტყობა საბერავი მილის კვალი. აღდგენილი, ნაკლული. სიმაღლე - 14,9 სმ, პირის დიამეტრი - 2,9 სმ. (GNM1-1-58:1890). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:64. კატ. 79).

266. სანელსაცხებლე, მინა. ყვითელი, გამჭვრივალე, ფორმაში გამობერილი. პირი გადაშლილი, ყელი დაბალი, ქუსლიანი, ორყურა. აღდგენილია, ნაკლული. სიმაღლე - 5,5 სმ, პირის დიამეტრი - 2,2 სმ. (GNM1-1-58:1889). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:50, კატ. 7).

267. საკიდები. თიხა (ეგვიპტური ფაიანსი), მინა. (GNM1-1-58:1886).

268. მძივები. სარდიონი, მინა, პასტა, გიშერი, ქარვა, ნიჟარა. (GNM1-1-58:1886).

269. ზარაკები, ბრინჯაო. ფრაგმენტები. (GNM1-1-58:1887).

270. ბეჭედი, ბრინჯაო. ოვალურ თვალბუდეში ჩასმულია თეთრი პასტის თვალი. გატეხილია. დიამეტრი - 1,6 სმ, სიმაღლე - 1,5 სმ. (GNM1-1-58:1888).

N15 სამარხში აღმოჩენილი მინის ჭურჭლების თარიღი ახ.წ. I საუკუნეა (ტაბ. $XXI_1$, კატ. N265, 266) (საგინაშვილი 1970:50,64. კატ. N7, 79). აქვე ნაპოვნია პოლიქრომული მინის მძივი (ტაბ. $XXI_1$, კატ. N268), რომლის გავრცელებაც უკავშირდება ძვ.წ. I საუკუნეს (Алексеева 1978:47, таб. 29-68, тип - 254). ვფიქრობთ, სამარხის გამართვის თარიღი არაუგვიანეს ახ.წ. I საუკუნის მეორე ნახევარია.

**სამარხი N90 (ტაბ. $XXI_2$).** სამარხი ნაგებობა ხის იყო, სახურავიც ხის ჰქონდა. გარშემო რიყის ქვები ეწყო. ჩონჩხი ესვენა ზურგზე, გაშოტილი, ორიენტირებული OW მიმართულებაზე.

271. სანელსაცხებლე, მინა. მუქი მწვანე გამჭვირვალე, სქელკედლიანი, თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი ჩაკეცილი, ყელი მაღალი, ტანი კონუსური, ძირი ბრტყელი. აღდგენილი. სიმაღლე - 14,2 სმ, პირის დიამეტრი - 3 სმ, ძირის დიამეტრი - 3,2 სმ. (GNM1-1-59:2469). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:64, კატ. 81).

272. სანელსაცხებლე, მინა. ცისფერი, გამჭვირვალე, სქელკედლიანი, თავისუფლად ნაბერი. ყელი მაღალი, ძირი ბრტყელი, ოდნავ შედრეკილი. აღდგენილი, ნაკლული.

შერჩენილი სიმაღლე - 14 სმ, ძირის დიამეტრი - 2,8 სმ. (GNM1-1-59:2470). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:65, კატ. 87).

273. სანელსაცხებლე, მინა. მომწვანო, გამჭვირვალე, სქელკედლიანი, თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი, ყელი მაღალი, ძირი ბრტყელი, ოდნავ შედრეკილი. აღდგენილი. სიმაღლე - 15 სმ, პირის დიამეტრი - 3,2 სმ, ძირის დიამეტრი - 2,8 სმ (GNM1-1-59:2471). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:65, კატ. 88).

274. სანელსაცხებლე, მინა. მომწვანო, გამჭვირვალე, სქელკედლიანი, თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი, ყელი მაღალი, ძირი ბრტყელი, ოდნავ შედრეკილი. აღდგენილი, დეფორმირებული. სიმაღლე - 15,7 სმ, პირის დიამეტრი - 3,2 სმ, ძირის დიამეტრი - 2 სმ. (GNM1-1-59:2473). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:66, კატ. 90).

275. სანელსაცხებლე, მინა. მომწვანო, გამჭვირვალე, სქელკედლიანი, თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი, ყელი მაღალი, ძირი ბრტყელი, ოდნავ შედრეკილი. აღდგენილი, ნაკლული. პირის დიამეტრი - 3,1 სმ, ძირის დიამეტრი - 2,8 სმ. (GNM1-1-59:2472). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:66, კატ. 89).

276. სანელსაცხებლე, მინა. მომწვანო, გამჭვირვალე, თავისუფლად ნაბერი. პირის ფრაგმენტი. დიამეტრი - 3,2 სმ. (GNM1-1-59:2474).

მიცვალებულს მინის სანელსაცხებლეების გარდა სხვა ინვენტარი არ ახლდა (ტაბ. XXI$_2$, კატ. N271-274). ისინი დათარიღებულია ახ.წ. I საუკუნით (საგინაშვილი 1970:64-66, კატ. N81, 87, 88, 89, 90). უნდა ითქვას, რომ N90 სამარხში აღმოჩენილი მსხლისებურ მუცლიანი მინის სანელსაცხებლეების (ტაბ. XXI$_2$, კატ. N273, 274) ანალოგები, ამავე სამაროვნის, ახ.წ. I საუკუნის ბოლო II საუკუნის დასაწყისით დათარიღებულ N193 სამარხში აღმოჩნდა (ტაბ. XVI, კატ. N133, 134). ამავე პერიოდით, ახ.წ. II საუკუნის დასაწყისით განვსაზღვრეთ N90 სამარხის თარიღიც.

**სამარხი N155 (ტაბ. XXI$_3$).** ხის ძელებით აგებულ სამარხის გარშემო რიყის ქვები ეწყო. სამარხი ბავშვს ეკუთვნოდა. მიცვალებული დაუსვენებიათ ზურგზე, გაშოტილ პოზაში და ორიენტირებული იყო OW მიმართულებაზე.

277. მძივები და მძივსაკიდი. სარდიონი, მინა, გიშერი. (GNM1-1-61:3276).

278. ბეჭედი. ბრინჯაო, მინა. ლურჯი მინის თვლით. ნაკლული. (GNM1-1-61:3274).

279. კოჭები, (6 ც.) ძვალი. გახვრეტილი. (GNM1-1-61:3273). (კერესელიძე 1978:81, კატ. N293).

280. ხორბლის მარცვლები. (GNM1-1-61:3277).

N155 სამარხის ინვენტარში ყურადღება მიიქცია ოქროფენილი მძივების ერთმა სახეობამ, რომელიც ინკრუსტირებულია მინის თვლებით (ტაბ. XXI3, კატ. N277). ჯერჯერობით მათი ანალოგი ვერ მოვიძიეთ, თუმცა ამავე სამარხში ნაპოვნი ოქროფენილი მძივი ე.მ. ალექსეევას კლასიფიკაციის 31-ე ტიპში ერთიანდება და ძვ.წ. I საუკუნის მეორე ნახევრით და ახ.წ. II საუკუნით თარიღდება (Алексеева 1978:33, таб. 26). აქვე აღნიშნულია, რომ მსგავსი მძივების უმეტესობა დამახასიათებელია ახ.წ. I საუკუნისთვის. ვფიქრობთ, სამარხი ჩვენს მიერ შემუშავებული ქრონოლოგიური კლასიფიკაციის II ჯგუფში (ახ.წ. I საუკუნის ბოლო - II საუკუნე) გავაერთიანოთ და II საუკუნის დასაწყისით დავათარიღოთ

**სამარხის ნაშთი N7 (ტაბ. XXI4).** სამარხი დაზიანდა N73 სამარხი ორმოს გათხრის დროს. ადგილზე დარჩენილი იყო ბავშვის თავის ქალა.

281. მძივები. მინა, გიშერი. (GNM1-1-59:2341).

282. ბეჭედი, ინტალიო. ბრინჯაო, სარდიონი. ბეჭედზე გამოსახულია ათენა (?). ბეჭდის დიამეტრი - 1,6 სმ, ბეჭდის სიმაღლე 1,9 სმ. (GNM1-გლ.ფ. 980). ახ.წ. I საუკუნის ბოლო II საუკუნის დასაწყისი (ჯავახიშვილი 1972:45-46, კატ. N52).

N7 სამარხის ნაშთში აღმოჩენილი ბეჭედი (ტაბ. XXI4, კატ. N282) ანალოგების გათვალისწინებით ახ.წ. I-II საუკუნეებში ყოფილა გავრცელებული (ჯავახიშვილი 1972:45-46, კატ. 52, 99). მნიშვნელოვანია სამარხის სტრატიგრაფიაც. N7 სამარხის ნაშთი მდებარეობდა N73 სამარხის ქვეშ (ტაბ. XXXIV5). ეს უკანასკნელი კი შეიცავს ახ.წ. II საუკუნის ბოლოთი III საუკუნის დასაწყისით დათარიღებულ ბეჭედს (ტაბ. XXXIV5, კატ. N703) (ჯავახიშვილი 1972:65, კატ. 99), რაც სამარხის (ნაშთი N7) გამართვის თარიღს ახ.წ. II საუკუნით განსაზღვრავს.

**სამარხი N215 (ტაბ. XXII1).** სამარხის იატაკი ხის ძელებით იყო ნაგები. ხის ძელებით იყო ნაშენი სამარხის კედლები ლურსმნებით იყო შეკრული. ჩონჩხი ესვენა ზურგზე გაშოტილი და ორიენტირებული იყო OW მიმართულებაზე.

283. დოქი, თიხა. შავპრიალა, პირი გადაშლილი, ბაკომომრგვალებული, ყელი გამოყვანილი, მუცელი სფერული, ძირი ბრტყელი, ცალყურა. ბრტყელგანივკვეთიანი ყური მიმაგრებულია პირის კიდესა და მხარზე, პირთან მიერთების ადგილი ოდნავ შემაღლებულია. სიმაღლე - 18,8 სმ, პირის დიამეტრი - 8 სმ, ძირის დიამეტრი - 9,8 სმ. (GNM1-1-62:3761).

284. სანელსაცხებლე, მინა. მწვანე, გამჭვირვალე, თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი, ყელი ცილინდრული, მუცელი კონუსური, ძირი ბრტყელი. გატეხილი. სიმაღლე - 15 სმ, პირის დიამეტრი - 3,1 სმ, ძირის დიამეტრი - 4,5 სმ. (GNM1-1-62:3762). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:60, კატ. 61).

285. სანელსაცხებლე, მინა. მწვანე, გამჭვირვალე, თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი, ყელი ცილინდრული, მუცელი კონუსური. ძირი ბრტყელი. გატეხილი. სიმაღლე - 15,6 სმ, პირის დიამეტრი - 3,4 სმ, ძირის დიამეტრი - 4 სმ. (GNM1-1-62:3763). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:61, კატ. 62).

286. სანელსაცხებლე, მინა. მწვანე, გამჭვირვალე, თავისუფლად გამობერილი. ფრაგმენტები. პირის დიამეტრი - 2 სმ. (GNM1-1-62:3764).

287. სამგლოვიარო გვირგვინი, ფურცლები, ოქრო. (12ც.). რომბისებური ფორმის ფურცელზე შეინიშნება რელიეფური ძარღვები, რაც ქმნის ფოთლის შთაბეჭდილებას (GNM1-1-62:3765).

288. საყურე, ვერცხლი. წყვილი. დამტვრეული (GNM1-1-62:3768).

289. მძივები. გიშერი, მინა, პასტა, სარდიონი, აქატი, მთის ბროლი. საკიდები. პასტა (GNM1-1-62:3773).

290. ზარაკი, ბრინჯაო. კონუსური, ზედაპირი დაფარულია ირგვლივი ღარებით. სიმაღლე - 1,5 სმ, დიამეტრი - 1,9 სმ (GNM1-1-62:3767).

291. ბეჭდები (2ც.), რკინა. ერთ-ერთს აქვს შერჩენილი თეთრი პასტის თვალი. დამტვრეული (GNM1-1-62:3765).

292. მახათი, ბრინჯაო. ნაკლული. შერჩენილი სიგრძე-5,2 სმ (GNM1-1-62:3766).

293. დანა, რკინა. დამტვრეული (GNM1-1-62:3769).

294. მონეტა, ვერცხლი. გოტარზე-არტაბან II. ქარონის ობოლი. (GNM1-1-62:3770, გ.ფ. 11050).

295. ლურსმნები, რკინა. ოთხწახნაგა, დამტვრეული. სარკოფაგის ნაწილი. შერჩენილი სიგრძე-2,9-6,5 სმ (GNM1-1-62:3772).

N215 სამარხში აღმოჩენილი სამგლოვიარო გვირგვინის ფურცლების (ტაბ. XXII1, კატ. N287) გავრცელება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ახ.წ. 50-170 წლებს უკავშირდება (Walker, Bierbier 1997:40, 56, 71, 94-96, 108, 113, 115-116; cat. 13, 32, 48, 84, 86, 103, 108, 111). მინის სანელსაცხებლეები ახ.წ. I საუკუნითაა დათარიღებული (ტაბ. XXII1, კატ. 284-285) (საგინაშვილი 1970:60-61, კატ. N61, 62). სამარხში ნაპოვნი დოქი (ტაბ. XXII1, კატ. N283) დაუდევრადაა გაპრიალებული, რაც ახასიათებს ძვ.წ. I საუკუნის მეორე ნახევრის - ახ.წ. II საუკუნეების შავად გამომწვარ ჭურჭელს (ნარიმანიშვილი 2018:102). მსგავსი აღნაგობის ჭურჭლები, სხვადასხვა მახასიათებლით (სფერული მუცელი, ფართო ძირი, ყურის პირთან მიერთების ადგილის შემსხვილება) ურბნისის სამაროვნის, ჩვენს მიერ შემუშავებული ქრონოლოგიური კლასიფიკაციის II ქრონოლოგიურ ჯგუფში (ახ.წ. I საუკუნის ბოლო - II საუკუნე) იყრის თავს (ტაბ. XXIV1, კატ. N348; ტაბ. XXV1, კატ. N370; ტაბ. XXV2, კატ. N377; ტაბ. XXV3, კატ. N378). სამარხეული ინვენტარის მიხედვით სამარხი ახ.წ. I საუკუნის მეორე ნახევრით ან II საუკუნის დასაწყისით განვსაზღვროთ.

**სამარხი N231 (ტაბ. XXII2).** სამარხის იატაკი ხის ძელებით იყო ნაგები. ხის ძელები ნაშენი სამარხის კედლები ლურსმნებით შეუკრავთ. ჩონჩხი ესვენა ზურგზე გაშოტილი და ორიენტირებული იყო OW მიმართულებაზე.

296. დოქი, თიხისა. ვარდისფრად გამომწვარი. სფერულმუცლიანი, ბრტყელძირა, ცალყურა. ბრტყელგანივკვეთიანი ყური მიმაგრებული ყოფილა პირის კიდესა და მხარზე. დამტვრეული. (GNM1-1-62:3924).

297. სანელსაცხებლე, მინა. მწვანე, გამჭვირვალე, სქელკედლიანი, თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი ჩაკეცილი, ყელი ცილინდრული, მუცელი კონუსური, ძირი ბრტყელი, ოდნავ შედრეკილი. აღდგენილი, ნაკლული. სიმაღლე - 13 სმ, პირის დიამეტრი - 3,6 სმ, ძირის დიამეტრი - 4,2 სმ. (GNM1-1-62:3925). ახ.წ. I-II საუკუნე (საგინაშვილი 1970:78, კატ. 152)

298. სანელსაცხებლე, მინა. მწვანე, გამჭვირვალე, სქელკედლიანი, თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი ჩაკეცილი, ყელი ცილინდრული, მუცელი კონუსური, ძირი ბრტყელი, ოდნავ შდრეკილი. აღდგენილი, ნაკლული. სიმაღლე - 12,8 სმ, პირის დიამეტრი - 3,4 სმ, ძირის დიამეტრი - 4,2 სმ. (GNM1-1-62:3926). ახ.წ. I-II საუკუნე (საგინაშვილი 1970:78, კატ. 153

299. სამგლოვიარო გვირგვინი, ფურცლები. ოქრო. (15ც.). რომბისებური ფორმის ფურცელზე შეინიშნება რელიეფური ძარღვები, რაც ქმნის ფოთლის იმიტაციას (GNM1-1-62:3929).

300. საყურე, ვერცხლი. შეკრული რგოლი ერთ ნაწილში შემსხვილებულია. სიგრძე -1,6 სმ. (GNM1-1-62:3932).

301. მძივები. სარდიონი, მთის ბროლი, პასტა, მინა, გიშერი, ქარვა. (GNM1-1-62:3930, 3933).

302. ბეჭედი, ინტალიო. ბრინჯაო, სარდიონი. ინტალიოზე გამოსახულია ხელი თავთავებით. ბეჭდის დიამეტრი - 1,8 სმ, სიმაღლე - 2 სმ. (GNM1-1-62:3929). (ჯავახიშვილი 1972:57, კატ. 79).

303. რგოლი, ბრინჯაო. შეკრული, მრგვალგანივკვეთიანი. დიამეტრი - 2,1 სმ. (GNM1-1-62:3931).

304. მონეტა. ავგუსტუსის. (GNM1-1-62:3928).

N231 სამარხში ნაპოვნი მინის ჭურჭელი (ტაბ. XXII2, კატ. NN297, 298) დათარიღებულია ახ.წ. I-II საუკუნეებით (საგინაშვილი 1970:78, კატ. 152, 153). მინის ჭურჭლის მიხედვით დათარიღდა გლიპტიკური ძეგლიც (ჯავახიშვილი 1972:57, კატ. 79). აღნიშნულ თარიღს არ ეწინააღმდეგება სამგლოვიარო გვირგვინის ფურცლების (ტაბ. XXII2, კატ. N299) გავრცელების ხანაც (Walker, Bierbier 1997:40, 56, 71, 94-96, 108, 113, 115-116; cat. 13, 32, 48, 84, 86, 103, 108, 111). სამარხის თარიღი არაუგვიანეს ახ.წ. II საუკუნის დასაწყისით უნდა განვსაზღვროთ.

**სამარხი N216 (ტაბ. XXII3).** სამარხში მიცვალებული დაუკრძალავთ ზურგზე გაშოტილი, ორიენტირებული OW მიმართულებაზე.

305. სამგლოვიარო გვირგვინი, ფურცლები (5ც.), ფურცლოვანი ოქრო. (GNM1-1-62:3774).

306. ბაგისსაფარი, ოქრო. ბოლოებზე გახვრეტილი. ეფინა პირზე. (GNM1-1-62:3775).

307. საყურე, ვერცხლი. მრგვალგანივკვეთიან ღეროზე სარდიონის კასრისებური ფორმის მძივია წამოცმული. ნაკლული. რკალის დიამეტრი - 2,3 სმ. (GNM1-1-62:3776).

308. მძივები. სარდიონი, მინა. (GNM1-1-62:3777).

N216 სამარხში აღმოჩენილი სამგლოვიარო გვირგვინის ფურცლები (ტაბ. XXII3, კატ. N305) მსგავსია ამავე სამაროვნის N189, 193, 51, 170, 215 და 231 სამარხებში აღმოჩენილი ასეთივე ფურცლებისა (ტაბ. XV, კატ. N103; ტაბ. XVI, კატ. N140; ტაბ. XIX1, კატ. N198; ტაბ. XX1, კატ. N231; ტაბ. XXII1, კატ. N287; ტაბ. XXII2, კატ. N299). სამარხები თანმხლები ინვენტარით ახ.წ. I საუკუნის ბოლო II საუკუნის დასაწყისით დათარიღდა. გამომდინარე იქედან, რომ სამარხში დამათარიღებელი ნივთი მხოლოდ სამგლოვიარო გვირგვინია, სამარხის თარიღს არაუგვიანეს ახ.წ. II საუკუნის დასაწყისით განვსაზღვრავთ.

**სამარხი N272 (ტაბ. XXII4).** ხის ძელებით ნაგები სამარხი ლურსმნებით იყო შეკრული. ჩონჩხი ესვენა ზურგზე, გაშოტილი და ორიენტირებული OW მიმართულებაზე. სამარხი გამართული იყო N265 სამარხის ქვეშ (ტაბ. XXXIV1).

309. მძივები. მინა, პასტა, ქარვა. (GNM1-1-63:4213, 4214, 4215).

310. ბეჭედი, ინტალიო. ბრინჯაო, მინა. მომწვანო თვალზე გამოსახულია არწივი. ბეჭდის დიამეტრი - 1,8 სმ, სიმაღლე - 2,2 სმ. (GNM1-გლ. ფ.1101). (ჯავახიშვილი 1972:32, კატ. 23).

311. ბეჭედი, ინტალიო. ბრინჯაო, მინა. მწვანე თვალზე გამოსახულია ფორტუნა. ბეჭდის დიამეტრი - 1,9 სმ, სიმაღლე - 2,4 სმ. (GNM1-გლ. ფ.1100). (ჯავახიშვილი 1972:32, კატ. 24).

N272 სამარხში აღმოჩენილი ბეჭდების გავრცელება უკავშირდება ახ.წ. I-II საუკუნეებს (ტაბ. XXII4, კატ. N310, 311) (ჯავახიშვილი 1972:32, კატ. 22, 23). გასათვალისწინებელია N272 სამარხის თავზე გამართული N265 სამარხი (ტაბ. XXXIV1), რომელიც ახ.წ. II-III საუკუნეების ინვენტარს შეიცავს (ტაბ. XXXIV1, კატ. NN668, 669). შედარებით ქრონოლოგიაზე დაყრდნობით და კონტექსტის გათვალისწინებით N272 სამარხი ახ.წ. II საუკუნეში (შესაძლოა დასაწყისში) უნდა გამართულიყო, ხოლო N265 სამარხი მას შემდეგ, დაახლოებით ახ.წ. II საუკუნის მიწურულში ან III საუკუნის დასაწყისში.

**სამარხი N57 (ტაბ. XXIII1).** სამარხი ნაგებობა ხის ძელებით ყოფილა ნაშენი, ხის კედლების ირგვლივ რიყის ქვები ეწყო. სამარხში ერთდროულად დაუკრძალავთ ზრდასრული ადამიანი და ბავშვი. ორივე ესვენა ზურგზე გაშოტილი, ორიენტირებული OW. სამარხი გამართული იყო N55 სამარხის ქვეშ (ტაბ. XXX5).

312. სანელსაცხებლე, მინა. მომწვანო, გამჭვირვალე, თავისუფლად ნაბერი, სქელკედლიანი. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი, ყელი მაღალი, უწესრიგოდ შედრეკილი მსხლისებური მუცლით, ძირი ბრტყელი. დეფორმირებული. სიმაღლე - 15,1 სმ, პირის დიამეტრი - 3,2 სმ. (GNM1-1-59:2287). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:69, კატ. 106).

313. სანელსაცხებლე, მინა. იისფერი, გამჭვირვალე, ფორმაში ნაბერი. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი, მუცელი შემკულია ვერტიკალური კანელურებით, რომელთაც ცენტრში კვეთს ორ ერთმანეთის პარალელურ რელიეფურ ზოლს შორის მოქცეული ვოლუტების ირგვლივი სარტყელი. დაბალქუსლიანი, ორყურა. სიმაღლე - 6,8 სმ. აღდგენილი, ნაკლული. (GNM1-1-59:2288). (საგინაშვილი 1970:49, კატ. 1).

314. მძივები. მინა, გიშერი, პასტა. (GNM1-1-59:2295, 2296, 2297).

315. ზარაკები, ბრინჯაო. (2 ცალი). ოთხწახნაგა, ყუნწიანი. რკინის ენით. ფუძეზე ოთხივე წიბოსთან შვერილი აქვს. სიმაღლე - 1,9-2,7 სმ, ფუძის ზომები - 1,7 სმX1,8-1,5X1,5 სმ. (GNM1-1-59:2291,2292).

316. ბეჭედი, ქალცედონი. კარგად დამუშავებული რკალი ოვალურ ფარაკში გადადის. დამეტრი 3 სმ, სიმაღლე - 2,6 სმ. (GNM1-1-59:2290).

317. სარკე, ბრინჯაო. წრიული ფორმის. დამტვრეული. (GNM1-1-59:2289).

318. ნიჟარა. გახვრეტილი. (GNM1-1-59:2294).

N57 სამარხში აღმოჩენილი მინის სანელსაცხებლეები (ტაბ. XXIII1, კატ. N312, 313) ახ.წ. I საუკუნის პირველი ნახევარით ან ზოგადად, ახ.წ. I საუკუნით თარიღდება (საგინაშვილი 1970:49, 69; კატ. N1, 106). ის ასევე მსგავსია ახ.წ. II საუკუნის დასაწყისით დათარიღებულ N54 სამარხში აღმოჩენილი სანელსაცხებლისა (ტაბ. XXIII2, კატ. N320). სამარხში აღმოჩენილი ზარაკები (ტაბ. XXIII1, კატ. N315) მსგავსია ამავე სამაროვნის ახ.წ. II-III საუკუნეებით დათარიღებულ N86, 112 და N248 სამარხებში აღმოჩენილი ზარაკებისა (ტაბ. XXXI1, კატ. N525; ტაბ. XXXI2, კატ. N531; ტაბ. XXXIV6, კატ. N714). ისინი

ტიპოლოგიური კლასიფიკაციის V ტიპს მიესადაგა და მათი გავრცელება ახ.წ. II საუკუნეს უკავშირდება (ჭანიშვილი, გამყრელიძე 2021:631). ქალცედონის ბეჭედი (ტაბ. XXIII$_1$, კატ. N316) მსგავსია ამავე სამაროვნის N96 სამარხში აღმოჩენილი ქალცედონის ბეჭდებისა (ტაბ. XXXVI$_9$, კატ. N833) და მოგვთაკარის სამაროვნის N6 სამარხში აღმოჩენილი ბეჭდებისა (სიხარულიძე, აბუთიძე 1985:124, კატ. N663). მათგან განსხვავებული, გრეხილრკალიანი ბეჭედი აღმოჩნდა N20 სამარხში (ტაბ. XX$_2$, კატ. N261). მსგავსი ტიპის ბეჭდები იმეორებს რომის იმპერიაში გავრცლებული ბეჭდების ფორმას, თუმცა მათზე დატანილი გამოსახულება სასანურია და არაუადრეს ახ.წ. III საუკუნით თარიღდება (რამიშვილი 2021:257-265). აღსანიშნავია, რომ ურბნისის სამაროვანზე აღმოჩენილი არცერთ ქალცედონის ბეჭედზე არაა გამოსახულება, ვვარაუდობთ, რომ ის იყო ნამზადი. N57 სამარხის თარიღისთვის გასათვალისწინებელია მის ზემოთ მდებარე N55 სამარხის კომპლექსი, რომელშიც დაფიქსირებული ინვენტარის ქვედა თარიღი ახ.წ. II საუკუნის მეორე ნახევარია. გამოდის, რომ N57 სამარხი მანამდე უნდა გამართულიყო. ვფიქრობთ, სამარხის გამართვის თარღი ახ.წ. I საუკუნის მიწურული და II საუკუნის პირველი ნახევარი უნდა იყოს.

**სამარხი N54 (ტაბ. XXIII$_2$).** აღმოჩნდა უშუალოდ N53 სამარხისა და N6 სამარხის ნაშთის ქვეშ. ნაშთის მიხედვით სამარხი ნაგებობა ხის ძელებისგან იყო აგებული. ხის ძელების ირგვლივ, სამხრეთ ნაწილში, რიყის ქვები ეწყო. მიცვალებული ესვენა ზურგზე, გაშოტილი. ორიენტირებული იყო თავით აღმოსავლეთით. ძვლები დაზიანებული იყო, თავი საერთოდ არ იყო.

319. ჭურჭელი, მინა. მოთეთრო-მოცისფრო. გამჭვირვალე, სქელკედლიანი, თავისუფლად ნაბერი. აღდგენილი. (GNM1-1-59:2271). ახ.წ. II საუკუნე (საგინაშვილი 1970:79, კატ. 157).

320. სანელსაცხებლე, მინა. მოცისფრო, გამჭვირვალე, სქელკედლიანი, თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი, ყელი მაღალი, მუცელი კონუსური. ძირი ბრტყელი, ოდნავ შედრეკილი. ეტყობა საბერავი მილის კვალი. სიმაღლე - 14,4 სმ, პირის დიამეტრი - 2,3 სმ, ძირის დიამეტრი - 1, 7 სმ. (GNM1-1-59:2270). ახ.წ. I-II საუკუნე (საგინაშვილი 1970:77, კატ. 149).

321. მძივები. გიშერი, პასტა, სარდიონი, მინა. მძივსაკიდი, მინა. ცისფერი. (GNM1-1-59:2275, 2276).

322. ზარაკები (2ც.), ბრინჯაო. კონუსური. სიმაღლე - 1,5-1,8 სმ, დიამეტრი - 1,6-1,9 სმ; (GNM1-1-59:2272, 2273).

323. საკინძისთავი, მინა. წაკვეთილი კონუსის ფორმის. ყვითელი და ყავისფერი, ირგვლივი ზოლებით. (GNM1-1-59:2276).

324. ბეჭედი, ინატლიო. ბრინჯაო, სარდიონი. ბეჭედში ჩასმულია სარდიონის თვალი ფორტუნას გამოსახულებით. ბეჭდის დიამეტრი - 1,7 სმ. (GNM1- გლ.ფ. N977). ახ.წ. I საუკუნის ბოლო - II საუკუნის დასაწყისი (ჯავახიშვილი 1972:46, კატ. 53).

325. ბეჭედი, ინტალიო. ბრინჯაო, სარდიონი. ბეჭედში ჩასმულია სარდიონის თვალი ღვთაება ჰიგიეიას გამოსახულებით. ბეჭდის დიამეტრი - 1,6 სმ. (GNM1- გლ.ფ. N975). ახ.წ. II საუკუნის მიწურული III საუკუნის დასაწყისი (ჯავახიშვილი 1972:66, კატ. 100).

326. ბეჭედი, ინტალიო. ბრინჯაო, მინა. თვალზე გამოსახულია ხელის ჩამორთმევა. ბეჭდის დიამეტრი - 1,7 სმ. (GNM1- გლ.ფ. N976). ახ.წ. I საუკუნის ბოლო - II საუკუნის დასაწყისი (ჯავახიშვილი 1972:47, კატ. 55).

327. ბეჭედი, ბრინჯაო. ოვალური თვალბუდით, ბუდეში ჩასმულია პასტის თვალი. ზომები: დიამეტრი - 2,1 სმ. (GNM1-1-59:2281).

328. ბეჭედი, ბრინჯაო. ოვალური თვალბუდით. (GNM1-1-59:2282).

329. ბეჭედი, ინტალიო. რკინა, მინა. თვალზე გამოსახულია ათენა. ბეჭედი დაზიანებულია. ინტალიოს სიგრძე - 0,8 მმ. (GNM1- გლ.ფ. N974). ახ.წ. I საუკუნის ბოლო - II საუკუნის დასაწყისი (ჯავახიშვილი 1972:47, კატ. 54).

330. ნივთი, ძვალი. მრგვალგანივკვეთიანი ღერო ერთი ბოლოსკენ ვიწროვდება. ფრაგმენტები. შერჩენილი სიგრძე - 15,3 სმ. (GNM1-1-59:2274). (კერესელიძე 1978:74, კატ. N245).

N54 სამარხში აღმოჩენილი მინის ჭურჭელი დათარიღებულია ახ.წ. I-II საუკუნეებით (ტაბ. $XXIII_2$, კატ. N319-320) (საგინაშვილი 1970:77, 79 კატ. 148, 157). ამავე პერიოდს უკავშირდება მინის საკინძისთავების გავრცელება (ტაბ. $XXIII_2$, კატ. N323) (Haevernick 1981:226). აქვე აღმოჩენილი თვალადი მძივი (ტაბ. $XXIII_2$, კატ. N321) ე.მ.

ალექსეევას კლასიფიკაციის 68-ე ტიპს მიესადაგა და ახ.წ. I-II საუკუნეებით თარიღდება (Алексеева 1975:44-45. таб. 14$_{23}$). ყველაზე გვიანდელი ნივთი სამარხში ბრინჯაოს ბეჭედია, რომელიც ახ.წ. II საუკუნის მიწურულით და III საუკუნის დასაწყისით დათარიღდა (ტაბ. XXIII$_{2}$, კატ. N329) (ჯავახიშვილი 1972:66). რაც შეეხება სამარხის სტრატიგრაფიას, ის გამართული იყო N53 სამარხისა და ნაშთი N6 სამარხის ქვეშ (ტაბ. XXV$_{1}$). N53 სამარხი უინვენტარო იყო, ხოლო სამარხის ნაშთი N6-ის ერთადერთ ინვენტარს შავპრიალა თიხის დოქი წარმოადგენდა (ტაბ. XXV$_{2}$, კატ. N377). ასეთივე, დაუდევრად ნაპრიალები, დოქებია აღმოჩენილი სამაროვნის ახ.წ. II საუკუნით დათარიღებულ N215 და N200 სამარხებში (ტაბ. XXII$_{1}$, კატ. N283; ტაბ. XXIV$_{1}$, კატ. N348). მსგავსი შავზედაპირიანი ჭურჭლების გავრცელების ზედა თარიღი ახ.წ. II საუკუნეა (ნარიმანიშვილი 2018:102). ჩვენ არ გამოვრიცხათ მათ უფრო გვიან დამზადებასაც, მაგრამ სამარხის ნაშთ N6-ში აღმოჩენილი დოქი გარკვეული ნიშნებით (სფერული მუცელი, ფართო ძირი, ყურის მოყვანილობა) მსგავსია ამავე სამაროვნის ახ.წ. II საუკუნის დასაწყისის N162 და ამავე საუკუნის მიწურულით დათარიღებული N84 სამარხებში აღმოჩენილი ჭურჭლებისა (ტაბ. XXV$_{1}$, კატ. N370; ტაბ. XXV$_{3}$, კატ. N378). გამოჩნდა, რომ N54 სამარხის სამარხეული ინვენტარი, გარდა კატ. N329 ბეჭდისა (ტაბ. XXIII$_{2}$), შეესაბამება არა უგვიანეს ახ.წ. II საუკუნეს. გლიპტიკური ძეგლების მკვლევარმა ქ. ჯავახიშვილმა ივარაუდა, რომ აღნიშნული ბეჭედი, შესაძლოა, N54 სამარხის თავზე გამართულ, N53 ან N6 სამარხის ნაშთს ეკუთვნოდა და შემთხვევით მოხვდა ახ.წ. II საუკუნის სამარხში (ჯავახიშვილი 1972:66). ჩვენ ვიზიარებთ რა მკვლევარის მოსაზრებას, გამოვთქვამთ ვარაუდს, რომ სამარხის ნაშთი N6-ის გამართვის თარიღი, აქვე აღმოჩენილი დოქის (ტაბ. XXV$_{2}$, კატ. N377) და თუნდაც, ბრინჯაოს ბეჭდის (ტაბ. XXIII$_{2}$, კატ. N329) ამავე სამარხში აღმოჩენის მიხედვით, არაუადრეს ახ.წ. II საუკუნის დასასრულია, ხოლო N54 სამარხი შედარებით ადრე, ახ.წ. II საუკუნის დასაწყისში უნდა გამართულიყო.

**სამარხი N229 (ტაბ. XXIII$_{3}$).** ჩონჩხი ესვენა ზურგზე, გაშოტილი. ორიენტირებული OW მიმართულებაზე.

331. სანელსაცხებლე, მინა. მწვანე, გამჭვირვალე, სქელკედლიანი, თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი, ყელი მაღალი, ცილინდრული, ტანი მსხლისებური. ძირი

ბრტყელი, ოდნავ შედრეკილი. აღდგენილი, ნაკლული. პირის დიამეტრი - 3,4 სმ, ძირის დიამეტრი - 2,4 სმ. (GNM1-1-62:3877). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:68, კატ. 99).

332. ბეჭედი, ინტალიო. ბრინჯაო, მინა. ბეჭედში ჩასმულ მინის თვალზე გამოსახულია მხედარი. ბეჭდის დიამეტრი - 1,8 სმ. (GNM1-გლ.ფ. 1074). ახ.წ. I-II საუკუნეები (ჯავახიშვილი 1972:82, კატ. 133).

N229 სამარხში აღმოჩენილი მინის სანელსაცხებლე (ტაბ. XXIII3, კატ. N331) დათარიღებულია ახ.წ. I საუკუნით (საგინაშვილი 1970:68, კატ. 99), თუმცა მსგავსი ტიპის მინის ჭურჭელი ურბნისის სამაროვნის ახ.წ. IV საუკუნით დათარიღებულ N238 სამარხშიც გვხვდება (ტაბ. XXXVII2, კატ. N850). როგორც ჩანს, ისინი დიდი ხნის განმავლობაში არსებობდა. სამარხში აღმოჩენილი ინტალიო, ანალოგიურ ბეჭდებთან მსგავსებით, ახ.წ. I-II საუკუნეებს მიაკუთვნეს (ტაბ. XXIII3, კატ. N332) (ჯავახიშვილი 1972:82, კატ. N133). ინტალიოს გამოსახულება იდენტურია ამავე სამაროვნის N189, N164, და N165 სამარხებში აღმოჩენილ ბეჭდებზე დატანილი გამოსახულებებისა (ტაბ. XV, კატ. N112; ტაბ. XXIII4, კატ. N336; ტაბ. XXIII5, კატ. N345). სამარხების თარიღი არ სცდება ახ.წ. II საუკუნეს, ამავე საუკუნის დასასრულს უნდა ეკუთვნოდეს N229 სამარხიც.

**სამარხი N164 (ტაბ. XXIII4).** სამარხი ნაგებობის გარეშე. ჩონჩხი ესვენა ზურგზე, გაშოტილი. ორიენტირებული OW მიმართულებაზე. სამარხი ბავშვს ეკუთვნოდა.

333. მძივსაკიდი. მინა. (GNM1-1-61:3318).

334. მძივები. მინა, პასტა, გიშერი. (GNM1-1-61:3318).

335. ბეჭედი, ინტალიო. ბრინჯაო, პასტა. ბრინჯაოს ბეჭედში ჩასმულ პასტის თვალზე გამოსახულია ათენა. ბეჭდის დიამეტრი - 1,4 სმ, სიმაღლე - 1,5 სმ. (GNM1, გლ.ფ. 1008). ახ.წ. II საუკუნის ბოლო და III საუკუნის დასაწყისი (ჯავახიშვილი 1972:66, კატ. 101).

336. ბეჭედი, ინტალიო. რკინა, მინა. ბეჭედში ჩასმულ მომწვანო მინის თვალზე გამოსახულია მხედარი. ბეჭდის დიამეტრი - 1,4 სმ, სიმაღლე - 1,5 სმ. (GNM1, გლ.ფ. 1008). ახ.წ. II საუკუნე (ჯავახიშვილი 1972:82, კატ. 134).

სამარხში აღმოჩენილი გლიპტიკური ნიმუშების (ტაბ. XXIII4, კატ. NN335, 336) თარიღი განსაზღვრულია ახ.წ. II საუკუნით ან ახ.წ. II საუკუნის ბოლოთი და III საუკუნის დასაწყისით (ჯავახიშვილი 1972:66, 82. კატ. N101, 134). გასათვალისწინებელია, რომ

მხედრის გამოსახულებიაანი ბეჭედი დაფიქსირებულია სამაროვნის ოთხ სამარხში (NN189, 229, 164, 165; ტაბ. XV, კატ. N112; ტაბ. $XXIII_3$, კატ. N332; ტაბ. $XXIII_4$, კატ. N336; ტაბ. $XXIII_5$, კატ. N345), მათგან N189 ახ.წ. I საუკუნის ბოლოთი ხოლო N229 სამარხი ახ.წ. II საუკუნით დათარიღდა. N165 სამარხში კი ისეთივე ორმაგრკალიანი მინის ბეჭედი აღმოჩნდა (ტაბ. $XXIII_5$, კატ. N346), როგორიც ახ.წ. II საუკუნის დასაწყისით დათარიღებულ N170 სამარხში (ტაბ. $XX_1$, კატ. N245). გაირკვა, რომ მხედრის გამოსახულებიანი ინტალიოები სამაროვნის იმ ჯგუფში აღმოჩნდა, სადაც თანმხლები ინვენატრის მიხედვით მათი თარიღი ახ.წ. II საუკუნეს არ სცდება. ვფიქრობთ, N164 სამარხის თარიღი ახ.წ. II საუკუნის დასასრულით უნდა განისაზღვროს.

**სამარხი N165 (ტაბ. $XXIII_5$).** ჩონჩხი იწვა ზურგზე, გაშოტილი. ორიენტირებული OW მიმართულებაზე.

337. საყურე, ბრინჯაო. წყვილი. მრგვალგანივკვეთიანი მავთულის ბოლოები შემსხვილებული და გახსნილია. დიამეტრი - 1,8 სმ. (GNM1-1-61:3325).

338. მძივსაკიდები (5ც). მინა, პასტა, გიშერი. (GNM1-1-61:3327).

339. მძივები. სარდიონი, მინა, პასტა, გიშერი. (GNM1-1-61:3326).

340. ზარაკები, ბრინჯაო (3ც.). ნახევარსფერული (2ც.), კონუსური (1ც.). ზოგიერთს შერჩენილი აქვს რკინის ენა. სიმაღლე -1,2-1,8სმ, დიამეტრი - 1,7-1,8 სმ. (GNM1-1-61:3328).

341. ბეჭედი, ინტალიო. ბრინჯაო, მინა. ბეჭდის ოვალურ თვალბუდეში ჩასმულ თვალზე გამოსახულია შიშველი ბიჭი. ბეჭდის დიამეტრი - 1,6 სმ, სიმაღლე - 1,8 სმ. (GNM1 გლ.ფ. 1011). ახ.წ. I-II საუკუნის დასაწყისი (ჯავახიშვილი 1972:31, კატ. 20).

342. ბეჭედი, ბრინჯაო. ბრტყელგანივკვეთიანი მავთული გადადის ოვალურ თვალბუდეში, რომელშიც ჩასმულია ყვითელი მინის თვალი. დიამეტრი - 1,9სმ; (GNM1-1-61:3323).

343. ბეჭედი, ბრინჯაო. ბრტყელგანივკვეთიანი რკალი ფარაკთან განიერდება, ფარაკს გასდევს განივი ღარი, რომელშიც წერტილებია. გატეხილია ორად. ნაკლული. (GNM1-1-61:3322).

344. ბეჭედი, ინტალიო. რკინა, პასტა. ბეჭდის თვალბუდეში ჩასმული ოვალური პასტის თვალზე გამოსახულია ოთხფეხა ცხოველი. ინტალიოს ზომები: 0,6X0,4 სმ. (GNM1 გლ.ფ. 1012). (ჯავახიშვილი 1972:31, კატ. 21).

345. ბეჭედი, ინტალიო. რკინა, მინა. თვალბუდეში ჩასმულ მომწვანო მინის თვალზე გამოსახულია მხედარი. ზომები: 1,1X0,8 სმ. (GNM1 გლ.ფ. 1040). (ჯავახიშვილი 1972:81, კატ. 132).

346. ბეჭედი, მინა. ყვითელი, გამჭვირვალე. ორმაგი რკალის ბოლოები ერთმაენთზე გადადის. აღდგენილი. დიამეტრი - 1,8 სმ. (GNM1-1-61:3324).

347. ნიჟარები (10ც.). (GNM1-1-61:3329).

N165 სამარხში აღმოჩენილი ინტალიოების თარიღი განსაზღვრულია ახ.წ. I-II საუკუნეებით (ტაბ. XXIII5, კატ. N341, 344-345) (ჯავახიშვილი 1972:31, 81. კატ. 20,21,132). ინტალიოები მხედრის გამოსახულებით ოთხ სამარხში (N189, 229, 164, 165) დაფიქსირდა (ტაბ. XV, კატ. N112; ტაბ. XXIII3, კატ. N332; ტაბ. XXIII4, კატ. N336; ტაბ. XXIII5, კატ. N345)). N189, 229 და N164 სამარხების თარიღი არ სცდება ახ.წ. II საუკუნეს. აგრეთვე, N165 სამარხში ნაპოვნი ორმაგრკალიანი ყვითელი მინის ბეჭდის (ტაბ. XXIII5, კატ. N346) ზუსტი ანალოგი ნაპოვნია ამავე სამაროვნის N170 სამარხში (ტაბ. XX1, კატ. N245), რომლის თარიღიც ასევე ახ.წ. I საუკუნის ბოლო - II საუკუნის დასაწყისია. ვფიქრობთ, N165 სამარხი ახ.წ. II საუკუნით განისაზღვროს.

**სამარხი N200 (ტაბ. XXIV1).** სამარხის იატაკი ხის ძელებით იყო ნაგები. ხის ძელებით ნაშენი სამარხის კედლები ლურსმნებით შეუკრავთ. ჩონჩხი ესვენა ზურგზე გაშოტილი და ორიენტირებული იყო OW მიმართულებაზე.

348. დოქი, თიხა. შავპრიალა, სამტუჩა, სფერულმუცლიანი, ფართო, ბრტყელი ძირით, ცალყურა. აღდგენილი, ნაკლული, მოტეხილი აქვს პირ-ყელი და ყური. სიმაღლე - 16,5 სმ, ძირის დიამეტრი - 10 სმ. (GNM1-1-62:3712).

349. სანელსაცხებლე, მინა. იასამნისფერი, გამჭვირვალე, თავისუფლადნაბერი. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი, ყელი ცილინდრული, ძირი ბრტყელი, ოდნავ შეზნექილი. ორყურა. ფიგურული ყურები მიმაგრებულია ყელსა და მხარზე. აღდგენილი, ნაკლული.

სიმაღლე - 7,4 სმ, ძირის დიამეტრი - 1,5. (GNM1-1-62:3713). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:60, კატ. 58).

350. მძივები. გიშერი, სარდიონი, მინა. GNM1-1-62:3716).

351. სამაჯური, ბრინჯაო. მრგვალგანივკვეთიანი ღერო ორმაგ მავთულში გადადის და ბოლოებ გადახვეულია. დიამეტრი - 7,3 სმ; (GNM1-1-62:3714).

352. ბეჭედი, ინტალიო. რკინა, მინა. რკინის ბეჭედში ჩასმულია თვალი, რომელზეც გამოსახულია ჰერმესი. ბეჭედი დაზიანებულია. ინტალიოს სიგრძე - 1,3 სმ, სიგანე - 1 სმ. (GNM1-1-62:3715, გლ.ფ. N1058). ახ.წ. I-II საუკუნის დასაწყისი (ჯავახიშვილი 1972:35, კატ. N31).

სამარხში აღმოჩენილი დოქი (ტაბ. $XXIV_1$, კატ. N348) თიხის ფაქტურით და ფორმით (დაუდევრად ნაპრიალები, შავი ზედაპირი; სფერულმუცლიანი, ფართო ბრტყელი ძირი) მსგავსია ამავე სამაროვნის N187, 215, სამარხის ნაშთ N6 და N84 სამარხებში აღმოჩენილი დოქებისა (ტაბ. $XIV_3$, კატ. N80; ტაბ. $XXII_1$ კატ. N283; ტაბ. $XXV_2$, კატ. N377; ტაბ. $XXV_3$, კატ. N378). სამარხეული ინვენტარის და ზოგ შემთხვევაში სტრატიგრაფიული მონაცემების გათვალისწინებით აღნიშნული სამარხების თარიღი არ სცილდება ახ.წ. II საუკუნეს. N200 სამარხის მინის სანელსაცხებლე დათარიღებულია ახ.წ. I საუკუნით (ტაბ. $XXIV_1$, კატ. N349) (საგინაშვილი 1970:60, კატ. N58), ახ.წ. I - II საუკუნის დასაწყისით დათარიღებულია გლიპტიკური ნიმუში (ტაბ. $XXIV_1$, კატ. N352) (ჯავახიშვილი 1972:35-36, კატ. N31). ბოლოებგადახვეული ბრინჯაოს სამაჯურს სამაროვანზე ანალოგი არ აქვს (ტაბ. $XXIV_1$, კატ. N351), თუმცა მსგავსი ტიპის სამკაული ფართოდაა გავრცელებული გვიანანტიკურ ხანაში, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ისინი აღმოჩენილია ცხეთაში, აღაიანში, სამთავროში, არმაზისხევში, კლდეეთში, აზერბაიჯანში, რუმინეთში და სხვ. (სულავა 2014:87). აქვე აღვნიშნავთ, რომ ასეთივე ტიპის ოქროს სამაჯური აღმოჩნდა ახ.წ. 200-250 წლებით დათარიღებულ ზღუდერის N1 და N2 სარკოფაგებში (ბრაუნდი ... 2009:40,50) და არმაზისხევის ახ.წ. II-III საუკუნეების ერისთავთა სამარხში (აფაქიძე ... 1955:22-59, ტაბ. LXXXVII). ვფიქრობთ, N200 სამარხის თარიღის ახ.წ. II საუკუნის დასაწყისით განსაზღვრა სავსებით მისაღებია.

**სამარხი N218 (ტაბ. XXIV₂).** სამარხის იატაკი ხის ძელებით იყო ნაგები. ხის ძელებით ნაშენი სამარხის კედლები ლურსმნებით შეუკრავთ. ჩონჩხი ესვენა ზურგზე გაშოტილი და ორიენტირებული იყო OW მიმართულებაზე.

353. დოქი, თიხა. შავად გამომწვარი. პირი გადაშლილი, ბაკომომრგვალებული, მუცელი სფერული, ძირი ბრტყელი, ცალყურა. ბრტყელგანივკვეთიანი ყური მიძერწილია პირის კიდესა და მხარზე. პირთან მიერთების ადგილი ოდნავ შემაღლებულია. სიმაღლე - 16,8 სმ, პირის დიამეტრი - 5,7- 6,3 სმ, ძირის დიამეტრი - 10,4 სმ. (GNM1-1-62:3780).

354. ჭურჭელი, მინა. მწვანე გამჭვირვალე, სქელკედლიანი, თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი, ყელი მაღალი, მუცელი კონუსური. ძირი ბრტყელი, შედრეკილი. სიმაღლე - 13,5 სმ, პირის დიამეტრი - 4 სმ, ძირის დიამეტრი - 6 სმ. (GNM1-1-62:3781). ახ.წ. I-II საუკუნე (საგინაშვილი 1970:79, კატ. 155).

355. სანელსაცხებლე, მინა. მწვანე, გამჭვირვალე, თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი. ყელი ცილინდრული, ძირი ბრტყელი. დამტვრეული. პირის დიამეტრი - 2,2 სმ. (GNM1-1-62:3782).

356. საკიდები. ბრინჯაო, სარდიონი, ქვა, მინა, ფაიანსი, ნიჟარა. (GNM1-1-62:3793, 3794, 3795, 3796, 3797, 3799, 3800).

357. მძივები. ბრინჯაო, სარდიონი, მთის ბროლი, მინა, პასტა, გიშერი, ქარვა. (GNM1-1-62:3798).

358. ზარაკი, ბრინჯაო. (3 ც.). ნახევარსფერული. ნამტვრევები. (GNM1-1-62:3801).

359. საკინძი, ბრინჯაო. დამტვრეული. შემორჩენილია ოვალური მოყვანილობის თავი. (GNM1-1-62:3785).

360. საკინძისთავი, მინა. მწვანე, წაკვეთილი კონუსის ფორმის. სიმაღლე - 1 სმ, დიამეტრი - 2,2 სმ. (GNM1-1-62:3802).

361. ბეჭედი, ინტალიო. ბრინჯაო, ქალცედონი. ქვაზე გამოსახულია ფორტუნა. ბეჭდის დიამეტრი - 1 სმ, სიმაღლე - 2 სმ. (GNM1-გლ.ფ. 1067). ახ.წ. I-II საუკუნეები (ჯავახიშვილი 1972:44, კატ. 49).

362. ბეჭედი, ინტალიო. ბრინჯაო, სარდიონი. გამოსახულია ფორტუნა. ბეჭდის დიამეტრი - 1,6 სმ. (GNM1-გლ.ფ. 1068). ახ.წ. II საუკუნე (ჯავახიშვილი 1972:45, კატ. 50).

363. ბეჭედი, ბრინჯაო. ბრტყელგანივკვეთიანი რკალი გადადის ოვალურ თვალბუდეში, რომელშიც ჩასმულია გრანატის თვალი. რკალი ნაკლულია. ბეჭდის დიამეტრი - 1,9 სმ. (GNM1-1-62:3789).

364. ბეჭედი, ბრინჯაო. ფარაკიანი. დიამეტრი - 1,8 სმ, სიმაღლე - 1,8 სმ. (GNM1-1-62:3790).

365. ბეჭედი, ბრინჯაო. ფარაკიანი. (GNM1-1-62:3791).

366. ბეჭედი, ინტალიო. რკინა, სარდიონი. გამოსახულია ძაღლი. (GNM1-გლ.ფ. 1069) (ჯავახიშვილი 1972:34, კატ. 51).

367. საბეჭდავები (2ც.), პასტა. სკარაბეი. სიგრძე - 1,4 სმ, სიგანე - 1 – 1,1 სმ, სიმაღლე - 0,8-1 სმ. (GNM1-გლ.ფ. 1070, 1071). ახ.წ. I საუკუნის მეორე ნახევარი - II საუკუნე (ჯავახიშვილი 1972:83, კატ. 136).

368. სარკე, ბრინჯაო. წრიული, დამტვრეული. (GNM1-1-62:3783).

369. ნემსი, ბრიჯაო. სიგრძე - 4,4 სმ. (GNM1-1-62:3784).

N218 სამარხში აღმოჩენილი მინის საკინძისთავის (ტაბ. XXIV$_2$, კატ. N360), მინის ჭურჭლის (ტაბ. XXIV$_2$, კატ. N354) და გლიპტიკური ნაწარმის (ტაბ. XXIV$_2$, კატ. N361, 362) გავრცელება დაკავშირებულია ახ.წ. I-II საუკუნეებთან (Haevernick 1981:226; საგინაშვილი 1970:79, კატ. 155; ჯავახიშვილი 1972:44, 45, 83). სამარხში აღმოჩენილი ფაიანსის საკიდი გენიტალიების გამოსახულებით ამავე პერიოდს მოიცავს (ტაბ. XXIV$_2$, კატ. N356) (Алексеева 1975:47, таб. 7$_{28-30}$). მსგავსი საკიდი აღმოჩენილია ამავე სამაროვნის N86 სამარხში, რომლის თარიღიც თანმხლები ინვენტარით ახ.წ. II საუკუნით განისაზღვრა.

**სამარხი N162 (ტაბ. XXV$_1$).** სამარხის იატაკი ხის ძელებით იყო ნაგები, ხის მასალით ამოუშენებიათ და რკინის ლურსმნებით შეუკრავთ სამარხის გვერდები. ჩონჩხი იწვა ზურგზე, გაშოტილი, ორიენტირებული OW მიმართულებაზე.

370. დოქი, თიხა. ხელადა თიხისა, მოწითალოდ გამომწვარი, პირი გადაშლილი, ბაკომომრგვალებული, მუცელი სფერული, ძირი ბრტყელი, ცალყურა. ბრტყელგანივკვეთიანი ყური მიმაგრებულია პირის კიდესა და მხარზე. პირთან მიმაგრების ადგილი შემსხვილებულია. სიმაღლე - 15,8 სმ, პირის დიამეტრი - 7,6 სმ, ძირის დიამეტრი - 10 სმ. (GNM1-1-61:3304).

371. საყურეები, ბრინჯაო. წყვილი. წვრილი მრგვალგანივკვეთიანი მავთული. დამტვრეული. დიამეტრი - 1,8 სმ. (GNM1-1-61:3308).

372. საკიდი, მინა. (GNM1-1-61:3305).

373. მძივები. მინა, პასტა. (GNM1-1-61:3305).

374. ბეჭედი, ინტალიო. ბრინჯაო, მინა. ყვითელი. გამოსახულია ფრთოსანი ნიკე. ინტალიოს ზომები: 0,8X0,6სმ (GNM1 გლ.ფ. 1007). ახ.წ. I საუკუნე-II საუკუნის დასაწყისი (ჯავახიშვილი 1972:30, კატ. 19).

375. კაჟი, ობსიდიანი. (GNM1-1-61:3309).

376. ლურსმნები, რკინა. დამტვრეული. ერთ-ერთის ზომა: სიგრძე-6,8 სმ; თავის ზომა-2,4 სმ; (GNM1-1-61:3306).

თიხის დოქის (ტაბ. XXV$_1$, კატ. N370) ანალოგი აღმოჩენილია ბამბების სამაროვანზე, რომელიც თარიღდება ძვ.წ. I საუკუნის მეორე ნახევრით (ხახუტაიშვილი 1964:69-82, ტაბ. XXXII-11). აგრეთვე, კარსნისხევის სამაროვნის N35-ე სამარხში, რომელიც დათარიღებულია ახ.წ. II საუკუნით და არაუგვიანეს ახ.წ. III საუკუნის პირველი ნახევრით (ნიკოლაიშვილი 1993:82, 85; ტაბ. CVIII$_1$). შესამჩნევია ერთი დეტალი ჭურჭლის აგებულებაში, ოვალურგანივკვეთიანი ყური პირთან მიერთების ადგილას შემსხვილებულია და სცდება პირს. ამ ნიშნით ის იდენტურია ამავე სამაროვნის სამარხის ნაშთი N6 და N84 სამარხის დოქების (ტაბ. XXV$_{2,3}$, კატ. N377, 378), რომელთა თარიღი არ სცდება ახ.წ. II საუკუნეს. ბეჭედ-ინტალიოს გავრცელების ზედა თარიღი ახ.წ. II ს. დასაწყისია (ტაბ. XXV$_1$, კატ. N374) (ჯავახიშვილი 1972:30-31, კატ. N19). ამასთან, მსგავსი ბეჭდები აღმოჩენილია ამავე სამაროვნის N189, 172, 256 სამარხებში (ტაბ. XV, კატ. N111; ტაბ. XXVI, კატ. N409; ტაბ. XVIII$_1$, კატ. N434) რომელსაც თანმხლები ინვენტარით ვაერთიანებთ ჩვენი კლასიფიკაციის II ქრონოლოგიურ ჯგუფში (ახ.წ. I საუკუნის ბოლო - II საუკუნე) და ვათარიღებთ არაუგვიანეს ახ.წ. II საუკუნით. მიგვაჩნია, რომ სამარხეული ინვენტარის მსგავსება შედარებით ადრეული ხანის ნივთებთან სამარხის თარიღს ახ.წ. II საუკუნით განსაზღვრავს.

**სამარხი N6 ნაშთი (XXV2).** აღმოჩნდა N53 სამარხის ოდნავ მაღლა სამხრეთით. ჩანს N53 სამარხი ორმოს ამოღების დროს დაზიანდა და დარჩენილი იყო მხოლოდ მივცალებულის თავი.

377. დოქი, თიხა. შავპრიალა. სამტუჩა, ცილინდრული ყელი, სფერული მუცელი, ბრტყელი ძირი. ბრტყელგანივკვეთიანი ყური დაძერწილია პირის კიდესა და მხარზე, პირის კიდესთან მიერთების ადგილი შემსხვილებულია. აღდგენილი, ნაკლული. სიმაღლე - 18,5 სმ, ძირის დიამეტრი - 10,5 სმ (GNM1-1-59:2269).

თიხის დოქის (ტაბ. XXV2, კატ. N377) აგებულება ამავე სამაროვნის N187, 215, 200 და N84 სამარხების დოქებს გარკვეული ნიშნებით აერთიანებს (ტაბ. XIV3, კატ. N80; ტაბ. XXII1, კატ. N283; ტაბ. XXIV1, კატ. N348; ტაბ. XXV3, კატ. N378). მათი თარიღი ახ.წ. II საუკუნის დასაწყისითაა განსაზღვრული. გათვალისწინებულია მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ძვ.წ. I საუკუნის მეორე ნახევარი - ახ.წ. II საუკუნეებში შავად გამომწვარი ჭურჭლის ზედაპირი დაუდევრად არის გაპრიალებული (ნარიმანიშვილი 2018:102), ისევე როგორც კატ. N377 ჭურჭლისა. დოქი ფორმით მსგავსია აგრეთვე ამავე სამაროვნის N162 და N84 სამარხებში აღმოჩენილი დოქებისა (ტაბ. XXV1, კატ. N370; ტაბ. XXV3, კატ. N378), რომლებიც პარალელური მასალის მიხედვით (ზამზების სამაროვანი, კარსნიხევის სამაროვანი) ახ.წ. II საუკუნის დასაწყისით დავათარიღეთ (ხახუტაიშვილი 1964:69-82, ტაბ. XXXII11; ნიკოლაიშვილი 1993:82,85, ტაბ. CVIII1). სამარხის ნაშთ N6-ის ქვეშ გაითხარა ახ.წ. I-II საუკუნეების ინვენტარის შემცველი N54 სამარხი (ტაბ. XXIII2), რომელიც სტრატიგრაფიული მონაცემების და სამარხეული ინვენტარის გათვალისწინებით მივაკუთვნეთ ახ.წ. II საუკუნის დასაწყისს. ვფიქრობთ, N6 სამარხის ნაშთი ახ.წ. II საუკუნის დასასრულით უნდა დათარიღდეს.

**სამარხი N84 (ტაბ. XXV3).** სამარხი ხის ძელებით იყო ნაგები. მიცვალებული იწვა ზურგზე გაშოტილი, ორიენტირებული OW მიმართულებაზე.

378. დოქი, თიხა. შავპრიალა. სამტუჩა, ყელი ცილინდრული, სფერული მუცლით, ძირი ფართო და ბრტყელი, ცალყურა. ბრტყელგანივკვეთიანი ყური მიძერწილია პირსა და მუცელზე. სიმაღლე - 12,4 სმ, ძირის დიამეტრი – 7,6 სმ.(GNM1-1-59:2438).

379. სანელსაცხებლე, მინა. მომწვანო, გამჭვირვალე, სქელკედლიანი, თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი, ყელი მაღალი, მუცელი კონუსური, ძირი ბრტყელი. სიმაღლე - 15 სმ, პირის დიამეტრი - 4,2 სმ, ძირის დიამეტრი - 5,5 სმ. აღდგენილი. (GNM1-1-59:2439). I საუკუნე (საგინაშვილი 1970:67, კატ. 96).

380. მძივები. გიშერი, ქარვა. (GNM1-1-59:2440).

381. ბეჭედი, ინტალიო. ბრინჯაო, მინა. პირზე გამოსახულია დაჩოქილი ირემი. ბეჭდის დიამეტრი - 1,7 სმ. (GNM1-გლ. ფ. 983). ახ.წ. I საუკუნე-II საუკუნის დასაწყისი (ჯავახიშვილი 1972:36, კატ. 33).

382. ბეჭედი, ინტალიო. ბრინჯაო, მინა. პირზე გამოსახულია მამაკაცი მშვილდით. ბეჭდის დიამეტრი - 1,5 სმ (GNM1-გლ. ფ. 985). ახ.წ. I-II საუკუნეები (ჯავახიშვილი 1972:37, კატ. 34).

383. ბეჭედი. ბრინჯაო, მინა. ბეჭედი გატეხილია, გამოსახულება გაურკვეველია. (GNM1-გლ. ფ. 984).

384. ბეჭედი, ბრინჯაო. წვრილი მავთულოვანი რკალი განიერდება და ოვალურ თვალბუდეში გადადის. ბეჭედს თვალი არ ახლავს. ზომები:1,8X1,8 სმ. (GNM1-1-59:2444).

385. ბეჭედი, ბრინჯაო. წვრილი მავთულისა, რკალი განიერდება და გადადის ოვალურ თვალბუდეში. თვალი არ ახლავს. ზომები: სიგანე 1,9 სმ. ნაკლული. (GNM1-1-59:2446).

386. ბეჭედი, ბრინჯაო. ნაკლული. (GNM1-1-59:2445).

სამარხში აღმოჩენილი ყველაზე გვიანდელი ნივთი ინტალიოა, რომლის გავრცელება ახ.წ. I-II საუკუნეებს უკავშირდება (ტაბ. XXV$_3$, კატ. NN381, 382) (ჯავახიშვილი 1972:36-37, კატ. 33, 34). აღნიშნულ თარიღს არ ეწინააღმდეგება სამარხში ნაპოვნი მინის სანელსაცხებლე (ტაბ. XXV$_3$, კატ. N379) (საგინაშვილი 1970:67, კატ. 96) და თიხის დაუდევრად ნაპრიალები დოქი (ტაბ. XXV$_3$, კატ. N378) (ნარიმანიშვილი 2018:102), რომელიც ამ ნიშნით ჰგავს ურბნისის სამაროვნის ახ.წ. I-II საუკუნის დასაწყისით დათარიღებულ სამარხებში აღმოჩენილ დოქებს (N187, 215, 200; ტაბ. XIV$_3$, კატ. N80; ტაბ. XXII$_1$, კატ. N283; ტაბ. XXIV$_1$, კატ. N348). დოქის ყური პირთან მიერთების ადგილას შემსხვილებულია, რითაც ის ემსგავსება ზამბების და კარსნისხევის სამაროვნებზე აღმოჩენილ ახ.წ. II არაუგვიანეს III საუკუნის დასაწყისით დათრიღებულ დოქებს

(ხახუტაიშვილი 1964:69-82, ტაბ. XXXII11; ნიკოლაიშვილი 1993:82,85, ტაბ. CVIII1). ასეთივე ყური ახასიათებს ურბნისის სამაროვნის ახ.წ. II საუკუნის დასაწყისის N162 სამარხსა და ახ.წ. II საუკუნის მიწურულით დათარიღებულ, სამარხის ნაშთ N6-ში აღმოჩენილი დოქებს (ტაბ. XXV1, კატ. N370; ტაბ. XXV2, კატ. N377). N84 სამარხის დოქს (ტაბ. XXV3, კატ. N378)დაბალი, დაწეული მუცელი აქვს, რომლის მსგავსი სამაროვანზე არ აღმოჩენილა. სამარხეული ინვენტარის თარიღები და მოყვანილი ანალოგები სამარხს ახ.წ. II საუკუნით განსაზღვრავს.

**სამარხი N258 (ტაბ. XXVI1).** სამარხში ორი მიცვალებული ესვენა ზურგზე, გაშოტილი, ორიენტირებული OW მიმართულებაზე.

საველე არქეოლოგიურ დღიურებსა და სამუზეუმო წიგნებში დაცულია ინფორმაცია, სადაც ძნელი გასაგებია რომელი ნივთი რომელ ჩონჩხს ეკუთვნოდა. ერთის მხრივ, ნახსენებია ჩრდილოეთით მდებარე ჩონჩხი, მეორეს მხრივ, მარცხენა ან მარჯვენა ჩონჩხი, სხვა შემთხვევაში კი, ქალი ან მამაკაცი. ბუნებრივია ვერ ვივარაუდებთ ქალის ან მამაკაცის ჩონჩხი მარჯვენა იყო, მარცხენა, თუ ჩრდილოეთით მდებარე, ამიტომ, გადავწყვიტეთ უცვლელად შემოგვეთავაზებინა დოკუმენტებში დაცული ინფორმაცია, თუ რომელ ინდივიდს ახლდა კონკრეტული ნივთი.

387. დოქი, თიხა. ჩალისფერკეციანი. სამტუჩა, ბაკომომრგვალებული, ელიფსოიდური ფორმის მუცლით, ბრტყელძირა, ცალყურა. ბრეტყელგანივკვეთიანი ყური მიძერწილია პირის კიდესა და მხარზე, პირთან მიერთების ადგილი ოდნავ შემაღლებულია. სიმაღლე - 28,2 სმ, ძირის დიამეტრი - 16,2 სმ. აღმოჩნდა ჩრდილოეთ ჩონჩხთან. (GNM1-1-63:4114).

388. სანელსაცხებლე, მინა. ღვინისფერი, გამჭვირვალე, ფორმაში ნაბერი. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი, ყელი ცილინდრული, ძირი ბრტყელი ოდნავ შედრეკილი, ცალყურა. ფიგურული ყური მიმლღვალი ყელსა და მხარზე, მუცელი შემკულია მინის ძაფებით. აღდგენილი, ნაკლული. ძირის დიამეტრი - 2,8 სმ. იდო ორ ჩონჩხს შორის. (GNM1-1-63:4115). ახ.წ. I-II საუკუნეების მიჯნა (საგინაშვილი 1970:80, კატ. 159).

389. სანელსაცხებლე, მინა. ცისფერი, გამჭვირვალე, სქელკედლიანი, თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი, ყელი მაღალი, მუცელი კონუსური, ძირი ბრტყელი. ნაკლული, პირმოტეხილი. სიმაღლე - 8,8 სმ, ძირის დიამეტრი - 3,7 სმ. (GNM1-1-63:4116).

I საუკუნის ბოლო - II საუკუნის დასაწყისი. აღმოჩნდა მარცხენა ჩონჩხთან (საგინაშვილი 1970:73, კატ. 127).

390. სანელსაცხებლე, მინა. ყვითელი, გამჭვირვალე, თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი ჩაკეცილი, ყელი ცილინდრული, ძირი შედრეკილი. დამტვრეული. პირის დიამეტრი - 2,1 სმ, ძირის დიამეტრი - 2 სმ. აღმოჩნდა მარცხენა ჩონჩხთან (GNM1-1-63:4117). II საუკუნე (საგინაშვილი 1970:80, კატ. 162).

391. საყურე, ოქრო. წყვილი. მრგვალგანივკვეთიან მავთულზე უძრავად მირჩილულია ბურთულებისგან შედგენილი მტევანი. ქალს ეკუთვნოდა (GNM1-1-63:4131).

392. საკიდები, ბრინჯაო. ფრინველების და ცხოველების ქანდაკებები. (4 ც.) სიმაღლე - 1,6-2,5 სმ, სიგრძე-2,7 სმ. ქალს ეკუთვნოდა. (GNM1-1-63:4120, 4126, 4127).

393. საკიდები (2ც.), ბრინჯაო. ოთხი სალტისგან შედგენილი, ბიკონუსური ფორმის, ყუნწიანი. ერთ მათგანს სალტეებზე კოპები აქვს. სიგრძე-2,7-2,8 სმ. ქალს ეკუთვნოდა. (GNM1-1-63:4123, 4124).

394. საკიდები, ბრინჯაო. (2 ც.). წრიული ფორმის, ფირფიტოვანი, გამოსახულებით. დიამეტრი - 2 სმ. დამღიანი. ქალს ეკუთვნოდა. (GNM1-1-63:4121,4122).

395. მძივები, მინა. ქალს ეკუთვნოდა. (GNM1-1-63:4129).

396. ზარაკი, ბრინჯაო. ოთხწახნაგა, წვეროებზე შვერილები აქვს. სამკუთხედებით დაფანჯრული. ყუნწიანი. სიმაღლე - 3,2 სმ, ფუძის ზომები:1,9X1,9 სმ. ქალს ეკუთვნოდა. (GNM1-1-63:4125).

397. ზარაკი, ბრინჯაო. კონუსური, სამკუთხედებით დაფანჯრული, ყუნწიანი. სიმაღლე-2,2 სმ. აღმოჩნდა მარჯვენა ჩონჩხთან. (GNM1-1-63:4118).

398. ბეჭედი, ინტალიო. ბრინჯაო, მინა. გამოსახულია ღვთაება ასკლეპიოსი. ბეჭედი დაჟანგულია. ბეჭდის დიამეტრი - 2 სმ, სიმაღლე - 2,5 სმ. ინტალიოს ზომები: 1,4X1,1 სმ. ეკეთა მამაკაცს მარცხენა ხელის თითზე (GNM1 გლ. ფ. 1092). ახ.წ. II საუკუნეზე ადრეული (ჯავახიშვილი 1972:53-54, კატ. 68).

399. ბეჭედი, ინტალიო. რკინა, სარდიონი. გამოსახულია მოცეკვავე ქალი. ინტალიოს ზომები: 1,7X1,2 სმ. (GNM1 გლ. ფ. 1093). (ჯავახიშვილი 1972:53, კატ. 67).

400. ბეჭედი, ინტალიო. რკინა, იასპი. გამოსახულია მორიელი. ბეჭედი დაჟანგული. ინტალიოს სიგანე - 1 სმ. აღმოჩნდა ხელის თითებთან. (GNM1 გლ. ფ. 1095). ახ.წ. II საუკუნე (ჯავახიშვილი 1972:53-54, კატ. 70).

401. ინტალიო, სარდიონი. გამოსახულია დემეტრა. აღმოჩნდა ქალის ჩონჩხთან (GNM1 გლ. ფ. 1094). ახ.წ. II საუკუნე (ჯავახიშვილი 1972:53, კატ. 69).

402. მონეტა, ვერცხლი. ავგუსტუსის. ქარონის ობოლი. ქალს ეკუთვნოდა. (GNM1-1-63:4130).

403. რგოლი, ბრინჯაო. დიამეტრი - 2,5 სმ. ქალს ეკუთვნოდა. (GNM1-1-63:4119).

404. ძეწკვი, რკინა. დაჟანგული. რგოლების დიამეტრი - 1 სმ. ქალს ეკუთვნოდა. (GNM1-1-63:4128).

405. დანა, რკინა. ყუნწიანი. დამტვრეული. აღმოჩნდა მამაკაცის ჩონჩხთან. (GNM1-1-63:4136).

სამარხში აღმოჩენილი დოქი (ტაბ. XXVI$_1$, კატ. N387) თიხის ჭურჭლის ქრონოლოგიური კლასიფიკაციის VII ქრონოლოგიურ ჯგუფს მიესადაგა, რომელიც ახ.წ. I-II საუკუნეებს შეესაბამება (ნარიმანიშვილი 2018:116, ტაბ. XXXVII, 15). N258 სამარხში აღმოჩენილი მინის ჭურჭელი არაუგვიანეს ახ.წ. II საუკუნითაა დათარიღებული (ტაბ. XXVI$_1$, კატ. N388, 389) (საგინაშვილი 1970:73, 80 კატ. 127, 159, 162). აღნიშნულ თარიღს იზიარებს ინტალიოები (ტაბ. XXVI$_1$, კატ. N398-400) (ჯავახიშვილი 1972:52-54, კატ. N67, 68, 69, 70). სამარხში აღმოჩენილი ოქროს საყურე (ტაბ. XXVI$_1$, კატ. N391) ანალოგიურია ამავე სამაროვნის ახ.წ. III საუკუნის N273 და N73 სამარხებში ნაპოვნი საყურეებისა (ტაბ. XXXIII$_3$, კატ. N642, 693). მსგავსი ტიპის საყურეების აღმოჩენა ხშირია გვიანანტიკური ხანის სამაროვნებზე. ახ.წ. II საუკუნით თარიღდება სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი ასეთივე საყურეები (ჯალაბაძე ... 2019:15, კატ. 30, 31), ახ.წ. II-III საუკუნის დასაწყისით თარიღდება კარსნისხევის სამაროვანი, რომლის N32 სამარხში მსგავსი საყურე აღმოჩნდა (აფაქიძე ... 1978:53, სურ. 325, 326; ნიკოლაიშვილი 1993:79, ტაბ. CV$_3$, CVI$_7$). სამარხეული ინვენტარის მიხედვით, ვფიქრობთ, სამარხი ახ.წ. II საუკუნის დასასრულში გამართეს და მასში ერთდროულად დაკრძალეს მიცვალებულებიც.

**სამარხი N256 (ტაბ. XXVI2).** სამარხის იატაკი ხის ძელებით იყო ნაგები. ხის ძელებით ნაშენი სამარხის კედლები ლურსმნებით შეუკრავთ. ჩონჩხი ესვენა ზურგზე გაშოტილი და ორიენტირებული იყო OW. სამარხის თავზე გამართული იყო N248 სამარხი (ტაბ. XXXIV6).

406. დოქი, თიხა. ჩალისფრად გამომწვარი, პირი გადაშლილი, ბაკომომრგვალებული, ყელი დაბალი, მუცელი ელიფსოიდური, ძირი ბრტყელი, ცალყურა. ყური მიერთებულია პირის კიდესა და მხარზე. სიმაღლე - 28,3 სმ, პირის დიამეტრი - 11 სმ, ძირის დიამეტრი - 14,5 სმ. (GNM1-1-63:4108).

407. მძივები. სარდიონი, მინა, პასტა, გიშერი. (GNM1-1-63:4111).

408. საკინძი, ბრინჯაო. დამტვრეული. (GNM1-1-63:4110).

409. ბეჭედი, ინტალიო. ბრინჯაო, მინა. თვალზე გამოსახულია ათენა. ინტალიოს ზომები: 0,8X0,6 სმ. (GNM1 გლ. ფ. 1091). ახ.წ. I-II საუკუნე (ჯავახიშვილი 1972:30, კატ. 18).

N256 სამარხში ნაპოვნი თიხის დოქი (ტაბ. XXVI2, კატ. N406) მსგავსია ამავე სამაროვნის N258 სამარხში აღმოჩენილი ჭურჭლისა (ტაბ. XXVI1, კატ. N387), რომელიც შეესაბამება ახ.წ. I-II საუკუნეების ნიმუშს (ნარიმანიშვილი 2018:116, ტაბ. XXXVII, 15). თარიღს არ ეწინააღმდეგება ბრინჯაოს ბეჭედი (ტაბ. XXVI2, კატ. N409), რომელიც ფორმით მსგავსია თანმხლები ინვენტარით ახ.წ. I საუკუნის ბოლო - II საუკუნის დასაწყისით დათარიღებულ N189, 162 და N172 სამარხებში აღმოჩენილი ბეჭდებისა (ტაბ. XV, კატ. N110; ტაბ. XXV1, კატ. N374; ტაბ. XVIII1, კატ. N434) (ჯავახიშვილი 1972:30, კატ.18). ამასთან, N256 სამარხი გამართული ყოფილა ახ.წ. III საუკუნით დათარიღებული N248 სამარხის ქვეშ (ტაბ. XXXIV6). ყოველივე ზემოთქმული სამარხის თარიღს ახ.წ. II საუკუნით განსაზღვრავს.

**სამარხი N275 (ტაბ. XXVI3).**

410. დოქი, თიხა. ვარდისფრად გამომწვარი, პირი გადაშლილი, ბაკო მომრგვალებული, ყელი დაბალი, მუცელი სფერული, ძირი ბრტყელი, ცალყურა. ბრტყელგანივკვეთიანი ყური მიმაგრებულია პირის კიდესა და მხარზე, პირთან მიმაგრების ადგილი ოდნავ შემაღლებულია. სიმაღლე - 23,8 სმ, პირის დიამეტრი - 9,8 სმ, ძირის დიამეტრი -13,4 სმ. (GNM1-1-64:5007).

411. რგოლი, ბრინჯაო. დიამეტრი - 3,3-3,1 სმ. (GNM1-1-64:5008).

დოქი (ტაბ. XXVI₃, კატ. N410) ემსგავსება ახ.წ. II საუკუნით დათარიღებულ N256 და N258 სამარხებში ნაპოვნ თიხის ჭურჭლებს (ტაბ. XXVI₁, კატ. N387; ტაბ. XXVI₂, კატ. N 406), თუმცა მისი მუცელი შედარებით სფერულია, რაც მას ამავე სამაროვნის ახ.წ. II საუკუნის დასაწყისით დათარიღებულ N51 სამარხის დოქთან აახლოვებს (ტაბ. XIX₁, კატ, N194). ასეთი ჭურჭლები გ. ნარიმანიშვილის მიერ შემუშავებული კლასიფიკაციის VII ქრ. ჯგუფში ერთიანდება და ახ.წ. I-II საუკუნეებით თარიღდება (ნარიმანიშვილი 2018:116, ტაბ. XXXVII, 15). სამარხეული ინვენტარის მიხედვით N275 სამარხს ახ.წ. II საუკუნით განვსაზღვრავთ.

**სამარხი N67 (ტაბ. VI₂, XXVII₁).** სამარხი შემოფარგლული იყო ხის ძელებით, რომლის ირგვლივ რიყის ქვები ეწყო. მიცვალებული იწვა ზურგზე, გაშოტილი, თავით აღმოსავლეთით.

412. დოქი, თიხა. ვარდისფრად გამომწვარი, წითლად მოხატული. სამტუჩა დაბალყელიანი, სფერულმუცლიანი, ბრტყელძირა, ცალყურა. ბრტყელგანივკვეთიანი ყური მიმაგრებულია პირის კიდესა და მხარზე. მოხატულია ერთმანეთის პარალელური ირგვლივი ზოლებით და მუცელზე დატანილი ირიბი ხაზებით. სიმაღლე -16 სმ, ძირის დიამეტრი - 9 სმ. (GNM1-1-59:2332).

413. მძივები, მინა. (GNM1-1-59:2333).

414. ბეჭედი. რკინა, მინა. ოვალურ თვალბუდეში ჩასმულია მინის თვალი. დაჟანგული. თვალის სიგრძე - 1,3 სმ. ეკეთა მარცხენა ხელის თითზე. (GNM1-1-59:2337).

415. ბეჭედი, მინა. მუქი ლურჯი მინის მრგვალგანივკვეთიან რკალზე დასმულია წრიული ფორმის მწვანე მინის თვალი, რომელიც გარშემო თეთრი მინის ძაფითაა შემოსაზღვრული. (GNM1-1-59:2339).

416. ნემსი, ბრინჯაო. ფრაგმენტული. შერჩენილი სიგრძე - 1,2 სმ. (GNM1-1-59:2336).

417. კოჭები, ძვალი. (29 ც.). ორს აქვს ორი ნახვრეტი, დანარჩენს თითო. (GNM1-1-59:2335). (კერესელიძე 1978:80, კატ. N283).

418. ქვები. (66 ც.). (GNM1-1-59:2334).

მოხატული დოქის ზუსტი ანალოგი ვერ მოვიძიეთ (ტაბ. XXVII$_1$, კატ. N412), მისი მოხატულობაც განსხვავდება ურბნისის სამაროვანზე აღმოჩენილი ჭურჭლების მოხატულობისაგან. დოქის ფორმა - დაბალი ყელი, სფერული მუცელი და ყურის პირთან მიერთების ტექნიკა, ჰგავს ამავე სამაროვნის N240 სამარხში აღმოჩენილი მოხატულ დოქს (ტაბ. XXVII$_2$, კატ. N419) და ახ.წ. II საუკუნის N256 და N275 სამარხების დოქებს (ტაბ. XXVI$_2$, კატ. N406; ტაბ. XXVI$_3$, კატ. N410). ამდენად, დოქი ფორმით უახლოვდება ჩვენს მიერ შემუშავებული I და II ქრონოლოგიური ჯგუფების (ძვ.წ. I საუკუნის ბოლო - ახ.წ. I საუკუნის დასაწყისი; ახ.წ. I საუკუნის ბოლო - II საუკუნე) დოქებს და მკვეთრად განსხვავდება შემდგომი პერიოდის ასეთივე ჭურჭლებისაგან. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ხაოიან ზედაპირზე ჭურჭლის მოხატვის ტრადიცია ახ.წ. II საუკუნის ბოლომდე არსებობდა (ნარიმანიშვილი 2018:105). N67 სამარხში აღმოჩენილი მინის თვლიანი ბეჭედი (ტაბ. XXVII$_1$, კატ. N415) სამაროვანზე N73 სამარხშიც დაფიქსირდა (ტაბ. XXXIV$_5$, კატ. N703), რომლის მსგავსიც დათარიღებულია ახ.წ. III საუკუნით (Henkel 1913, kat. 1751). ვფიქრობთ, N67 სამარხის ჭურჭლის სიახლოვე I და II ქრონოლოგიური ჯგუფების (ძვ.წ. I საუკუნის ბოლო - ახ.წ. II საუკუნე) მასალებთან სამარხის ასაკს ახ.წ. II საუკუნის მიწურულით განსაზღვრავს.

**სამარხი N240 (ტაბ. XXVII$_2$).**

419. დოქი, თიხა. ვარდისფრად გამომწვარი, წითლად მოხატული. პირი გადაშლილი, ბაკომომრგვალებული, დაბალი ყელი, სფერული მუცელი, ძირი ბრტყელი, ცალყურა. ბრტყელგანივკვეთიანი ყური მიმაგრებულია პირის კიდესა და მხარზე. შემკულია ერთმანეთის პარალელური ირგვლივი წერტილოვანი, ტალღოვანი და სადა ზოლებით. პირჩამოტეხილი. სიმაღლე - 15,4 სმ, პირის დიამეტრი - 6,5 სმ, ძირის დიამეტრი - 7,8 სმ. (GNM1-1-62:3964).

N240 სამარხის დოქი (ტაბ. XXVII$_2$, კატ. N419) ფორმით ყველაზე ახლოს დგას ჩვენს მიერ ახ.წ. II საუკუნის მიწურულით დათარიღებულ N67 სამარხის წითლად მოხატულ დოქთან (ტაბ. XXVII$_1$, კატ. N412). ამასთან, ყურის პირთან მიერთება ისეთივეა, როგორიც ამავე სამაროვნის ახ.წ. II საუკუნის N256 და N275 სამარხების დოქებისთვისაა დამახასიათებელი (ტაბ. XXVI$_2$, კატ. N406; ტაბ. XXVII$_3$, კატ. N410). მოსაზრება იმის

თაობაზე, რომ წითლად მოხატული ჭურჭლების უმრავლესობა არაუგვიანეს ახ.წ. II საუკუნეს მიეკუთვნება (ნარიმანიშვილი 2018:105). N240 სამარხის თარიღი ახ.წ. II საუკუნით უნდა განისაზღვროს.

**სამარხი N172 (ტაბ. XXVIII1).** სამარხის იატაკი ხის ძელებით იყო ნაგები. ხის ძელებით ნაშენი სამარხის კედლები ლურსმნებით შეუკრავთ. ჩონჩხი ესვენა ზურგზე გაშოტილი და ორიენტირებული OW. სამარხი გამართული იყო N157 სამარხის ქვეშ (ტაბ. XXXVI4).

420. დოქი, თიხა. წითლადშეღებილი. ვარდისფრადგამომწვარი, პირი გადაშლილი, ბაკოდაქანებული, ყელწიბოიანი, მუცელი მსხლისებური, ძირი ბრტყელი, ცალყურა. ოვალურგანივკვეთიანი ყური მიძერწილია წიბოსა და მხარზე. სიმაღლე - 17,5 სმ, პირის დიამეტრი - 7,2 სმ, ძირის დიამეტრი -9,7 სმ (GNM1-1-61:3377).

421. სანელსაცხებლე, მინა. ლურჯი, გამჭვირვალე, თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი, ყელი მაღალი, მუცელი სფერული, ძირი წვეტიანი. სიმაღლე-3,9 სმ, პირის დიამეტრი -1,3 სმ. (GNM1-1-61:3378). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:57, კატ. 42).

422. სანელსაცხებლე, მინა. მომწვანო, გამჭვირვალე, თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი, ყელი მაღალი, მუცელი კონუსური, ძირი ბრტყელი. სიმაღლე - 6,7 სმ, პირის დიამეტრი - 1,9 სმ, ძირის დიამეტრი - 2,1 სმ. (GNM1-1-61:3379). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:71, კატ. 117).

423. სანელსაცხებლე, მინა. მომწვანო, გამჭვირვალე, თავისფლად ნაბერი. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი, ყელი მაღალი, ვიწრო, ძირი ბრტყელი და შედრეკილი. სიმაღლე - 7,3 სმ, პირის დიამეტრი -2,1 სმ, ძირის დიამეტრი - 1,9 სმ. (GNM1-1-61:3380). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:71, კატ. 118).

424. სანელსაცხებლე, მინა. მწვანე, გამჭვირვალე, თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი, ყელი ვიწრო. ნამტვრევები, შემორჩენილია პირ-ყელი. პირის დიამეტრი - 1,3 სმ. (GNM1-1-61:3381). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:57, კატ. 43).

425. საყურე (წყვილი), ვერცხლი. ბოლოებშემსხვილებული, სიგრძე - 1,8 სმ. (GNM1-1-61:3411).

426. საკიდები. ბრინჯაო, პასტა, ფაიანსი, ფლორიდი?. (5 ც.). სიგრძე - 1,6-2,3 სმ. (GNM1-1-61:3386-3390, 3393, 3397).

427. მძივები. ბრინჯაო, სარდიონი, ქარვა, აქატი, მინა, მთის ბროლი, გიშერი, პასტა. (GNM1-1-61:3391, 3392, 3395).

428. ზარაკები, ბრინჯაო. 1) ოთხწახნაგა, ყუნწიანი შერჩენილი აქვს რკინის ენა. სიმაღლე - 3,3 სმ, ფუძის ზომები: 1,6X1,6 სმ. 2. კონუსური, სიმაღლე -1,7 სმ; დიამ-2 სმ. (GNM1-1-61:3383).

429. საკინძისთავი, მინა. წაკვეთილი კონუსის ფორმის. ლურჯ ფონზე დატანილი თეთრი ირგვლივი ზოლებით. შერჩენილი აქვს ბრინჯაოს ღერაკი. დიამეტრი - 2,1სმ, სიმაღლე - 0,9 სმ. (GNM1-1-61:3394).

430. ბეჭედი, ინტალიო. ვერცხლი, სარდიონი. პირზე გამოსახულია ოთხცხენიანი ეტლი. ინტალიოს ზომები: 1,5X1,2 სმ (GNM1-გლ. ფ. N1025). ახ.წ. I-II საუკუნის დასაწყისი (ჯავახიშვილი 1972:28, კატ. 14).

431. ბეჭედი, ინტალიო. ბრინჯაო, სარდიონი. პირზე გამოსახულია ცხენი. ბეჭდის დიამეტრი - 1,7 სმ. (GNM1-გლ. ფ. N1029). ახ.წ. I-II საუკუნის დასაწყისი (ჯავახიშვილი 1972:26, კატ. 10).

432. ბეჭედი, ინტალიო. ბრინჯაო, აქატი. პირზე გამოსახულია ყანწი. ბეჭდის დიამეტრი - 1,6 სმ. (GNM1-გლ. ფ. N1031). ახ.წ. I-II საუკუნის დასაწყისი (ჯავახიშვილი 1972:27, კატ. 12).

433. ბეჭედი, ინტალიო. ბრინჯაო, მინა. პირზე გამოსახულია ქალღმერთის ფიგურა. ბეჭდის დიამეტრი - 1,8 სმ. (GNM1-გლ. ფ. N1032). ახ.წ. I-II საუკუნის დასაწყისი (ჯავახიშვილი 1972:28, კატ. 13).

434. ბეჭედი, ინტალიო. ბრინჯაო, მინა. პირზე გამოსახულია ღვთაება. ბეჭდის დიამეტრი 1,5 სმ. (GNM1-გლ. ფ. N1030). ახ.წ. I-II საუკუნის დასაწყისი (ჯავახიშვილი 1972:29, კატ. 17).

435. ბეჭედი, ინტალიო. ბრინჯაო. პირზე გამოსახულია ლომი. ბეჭდის დიამეტრი - 1,9 სმ. (GNM1-გლ. ფ. N1026). ახ.წ. I-II საუკუნის დასაწყისი (ჯავახიშვილი 1972:27, კატ. 11).

436. ბეჭედი, ინტალიო. რკინა, სარდიონი. პირზე გამოსახულია პურის თავთავები, ყაყაჩოს ნაყოფები, სიუხვის ყანწები. ინტალიოს ზომები: 1,2X1 სმ.(GNM1-გლ. ფ. N1027). ახ.წ. I-II საუკუნის დასაწყისი (ჯავახიშვილი 1972:29, კატ. 15).

437. ბეჭედი, ინტალიო. რკინა, ქალცედონი. პირზე გამოსახულია თავთავების კონა. ინტალიოს ზომები: 1,2X1 სმ (GNM1-გლ. ფ. N1028). ახ.წ. I-II საუკუნის დასაწყისი (ჯავახიშვილი 1972:29, კატ. 16).

438. ბეჭედი, ვერცხლი. ოვალურგანივკვეთიანი, რკალი განიერდება და გადადის ოვალურ თვალბუდეში, სადაც ჩასმულია სარდიონის თვალი. სიმაღლე - 2,2, სიგანე -2,4 სმ(GNM1-1-61:3409).

439. საბეჭდავი, მინა. მოყვითალო. მრავალწახნაგა, მართკუთხა პარალელეპიპედის ფორმის. გამოსახულია ადამიანის ფიგურა. ზომები: 1,6X0,8X0,8 სმ (GNM1-გლ. ფ. N1033). ახ.წ. I-II საუკუნის დასაწყისი (ჯავახიშვილი 1972:85, კატ. 141).

440. თვალი. ოქრო, გრანატი. რომბის ფორმის ოქროს ბუდეში ჩასმულია გრანატის თვალი. ზურგის მხრიდან ბუდის კედლებს ერთ ნაწილში ორი ერთმანეთის მოპირდაპირე ნახვრეტი აქვს. სიგანე - 1,1 სმ(GNM1-1-61:3400).

441. სარკე, ბრინჯაო. წრიული. გატეხილია ორად. აღდგენილი. დიამეტრი - 6 სმ. (GNM1-1-61:3399).

442. ფირფიტა, ბრინჯაო. წრიული მოყვანილობის. ერთ მხარეს რელიეფურად ამოკვეთილია სვასტიკა. დიამეტრი - 2,5 სმ(GNM1-1-61:3384).

443. ნივთი, ძვალი. ზედაპირი დაღარულია ბადისებურად. ნაკლული (GNM1-1-61:3385). (კერესელიძე 1978:89, კატ. N358).

444. ლურსმნები, რკინა. (4ც.). სარკოფაგის ნაწილები. (GNM1-1-61:3412).

445. ნიჟარა. (GNM1-1-61:3398).

სამარხში ნაპოვნი ყელწიბოიანი დოქის (ტაბ. XXVIII$_{1}$, კატ. N420) ანალოგები აღმოჩენილია სამთავროს სამაროვნის N63, 148, 241, 264 კრამიტსამარხებში, რომელთა თარიღები ახ.წ. I-II საუკუნეებია (Иващенко 1980:11, кат. 121-122, 130-133), კარსნისხევის ახ.წ. II-III საუკუნის დასაწყისით დათარიღებულ N12 და N30 სამარხებში (ნიკოლაიშვილი 1993:77, ტაბ. CII$_{1-2}$, LXXVI$_{1}$), ხოლო ჟინვალის სამაროვანზე ასეთივე დოქი აღმოჩნდა ახ.წ.

III საუკუნით დათარიღებულ N135 სამარხში (ჩიხლაძე 2015:171). N172 სამარხში ნაპოვნი მინის ჭურჭლის (ტაბ. XXVIII1, კატ. N422, 423) (საგინაშვილი 1970:57,71, კატ. 42,43,117,118) და გლიპტიკური ნიმუშების თარიღი (ტაბ. XXVIII1, კატ. N430-439) (ჯავახიშვილი 1972:27-30, კატ. 10,12-17) ახ.წ. I-II საუკუნეებში თავსდება. აქვე ნაპოვნი ფაიანსის საკიდები ძველეგვიპტური ღვთაების ჰარპოკრატეს მდგომარე გამოსახულებით (ტაბ. XXVIII1, კატ. N426) ე.მ. ალექსეევას მიხედვით ახ.წ. II საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდება (Алексеева 1975:37, таб. 717-19, тип. 32). ტიპოლოგიურად მისი მსგავსი საკიდები აღმოჩენილია ამავე სამაროვნის N110 სამარხში (ტაბ. XXXI3, კატ. N543), რომელიც სამარხეული ინვენტარის მიხედვით ახ.წ. II საუკუნით დათარიღდა. N172 სამარხში აღმოჩენილი ბრინჯაოს ზარაკი, რომელსაც კონუსური კორპუსი და სამკუთხა ყუნწი აქვს (ტაბ. XXVIII1, კატ. N428), გამოჩენას იწყებს ახ.წ. I საუკუნეში და ახ.წ. III საუკუნეშიც არსებობს (ჭანიშვილი, გამყრელიძე 2021:631). სამარხეული ინვენტარი და სამარხის დაფიქსირების ფაქტი ახ.წ. III საუკუნით დათარიღებული N157 სამარხის ქვეშ, N172 სამარხის თარიღს ახ.წ. II საუკუნის მიწურულით ან II-III საუკუნეების მიჯნით განსაზღვრავს.

**სამარხი N23 (ტაბ. XXVIII2).** დაკრძალული იყო ცხენი, ძაღლი და ადამიანი. ხის ნაგებობაში ადამიანის ჩონჩხი დასვენებული იყო ზურგზე, გაშოტილი თავით აღმოსავლეთით, სამარხი აღმოჩნდა ალიზის კედლის ქვეშ, N28 სამარხის თავზე. ინვენტარი მხოლოდ ადამიანს ახლდა.

446. სანელსაცხებლე, მინა. მწვანე, სქელკედლიანი, გამჭვირვალე, თავისუფლად ნაბერი, პირგადაშლილი, მაღალყელიანი, დაბალი, მომრგვალებული მუცლით, ძირი ბრტყელი, შედრეკილი. ეტყობა საბერავი მილის კვალი. სიმაღლე - 10 სმ, პირის დიამეტრი - 5 სმ, ძირის დიამეტრი - 6,7 სმ(GNM1-1-58:1956). ახ.წ. I-II საუკუნე (საგინაშვილი 1970:74, კატ. 129).

447. სანელსაცხებლე, მინა. მუქი მწვანე, სქელკედლიანი, გამჭვირვალე, თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი, ყელი მაღალი, მუცელი კონუსური. ძირი ბრტყელი. დამტვრეული. (GNM1-1-58:1957). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:65, კატ. 84).

N23 სამარხში აღმოჩენილი მინის სანელსაცხებლეები (ტაბ. XXVIII2, კატ. N446, 447) თარიღდება ახ.წ. I ან I-II საუკუნეებით (ტაბ. XXVIII2, კატ. N446, 447) (საგინაშვილი

1970:65, 74. კატ. N84, 129). კატ. N446 სანელსაცხებლის მსგავსი მინის ჭურჭელი აღმოჩენილია ამავე სამაროვნის N100 სამარხში (ტაბ. XXVIII3, კატ. N448) და ახ.წ. I-II საუკუნეებით თარღდება (საგინაშვილი 1970:74, კატ. N131). N23 სამარხი აღმოჩნდა N28 სამარხის თავზე (ტაბ. X5). სტრატიგრაფიული მონაცემებისა და მინის ჭურჭლის ასაკის მიხედვით N23 სამარხი ახ.წ. II საუკუნით უნდა განვსაზღვროთ.

**სამარხი N100 (ტაბ. XXVIII3).** სამარხი ორმო ხის ძელებით იყო შემოფარგლული. მიცვალებული იწვა ზურგზე, გაშოტილი, თავით აღმოსავლეთით.

448. სანელსაცხებლე, მინა. მოცისფრო, გამჭვირვალე, სქელკედლიანი, თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი, ყელი მაღალი, მუცელი დაბალკონუსური, ძირი ბრტყელი შედრეკილი. სიმაღლე - 10,4 სმ, პირის დიამეტრი -5,1 სმ, ძირის დიამ. 6,7 სმ. აღდგენილი, ნაკლული. აღმოჩნდა ჩონჩხის მარჯვენა წვივის ძვალთან. (GNM1-1-59:2550). ახ.წ. I-II საუკუნე (საგინაშვილი 1970:74, კატ. 131).

449. სანელსაცხებლე, მინა. მოცისფრო, გამჭვირვალე, სქელკედლიანი, თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი, ყელი მაღალი, ტანი კონუსური, ძირი ოდნავ შედრეკილი, ეტყობა საბერავი მილის კვალი. სიმაღლე - 9,2 სმ, პირის დიამეტრი – 3,2 სმ, ძირის დიამეტრი - 4,9 სმ. აღმოჩნდა ჩონჩხის მარჯვენა წვივის ძვალთან. (GNM1-1-59:2549). ახ.წ. I-II საუკუნე (საგინაშვილი 1970:74, კატ. 130).

მინის სანელსაცხებლეები დათარიღებულია ახ.წ. I-II საუკუნეებით (ტაბ. XXVIII3, კატ. კატ. N448,449) (საგინაშვილი 1970:74, კატ. N130,131) და ერთ-ერთი (ტაბ. XXVIII2, კატ. N448) მსგავსია ამავე სამაროვნის N23 სამარხში ნაპოვნი მინის სანელსაცხებლისა (ტაბ. XXVIII3, კატ. N446). N23 სამარხის სტრატიგრაფია და მინის ჭურჭლების ასაკი (კატ. N446,448) N100 სამარხის თარიღს ახ.წ. II საუკუნით განსაზღვრავს.

**სამარხი N24 (ტაბ. XXVIII4).** სამარხი ხის ძელებით იყო შეკრული, მიცვალებული იწვა ზურგზე, გაშოტილი, ორიენტირებული OW მიმართულებაზე, თავით აღმოსავლეთით.

450. სანელსაცხებლე, მინა. მუქი მწვანე, გამჭვირვალე, სქელკედლიანი, თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი, მუცელი კონუსური, ძირი ოდნავ შედრეკილი. ეტყობა საბერავი მილის კვალი. სიმაღლე - 9,2 სმ, პირის დიამეტრი - 4,3 სმ, ძირის დიამეტრი - 5 სმ. (GNM1-1-58:1959). ახ.წ. I-II საუკუნე (საგინაშვილი 1970:73, კატ. 128).

451. სანელსაცხებლე, მინა. მუქი მწვანე, გამჭვირვალე, სქელკედლიანი, თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი, მუცელი კონუსური, ძირი ოდნავ შედრეკილი, ეტყობა საბერავი მილის კვალი. დამტვრეული. (GNM1-1-58:1958). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:65, კატ. 85).

452. სანელსაცხებლე, მინა. მუქი მწვანე, გამჭვირვალე, სქელკედლიანი, თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი, მუცელი კონუსური, ძირი ოდნავ შედრეკილი, ემჩნევა საბერავი მილის კვალი. დამტვრეულია. (GNM1-1-58:1960). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:65, კატ. 86).

სამარხში მხოლოდ მინის სანელსაცხებლეები აღმოჩნდა, რომელთა თარიღი ახ.წ. I და ახ.წ. I-II საუკუნეებია (კატ. N450-452) (საგინაშვილი 1970:65, 73, კატ. N85, 86, 128). N24 სამარხის სანელსაცხებლე (ტაბ. XXVIII$_4$, კატ. N450) ფორმით მსგავსია N23 და N100 სამარხში აღმოჩენილი ახ.წ. I-II საუკუნებით დათარიღებული ჭურჭლებისა (ტაბ. XXVIII$_{2,3}$, კატ. N446, 448) (საგინაშვილი 1970:74, კატ. 129, 131) მსგავსი ტიპის ჭურჭლებს ნ. კუნინა ახ.წ. I საუკუნის მეორე ნახევრით ათარიღებს (Kunina 1997:325, kat. N364). ვფიქრობთ, N24 სამარხი N100 და N23 სამარხების მსგავსად ახ.წ. II საუკუნეში გაიმართა.

**სამარხი N221 (ტაბ. XXIX$_1$).** სამარხის იატაკი ხის ძელებით იყო ნაშენი, ხის მასალით იყო აშენებული სამარხის კედლებიც, რომელიც ლურსმნებით იყო შეკრული. მიცვალებული იწვა ზურგზე გაშოტილი, ორიენტირებული OW მიმართულებაზე.

453. სანელსაცხებლე, მინა. ყვითელი, გამჭვირვალე, თავისუფლად ნაბერი, სქელკედლიანი. პირი გადაშლილი ჩაკეცილი, ყელი მაღალი, მუცელი კონუსური ძირი ბრტყელი, ეტყობა საბერავი მილის კვალი. სიმაღლე -13,8 სმ, პირის დიამეტრი - 3,3 სმ, ძირის დიამეტრი -2, სმ (GNM1-1-62:3841). ახ.წ. I-II საუკუნე (საგინაშვილი 1970:76, კატ. 143).

454. სანელსაცხებლე, მინა. ყვითელი, გამჭვირვალე, სქელკედლიანი, თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი, ყელი მაღალი, მუცელი კონუსური, ძირი ბრტყელი, ეტყობა საბერავი მილის კვალი. სიმაღლე - 12 სმ, პირის დიამეტრი - 2,8 სმ, ძირის დიამეტრი - 1,8 სმ (GNM1-1-62:3842). ახ.წ. I-II საუკუნე (საგინაშვილი 1970:76, კატ. 144).

455. სანელსაცხებლე, მინა. მწვანე, გამჭვირვალე, თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი, ყელი მაღალი, მუცელი კონუსური, ძირი ბრტყელი, ოდნავ შედრეკილი. სიმაღლე - 12,9 სმ, პირის დიამეტრი - 3,2 სმ, ძირის დიამეტრი - 2,5 სმ. (GNM1-1-62:3843). ახ.წ. I-II საუკუნე (საგინაშვილი 1970:76, კატ. 142).

456. სანელსაცხებლე, მინა. მოცისფრო, გამჭვირვალე, სქელკედლიანი, თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი, ყელი მაღალი, მუცელი კონუსური. ძირი ბრტყელი, ოდნავ შეზნექილი, ეტყობა საბერავი მილის კვალი. სიმაღლე - 12,8 სმ, პირის დიამეტრი - 2,8 სმ, ძირის დიამეტრი -2 სმ. (GNM1-1-62:3844). ახ.წ. I-II საუკუნე (საგინაშვილი 1970:77, კატ. 145).

457. სანელსაცხებლე, მინა. მოთეთრო, გამჭვირვალე, სექლკედლიანი, თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი, ყელი მაღალი, მუცელი კონუსური, ძირი ბრტყელი, ოდნავ შეზნექილი, ეტყობა საბერავი მილის კვალი. სიმაღლე - 13 სმ, პირის დიამეტრი - 3,3 სმ, ძირის დიამეტრი -2,1 სმ. (GNM1-1-62:3845). ახ.წ. I-II საუკუნე (საგინაშვილი 1970:77, კატ. 146).

458. ჭურჭელი, მინა. ცისფერი, გამჭვირვალე, თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი, ყელი დაბალი, მხრებდაქანებული, მაღალი ძირისკენ შევიწროვებული მუცლით, ძირი ბრტყელი, ოდნავ შეზნექილი. სიმაღლე - 8,4 სმ, პირის დიამეტრი - 2,3 სმ, ძირის დიამეტრი  - 2 სმ. (GNM1-1-62:3840). ახ.წ. II საუკუნე (საგინაშვილი 1970:81, კატ. 167).

459. სანელსაცხებლე, მინა. მწვანე, გამჭვირვალე, თავისუფლად ნაბერი, სქელკედლიანი. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი, ყელი მაღალი, ტანი კონუსური, ძირი ფართო, ბრტყელი. სიმაღლე - 14,8 სმ, პირის დიამეტრი - 3,1 სმ, ძირის დიამეტრი -3,6 სმ (GNM1-1-62:3847). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:61, კატ. 63).

460. სანელსაცხებლე, მინა. მწვანე, გამჭვირვალე, თავისფულად ნაბერი. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი, ყელი მაღალი, ტანი კონუსური, ძირი ფართო, ბრტყელი, შედრეკილი, ირიზებული. სიმაღლე - 12,5 სმ, პირის დიამეტრი - 3,5 სმ, ძირის დიამეტრი - 3,8 სმ. (GNM1-1-62:3846). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:64, კატ. 77).

461. მძივები. მინა, პასტა. (GNM1-1-62:3849).

462. ლურსმნები, რკინა. ოთხწახნაგა. დაჟანგული, ნაკლული. უდიდესის სიგრძე 10,6 სმ. (GNM1-1-62:3848).

N221 სამარხში მიცვალებულის ძირითად ინვენტარს მინის სანელსაცხებლეები წარმოდგენდა (სულ 8 ცალი), რომელიც დათარიღებულია ახ.წ. I-II საუკუნეებით (ტაბ. XXIX1, კატ. N453-460) (საგინაშვილი 1970:66, 76-77, 81 კატ. N63, 167, 142-146). კონუსურ და მსხლისებურ მუცლიანი მინის ჭურჭლების აღმოჩენა ხშირია სამაროვნის ახ.წ. I-II საუკუნეების სამარხებში (NN230, 187, 189, 93, 178, 215, 221 და სხვ. ტაბ. XIII2, XIV3, XV, XVI, XIX2, XXII1, XXIX1…). მხოლოდ ერთ შემთხვევაში მინის სანელსაცხებლეს (ტაბ. XXIX1, კატ. N458) ადგილობრივ დამზადებულად არის მიჩნეული და ახ.წ. II საუკუნით დათარიღებული (საგინაშვილი 1970:81, კატ. N167). მსგავსი ტიპის მინის ჭურჭელი ამავე სამაროვნის N180 სამარხში აღმოჩნდა (ტაბ. XXX3, კატ. N498), რომელიც თანმხლები ინვენტარით ასევე ახ.წ. II საუკუნით დათარიღდა. ჭურჭელმა N221 სამარხის თარიღი ახ.წ. II საუკუნით განსაზღვრა.

**სამარხი N257 (ტაბ. XXIX2).** სამარხის იატაკი და კედლები ხის ძელებით იყო ნაშენი. ხის მასალა ლურსმნებით შეუკრავთ. დაკრძალული იყო ბავში, ზურგზე გაშოტილი, ორიენტირებული OW მიმართულებაზე.

463. სანელსაცხებლე, მინა. მოყვითალო-მომწვანო, გამჭვრივალე, სქელკედლიანი, თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი ჩაკეცილი, ყელი მაღალი, მუცელი მსხლისებური, ძირი ბრტყელი, ოდნავ შედრეკილი. სიმაღლე - 13,4 სმ, პირის დიამეტრი - 3,3 სმ, ძირის დიამეტრი - 2,5 სმ. (GNM1-1-63:4112). ახ.წ. I-II საუკუნე (საგინაშვილი 1970:77, კატ. 147).

464. სანელსაცხებლე, მინა. ლურჯი, გაუმჭვირვალე, თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი. ძირი ბრტყელი ოდნავ შედრეკილი, მინიატურული. სიმაღლე - 3,7 სმ, პირის დიამეტრი - 1,3 სმ. (GNM1-1-63:4113). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:57, კატ. 41).

სამარხში აღმოჩენილი მინიატურული მინის სანელსაცხებლე დათარიღებულია ახ.წ. I საუკუნით (ტაბ. XXIX2, კატ. N464) (საგინაშვილი 1970:57, კატ. N41). ის ფორმით მსგავსია ამავე სამაროვნის N230 და N110 სამარხებში აღმოჩენილი ჭურჭლებისა (ტაბ.

XIII2, კატ. NN36, 39, 40, 45; ტაბ. XXXI3, კატ. NN534, 540), რომელთაც თანმხლები ინვენტარით ახ.წ. I საუკუნის მიწურულით და ახ.წ. II საუკუნით განვსაზღვრავთ. მსხლისებურმუცლიანი მინის სანელსაცხებლე (ტაბ. XXIX2, კატ. N463) (საგინაშვილი 1970:77, კატ. N147) ფორმით ყველაზე ახლოს დგას ჩვენს მიერ ახ.წ. II საუკუნით დათარიღებულ N221 და N224 სამარხების ინვენტართან (ტაბ. XXIX1, კატ. N455; ტაბ. XXX1, კატ. N484). ამდენად, N257 სამარხის თარიღს ახ.წ. II საუკუნით განვსაზღვრავთ.

**სამარხი N243 (ტაბ. XXIX3).** სამარხის იატაკი ხის ძელებით იყო ნაშენი, ხის მასალით იყო აშენებული სამარხის კედლებიც, რომელიც ლურსმნებით იყო შეკრული. მიცვალებული იწვა ზურგზე გაშოტილი, ორიენტირებული OW მიმართულებაზე. სამარხი ბავშვს ეკუთვნოდა.

465. დოქი, თიხა. ყავისფრად გამომწვარი. პირი გადაშლილი, ბაკო მომრგვალებული, დაბალი გამოყვანილი ყელი, მომრგვალებული მუცელი ძირისკენ ვიწროვდება, ძირი ბრტყელი. ბრტყელგანივკვეთიანი ყური მიძერწილია პირსა და მხარზე, პირთან მიერთების ადგილი ოდნავ შემაღლებულია. სიმაღლე - 22,4 სმ, პირის დიამეტრი - 8,6 სმ, ძირის დიამეტრი - 11,7 სმ. (GNM1-1-62:3973).

466. სანელსაცხებლე, მინა. მწვანე გამჭვირვალე, სქელკედლიანი, თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი, ყელი მაღალი, მუცელი კონუსური, ძირი ბრტყელი. ირიზებული. სიმაღლე- 15,3 სმ, პირის დიამეტრი - 3,5 სმ, ძირის დიამეტრი - 4,1 სმ. (GNM1-1-62:3974). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:62, კატ. 66).

467. სანელსაცხებლე, მინა. მწვანე გამჭვირვალე, სქელკედლიანი, თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი, ყელი მაღალი, მომრგვალებული მუცელი ძირისკენ ვიწროვდება, ძირი ბრტყელი, სქელი. სიმაღლე - 11 სმ, პირის დიამეტრი - 3 სმ, ძირის დიამეტრი - 3,1 სმ (GNM1-1-62:3975). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:66, კატ. 93).

468. ბეჭედი, ინტალიო. რკინა, მინა. თვალზე გამოსახულია ასკლეპიოსი. ინტალიოს ზომები: 1,2X1 სმ. (GNM1-გლ.ფ. 1087). ახ.წ. II საუკუნე (ჯავახიშვილი 1972:58, კატ. 82).

469. მონეტა. ავგუსტუსის. ქარონის ობოლი. (GNM1 გ.ფ. 11052).

N243 სამარხში აღმოჩენილი ყველაზე გვიანდელი ნივთი ბეჭედში ჩასმული ინტალიოა, რომელიც ახ.წ. II საუკუნით თარიღდება (ტაბ. XXIX3, კატ. N468)

(ჯავახიშვილი 1972:58, კატ. 82). თიხის ჭურჭლის ზუსტი ანალოგი ვერ მოვიძიეთ. მინის ჭურჭლის თარიღისა (XXIX3, კატ. NN466, 467) (საგინაშვილი 1970:62,66, კატ. 66, 93) და სამარხი გლიპტიკური ნიმუშის მიხედვით (XXIX3, კატ. N468) N243 სამარხი ახ.წ. II საუკუნით განვსაზღვრეთ.

**სამარხი N181 (ტაბ. XXIX4).** სამარხის იატაკი და კედლები ხის ძელებით იყო ნაშენი. ხის მასალა ლურსმნებით შეუკრავთ. დაკრძალული იყო ბავშვი, ზურგზე, გაშოტილი, ორიენტირებული OW მიმართულებაზე, თავით აღმოსავლეთით.

470. სანელსაცხებლე, მინა. მწვანე, პირი გადაშლილი, ჩაკეცილი, ყელი მაღალი, მუცელი კონუსური, დამტვრეული. პირის დიამეტრი - 3,3 სმ. (GNM1-1-61:3446).

471. მძივები. ბრინჯაო, მინა. (GNM1-1-61:3448).

472. ნიჟარა. (GNM1-1-61:3447).

N181 სამარხში აღმოჩნდა მინის სანელსაცხებლე (ტაბ. XXIX4, კატ. N470), რომლის მსგავსი დათარიღებულია ახ.წ. I საუკუნის მეორე ნახევრით (Kunina 1997, kat. N362). ტიპოლოგიურად მისი მსგავსი ჭურჭლები დაფიქსირდა ურბნისის სამაროვნის ცხრა სამარხში (NN230, 187, 189, 215, 221, 234, 243, 266, 238; ტაბ. XIII2, XIV3, XV, XXII1, XXIX1,3, XXX2, XXXVII2), რომლებიც თანმხლები ინვენტარით ახ.წ. I-II საუკუნეებით თარიღდება. N181 სამარხში აღმოჩნდა ბრინჯაოს მართკუთხა პარალელეპიპედის ფორმის მძივი (ტაბ. XXIX4, კატ. N471), რომლის მსგავსი ამავე სამაროვნის N230, N189 და N218 სამარხებში დაფიქსირდა. სამარხები ახ.წ. I-II საუკუნეებით დავათარიღეთ (ტაბ. XIII2, XV, XXIV2). ამავე პერიოდით უნდა განისაზღვროს N181 სამარხის თარიღიც.

**სამარხი N233 (ტაბ. XXIX5).**

473. სანელსაცხებლე, მინა. მოცისფრო, გამჭვირვალე, სქელკედლიანი. თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი, ყელი განიერი, ძირი ბრტყელი, ოდნავ შედრეკილი. სიმაღლე - 10,3 სმ, პირის დიამეტრი - 3,5 სმ, ძირის დიამეტრი - 2,2 სმ. (GNM1-1-62:3934). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:66, კატ. 92).

მინის ჭურჭლის ტიპოლოგიური კლასიფიკაციის ერთ ტიპში ერთიანდება N233 და N243 სამარხებში აღმოჩენილი სანელსაცხებლეები (ტაბ.XXIX3, კატ. N467; ტაბ. XXIX5, კატ. N473) და დაათარიღებულია ახ.წ. I საუკუნით (საგინაშვილი 1970: 66, კატ. N92, 93). N243

სამარხში ნაპოვნია ახ.წ. II საუკუნის ინტალიო (ტაბ. XXIX$_3$, კატ. N468). რადგანაც N233 სამარხში მინის სანელსაცხებლის გარდა სხვა ინვენტარი არ დაფიქსირდა, აქ აღმოჩენილი მინის ჭურჭლის მსგავსება N243 სამარხის მინის ჭურჭელთან (ტაბ.XXIX$_3$, კატ. N467) და ამავე სამარხის ინტალიო (ტაბ. XXIX$_3$, კატ. N468) N233 სამარხის თარიღს არაუგვიანეს ახ.წ. II საუკუნით განსაზღვრავს.

**სამარხი N234 (ტაბ. VI$_3$, XXIX$_6$).** ხის ძელებით ნაგები სამარხი ლურსმნებით იყო შეკრული. ჩონჩხი ესვენა ზურგზე, გაშოტილი და ორიენტირებული OW.

474. სანელსაცხებლე, მინა. მწვანე, გამჭვირვალე, სქელკედლიანი, თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი, ყელი მაღალი, მუცელი კონუსური, ძირი ბრტყელი, ოდნავ შედრეკილი. ნაკლული. სიმაღლე-15,3 სმ, პირის დიამეტრი -3,5 სმ, ძირის დიამეტრი - 4,4 სმ. (GNM1-1-62:3935). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:61, კატ. 64).

475. სანელსაცხებლე, მინა. მომწვანო, გამჭვირვალე, თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი, ყელი ცილინდრული, მუცელი მსხლისებური, ძირი ბრტყელი, ოდნავ შედრეკილი. სიმაღლე - 11, 2 სმ, პირის დიამეტრი - 2,8 სმ, ძირის დიამეტრი - 2,3 სმ. (GNM1-1-62:3936). ახ.წ. I-II საუკუნე (საგინაშვილი 1970:75, კატ. 139).

476. მძივები. გიშერი, მინა, პასტა. (GNM1-1-62:3943).

477. ბეჭედი, ინტალიო. ბრინჯაო, სარდიონი. თვალზე გამოსახულია პეპელა. ბეჭდის დიამეტრი - 1,6 სმ, სიმაღლე 1,7 სმ. (GNM1 გლ. ფ. 1082). ახ.წ. II საუკუნე (ჯავახიშვილი 1972: 51, კატ. 64).

478. ბეჭედი, ინტალიო. რკინა, ამეთვისტო. თვალზე გამოსახულია დიონისე. ბეჭედი ნაკლული. ინტალიოს ზომები: 1,2სმX0,6 სმ. (GNM1 გლ. ფ. 1080). ახ.წ. II საუკუნე (ჯავახიშვილი 1972: 50-51, კატ. 63).

479. ბეჭედი, ინტალიო. რკინა, სარდიონი. თვალზე გამოსახულია ფორტუნა და ჰერმესი. ბეჭედი ნაკლული. ინტალიოს ზომები: 0,6სმX2,2 სმ. (GNM1 გლ. ფ. 1083). ახ.წ. II საუკუნე (ჯავახიშვილი 1972:49-50, კატ. 61).

480. ბეჭედი, ინტალიო. რკინა, სარდიონი. თვალზე გამოსახულია ნიკე ფორტუნას და ათენას ატრიბუტებით. ბეჭედი ნაკლული. ინტალიოს ზომები: 0,8სმ X 0,6 სმ. (GNM1 გლ. ფ. 1084). ახ.წ. II საუკუნე (ჯავახიშვილი 1972: 50, კატ. 62).

481. ბეჭედი, ინტალიო. რკინა, სარდიონი. თვალზე გამოსახულია ეროტი. ბეჭდის დიამეტრი - 1,6 სმ, ბეჭდის სიმაღლე - 2,4 სმ. (GNM1 გლ. ფ. 1081). ახ.წ. II საუკუნე (ჯავახიშვილი 1972:49, კატ. 60).

482. ნივთი/სტილოსი? ძვალი. მრგვალგანივკვეთიანი ღეროს ერთი ბოლო წვრილი, მეორე კი ბრტყელი აქვს. სიგრძე - 8,7 სმ. (GNM1-1-62:3942). (კერესელიძე 1978:75-76, კატ. N257).

N234 სამარხში აღმოჩენილი მინის სანელსაცხებლეების (ტაბ. XXIX6, კატ. NN474, 475) და ინტალიოების (ტაბ. XXIX6, კატ. N477-481) თარიღი ახ.წ. I-II საუკუნეებია (საგინაშვილი 1970:61, 75 კატ. 64, 139; ჯავახიშვილი 1972:49-51, კატ. 60-64). მინის ჭურჭლის ერთი ტიპი (ტაბ. XXIX6, კატ. N475) მსგავსია ამავე სამაროვნის N266 სამარხში აღმოჩენილი ასეთივე ჭურჭლისა (ტაბ. XXX2, კატ. N495), სადაც აღმოჩნდა ახ.წ. I-II საუკუნეებში გავრცელებული მინის საკინძისთავი (ტაბ. XXX2, კატ. N496). სამარხეული ინვენტარის პარალელები და მათი თანმხლები მასალა სამარხში N234 სამარხის თარიღს ახ.წ. II საუკუნით განსაზღვრავს.

**სამარხი N224 (ტაბ. XXX1).** მიცვალებული დაკრძალული იყო ზურგზე, გაშოტილი და ორიენტირებული OW მიმართულებაზე.

483. დოქი, თიხა. ჩალისფრად გამომწვარი, სამტუჩა, ბაკომომრგვალებული, ყელი ცილინდრული, მუცელი სფერული, ძირი ბრტყელი, ცალყურა. ბრტყელგანივკვეთიანი ყური მიძერწილია პირის კიდესა და მხარზე. აღდგენილი. სიმაღლე - 22,3 სმ, პირის ზომები:10X9,7 სმ, ძირის დიამეტრი - 12,4 სმ(GNM1-1-62:3853).

484. სანელსახცებლე, მინა. მომწვანო, გამჭვირვალე, სქელკედლიანი, თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი, ყელი მაღალი, ძირი ბრტყელი, ოდნავ შეზნექილი. სიმაღლე-12,7 სმ, პირის დიამეტრი - 3,2 სმ, ძირის დიამეტრი - 2,8 სმ. (GNM1-1-62:3854). ახ.წ. I-II საუკუნეები (საგინაშვილი 1970:76, კატ. 141).

485. საკიდები. ძვალი, ბრინჯაო, ქვა, გიშერი. (GNM1-1-62:3860, 3859).

486. მძივები. ბრინჯაო, ქვა, სარდიონი, გიშერი, ქარვა, პასტა, ფაიანსი (GNM1-1-62:3860).

487. ზარაკი, ბრინჯაო. კონუსური, დაფანჯრული სამკუთხედებით. სიმაღლე - 2,2 სმ. (GNM1-1-62:3857).

488. ბეჭედი, ინტალიო. ვერცხლი, სარდიონი. პირზე გამოსახულია საჭე და სფერო. ბეჭდის დიამეტი - 1,2 სმ. (GNM1-გლ. ფ. 1073). ძვ.წ. I საუკუნე (ჯავახიშვილი 1972:22, კატ. 1).

489. ბეჭედი, ინტალიო. რკინა, სარდიონი. პირზე გამოსახულია ჰერმესი. დაჟანგული. ინტალიოს ზომები: 0,8X0,6 სმ. (GNM1-გლ. ფ. 1072). მინის სანელსაცხებლის მიხედვით თარიღდება ახ.წ. II საუკუნით (ჯავახიშვილი 1972:58, კატ. 81).

490. რგოლი, ბრინჯაო. დიამეტრი - 1,8 სმ.(GNM1-1-62:3858).

N224 სამარხში აღმოჩენილი თიხის დოქი (ტაბ. XXX1, კატ. N483) ანალოგიურია ყათლანიხევის მარჯვენა ნაპირის მოსახლეობის N2 ორმოსამარხში აღმოჩენილი დოქისა. სამარხი ახ.წ. I-II საუკუნეებითაა დათარიღებული (ხახუტაიშვილი 1964:91, ტაბ. LI-1,2). ამავე პერიოდით თარიღდება მინის სანელსაცხებლე (ტაბ. XXX1, კატ. N484) (საგინაშვილი 1970:76, კატ. 141). მსგავსი ტიპის მინის ჭურჭლები აღმოჩნდა ურბნისის სამაროვნის N221 და N257 სამარხებში (ტაბ. XXIX1, კატ. N455; ტაბ. XXIX2, კატ. N463), რომლებიც ახ.წ. II საუკუნით განვსაზღვრეთ. N224 სამარხის ზარაკი (ტაბ. XXX1, კატ. N487) ტიპოლოგიური კლასიფიკაციის I ტიპში ერთიანდება და მათი გავრცელება ახ.წ. I საუკუნეს უკავშირდება (ჭანიშვილი, გამყრელიძე 2021:631, ტიპი). ყველაზე გვიანდელი ნივთი სამარხში ახ.წ. II საუკუნის ინტალიოა (ტაბ. XXX1, კატ. N489) (ჯავახიშვილი 1972:58, კატ. 81). ვფიქრობთ, სამარხის გამართვის თარიღი ახ.წ. II საუკუნეა.

**სამარხი N266 (ტაბ. XXX2).** სამარხში ჩონჩხი დაფიქსირდა ზურგზე მწოლიარე, გაშოტილ პოზაში. ორიენტირებული NO-SW მიმართულებაზე. სამარხი გამართული იყო N263 სამარხის ქვეშ (ტაბ. XXXIII4).

491. სანელსაცხებლე, მინა. მწვანე, გამჭვირვალე, სქელკედლიანი, თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი ჩაკეცილი, ყელი ცილინდრული, მუცელი კონუსური, ძირი ბრტყელი. სიმაღლე- 15,1 სმ, პირის დიამეტრი - 3,4 სმ, ძირის დიამეტრი - 4,2 სმ. (GNM1-1-63:4168). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:62, კატ. 67).

492. სანელსაცხებლე, მინა. მწვანე, გამჭვირვალე, სქელკედლიანი, თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი, ყელი ცილინდრული, მუცელი კონუსური, ძირი ბრტყელი.

სიმაღლე- 14,4 სმ, პირის დიამეტრი - 3,1 სმ, ძირის დიამეტრი - 4,1სმ. აღდგენილი, ნაკლული. (GNM1-1-63:4169). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:62, კატ. 68).

493. სანელსაცხებლე, მინა. მწვანე, გამჭვირვალე, სქელკედლიანი, თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი, ყელი ცილინდრული, მუცელი კონუსური, ძირი ბრტყელი. სიმაღლე - 14 სმ, პირის დიამეტრი - 3,1 სმ, ძირის დიამეტრი - 3,8 სმ. აღდგენილი, ნაკლული. (GNM1-1-63:4170). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:63, კატ. 73).

494. სანელსაცხებლე, მინა. ცისფერი, გამჭვირვალე, სქელკედლიანი, თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი, ყელი მაღალი, მუცელი მსხლისებური, ძირი ბრტყელი. ეტყობა საბერავი მილის კვალი. სიმაღლე - 12,7 სმ, პირის დიამეტრი - 2,8 სმ, ძირის დიამეტრი - 2,5 სმ. (GNM1-1-63:4171). ახ.წ. I-II საუკუნე (საგინაშვილი 1970:75, კატ. 137).

495. სანელსაცხებლე, მინა. ცისფერი, გამჭვირვალე, სქელკედლიანი, თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი, ყელი მაღალი, მუცელი მსხლისებური, ძირი ბრტყელი. ეტყობა საბერავი მილის კვალი. სიმაღლე - 12,3 სმ, პირის დიამეტრი - 2,8 სმ, ძირის დიაეტრი - 2,5 სმ (GNM1-1-63:4172). ახ.წ. I-II საუკუნე (საგინაშვილი 1970:75, კატ. 138).

496. საკინძისთავი, მინა. მწვანე, კვირისტავის ფორმის, ცენტრში გახვრეტილი. ზედაპირი და ძირი წრიულადაა დაღარული. სიმაღლე - 0,9 სმ, დიამეტრი - 2,4 სმ. (GNM1-1-63:4173).

მინის საკინძისთავების უმეტესობა, როგორც უკვე ითქვა, დაფიქსირებულია ახ.წ. I საუკუნის ბოლოთი - II საუკუნით დათარიღებულ სამარხებში (Haevernick 1981:226). N266 სამარხში აღმოჩენილი მინის ჭურჭელიც საკინძისთავების მსგავსად, ახ.წ. I-II საუკუნეებითაა განსაზღვრული (ტაბ. $XXX_2$, კატ. N491-495) (საგინაშვილი 1970:62,63,75). გამომდინარე იქიდან, რომ სამარხში დადასტურებული ნივთების ზედა თარიღი ახ.წ. II საუკუნეა და მის ზემოთ გამართული N263 სამარხის შემცველი მასალა ახ.წ. III საუკუნისაა, ვფიქრობთ, N266 სამარხი არაუგვიანეს ახ.წ. II საუკუნით განვსაზღვროთ.

**სამარხი N180 (ტაბ. XXXვ).** სამარხი ბავშვს ეკუთვნოდა. იწვა ზურგზე, გაშოტილი, ორიენტირებული OW მიმართულებაზე.

497. კოჭობი, თიხა. მინიატურული. ვარდისფრად გამომწვარი. პირი ფართო, გადაშლილი, ბაკო დათხელებული, მუცელი მომრგვალებული, ძირი ბრტყელი, ცალყურა. ზერტყელგანივკვეთიანი ყური სიგრძივ დაღარულია და მიძერილია მუცელზე. სიმაღლე - 6,3 სმ, პირის დიამეტრი - 4 სმ, ძირის დიამეტრი - 4,2 სმ. (GNM1-1-61:3430).

498. სანელსაცხებლე, მინა. მოცისფრო, გამჭვირვალე, თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი ჩაკეცილი, ყელი მაღალი, ძირი ბრტყელი, ოდნავ შედრეკილი. სიმაღლე - 5,3 სმ, პირის დიამეტრი -1,8 სმ, ძირის დიამეტრი - 1,2 სმ. (GNM1-1-61:3431). II საუკუნე (საგინაშვილი 1970:81, კატ. 168).

499. საკიდები. ბრინჯაო, ძვალი. სიმაღლე - 2 – 3,4 სმ. (GNM1-1-61:3438).

500. მძივები. ბრინჯაო, სარდიონი, მინა, გიშერი, პასტა. (GNM1-1-61:3443).

501. ზარაკები, ბრინჯაო (3ც.). ოთხწახნაგა და ნახევარსფერული. სიმაღლე - 1,2-3,9 სმ. (GNM1-1-61:3432, 3433, 3434).

502. საკინძისთავი, მინა. ლურჯი, კვირისტავის ფორმის. ერთმანეთის პარალელური, ირგვლივი ღარებით. სიმაღლე - 0,8 სმ, დიამეტრი - 2,25 სმ. (GNM1-1-61:3442).

503. ბეჭედი, ბრინჯაო. ბრტყელგანიკვეთიანი ფირფიტა ფარაკთან მსხვილდება. ზომები: სიმაღლე - 1,4 სმ, დიამეტრი - 1,6 სმ. (GNM1-1-61:3437).

504. ბეჭედი, ინტალიო. რკინა, სარდიონი. თვალზე გამოსახულია დელფინი. ინტალიოს ზომები: 0,5X0,4 სმ. (GNM1 - გლ. ფ. 1035). ახ.წ. II საუკუნე. (ჯავახიშვილი 1972:56, კატ. 78).

505. საწური, ბრინჯაო (3 ც). წრიული ფორმის, ფირფიტოვანი, გვერდებაკეცილი, დახვრეტილი. დიამეტრი -2,6-2,8- 3,4 სმ(GNM1-1-61:3435).

506. კოჭები, ძვალი (2ც.). გახვრეტილი. (GNM1-1-61:3441). (კერესელიძე 1978:81, კატ. N295).

სამარხში აღმოჩენილი თიხის ჭურჭლის ზუსტი ანალოგი ვერ მოვიძიეთ (ტაბ. XXXვ, კატ. N497). ბრინჯაოს ზარაკი (ტაბ. XXXვ, კატ. N501) შეესატყვისება თ. ჭანიშვილის ზარაკების კლასიფიკაციის V ტიპს, რომლის მიხედვითაც მსგავსი ზარაკების გამოჩენა ახ.წ. II საუკუნეს უკავშირდება და არსებობას განაგრძობს ახ.წ. III-IV საუკუნეების

მიჯნამდე (ჭანიშვილი 2021:631). ვფიქრობთ N180 სამარხში ნაპოვნი ზარაკი გარდამავალია ფორმით ახ.წ. II საუკუნის ბოლოსა და III საუკუნეში გავრცელებულ ზარაკებს შორის. სამარხში ნაპოვნი ბრინჯაოს საკიდი მსგავსია ამავე სამაროვნის N72 სამარხში აღმოჩენილი საკიდისა. მათი ანალოგები აღმოჩენილია სამთავროს სამაროვნის N138 და N221 ორმოსამარხებში, რომლებიც ახ.წ. II საუკუნის მეორე ნახევრითაა დათარიღებული (Иващенко 1980:12, кат. 224,306). ბრინჯაოს საწურები აღმოჩენილია დედოფლის გორის სასახლეში, რომლის დანგრევის ხანა ახ.წ. 80 წლითაა განსაზღვრული (Gagoshidze … 2008a:147, cat. 43-44; Gagoshidze 2017:42-45). ახ.წ. II საუკუნით თარიღდება სამარხში აღმოჩენილი მინის ჭურჭელი (ტაბ. XXX$_3$, კატ. N498) და გლიპტიკური მასალა (ტაბ. XXX$_3$, კატ. N504) (საგინაშვილი 1970:81, კატ. 168, ჯავახიშვილი 1972:49, 56-57).

ვფიქრობთ, სამარხის გამართვის თარიღი ახ.წ. II საუკუნის ბოლოა.

**სამარხი N182 (ტაბ. XXX$_4$).** სამარხი გამართული იყო N178 სამარხის თავზე (ტაბ. XIX$_2$).

507. კოჭობი, თიხა. ჩალისფრად გამომწვარი. ბაკო გათხელებული, პირი გადაშლილი, ყელი ვიწრო, მუცელი სფერული, ძირი ბრტყელი, ცალყურა. ბრტყელგანივკვეთიანი ყური მიძერწილია მუცელზე. სიმაღლე - 7,3 სმ, პირის დიამეტრი - 3,6 სმ, ძირის დიამეტრი - 4,6 სმ. (GNM1-1-61:3450).

სამარხში აღმოჩენილი ჭურჭელი (ტაბ. XXX$_4$, კატ. N507) გარკვეული ნიშნებით (გათხელებული ბაკო, ვიწრო ყელი, სფერული მუცელი, ბრტყელგანივკვეთიანი ყურის მუცელზე მიმაგრება) მსგავსია N180 და N23 სამარხის ნაშთში აღმოჩენილი ჭურჭლებისა (ტაბ. XXX$_3$, კატ. N497; ტაბ. XXXII$_2$, კატ. N584). სამარხები თანმხლები ინვენტარით ახ.წ. II საუკუნით განვსაზღვრეთ. სტრატიგრაფიულად N182 სამარხი ახ.წ. I საუკუნის ბოლოთი დათარიღებულ, N178 სამარხის თავზე იყო გამართული. სტრატიგრაფიული მონაცემები და N182 სამარხის ერთადერთი ინვენტარის მსგავსება N180 და N23 სამარხის ნაშთში აღმოჩენილ ჭურჭლებთან სამარხის თარიღს ახ.წ. II საუკუნით განსაზღვრავს.

**სამარხი N55 (ტაბ. XXX$_5$).** მიცვალებული დაკრძალული იყო ნაგებობის გარეშე. ესვენა ზურგზე, გაშოტილი, ორიენტირებული OW მიმართულებაზე. N55 სამარხი გამართული იყო N57 სამარხის თავზე (ტაბ. XXIII$_1$).

508. სანელსაცხებლე, მინა. მოთეთრო-მომწვანო, გამჭვირვალე, თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი, ყელი მაღალი, მუცელი მომრგვალებული. ძირი ბრტყელი, ოდნავ შედრეკილი. სიმაღლე - 7,2 სმ, პირის დიამეტრი - 2 სმ. (GNM1-1-59:2283). ახ.წ. II საუკუნის მეორე ნახევარი (საგინაშვილი 1970:80, 163).

509. ბეჭედი, ინტალიო. ბრინჯაო, მინა. ინტალიოზე გამოსახულია თევზი. ბეჭდის დიამეტრი - 1,6 სმ. ინტალიოს ზომები - 0,9X0,7 სმ. (GNM1 – გლ.ფ. 979). (ჯავახიშვილი 1972:51, კატ. 65).

510. ბეჭედი, ინტალიო. რკინა, მინა. ინტალიოზე გამოსახულია ათენას ბიუსტი. ბეჭედი ნაკლული. ინტალიოს ზომები - 1,1X0,8 სმ. (GNM1 – გლ.ფ. 978). ახ.წ. II საუკუნე (ჯავახიშვილი 1972:52, კატ. 66).

N55 სამარხში აღმოჩენილი სანელსაცხებლე ახ.წ. II საუკუნის მეორე ნახევრითაა განსაზღვრული (ტაბ. XXX$_5$, კატ. N508) (საგინაშვილი 1970:80, კატ. 163). ტიპოლოგიურად მისი მსგავსი ჭურჭელი აღმოჩნდა N258 და N153 სამარხებში (ტაბ. XXVI$_1$, კატ. N390; ტაბ. XXXV$_1$, კატ. N723), რომლებიც თანმხლები ინვენტარით ახ.წ. II საუკუნით დათარიღდა. ამავე პერიოდს ემთხვევა ინტალიოების გავრცელებაც (ტაბ. XXX$_5$, კატ. N509, 510) (ჯავახიშვილი 1972:55, კატ. 65, 66). N55 სამარხის ქვეშ გამართული იყო ახ.წ. I საუკუნის N57 სამარხი, რაც მის ახ.წ. II საუკუნის ბოლოთი განსაზღვრას არ ეწინააღმდეგება.

**სამარხი N1 (ტაბ. XXX$_6$).** სამუზეუმო წიგნსა და საველე დღიურებში სამარხი N1 და სამარხის ნაშთი N1 ცალ-ცალკეა განხილული. აღნიშნული დოკუმენტების შეჯერების საფუძველზე დარწმუნებით შეიძლება ვთქვათ, რომ აქ საუბარია ერთსა და იმავე სამარხზე, რომელსაც N1 სამარხის სახელით განვიხილავთ. სამარხი მდებარეობდა N4 სამარხში სამხრეთით ჩასვენებული მიცვალებულის ფეხების ქვეშ. ჩონჩხი ძლიერ იყო დაზიანებული და შემოსაზღვრული იყო რიყის ქვებით. მიცვალებული იწვა ზურგზე, გაშოტილი, ორიენტირებული OW მიმართულებაზე. N4 სამარხის ორმოს ამოღების დროს დაზიანდა N1 სამარხის დიდი ნაწილი.

511. ჭურჭელი, თიხა. სხვადასხვა ჭურჭლის კედლის ფრაგმენტები. მოვარდისფრო-მოწითალოდ გამომწვარი, პრიალა ზედაპირით. წითლად შეღებილი გარე და შიდაპირით. (GNM1-1-57:927, 928).

512. საყურე, ბრინჯაო. კალათისებური ფორმის, რკალგახსნილი. სიმაღლე - 1,2 სმ (GNM1-1-57:968).

513. საყურე, ბრინჯაო. მრგვალგანივკვეთიანი მავთულის. რკალი გახსნილია. ზომები - 1,4 X1,2 სმ. (GNM1-1-57:921).

514. მძივები, მინა. (GNM1-1-57:925, 967).

515. ბეჭედი, ინტალიო. ბრინჯაო, სარდიონი. გამოსახულია ღვთაება. ბეჭდის დიამეტრი - 1,7 სმ. ეკეთა მარცხენა ხელის თითზე. (GNM1-გლ.ფ. 934). ახ.წ. II-III სს (ჯავახიშვილი 1972:65, კატ. 98).

516. ბეჭედი, ინტალიო. რკინა, სარდიონი. თვალზე გამოსახულია პანის ნიღაბი. ბეჭედი ნაკლული. ინტალიოს ზომები: 0,9მმX0,7მმ (GNM1 გლ.ფ. 935). ახ.წ. II საუკუნე (ჯავახიშვილი 1972:56, კატ. 76).

517. ბეჭედი, ინტალიო. რკინა, სარდერი. თვალზე გამოსახულია გაურკვეველი საგანი. ბეჭედი ნაკლული. ინტალიოს ზომები: 0,8მმX0,7მმ. (GNM1 გლ.ფ. 936). ახ.წ. II საუკუნე (ჯავახიშვილი 1972:56, კატ. 77).

518. ბეჭედი, ბრინჯაო. ფირფიტოვანი რკალი ბოლოებისკენ მსხვილდება, ფართოვდება და ერთმანეთზეა გადადებული. ეკეთა მარცხენა ხელის თითზე. ზომები: სიმაღლე - 2 სმ, დიამეტრი - 2,3 სმ. (GNM1-1-57:923).

519. ბეჭედი, ბრინჯაო. ბრტყელგანივკვეთიანი მავთული. დამტვრეული. ეკეთა მარცხენა ხელის თითზე. (GNM1-1-57:922).

520. ფალანგები, წყვილი. ძვალი. გახვრეტილი. (GNM1-1-57:926).

N1 სამარხი დაზიანდა N4 სამარხის გამართვის დროს, თუმცა სამარხეული ინვენტარის დეფინიცია მოხერხდა. ბრინჯაოს საყურე (ტაბ. XXX$_6$, კატ. N512) მსგავსია ამავე სამაროვნის ახ.წ. III საუკუნის N273 და N263 სამარხებში აღმოჩენილი ასეთივე ფორმის ოქროს (ტაბ. XXXIII$_3$, კატ. N643) და ბრინჯაოს საყურეებისა (ტაბ. XXXIII$_4$, კატ. N656). მსგავსი ტიპის საყურეების აღმოჩენა ხშირია გვიანანტიკურ, ახ.წ. II-III საუკუნეებით დათარიღებულ ძეგლებზე (სამთავრო, არმაზისხევი, ჟინვალი და სხვ.) (ჯალაბაძე ... 2019:16, კატ. 40; აფაქიძე ... 1955, ტაბ. LII, LIII,CVIII; ჩიხლაძე 2015:60, 75, 78, 82.. კატ. NN382, 212, 246, 306). ახ.წ. II საუკუნით ან ახ.წ. II-III საუკუნეებითაა

დათარიღებული ინტალიოები (ტაბ. $XXX_6$, კატ. N515-517) (ჯავახიშვილი 1972:56, 65, კატ. N76, 77, 98). N1 სამარხის დათარიღებისთვის გასათვალისწინებელია მისი მდებარეობა ახ.წ. III საუკუნის N4 სამარხის ქვეშ (ტაბ. $XXXIV_4$). N1 სამარხის გამართვა ახ.წ. II საუკუნეში უნდა ვივარაუდოთ.

**სამარხი N86 (ტაბ. $XXXI_1$).** სამარხ ორმოში გამართული იყო ხის ნაგებობა. ჩონჩხი ესვენა ზურგზე გაშოტილი, ორიენტირებული OW მიმართულებაზე.

521. საკისრე რკალი, ბრინჯაო. ცენტრალურ ნაწილში მავთული შემსხვილებული და შეზნექილია. შერჩენილია ერთი ბოლო, რომელიც კავს წარმოადგენს. გატეხილი, ნაკლული. (GNM1-1-59:2447).

522. საკიდები. ფაიანსი, მინა, ქარვა, პირიტი. (GNM1-1-59:2452, 2455, 2457).

523. ნივთი, პირიტი. კუბის ფორმის, შესაძლოა იყოს საკიდის ნაწილი. (GNM1-1-59:2453).

524. მძივები. ბრინჯაო, სარდიონი, მინა, გიშერი, პასტა. (GNM1-1-59:2454, 2456, 2457).

525. ზარაკები, ბრინჯაო. ოთხწახნაგა, კონუსური. (GNM1-1-59:2450, 2451).

526. ბეჭედი, ინტალიო. ბრინჯაო, მინა. მინის თვალზე გამოხატული ხელის ჩამორთმევა. ბეჭდის დიამეტრი - 1,6 სმ, სიმაღლე 1,8 სმ. ეკეთა თითზე. (GNM1-გლ.ფ. 1136). ახ.წ. I საუკუნის ბოლო II საუკუნის დასაწყისი (ჯავახიშვილი 1972:47, კატ. 56).

527. ბეჭედი. ბრინჯაო, მინა. ბრტყელგანივკვეთაინი ბრინჯაოს რკალი განიერდება და გადადის ოვალურ თვალბუდეში, რომელშიც ჩასმულია ლურჯი მინის თვალი. სიმაღლე - 1,8 სმ, დიამეტრი - 1,9 სმ.(GNM1-1-59:2449).

N86 სამარხში აღმოჩენილ ინტალიოს თარიღს (ახ.წ. I საუკუნე და II საუკუნის პირველი ნახევარი) (ტაბ. $XXXI_1$, კატ. NN526, 527) (ჯავახიშვილი 1972:47-48, კატ. N56) ეთანხმება აქვე აღმოჩენილი ფაიანსის საკიდი (ტაბ. $XXXI_1$, კატ. NN522), რომელიც ალექსეევას ტიპოლოგიური კლასიფიკაციის 90-ე ტიპში მოთავსდა და მისი ზედა თარიღი არ სცილდება ახ.წ. II საუკუნეს (Алексеева 1975:47, таб. $7_{28-30}$). ასეთივე საკიდი აღმოჩნდა N218 სამრხშიც (ტაბ. $XXIV_2$, კატ. N356), რომლის თარიღი ახ.წ. I საუკუნის ბოლო II საუკუნის დასაწყისით განისაზღვრა. სამარხში აღმოჩენილი ბრინჯაოს ოთხწახნაგა ზარაკის ((ტაბ. $XXXI_1$, კატ. N525) ანალოგები ამავე სამაროვნის ახ.წ. II-III საუკუნეების N57, N112 და N248 სამარხებშია აღმოჩენილი (ტაბ. $XXIII_1$, კატ. 315; ტაბ. $XXXI_2$, 531; ტაბ.

XXXIV6, კატ. N714). ისინი თ. ჭანიშვილის კლასიფიკაციის V ტიპს შეესაბამება და ახ.წ. II საუკუნით თარიღდება (ჭანიშვილი 2021:348-350, 630-631). ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით N86 სამარხის თარიღი ახ.წ. II საუკუნეში უნდა გამართულიყო.

**N112 სამარხი (ტაბ. XXXI2).**

528. საყურე, ბრინჯაო. ბრტყელგანივკვეთიანი მავთული ბოლოებგახსნილია. დიამეტრი - 1,8 სმ. (GNM1-1-60:2806).

529. საკიდი, ბრიჯაო. ბურცობებით შემკული. ყუნწიანი. სიმაღლე - 2,1 სმ. (GNM1-1-60:2805).

530. მძივები. გიშერი, მინა, პასტა. (GNM1-1-60:2803).

531. ზარაკები, ბრინჯაო. ოთხწახნაგა შვერილებით (1ც.), კონუსური (1 ც.). სიმაღლე - 1,5-3 სმ(GNM1-1-60:2904).

532. ნიჟარა. (2 ც). (GNM1-1-60:2808).

სამარხში ნაპოვნი ოთხწახნაგა ზარაკის (ტაბ. XXXI2, კატ. N531) ანალოგები ამავე სამაროვნის ახ.წ. II-III საუკუნეების N57, N86 და N248 სამარხებში დასტურდება (ტაბ. XXIII1, კატ. N315; ტაბ. XXXI1, კატ. N525, ტაბ. XXXIV6, კატ. N714) და ახ.წ. II საუკუნეშია გავრცელებული (ჭანიშვილი, გამყრელიძე 2021:348). N112 სამარხის მსგავსად ასეთივე ზარაკები (ამავე სამაროვნის N248 სამარხის გარდა) ახ.წ. II საუკუნით თარიღდება თანმხლები ინვენტარით. დამათარიღებელი აღმოჩნდა მძივების ასხმაში წარმოდგენილი მოზაიკური მძივი, რომლის თარიღი განსაზღვრულია ძვ.წ. I საუკუნის ბოლო ახ.წ. II საუკუნეებით (ტაბ. XXXI2, კატ. N530) (Алексеева 1982:38, таб. 48-16, тип. 415). მიგვაჩნია, რომ სამარხის გამრთვის თარიღი ახ.წ. II საუკუნეა.

**სამარხი N110 (ტაბ. XXXI3).** სამარხის იატაკი ხის ძელებით იყო ნაგები, ხის მასალით ამოუშენებიათ და რკინის ლურსმნებით შეუკრავთ სამარხის კედლები. ჩონჩხი იწვა ზურგზე, გაშოტილი, ორიენტირებული OW მიმართულებაზე.

533. სანელსაცხებლე, მინა. ცისფერი, გაუმჭვირვალე, თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი, ყელი მაღალი, ძირი ბრტყელი. სიმაღლე - 3,2 სმ. ჩონჩხის გულ-მკერდის არეში. (GNM1-1-60:2795). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:53, კატ. 18).

534. სანელსაცხებლე, მინა. მოლურჯო, გაუმჭვირვალე, თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი, ძირი ბრტყელი. სიმაღლე - 3,7 სმ, პირის დიამეტრი - 1,2 სმ. აღმოჩნდა ჩონჩხის გულ-მკერდის არეში. (GNM1-1-60:2795). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:53, კატ. 19).

535. სანელსაცხებლე, მინა. მოიისფრო, გაუმჭვირვალე, თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი, ძირი ბრტყელი. სიმაღლე - 4 სმ, პირის დიამეტრი - 1,2 სმ. აღმოჩნდა ჩონჩხის გულ-მკერდის არეში. აღდგენილი (GNM1-1-60:2795). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:53, კატ. 20).

536. სანელსაცხებლე, მინა. მოყვითალო, გამჭვირვალე, თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი, ყელი მაღალი, ძირი ბრტყელი. სიმაღლე - 3,8 სმ, პირის დიამეტრი - 1,2 სმ. აღმოჩნდა ჩონჩხის გულ-მკერდის არეში. (GNM1-1-60:2795). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:53, კატ. 21).

537. სანელსაცხებლე, მინა. მომწვანო, გაუმჭვირვალე, თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი, ყელი მაღალი, ძირი ბრტყელი. სიმაღლე - 2,9 სმ, პირის დიამეტრი - 1,2 სმ. აღმოჩნდა ჩონჩხის გულ-მკერდის არეში. (GNM1-1-60:2795). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:54, კატ. 22).

538. სანელსაცხებლე, მინა. იასამნისფერი, გაუმჭვირვალე, თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი, ყელი მაღალი, ძირი ბრტყელი. სიმაღლე - 3,1 სმ, პირის დიამეტრი - 1,1 სმ. აღმოჩნდა ჩონჩხის გულ-მკერდის არეში. (GNM1-1-60:2795). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:54, კატ. 23).

539. სანელსაცხებლე, მინა. ლურჯი, გაუმჭვირვალე, თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი, ყელი მაღალი, ძირი ბრტყელი. სიმაღლე - 3 სმ, პირის დიამეტრი - 1,2 სმ. აღმოჩნდა ჩონჩხის გულ-მკერდის არეში. (GNM1-1-60:2795). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:54, კატ. 24).

540. სანელსაცხებლე, მინა. მოცისფრო-მომწვანო, გაუმჭვირვალე, თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი, ყელი მაღალი, ძირი ბრტყელი. სიმაღლე - 3,5 სმ, პირის დიამეტრი - 1,2 სმ. აღმოჩნდა ჩონჩხის გულ-მკერდის არეში. (GNM1-1-60:2795). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:54, კატ. 25).

541. სანელსაცხებლე, მინა. მომწვანო, გამჭვირვალე, თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი, ძირი ბრტყელი. სიმაღლე - 3,3 სმ, პირის დიამეტრი - 1 სმ, ძირის დიამეტრი - 1,2 სმ. აღმოჩნდა ჩონჩხის გულ-მკერდის არეში. (GNM1-1-60:2795). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:54, კატ. 26).

542. სანელსაცხებლე, მინა. მოცისფრო, გამჭვირვალე, თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი, ძირი შექზნექილი. სიმაღლე - 7,8 სმ, პირის დიამეტრი - 2,8 სმ. აღმოჩნდა ჩონჩხის გულ-მკერდის არეში. (GNM1-1-60:2795). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:71, კატ. 114).

543. მძივსაკიდები. ფაიანსი, მინა, პასტა. (GNM1-1-60:2800, 2801).

544. მძივები. ბრინჯაო, სარდიონი, მთის ბროლი, ფაიანსი, მინა, პასტა, გიშერი, ქარვა. (GNM1-1-60:2801).

545. ზარაკები, ბრინჯაო (2ც.). კონუსური ფორმის. ერთს შერჩენილი აქვს მავთულოვანი ყუნწი. (GNM1-1-60:2799).

546. სამაჯურები, ბრინჯაო (2ც.). ერთმაგი მვათულის ბოლოები გადახვეულია, რომელიც ერთ-ერთი სამაჯურის შემთხვევაში ორმაგ ყულფს („ჰერაკლეს კვანძს“) ქმნის. ჩონჩხს ეკეთა ხელებზე. (GNM1-1-60:2796).

547. ბეჭედი, ბრინჯაო. წრიული ფორმის თვალბუდეში ჩასმულია პასტის თვალი. ნაკლული. ეკეთა თითზე. (GNM1-1-60:2797).

548. ბეჭედი, ბრინჯაო. მრგვალგანივკვეთიანი მავთული ბოლოებგახსნილია. დიამეტრი - 2 სმ(GNM1-1-60:2798). ეკეთა თითზე.

549. ბეჭედი, ბრინჯაო. ფარაკიანი. ეკეთა თითზე. (GNM1-1-60:2797).

550. ნივთი, ძვალი. მრგვალგანივკვეთიანი ღერო. დამტვრეული. (GNM1-1-60:2802).

სამარხში აღმოჩენილი მინის მინიატურული სანელსაცხებლეები დათარიღებულია ახ.წ. I საუკუნით (ტაბ. XXXI3, კატ. N534-541) (საგინაშვილი 1970:53-54, 71. კატ. N18-26, 114). ბრინჯაოს სამაჯურების ანალოგები აღმოჩენილია რიყიანების ველის სამაროვნის N3 სამარხში (ტაბ. XXXI3, კატ. N546) (მირიანაშვილი 1983:24, ნახ. 5, სურ. 80), სამთავროს სამაროვნის ახ.წ. III-IV საუკუნეების N102 და 416 სამარხებში (მანჯგალაძე 1985:47,სურ. 236,239,337, 577), ახ.წ. I-III საუკუნეების მოგვთაკარის

სამაროვნის N5 კრამიტსამარხში (სიხარულიძე, აბუთიძე 1985:119, კატ. N653), ჟინვალის ახ.წ. I-II საუკუნეების N264, 278, 279, 277 სამარხებში (ჩიხლაძე 2015:6, 10-11, 21), არკნეთში (ჯაფარიძე 1956:189, სურ. 5) და სხვა. გამოჩნდა, რომ ამ ტიპის სამაჯურები ძვ.წ. I საუკუნიდან მოყოლებული ახ.წ. III საუკუნემდე არსებობს. ახ.წ. I-III საუკუნეებში არსებობს აგრეთვე N110 სამარხში აღმოჩენილი მოზაიკური მინის მძივებიც (ტაბ. XXXI3, კატ. N544) (Алексеева 1978:47, таб. 29-67, тип. 248). აქვე აღმოჩენილი ოქროფენილი მინის მძივების ერთი ტიპის გავრცელების თარიღი ახ.წ. I-II საუკუნეებია (ტაბ. XXXI3, კატ. N544) (Алексеева 1978:30, таб. 26-21, тип. 4), ოქროფენილი, სიგრძივ დაღარული და სადა მძივების ანალოგები აღმოჩენილია ახ.წ. I საუკუნის ბოლო ხანებით დათარიღებულ დედოფლის გორაზე (გოგიბერიძე 2016:34, ტაბ. I,10,12). სადა, კოჭისებური ფორმის ოქროფენილი მძივების ანალოგია სამთავროს სამაროვნის N51 ქვევრსამარხში (ძვ.წ. I-ახ.წ. I სს.) (თოლორდავა 1980:53). არკნეთში აღმოჩნდა მსგავსი მძივი ისეთივე ბრინჯაოს სამაჯურთან როგორიც ურბნისში, N110 სამარხში დადასტურდა (ტაბ. XXXI3, კატ. N546) (ჯაფარიძე 1956:197), აგრეთვე ნერონ-დერესის N3 სამარხში (ძვ.წ. I ს.) (Гагошидзе 1975:25, 26), რიყიანების ველის N3 სამარხში (ძვ.წ. I საუკუნის პირველი ნახევარი) (მირიანაშვილი 1983:24, სურ. 5) და სხვა.. თარიღებისთვის მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ეგვიპტური ფაიანსის საკიდი (ტაბ. XXXI3, კატ. N543) - ძველეგვიპტური ღვთაების, ჰარპოკრატეს (ბერძნულად - ჰორა) მჯდომარე ფიგურა, რომელიც ანალოგიურია ახ.წ. II საუკუნით დათარიღებულ კომპლექსში აღმოჩენილი ასეთივე საკიდის (Алексеева 1975:37, таб. 7-10, тип. 30). მსგავსი ტიპის საკიდი აღმოჩენილია ურბნისის სამაროვნის ახ.წ. II საუკუნის N172 სამარხში (ტაბ. XXVIII1, კატ. N426). აღმოჩნდა, რომ სამარხეული ინვენტარის უმრავლესობას საკმაოდ დიდი ქრონოლოგიური დიაპაზონი აქვს და ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ახ.წ. I-III საუკუნეებში არსებობს. სამარხის კონკრეტული თარიღის განსაზღვრაში მნიშვნელოვანია მძივები და საკიდები, რომლებიც ახ.წ. II საუკუნეზე გვიანი ხანით განსაზღვრის საშუალებას აღარ იძლევა. ამდენად, N110 სამარხის თარიღი ახ.წ. II საუკუნეით უნდა შემოიფარგლოს.

**სამარხი N279 (ტაბ. XXXI4).** სამარხი ბავშვს ეკუთვნოდა.

551. ტოლჩა, თიხა. მოყავისფრო-ლეგა. პირი გადაშლილი, მკვეთრი, მომრგვალებული ბაკო, მუცელი სფერული, ძირი ბრტყელი, ცალყურა; ბრტყელგანივკვეთიანი ყური მიძერწილია მუცელზე. პირი ჩამოტეხილი აქვს. სიმაღლე - 8,4 სმ, პირის დიამეტრი - 6,5 სმ, ძირის დიამეტრი - 6,9 სმ. (GNM1-1-64:5025).

552. სანელსაცხებელე, მინა. მოცისფრო-მომწვანო, გამჭვირვალე, თავისუფლად ნაბერი. ცილინდრული ყელი, მომრგვალებული მუცელი, ძირი ბრტყელი. სიმაღლე -2,8 სმ, ძირის დიამეტრი - 0,7 სმ. (GNM1-1-64:5026).

553. მძივები: ბრინჯაო, სარდიონი, ფაიანსი, პასტა. (GNM1-1-64:5027, 5028, 5029).

554. ბეჭედი. რკინა, პასტა. ოვალურ თვალბუდეში პასტის თვალი უნდა ყოფილიყო. ბეჭედი გატეხილია, თვალი დაშლილი. (GNM1-1-64:5030).

555. კოჭები, ძვალი (4 ც.). გახვრეტილი. (GNM1-1-64:5031).

თიხის ჭურჭელი და მინის ჭურჭელი სამარხის თარიღის განსაზღვრის საშუალებას არ იძლევა. სამარხის თარიღი. აქ აღმოჩენილი ფაიანსის მძივები ე. მ. ალექსეევას კლასიფიკაციის მე-13ა ტიპს შეესაბამება და მათი გავრცელების ხანა მოიცავს პერიოდს ახ.წ. I საუკუნის ბოლო - II საუკუნის დასაწყისს (ტაბ. XXXI4, კატ. N553) (Алексеева 1975:33, таб. 5, 26). აქვე ნაპოვნი ბრინჯაოს მძივები ანალოგიურია ამავე სამაროვნის N189 და N231 სამარხებში ნაპოვნი მძივებისა (ტაბ. XV, კატ. N105; ტაბ. XXII2, კატ. N301), რომელთა თარიღი ახ.წ. I-II საუკუნეებს არ სცდება. ვფიქრობთ, N279 სამარხი ახ.წ. II საუკუნით განვსაზღვროთ.

**სამარხი N128 (ტაბ. XXXI5).** ჩონჩხი ესვენა მარცხენა გვერდზე, მოხრილი.

556. ჯამი, თიხა. წითლად გამომწვარი, წითლად შეღებვის კვალით. პირფართო, დაქანებული კალთა წიბოთია გამოყოფილი, დაბალი ქუსლით. პირთან ჩამოტეხილი. სიმაღლე - 5,6 სმ, პირის დიამეტრი - 13,4 სმ, ქუსლის დიამეტრი - 6 სმ. (GNM1-1-60:2839).

557. მძივი, მინა. (GNM1-1-60:2841).

N128 სამარხში აღმოჩნდა ვარდისფრად გამომწვარი თიხის ჯამი (ტაბ. XXXI5, კატ. N556) და მინის მძივი (ტაბ. XXXI5, კატ. N557). ჯამი გარეგნული მახასიათებლით ემთხვევა გ. ნარიმანიშვილის მიერ აღწერილ ისეთი ტიპის ჯამებს, რომელიც გავრცელებულია ძვ.წ.

I საუკუნის მეორე ნახევარსა და ახ.წ. II საუკუნეში (ნარიმანიშვილი 2018:88). სამარხიც არაუგვიანეს ახ.წ. II საუკუნით უნდა დათარიღდეს.

**სამარხი N13[4] (ტაბ. V, VII1, XXXI6,).** სამარხის გათხრა 1957 წელს დაწყებულა. მასში დაუკრძალავთ შეკაზმული ცხენი და მსხვილფეხა რქოსანი საქონელი. ცხენი ესვენა მარჯვენა გვერდზე, ორიენტირებული სამხრეთ აღმოსავლეთიდან - ჩრდილო დასავლეთით. მსხვილფეხა საქონლის კისერი ორ რიყის ქვას შორის ყოფილა გაჭედილი, მარცხენა გვერდზე ჩრდილოეთიდან სამხრეთით ორიენტირებული. ძვლების განლაგების მიხედვით მიიჩნიეს, რომ ცხოველები ერთდროულად დაუკრძალავთ. სამარხი სამი მხრიდან რიყის ქვებით იყო შემოფარგლული. ცხოველთა ძვლები დაუზიანებლად იყო შემონახული.

558. აბზინდა, ბრინჯაო. სიგრძე - 3,1 სმ. (GNM1-1-58:1870).

559. ბალთა, ბრინჯაო. ზედაპირზე ქსოვილის ნაშთით. ზომები:7,7X3,5 სმ. (GNM1-1-58:1871).

560. ნივთები. ვერცხლი, ბრინჯაო. ცხენის აკაზმულობის ნაწილები, თასმის მოსართავები. ვერცხლი, ნაკლული. ბრინჯაოს ზომები: 1,6X1,8 სმ. აღმოჩნდა ცხენის თავსა და მკერდთან. (GNM1-1-58:1867, 1868, 1869).

**სამარხის N13 ნაშთი (ტაბ. XXXI7).** ცხენისა და მსხვილფეხა საქონლის სამარხის აღების შემდეგ მიაკვლიეს სამარხის ნაშთს N13-ს, რომელიც ადამიანს ეკუთვნოდა. ადამიანის ძვლები ამოუყრიათ და ჩრდილოეთ ნაწილში მიუხვეტიათ. შემორჩენილი იყო სამარხეული ინვენტარის ნაწილი (ტაბ. XXXI7, კატ. N562, 564, 565, 566). მოგვიანებით, ორი წლის შემდეგ (1960 წელს), ისევ გაითხარა ეს ტერიტორია და არქეოლოგები წააწყდნენ, ადამიანის ფეხის ძვლისა და მენჯის ნაწილს ოქროს საკიდთან ერთად (ტაბ. XXXI7, კატ. N563).

561. ჭურჭელი, თიხა. კედლის ფრაგმენტები. ჩალისფერკეციანი, წითლად შეღებილი. (GNM1-1-60:1872).

[4] N13 სამარხი და სამარხის ნაშთი N13 სხვადასხვა დროს ითხრებოდა. არქეოლოგიური გათხრების შესახებ ინფორმაცია აღვადგინეთ სამუზეუმო დავთრებისა და დ. ქორიძის ხელნაწერი ნაშრომის მიხედვით (ქორიძე 1965).

562. ჭურჭელი, მინა. თეთრი, გამჭვირვალე. უსახური ფრაგმენტები. აღმოჩნდა ჩონჩხთან. (GNM1-1-60:1864).

563. საკიდი, ოქრო. ნახევარმთვარისებური. (GNM1-1-60:2846, 1866).

564. მძივსაკიდები. ფაიანსი, მინა, ნიჟარა, ძვალი. ჩონჩხის კისრის არეში. (GNM1-1-60:1866).

565. მძივები. ფაიანსი, მინა, პასტა, გიშერი. ჩონჩხის კისრის არეში. (GNM1-1-60:1866).

566. ზარაკები, ბრინჯაო. (4 ერთ.), კონუსური, რკინის ენით. ორს შერჩენილი აქვს ყუნწი. სიმაღლე - 1,4 სმ. ჩონჩხის კისრის არეში. (GNM1-1-60:1865).

სამარხის შესახებ ჩვენამდე მოღწეული ინფორმაციის გაანალიზების შედეგად ვვარაუდობთ, რომ N13 სამარხი და N13 სამარხის ნაშთი ერთ სამარხს წარმოადგენდა, სადაც ადამიანთან ერთად ცხენი და საქონელი დაუკრძალავთ, იმ განსხვავებით რომ ცხოველთათვის საგანგებო ბაქანი მოუწყვიათ. დაკრძალვის ეს წესი არსებობს ძვ.წ. V საუკუნის ბოლოს - IV საუკუნის შუა ხანებში საირხეში, ვანში, ტახტიძირში, სადაც თანადაკრძალულ მსახურებისა და ცხოველებისთვის საგანგებო ბაქანს მართავდნენ (მახარაძე, წერეთელი 2007:50-59; კაჭარავა ... 2007:58; გოგიბერიძე, გაგოშიძე 2020:40, 154; ლიჩელი 2018:72). მოგვიანებით, ძვ.წ. I ახ. წ. I სს. რიყიანების ველის სამაროვნის N10 სამარხში მამაკაცისთვის ორი ცხენი ჩაუყოლებიათ. ცხენები ორმოში, მიცვალებულისგან განცალკევებით დაუკრძალავთ (მირიანაშვილი 1983:32), ახალი ჟინვალის ახ.წ. III-IV სს. სამაროვანზე, N5 სამარხში ადამიანთან ერთად დაკრძალული ცხენი, შემაღლებულ ადგილზე, საგანგებო ბაქანზე დაუსვენებიათ (რამიშვილი 1983:86). ასეთივე სურათი ჩანს ურბნისის N13 სამარხში, სადაც მიცვალებულისთვის შეკაზმული ცხენი ჩაუყოლებიათ - ცხენი და ადამიანი სამარხში სხვადასხვა სიმაღლეზე დაუკრძალავთ.

სამარხში აღმოჩენილი ფაიანსის ამფორა-საკიდების (ტაბ. XXXI$_7$, კატ. N564) ზუსტი ანალოგები აღმოჩენილია ამავე სამაროვნის N152 და N15 სამარხებში (ტაბ. XVII$_2$, კატ. N171; ტაბ. XXI$_1$, კატ. N267), რომლებიც ახ.წ. I საუკუნის დასასრულით დავათარიღეთ. აქვე აღმოჩენილი პასტის მძივები (ტაბ. XXXI$_7$, კატ. N565) ე.მ. ალექსეევას კლასიფიკაციის 92 ა ტიპს შეესაბამება და თარიღდება ახ.წ. II საუკუნით (Алексеева 1975:69, таб. 15-22), ინკრუსტირებული მინის მძივები (ტაბ. XXXI$_7$, კატ. N565) ამავე კლასიფიკაციის 395-ე

ტიპს შეესაბამება და გავრცელებულია ძირითადად ახ.წ. I საუკუნის ძეგლებზე (Алексеева 1978:56, таб. 32-56). ოქროს ნახევარმთვარისებური საკიდი (ტაბ. XXXI7, კატ. N563) კი, რომელიც N13 სამარხის ნაშთის ინვენტარად მივიჩნიეთ, ახ.წ. I-III საუკუნეებისთვისაა დამახასიათებელი (ჯალაბაძე ... 2019:21, კატ. 87). ასეთივე ვერცხლის ნახევარმთვარისებური საკიდი აღმოჩენილია ახ.წ. 80 წლით დათარიღებულ დედოფლის გორის სასახლეში (გოგიბერიძე, ჯავახიშვილი 2010:26-28, ტაბ. I5). სამკაული გვაძლევს საშუალებას, რომ N13 სამარხის ნაშთის თარიღი ახ.წ. I საუკუნის ბოლოთი II საუკუნით განვსაზღვროთ.

**სამარხი N191 (ტაბ. XXXII1).** სამარხის იატაკი ხის ძელებით იყო ნაგები. ხის ძელებით ნაშენი სამარხის კედლები ლურსმნებით შეუკრავთ. დაკრძალული იყო ორი მიცვალებული, ორივე ზურგზე გაშოტილი და ორიენტირებული OW მიმართულებაზე.

567. დოქი, თიხა. ჩალისფრად გამომწვარი, სამტუჩა, ბაკომომრგვალებული, ცილინდრული ყელი, სფერული მუცელი, ბრტყელი ძირი, ცალყურა. ოვალურგანივკვეთიანი ყური მიძერწილია პირის კიდესა და მხარზე, პირთან მიერთების ადგილი ოდნავ შემაღლებულია. ყურის ქვეშ ირიბი ნაჭდევი აქვს. სიმაღლე - 22,2 სმ, ტუჩის ზომები: 8,4X8,4სმ. (GNM1-1-61:3509).

568. ქილა, თიხა. ჩალისფრად გამომწვარი, შეღებილი. პირი ბრტყელი, ვიწრო ყელი გადადის სფერულ მუცელში, ძირი ფართო და ბრტყელი, ორყურა. ოვალურგანივკვეთიანი ყურები მიძერწილია მუცელზე. მუცელი შემკულია უწესრიგოდ დატანილი ბურცობებით და ნაჭდევებით. სიმაღლე - 14,4 სმ, პირის დიამეტრი - 6 სმ, ძირის დიამეტრი - 11,9 სმ. (GNM1-1-61:3510).

569. ჭურჭელი, მინა. მომწვანო, გამჭვირვალე, თავისუფლად ნაბერი, პირი გადაშლილი, ჩაკეცილი, ყელი ცილინდრული, მუცელი სფერული, ძირი ბრტყელი ოდნავ შედრეკილი, ორყურა. შემკულია მინისავე ძაფებით. სიაღლე - 9 სმ, პირის დიამეტრი - 3,3 სმ, ძირის დიამეტრი - 3,3 სმ. (GNM1-1-61:3511). ახ.წ. II საუკუნე (საგინაშვილი1970:80, კატ. 160).

570. ჭურჭელი, მინა. თეთრი, გამჭვირვალე. ნამსხვრევები. (GNM1-1-61:3512).

571. ჭურჭელი, მინა. მომწვანო, გამჭვირვალე. ნამსხვრევები. (GNM1-1-61:3521).

572. სამგლოვიარო გვირგვინი, ფურცლები. ფურცლოვანი ოქრო. ოთხკუთხა ფორმის ფირფიტებზე რელიეფურად გამოყვანილია ძარღვები, რაც ქმნის ფოთლის იმიტაციას. (GNM1-1-61:3513).

573. ბაგისსაფარი, ფურცლოვანი ოქრო. ბოლოებზე თითო ნახვრეტით. (GNM1-1-61:3513).

574. საკიდები. ბრინჯაო, პირიტი. კუბის ფორმის პირიტი ჩასმულია ბრინჯაოს სალტეებში. (GNM1-1-61:3526); ბრინჯაო, ქვა, სარდიონი, გიშერი. (GNM1-1-61:3527,3528,3530).

575. მძივები. მინა, პასტა, გიშერი. (GNM1-1-61:3530).

576. ბეჭდები, ბრინჯაო. 2 ცალი. ბრტყელგანივკვეთიანი მავთული ფარაკისკენ განიერდება და ფართო, ოვალურ თვალბუდეს უერთდება. რკალის დიამეტრი: 1. 1,2 სმ; 2. 2,1 სმ. (GNM1-1-61:3518, 3519).

577. ბეჭედი, ინტალიო. რკინა, სარდიონი. პირზე გამოსახულია დემეტრა. ინტალიოს ზომები: 1,3X1სმ. (GNM1 გლ.ფ. 1049).

578. ბეჭედი, რკინა. ოვალურფარაკიანი, დამსხვრეული. (GNM1-1-61:3517).

579. დანა, რკინა. ყუნწიანი. სიგრძე-13,1 სმ. (GNM1-1-61:3514).

580. რგოლები, ბრინჯაო. (2ც). დიამეტრი: 1,7-1,3 სმ. (GNM1-1-61:3520, 3525).

581. ნივთი, ძვალი. დამუშავებული. ფრაგმენტები. (GNM1-1-61:3522,3523). (კერესელიძე 1978:88, კატ. N348).

582. სალესი, ქვა. თეთრი, ოთხწახნაგა, ერთი ბოლო გახვრეტილი. სირძე-4,8, სიგანე - 2,2 სმ. (GNM1-1-61:3515).

583. კოჭი, ძვალი. გახვრეტილი. (GNM1-1-61:3524). (კერესელიძე 1978:81, კატ. N297).

სამარხში ნაპოვნი ცალყურა დოქი (ტაბ. XXXII$_1$, კატ. N567) მსგავსია ყათლანიხევის N2 სამარხში ნაპოვნი დოქისა. ამავე სამარხში ნაპოვნი გემა ახ.წ. II-III საუკუნეებით განსაზღვრა მ. ლორთქიფანიძემ (ხახუტაიშვილი 1964:91, ტაბ.LI$_1$). ახ.წ. I-II საუკუნეებით თარიღდება ურბნისის N191 სამარხში ნაპოვნი წითლად შეღებილი თიხის ორყურა ჭურჭლის (ტაბ. XXXII$_1$, კატ. N568) ანალოგი ამავე სამაროვნის მე-16 უბნის სამარხიდან (ჭილაშვილი 1964:48 ტაბ. XIII$_3$). ახ.წ. II საუკუნის მეორე ნახევრის სამთავროს N136

აგურსამარხში მსგავსი ჭურჭელია ნაპოვნი (Иващенко 1980:11, кат. 98). ჟინვალის სამაროვნის N523 კომპლექსში აღმოჩენილი მსგავსი ჭურჭელი კი ახ.წ. III საუკუნითაა დათარიღებული (ჩიხლაძე 2015:91-92,264, ტაბ.XXXVIII 215). ორყურა ქილის (ტაბ. XXXII$_1$, კატ. N568) ანალოგებია ამავე სამაროვნის N265, N11 სამარხის ნაშთში, N183 სამარხსა და N73 (ტაბ. XXXIV$_1$, კატ. N668; ტაბ. XXXIV$_2$, კატ. N671; ტაბ. XXXIV$_3$, კატ. N674; ტაბ. XXXIV$_5$, კატ. N689). ისინი თანმხლები ინვენტარისა და სტრატიგრაფიული მონაცემების მიხედვით ახ.წ. III საუკუნით თარიღდება. ვფიქრობთ, მსგავსი ტიპის ჭურჭლები ახ.წ. II საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყებს გამოჩენას და N191 სამარხის დოქი (ტაბ. XXXII$_1$, კატ. N568) შესაძლოა ერთ-ერთი ადრეული ფორმაა. შემკობის სტილით ის განსხვავდება ამავე სამაროვნის მსგავსი ტიპის ორნამენტით შემკული ჭურჭლებისაგან (ტაბ. XXXII$_2$, კატ. N584; ტაბ. XXXII$_4$, კატ. N590; ტაბ. XXXIV$_1$, კატ. N668, ტაბ. XXXIV$_2$, კატ. N 671; ტაბ. XXXIV$_3$, კატ. N674, ტაბ. XXXIV$_4$, კატ. N679; ტაბ. XXXIV$_6$, კატ. N 710), რაც სავარაუდოდ მათმა მცირე ქრონოლგიურმა სხვაობამ განაპირობა (უმეტესობა ახ.წ. III საუკუნით დავათარიღეთ).

N191 სამარხის მინის ჭურჭელი (ტაბ. XXXII$_1$, კატ. N569) და ინტალიოები (ტაბ. XXXII$_1$, კატ. N576, 577) ახ.წ. II საუკუნით თარიღდება (საგინაშვილი 1970:80,87; ჯავახიშვილი 1972:54). საინტერესოა სამგლოვიარო გვირგვინის ფურცლების ფორმა. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ისინი ჯამში სამაროვნის რვა სამარხში აღმოჩნდა (N189, 193, 51, 170, 215, 231, 216, 191; ტაბ. XV, XVI, XIX$_1$, XX$_1$,XXII$_{1,2,3}$, XXXII$_1$). მათგან შვიდ სამარხში დადასტურდა რომბის ფორმის ფურცლები, მხოლოდ N191 სამარხში ჩაუყოლებიათ მიცვალებულისთვის მართკუთხა მოყვანილობის ფურცლები (ტაბ. XXXII$_1$, კატ. N572). ყველა სამარხი, სადაც რომბის ფორმის ფურცლები აღმოჩნდა, დათარიღდა ახ.წ. I საუკუნის ბოლოთი II საუკუნის დასაწყისით. N191 სამარხის გამართვას კი ახ.წ. II საუკუნის მიწურულშია სავარაუდო. სამარხების ქრონოლოგიური სხვაობა კარგად გამოჩნდა ხოირის ფურცლების ფორმაშიც. კერძოდ, რომბის ფორმის ფურცლები ზუსტად იმ პერიოდის სამარხებში დასტურდება, რომელიც ფაიუმის პორტრეტების თანადროულია, ხოლო მოგვიანებით ფურცლების ფორმა მნიშვნელობას კარგავს და მათი სამარხში არსებობა მხოლოდ დაკრძალვის წესის ტრადიციის შენარჩუნებით აიხსნება.

N191 სამარხის ახ.წ. II საუკუნის მიწურულით დათარიღებას მასში აღმოჩენილი ინვენტარი არ ეწინააღმდეგება.

**სამარხი N23 ნაშთი (ტაბ. XXXII1).**

584. კოჭობი, თიხა. ვარდისფრად გამომწვარი, წითლად შეღებილი. პირი გადაშლილი, მუცელი სფერული, ძირი ბრტყელი, ბრტყელგანივკვეთიანი ყური მიძერწილია მხარსა და მუცელზე. მუცელი შემკულია შიგნიდან გამოყვანილი ირგვლივი ბურცობებით. ნაკლული. სიმაღლე - 10 სმ, პირის დიამეტრი - 4,3 სმ, ძირის დიამეტრი - 6,2 სმ. (GNM1-1-63:4224).

585. მძივი, სარდიონი. (GNM1-1-63:4225).

კოჭობი (ტაბ. XXXII1, კატ. N584) ფორმით და შემკულობით მსგავსია მოგვთაკარის სამაროვანზე აღმოჩენილი ჭურჭლისა, რომელიც გ. ნარიმანიშვილის კლასიფიკაციის მიხედვით VIII ქრ. ჯგუფს შეესაბამება და ახ.წ. III-IV საუკუნეებით თარიღდება (ნარიმანიშვილი 2018:116, ტაბ. XXXV,3). მორთულობის ეს სტილი ურბნისის სამაროვნის ახ.წ. II-III საუკუნეების სამარხებში აღმოჩენილ ჭურჭელს ახასიათებთ (ტაბ. XXXXII4, კატ. N590; ტაბ. XXXIV1, კატ. N668, ტაბ. XXXIV2, კატ. N671, ტაბ. XXXIV3, კატ. N674, ტაბ. XXXIV4, კატ. N679, ტაბ. XXXIV6, კატ. N710). ფორმით კი (ვიწრო ყელი, სფერული მუცელი, ბრტყელგანივკვეთიანი ყური, ვიწრო, ბრტყელი ძირი) მსგავსია ამავე სამაროვნის ახ.წ. II საუკუნის N180 (ტაბ. XXX3, კატ. N497) და N182 (ტაბ. XXX4, კატ. N507) სამარხებში აღმოჩენილი ჭურჭლებისა, რომელთა დათარიღებაში მოვიშველიეთ აღნიშნული დოქის (კატ. XXXII2, კატ. N584) შეღებვის ფაქტიც, რაც მის თარიღს არაუგვიანეს ახ.წ. II საუკუნის ბოლოთი განსაზღვრავს (ნარიმანიშვილი 2018:105). მოყვანილი მსჯელობა N23 სამარხის ნაშთის თარიღს ახ.წ. II საუკუნის ბოლოთი განსაზღვრავს.

**სამარხი N201 (ტაბ. XXXII3).** სამარხი ალიზით იყო ნაგები. ზურგზე გაშოტილი ჩონჩხი ორიენტირებული იყო NW-SO მიმართულებით.

586. ქილა, თიხა. ვარდისფრად გამომწვარი. სფერული მუცელი, ბრტყელი ძირი. ოვალურგანივკვეთიანი ყური მიმაგრებულია მუცელზე. მუცელი შემკულია ბურცობებითა და ნაჭდევი ორნამენტით. აღდგენილი, ნაკლული. ძირის დიამეტრი - 16 სმ. (GNM1-1-62:3717).

587. სანელსაცხებლე, მინა. მწვანე გამჭვირვალე, სქელკედლიანი, თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი ჩაკეცილი, ყელი მაღალი, მუცელი მსხლისებური, ძირი ბრტყელი, შეზნექილი. სიმაღლე-13,7 სმ, პირის დიამეტრი - 3,4 სმ, ძირის დიამეტრი - 2 სმ. (GNM1-1-62:3718). ახ.წ. I-II საუკუნე (საგინაშვილი 1970:75, კატ. 136).

588. მძივები. პასტა, მინა, ქვა, სარდიონი. (GNM1-1-62:3720).

589. ბეჭედი, ინტალიო. რკინა, სარდიონი. ქვაზე გამოსახულია ღვთაება. ინტალიოს ზომები: 0,8X0,6 სმ. (GNM1 გლ.ფ. 1062). ახ.წ. II საუკუნე (ჯავახიშვილი 1972:57, კატ. 80).

N201 სამარხში აღმოჩენილი თიხის ცალყურა ჭურჭელი (ტაბ. XXXII$_3$, კატ. N586) მსგავსია კარსნისხევის სამაროვნის 32-ე სამარხში აღმოჩენილი ჭურჭლისა. სამაროვნის თარიღი, ახ.წ. II – III საუკუნის დასაწყისითაა განსაზღვრული (აფაქიძე ... 1978:53, სურ. 322; ნიკოლაიშვილი 1993:78-81, ტაბ. CV$_2$). N201 სამარხის გამართვის თარიღს ახ.წ. II საუკუნით განვსაზღვრავთ, რასაც არ ეწინააღმდეგება სამარხში აღმოჩენილი მინის სანელსაცხებლის თარიღი (ტაბ. XXXII$_3$, კატ. N587) და ახ.წ. II საუკუნის ინტალიო (ტაბ. XXXII$_3$, კატ. N589) (საგინაშვილი 1970:75, კატ. 136; ჯავახიშვილი 1972:57-58, კატ. 80).

**სამარხი N277 (ტაბ. XXXII$_4$).**

590. დოქი, თიხა. ვარდისფრად გამომწვარი, წითლად შეღებილი. სამტუჩა. ბაკო თხელი, მუცელი მომრგვალებული, ძირი ბრტყელი, ცალყურა, ბრტყელგანივკვეთიანი ყური მიძერწილია პირის კიდესა და მხარზე, პირთან მიერთების ადგილას ცერისებური შვერილია. მხარი და მუცელი შემკულია ერთმანეთის პარალელური ბურცობების სამი რიგით. სიმაღლე - 22სმ, ძირის დიამეტრი - 15,5 სმ.(GNM1-1-64:5014).

591. მძივები. სარდიონი, პასტა. (GNM1-1-64:5017).

592. საავგაროზე, ბრინჯაო. ცილინდრული, თავსა და ბოლოში ფირფიტოვანი სახურავებით. სიმაღლე - 2 სმ, დიამეტრი - 0,9 სმ. (GNM1-1-64:5018).

593. საკინძი, რკინა. შერჩენილი სიგრძე - 2,3 სმ. (GNM1-1-64:5021).

594. ბეჭედი, ინტალიო. რკინა, სარდიონი. ხელის მტევნის გამოსახულება. (GNM1 - გლ.ფ. N1202). ახ.წ. II-III საუკუნეები (გაბუნია 2017:91, კატ. 13).

595. ბეჭედი, ინტალიო. რკინა, სარდერი. გამოსახულია თავთავები. (GNM1 - გლ.ფ. N1203). ახ.წ. II-III საუკუნეები (გაბუნია 2017:91, კატ. 14).

596. ბალთა, რკინა. ზომები: 2,9X3,4 სმ. (GNM1-1-64:5019).

597. დანა, რკინა. ყუნწიანი, ნაკლული. შერჩენილი სიგრძე - 11,3 სმ. (GNM1-1-64:5020).

598. ისრისპირი, რკინა. ყუნწიანი, სამფრთიანი. შერჩენილი სიგრძე - 5,4 სმ.(GNM1-1-64:5022).

599. კოჭები, ძვალი. (2ც.). გახვრეტილი. (GNM1-1-64:5024).

დოქის (ტაბ. XXXII$_4$, კატ. N590) ზუსტი ანალოგებია ახ.წ. I-III საუკუნეების მოგვთაკარის სამაროვნის N3 სამარხსა (სიხარულიძე, აბუთიძე 1985:115-116, სურ. 625) და ახ.წ. II – III საუკუნის დასაწყისით დათარიღებული კარსნისხევის სამაროვნის N5 და N27 სამარხებში (აფაქიძე ... 1978:34, 53. სურ. 169, 277; ნიკოლაიშვილი 1993:52, 71, ტაბ.LXVII$_2$, XCIV$_2$). ასეთივე ჭურჭელია აღმოჩენილი ჟინვალში და თარიღდება ახ.წ. III-IV საუკუნეებით (Рамишвили 1982: 32, таб. XI$_5$). გ. ნარიმანიშვილი მსგავს ჭურჭლებს VIII ქრონოლოგიურ ჯგუფში აერთიანებს და ათარიღებს ახ.წ. III-IV საუკუნეებით (ნარიმანიშვილი 2018). ურბნისის სამაროვანზე მსგავსი შემკულობით აღმოჩენილია ექვსი ჭურჭელი (ტაბ. XXXII$_2$, კატ. N584; ტაბ. XXXIV$_1$, კატ. N668; ტაბ. XXXIV$_2$, კატ. N671; ტაბ. XXXIV$_3$, კატ. N674; ტაბ. XXXIV$_4$, კატ. N679; ტაბ. XXXIV$_6$, კატ. N710), რომელთაგან ხუთი ახ.წ. III საუკუნის სამარხებს, ხოლო ერთი ახ.წ. II საუკუნის სამარხს მიეკუთვნება (სამარხის ნაშთი N23). საყურადღებოა ჭურჭლის ყურზე დატანილი ცერისებური შვერილი, რომელიც ამავე სამაროვნის ახ.წ. II საუკუნის მიწურულის N142, N114 და ახ.წ. III საუკუნის N248 სამარხების ჭურჭლებს აქვს (ტაბ. XXXII$_5$, კატ. N600; ტაბ. XXXII$_6$, კატ. N614, ტაბ. XXXIV$_6$, კატ. N710). N277 სამარხში აღმოჩენილი რკინის ბეჭდების თარიღი განსაზღვრულია ახ.წ. II-III საუკუნეებით (ტაბ. XXXII$_4$, კატ. NN594, 595) (გაბუნია 2017:91, კატ. 13,14). ჭურჭელი (ტაბ. XXXII$_4$, კატ. N590) დეტალებით (ყურის მოყვანილობა, ცერისებური შვერილი მუცლის ფორმა) ემსგავსება ახ.წ. II საუკუნით დათარიღებულ N142 სამარხის დოქს (ტაბ. XXXII$_5$, კატ. N600). საღებავის ხარისხი და საერთო ნიშნების სიმრავლე ახ.წ. II საუკუნის სამარხეულ ინვენტართან N277 სამარხის თარიღს ახ.წ. II საუკუნის მიწურულით დათარიღების საშუალებას იძლევა.

**სამარხი N142 (ტაბ. XXXII5).** სამარხი ნაგებობა ხის იყო. მიცვალებული ზურგზე იწვა გაშოტილი, ორიენტირებული OW მიმართულებაზე.

600. დოქი, თიხა. წითელი ანგობის კვალით, ჩალისფრად გამომწვარი, სამტუჩა, ბაკომომრგვალებული, სფერულმუცლიანი, ბრტყელძირა, ცალყურა. ბრტყელგანივკვეთიანი ყური მიძერწილია პირის კიდესა და მუცელზე, პირთან მიერთების ადგილას ცერისებური შვერილით. სიმაღლე - 20 სმ, ტუჩის ზომები: 8,2X7,5 სმ, ძირის დიამეტრი - 11 სმ. (GNM1-1-60:2859).

601. სანელსაცხებლე, მინა. მოცისფრო, გამჭვირვალე, თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი, ყელი მაღალი. ძირი ბრტყელი, ოდნავ შედრეკილი. ნაკლული. სიმაღლე - 7,9 სმ, მუცლის დიამეტრი - 3,2 სმ. (GNM1-1-60:2860). ახ.წ. I-II საუკუნე (საგინაშვილი 1970:81, კატ. 165).

602. საყურე, წყვილი, ვერცხლი. ოვალურგანივკვეთიანი მავთული ბოლოებგახსნილია. დიამეტრი - 1,6 სმ. (GNM1-1-60:2866).

603. მძივები. სარდიონი, გიშერი, ქარვა, მინა, პასტა. (GNM1-1-60:2872).

604. საკინძისთავი, მინა. მომწვანო-მოყვითალო, კვირისტავის ფორმის. სიმაღლე - 0,9 სმ, დიამეტრი - 2,7 სმ. ნახვრეტში შერჩენილი ყოფილა ბრინჯაოს ღერო. (GNM1-1-60:2868).

605. საკინძი/სადგისი, ძვალი. ბოლოსკენ გაწვრილებული, კარგად გაპრიალებული. ნაკლული. შერჩენილი სიგრძე - 6,4 სმ. (GNM1-1-60:2871). (კერესელიძე 1978:75, კატ. N253).

606. ნემსი/ საკინძი, ბრინჯაო. (GNM1-1-60:2869).

607. ბეჭედი, ინტალიო. ბრინჯაო, სარდიონი. თვალზე გამოსახულია ღვთაება. (GNM გლ.ფ. 993). (ჯავახიშვილი 1972:48, კატ. 57).

608. ბეჭედი, ინტალიო. ბრინჯაო, პასტა. თვალზე გამოსახულია ლათინური ასო - „P“. (GNM გლ. ფ. 994). ახ.წ. II საუკუნე (ჯავახიშვილი 1972:48-49, კატ. 58).

609. ბეჭედი, ბრინჯაო. ბრტყელგანივკვეთიანი მავთული გადადის ოვალური ფორმის თვალბუდეში, რომელშიც ჩასმულია მინის თვალი. (GNM1-1-60:2862).

610. ბეჭედი, ინტალიო. რკინა, სარდიონი. თვალზე გამოსახულია პანის ნიღაბი. (GNM გლ. ფ. 996). დათარიღებულია ახ.წ.. II საუკუნით (ჯავახიშვილი 1972: 49, კატ. 59).

611. ბეჭედი, რკინა. თვალბუდიანი. თვალი არ ახლავს. ნატეხები. (GNM1-1-60:2865).

612. მონეტა. ავგუსტუსის. ქარონის ობოლი. (GNM1-1-60:2867).

613. ნიჟარა. (GNM1-1-60:2870).

N142 სამარხში აღმოჩენილი თიხის დოქი (ტაბ. XXXII$_5$, კატ. N600) ფორმით ანალოგიურია რიყიანების ველის სამაროვნის N18 სამარხში დადასტურებული დოქისა, თუმცა ყური მათგან განსხვავებული აქვს. სამარხის თარიღი ახ.წ. I საუკუნის მეორე ნახევრითაა განსაზღვრული (მირიანაშვილი 1983:42, სურ. 56). დოქი ყურზე დასმული შვერილით მსგავსია ამავე სამაროვნის ახ.წ. II საუკუნით დათარიღებულ N277 სამარხში აღმოჩენილი წითლად შეღებილი დოქისა (ტაბ. XXXII$_4$, კატ. N590). კარსნისხევის სამაროვნის N18 სამარხის დოქი მუცლის მოყვანილობით განსხვავდება ურბნისის ჭურჭლისგან, თუმცა ყურზე დატანილი ცერისებური შვერილით N142 და N277 სამარხის სამტუჩას იდენტურია. კარსნისხევის სამარხების უმეტესობა ახ.წ. II საუკუნითაა დათარიღებული (აფაქიძე, კალანდაძე, ნიკოლაიშვილი 1978:32, 44. კატ. 230; ნიკოლაიშვილი 1993:65, ტაბ. LXXXV$_2$). ასეთივე შვერილიანი ყური აქვს მოგვთაკარის სამაროვნის (ახ.წ. I-III სს.) მე-3 სამარხში აღმოჩენილ ბურცობებით შემკულ დოქს (სიხარულიძე, აბუთიძე 1985:116, კატ. N625) N142 სამარხში აღმოჩენილი მინის საკინძისთავი (ტაბ. XXXII$_5$, კატ. N604) და მინის ჭურჭელი (ტაბ. XXXII$_5$, კატ. N601) ახ.წ. I-II საუკუნეებითაა დათარიღებული (Haevernick 1981:226; საგინაშვილი 1970:81); აქვე აღმოჩენილი მოზაიკური პასტის მძივის გავრცელების ხანა ემთხვევა ახ.წ. I-II საუკუნეებს (ტაბ. XXXII$_5$, კატ. N603) (Алексеева 1982:39, таб. 49-$_{67}$, тип. 434). გლიპტიკური ძეგლების თარიღი კი ახ.წ. II საუკუნით განისაზღვრა (ტაბ. XXXII$_5$, კატ. NN607-610) (ჯავახიშვილი 1972:49, 56-57). რამდენადაც ცერისებურ შვერილიანმა ჭურჭლებმა უმეტესად ახ.წ. II საუკუნის ინვენტართან იჩინა თავი, ვფიქრობთ, N142 სამარხი ახ.წ. II საუკუნით განვსაზღვროთ.

**სამარხი N114 (ტაბ. XXXII$_6$).** სამარხი ხის ძელებით ყოფილა შემოფარგლული. მიცვალებული ზურგზე დაუსვენებიათ ორიენტირებული OW მიმართულებაზე. გაწმენდისას ადგილზე მხოლოდ ფეხის თითები და წვივის ძვლები აღმოჩნდა. დანარჩენი მიხვეტილი იყო ერთ ადგილას. გაირკვა, რომ N115 სამარხისთვის ორმოს ამოღების დროს

დაზიანდა N114 სამარხის სამხრეთი ნაწილი. N114 სამარხი N115 სამარხზე 15 სმ-ით დაბლა იყო განლაგებული.

614. დოქი, თიხა. მოვარდისფრო კეცი, წითლადშეღებილი. სამტუჩა, ყელწიბოიანი, მსხლისებური ფორმის ტანით, ბრტყელძირა, ცალყურა. ყურის პირთან მიერთების ადგილას ცერისებური შვერილია. პირზე ტუჩის შეზნექვის ადგილას შვეული ღარი დაუყვება. ტუჩი ჩამოტეხილი აქვს. სიმაღლე - 20,3 სმ, ძირის დიამეტრი - 12,3 სმ. (GNM1-1-60:2811).

615. ჭურჭელი, მინა. ფრაგმენტები. გამჭვირვალე, მომწვანო, თხელკედლიანი (GNM1-1-60:2812).

616. სანელსაცხებლე მინა, ყელის ფრაგმენტი. მწვანე, გამჭვირვალე. (GNM1-1-60:2813).

N114 სამარხში აღმოჩენილი თიხის დოქის (ტაბ. XXXII6, კატ. N614) მსგავსი ფორმის ყური ურბნისის სამაროვნის N142 (II საუკუნე), N277 (II საუკუნე), N248 (ახ.წ. III საუკუნე) სამარხებში აღმოჩენილ დოქებს აქვთ (ტაბ. XXXII4, კატ. N590; ტაბ. XXXII5, კატ. N600; ტაბ. XXXIV6, კატ. N710). N114 სამარხის ზედა თარიღი განსაზღვრა N115-მა სამარხმა, რომელშიც აღმოჩენილი ნივთების უმეტესობა ახ.წ. I-II საუკუნეებით დათარიღდა. თუ გავითვალისწინებთ ურბნისის სამაროვნის ზემოთ ჩამოთვლილი სამარხების თარიღებს, კატ. N614 დოქის ყელზე არსებულ წიბოს, ჭურჭლის წითლად შეღებვის ტრადიციას (ნარიმანიშვილი 2018:105) და სამარხის სტრატიგრაფიას (N114 სამარხი გაიმართა N115 სამარხზე ადრე) სამარხის გამართვა მიახლოებით ახ.წ. II საუკუნის შუა ხანებში უნდა ვივარაუდოთ.

**სამარხი N115 (ტაბ. XXXII7).** სამარხი N114 სამარხის ჩონჩხის ქვედა კიდურებზე გადადიოდა. სამარხი კედლის ქვემო ნაწილი ქვებით იყო ნაგები, ხოლო ზემოთ ალიზის აგურის კედელი იყო ამოყვანილი. სამხრეთ კედელი ხის იყო და აგური ჰქონდა შემოწყობილი. მიცვალებული იწვა ზურგზე, გაშოტილი, ორიენტირებული იყო OW მიმართულებაზე.

617. მძივები. მინა (12 ც), გიშერი (12 ც), მთის ბროლი. (GNM1-1-60:2818).

618. ზარაკები, ბრინჯაო (3 ც), 1. ნახევარსფერული. ბრინჯაოს წვრილი მოტეხილი ყუნწით და ენით, სიმაღლე - 0,6 სმ; დიამეტრი - 1,2 სმ; 2. კონუსური, გაშლილი ფუძით

(2ც.), ზედაპირზე ეტყობა ირგვლივი ღარები, სიმაღლე - 1,4 სმ, დიამეტრი - 1,6 სმ. (GNM1-1-60:2817).

619. ბეჭედი, ბრინჯაო. ბრტყელგანივკვეთიანი რკალი ფართოვდება და გადადის ოვალური ფორმის თვალბუდეში, რომლშიც ჩასმულია თეთრი პასტის თვალი; გატეხილია. (GNM1-1-60:2815).

620. ბეჭდები. რკინა, ბრინჯაო. რკალი ბოლოსკენ ფართოვდება და გადადის ოვალურ თვალბუდეში, რომელშიც ჩასმულია თეთრი პასტის თვალი. მეორე ნაწილი მიჟანგულია რკინის ბეჭედზე შიდა მხრიდან. სიმაღლე - 1,5 სმ, რკალის დიამეტრი -1,8 სმ, თვალბუდის სიგანე -1,2 სმ. (GNM1-1-60:2816).

621. ბეჭედი, მინა. მინისავე თვლით. რკალი სპირალურად დაზოლილია თეთრი ფერის მინით და გადადის ფარაკში, რომელზეც დასმულია ოვალური ფორმის თეთრი პასტის თვალი. ბეჭდის დიამეტრი - 2,3 სმ. (GNM1-1-60:2814).

N115 სამარხში აღმოჩენილი მინის ბეჭდის (ტაბ. XXXII$_7$, კატ. N590) ანალოგი დაცულია კორნინგის მუზეუმში, რომელიც ახ.წ. I საუკუნით თარიღდება (https://www.pinterest.com/pin/163888873910649138/?d=t&mt=login). ასეთი ტიპის ბეჭდები ფ. ჰენკელის მიხედვით ახ.წ. III საუკუნით თარიღდება (Henkel 1913, tafel. LXV,1755). N115 სამარხში აღმოჩენილ მძივებს შორის იყო ცილინდრული ფორმის ოქროფენილი მინის მძივი (ტაბ. XXXII$_7$, კატ. N617), რომელიც მსგავსია დედოფლის გორაზე აღმოჩენილი (ახ.წ. 80 წელი) ახ.წ. I საუკუნის ოქროფენილი მძივისა (Gogiberidze 2008, cat. 72). ალექსეევას მძივების ტიპოლოგიური კლასიფიკაციის მიხედვით ასეთი ფორმის მინის მძივი მიეკუთვნება მე-4 ტიპს და გავრცელებულია ახ.წ. I-II საუკუნეებში (Алексеева 1978:30, таб. 26-20). N115 სამარხს პარალელებისა და სტრატიგრაფიის გათვალისწინებით ახ.წ. II საუკუნის მიწურულით ვათარიღებთ.

**II ქრონოლოგიური ჯგუფის (ახ.წ. I საუკუნის ბოლო - ახ.წ. II საუკუნე) ანალიზი**

*სამარხთა აგებულება და დაკრძალვის წესი: (იხ. დანართი N1 და N2; დიაგრამა NN4, 5)*

მეორე ქრონოლოგიურ ჯგუფს (ახ.წ. I საუკუნის ბოლო - ახ.წ. II საუკუნე) (მიეკუთვნება 70 სამარხი, რაც სამაროვანზე აღმოჩენილი სამარხების 60% წარმოადგენს. 19 შემთხვევაში არ გვაქვს ინფორმაცია სამარხის აგებულების შესახებ (სამარხები: N7 ნაშთი, ტაბ. XXI$_{4}$; N216 ტაბ. XII$_{3}$; NN229, 165 ტაბ. XXIII$_{3,5}$; N6 ნაშთი ტაბ. XXV$_{2}$; NN258, 275, ტაბ. XXVI$_{1,3}$; N240, ტაბ. XXVII$_{2}$; N233, ტაბ. XXIX$_{5}$; NN224, 266,ტაბ. XXX$_{1,2}$; N180, 182, ტაბ. XXX$_{3,4}$; NN112, 279, 128, N13 ნაშთი, ტაბ. XXXI$_{2,4,5,7}$; N23 ნაშთი, N277, ტაბ. XXXII$_{2,4}$). სამარხი ორმო ხის ძელებით აშენებულია 36 შემთხვევაში (სამარხები: N230, ტაბ. XIII$_{2}$; NN205, 245, 187, ტაბ. XIV$_{1,2,3}$; N189, ტაბ. XV; ტაბ. N193, ტაბ. XVI; NN105, 152, ტაბ. XVII$_{1,2}$; N208, ტაბ. XVIII$_{2}$; NN178, 163, 68, ტაბ. XIX$_{2,3,4}$; N170, ტაბ. XX$_{1}$; N15, ტაბ. XXI$_{1}$; NN215, 231, 272, ტაბ. XXII$_{1,2}$; NN200, 218, ტაბ. XXIV$_{1,2}$; NN162, 84, ტაბ. XXV$_{1,3}$; N256, ტაბ. XXVI$_{2}$; NN172, 23, 100, 24, ტაბ. XXVIII$_{1,2,3,4}$; NN221, 257, 243, 181, 234, ტაბ. XXIX$_{1,2,3,4,6}$; NN86, 110, ტაბ. XXXI$_{1,3}$; N191, 142, 114, ტაბ. XXXII$_{1,5,6}$), სამარხი ორმო ამოშენებულია ხის ძელებით და მის გარშემო ან ზემოდან ქვებია დაწყობილი 8 შემთხვევაში (სამარხები: N59, ტაბ. XIV$_{4}$; N51, ტაბ. XIX$_{1}$; N20, ტაბ. XX$_{2}$; NN90, 155, ტაბ. XXI$_{2,3}$; NN57, 54, ტაბ. XXIII$_{1,2}$; N67, ტაბ. XXVII$_{1}$), ნაგებობის გასამართად ხე და ალიზია გამოყენებული ერთ შემთხვევაში (სამარხი N207, ტაბ. XVIII$_{1}$), ჯერ ალიზით ამოულესავთ შემდეგ კი ხის ძელებით შემოუფარგლავთ N136 სამარხი (ტაბ. XIII$_{1}$). ხე, ქვა და ალიზია გამოყენებული N155 სამარხი ნაგებობის ასაშენებლად (ტაბ. XXI$_{3}$), ალიზითაა შელესილი სამარხი ორმო ერთ შემთხვევაში (სამარხი N201, ტაბ. XXXII$_{3}$), ქვით შემოუფარგლავთ ერთი ორმოსამარხი (სამარხი N1, ტაბ. XXX$_{6}$), ნაგებობის გარეშეა ორი სამარხი (NN164, 55; ტაბ. XXIII$_{4}$, XXX$_{5}$).

**დიაგრამა N4**




II ქრონოლოგიურ ჯგუფში (ახ.წ. I საუკუნის ბოლო - ახ.წ. II საუკუნე) დაკრძალული 73 ინდივიდიდან უცნობია 14 ინდივიდის დაკრძალვის პოზა და 15 ინდივიდის დამხრობა. დარჩენილი 59 შემთხვევიდან ზურგზე გაშოტილი და თავით აღმოსავლეთით (OW) დაკრძალულია 55 მიცვალებული (N230, ტაბ. XIII2; NN205, 59, ტაბ. XIV1,4; N189, ტაბ. XV; N193, ტაბ. XVI; N152, ტაბ. XVII2; NN207, 208 XVIII1,2; NN51 (ორი ინდივიდი), 178, 163, 68, ტაბ. XIX1,2,3,4; NN170, 20, ტაბ. XX1,2; NN15, 90, 155, ტაბ. XXI1,2,3; NN215, 231, 216, 272, ტაბ. XXII1,2,3,4; N57 (ორი ინდივიდი), 54, 229, 164, 165, ტაბ. XXIII1-5; N200, 218, ტაბ. XXIV1,2; NN162, 84, ტაბ. XXV1,3; NN258, 256, ტაბ. XXVI1,2; N67, ტაბ. XXVII1; NN172, 23, 100, 24, ტაბ. XXVIII1-4; NN221, 257, 243, 181, 234, ტაბ. XXIX1-4,6; N224, 180, 55, 1, ტაბ. XXX1,3,5,6; N86, 110, ტაბ. XXXI1,3; N191-2 ინდივიდი, 142, 114, 115, ტაბ.XXXII1,5,6,7), ზურგზე გაშოტილი და ჩრდილო-აღმოსავლეთიდან - სამხრეთ-დასავლეთით (NO-SW) დამხრობილი სამი (N245, ტაბ. XIV2; N105, ტაბ. XVII1; N266, ტაბ. XXX2), ზურგზე გაშოტილი და ორიენტირებული ჩრდილო-დასავლეთიდან - სამხრეთ-აღმოსავლეთით (NW-SO) ერთი (სამარხი N201, ტაბ. XXXII3). მარცხენა გვერდზე კიდურებმოხრილი დაუკრძალავთ ერთი მიცვალებული, რომლის დამხრობა უცნობია (სამარხი N128, ტაბ. XXXI5).

**დიაგრამა N5**




*სამარხეული ინვენტარი (იხ. დიაგრამა N6):*

**თიხის ჭურჭელი:** მეორე ქრონოლოგიურ ჯგუფში (ახ.წ. I საუკუნის ბოლო - II საუკუნე) 70 სამარხიდან თიხის ჭურჭელი 44 სამარხში დადასტურდა სულ 47 ერთეული (მათ შორის, სამ შემთხვევაში, ფრაგმენტებია შემორჩენილი (ტაბ. XXII$_2$, კატ. N296, ტაბ. XXX$_6$, კატ. N511, XXXI$_7$, კატ. N561). სამარხებში ძირითადად ფიქსირდება თითო თიხის ჭურჭელი, მხოლოდ სამ შემთხვევაში დადასტურდა ორი ჭურჭლის აღმოჩენის ფაქტი (სამარხი N205, ტაბ. XIV$_1$; სამარხი N51, ტაბ. XIX$_1$; სამარხი N191, ტაბ. XXXII$_1$). სამაროვნის მეორე ქრონოლოგიური ჯგუფის (ახ.წ. I საუკუნის ბოლო - II საუკუნე) კერამიკულ ნაწარმში დასტურდება როგორც იმპორტული, ისე ადგილობრივი ჭურჭლები.

**იმპორტული კერამიკა.**

**სანელსაცხებლე.** 44 მთელი ჭურჭლიდან 5 თიხის იმპორტული ნაწარმია. ისინი სამაროვნის ოთხ სამარხში აღმოჩნდა (N230, 205, 245, 136), სულ ხუთი ერთეული (ტაბ. XIII$_{1,2}$, კატ. N30, 31; ტაბ. XIV$_{1,2}$, კატ. NN66, 67, 76). მსგავსი ტიპის ჭურჭლების ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიური კლასიფიკაციის მიხედვით ისინი ჩვენს მიერ

შემუშავებული კლასფიკაციის მეორე ქრონოლოგიურ ჯგუფს (ახ.წ. I საუკუნის ბოლო - II საუკუნე) მიესადაგა, რასაც არ ეწინააღმდეგება თანმხლები მასალა.

**ადგილობრივი კერამიკა.**

მეორე ქრონოლოგიურ ჯგუფში (ახ.წ. I საუკუნის ბოლო - II საუკუნე) თიხის 38 მთელი ჭურჭელი მოთავსდა. მათი 85% ჩალისფერკეციანია, დანარჩენი შავპრიალა. აღნიშნულ ჯგუფში ადგილობრივი კერამიკის რამდენიმე სახეობა გამოიკვეთა: დოქები (27 ერთეული - (ტაბ. XIV$_{3}$, კატ. N80; ტაბ. XVI, კატ. N121; ტაბ. XVII$_{1,2}$, კატ. NN160, 169; ტაბ. XVIII$_{1,2}$, კატ. NN179, 187; ტაბ. XIX, კატ. NN193, 194, 207, 218; ტაბ. XXII$_{1}$, კატ. N283; ტაბ. XXIV, კატ. NN348, 353; ტაბ. XXV, კატ. NN370, 377, 378; ტაბ. XXVI, კატ. NN387, 406, 410; ტაბ. XXVII, კატ. NN412, 419; ტაბ. XXVIII$_{1}$, კატ. N420; ტაბ. XXIX$_{3}$, კატ. N465; ტაბ. XXX$_{1}$, კატ. N483, ტაბ. XXXII$_{1,4,5,6}$, კატ. N567, 590, 600, 614), კოჭობები (3 ერთეული - ტაბ. XXX$_{3,4}$, კატ. N497, 507; ტაბ. XXXII$_{2}$, კატ. N584), ქოთანი (ტაბ. XXXI$_{4}$, კატ. N551), დერგი (ტაბ. XV, კატ. N91), პელიკისებური ჭურჭელი (ტაბ. XX$_{1}$, კატ. N221), ორყურა ქილა (ტაბ. XXXII$_{1}$, კატ. N568), ცალყურა ქილა (ტაბ. XXXII$_{3}$, კატ. N586), ტოლჩა (ტაბ. XIX$_{3}$, კატ. N212) და ჯამი (ტაბ. XXXI$_{5}$, კატ. N556). შავპრიალა ჭურჭლები მხოლოდ დოქების ჯგუფშია წარმოდგენილი (ტაბ. XIV$_{3}$, კატ. N80; ტაბ. XXII$_{1}$, კატ. N283; ტაბ. XXIV, კატ. NN348, 353; ტაბ. XXV$_{2,3}$, კატ. NN377, 378).

გვაქვს ჭურჭლის წითლად მოხატვის თერთმეტი (ტაბ. XV, კატ. N91; ტაბ. XVI, კატ. N121; ტაბ. XVII, კატ. NN160, 169; ტაბ. XVIII, კატ. NN179, 187; ტაბ. XIX, კატ. NN193, 207, 212; ტაბ. XXVII, კატ. NN412, 419) და წითლად შეღებვის 6 შემთხვევა (ტაბ. XXVIII, კატ. N420; ტაბ. XXX$_{3}$, კატ. N497; ტაბ. XXXI$_{5}$, კატ. N556; ტაბ. XXXII$_{2}$, კატ. N584, ტაბ. XXXII$_{4,6}$, კატ. NN590, 614).

**მინის ჭურჭელი.** თუ პირველი ქრონოლოგიური ჯგუფისთვის (ძვ.წ. I საუკუნის ბოლო - ახ.წ. I საუკუნის დასაწყისი) ძირითად სამარხეულ ინვენტარს თიხის ჭურჭელი წარმოადგენდა, მეორე ქრონოლოგიურ ჯგუფში (ახ.წ. I საუკუნის ბოლო - II საუკუნე) რაოდენობრივად მკვეთრად ჭარბობს მინის ჭურჭელი. 70 სამარხიდან მინის ჭურჭელი 47 სამარხში დაფიქსირდა სულ 167 ერთეული. თითო მინის ჭურჭლის აღმოჩენის ფაქტი დასტურდება 14 სამარხში (სამარხი NN152, 208, 163, 229, 218, 84, 181, 233, 224, 180, 55, 279,

201, 142; ტაბ. XVII$_{2}$, კატ. N170; ტაბ. XVIII$_{2}$, კატ. N188; ტაბ. XIX$_{3}$, კატ. N213; ტაბ. XXIII$_{3}$, კატ. N331; ტაბ. XXIV$_{1}$, კატ. N349; ტაბ. XXV$_{3}$, კატ. N379; ტაბ. XIX$_{4,5}$, კატ. N470, 473; ტაბ. XXX$_{1,3,5}$, კატ. N484, 498, 508; ტაბ. XXXI$_{4}$, კატ. N552; ტაბ. XXXII$_{3,5}$, კატ. NN587, 601), ორი ჭურჭლის - 14 სამარხში (სამარხი NN205, 187, 178, 15, 231, 57, 54, 218, 23, 100, 257, 243, 243, 114; ტაბ. XIV$_{1,3}$, კატ. NN68, 69, 81, 82; ტაბ. XIX$_{2}$, კატ. NN208, 209; ტაბ. XXI$_{1}$, კატ. NN265, 266; ტაბ. XXII$_{2}$, კატ. NN297, 298; ტაბ. XXIII$_{1,2}$, კატ. NN312, 313, 319, 320; ტაბ. XXIV$_{2}$, კატ. N354, 355; ტაბ. XXVIII$_{2,3}$, კატ. NN446, 447, 448, 449; ტაბ. XXIX$_{2,3,6}$, კატ. NN463, 464, 466, 467, 474, 475; ტაბ. XXXII$_{6}$, კატ. NN615, 616), სამი მინის ჭურჭლის ჩატანების 8 შემთხვევაში (სამარხი NN 245, 105, 207, 51, 170, 258, 24, 191; ტაბ. XIV$_{2}$, კატ. NN77-79; ტაბ. XVII$_{1}$, კატ. N161-163; ტაბ. XVIII$_{1}$, კატ. N180-182; ტაბ. XIX$_{1}$, კატ. N195-197; ტაბ. XXII$_{1}$, კატ. N284-286; ტაბ. XXVI$_{1}$, კატ. NN388-390; ტაბ. XXVIII$_{4}$, კატ. N450-452; ტაბ. XXXII$_{1}$, კატ. NN569-571), თითო შემთხვევაა სამარხში ოთხი (სამარხი N172, ტაბ. XXVIII$_{1}$, კატ. NN421-424), ხუთი (სამარხი N266, ტაბ. XXX$_{2}$, კატ. N491-495), ექვსი (სამარხი N90, ტაბ. XXI$_{2}$, კატ. N271-274), რვა (სამარხი N189, ტაბ. XV, კატ. NN92-99), ცხრა (სამარხი N170, ტაბ. XX$_{1}$, კატ. NN222-230), ათი (სამარხი N110, ტაბ. XXXI$_{3}$, კატ. N533-542), თერთმეტი (სამარხი N20, ტაბ. XX$_{2}$, კატ. N247-257), თვრამეტი (სამარხი N193, ტაბ. XVI, კატ. N122-139), ოცდაერთი (სამარხი N230, ტაბ. XXII$_{2}$, კატ. N32-52) მინის ჭურჭლის აღმოჩენისა.

**სამგლოვიარო გვირგვინი, ბაგისსაფარი.** სამგლოვიარო გვირგვინი რვა მიცვალებულისთვის ჩაუყოლებიათ (სამარხი N189, ტაბ. XV, კატ. N101; სამარხი N193, ტაბ. XVI, კატ. N140; სამარხი N51, ტაბ. XIX$_{1}$, კატ. N198; სამარხი N170, ტაბ. XX$_{1}$, კატ. N231; სამარხი NN215, 231, 216, ტაბ. XXII$_{1,2,3}$, კატ. NN287, 299, 305; სამარხი N191, ტაბ. XXXII$_{1}$, კატ. N572). მათგან ოთხ შემთხვევაში ბაგისსაფართან ერთად (სამარხი N189, ტაბ. XV, კატ. N103; სამარხი N193, ტაბ. XVI, კატ. N141; სამარხი N216, ტაბ. XXII$_{3}$, კატ. N306; სამარხი N191 ტაბ. XXXII$_{1}$, კატ. N573). საგულისხმოა, რომ რომბის ფორმის ხოირის ფურცლები ურბნისის სამაროვნის თანადროულ არცერთ ძეგლზე ფიქსირდება საქართველოში. ფაიუმის, ჰავარას, ერ-რუბაიატში, ანტინოოპოლისსა და სხვადასხვა ძეგლებზე აღმოჩენილ ზოგიერთ პორტრეტზე გამოსახულ ადამიანებს ასეთივე ფორმის ფურცლებით შედგენილი გვირგვინი ამკობთ. პორტრეტების თარიღი ახ.წ. 50-170 წლების

ფარგლებში მერყეობს (Walker, Bierbier 1997:40, 56, 71, 94-96 , 108, 113, 115-116; cat. 13, 32, 48, 84, 86, 103, 108, 111). ამავე პერიოდით დათარიღდა ხოირის ფურცლების შემცველი სამარხებიც.

**საყურე.** 70 სამარხიდან 12 სამარხში დადასტურდა საყურე. მათგან სამი წყვილი ოქროს (სამარხი NN189, 193, 258; ტაბ. XV, კატ. N102; ტაბ. XVI, კატ. N142; ტაბ. XXVI$_1$, კატ. N391), სამი წყვილი ვერცხლი (სამარხი NN215, 172, 142; ტაბ. XXII$_1$, კატ. N288; ტაბ. XXVIII$_1$, კატ. N425; ტაბ. XXXII$_5$, კატ. N602), თითო ვერცხლისა ორ სამარხში (სამარხი NN231, 216, ტაბ. XXII$_{2,3}$, კატ. N300, 307), ორი წყვილი ბრინჯაოსი (სამარხი NN165, 162, ტაბ. XXIII$_5$, კატ. N337; ტაბ. XXV$_1$, კატ. N371), ცალი ბრინჯაოს საყურის აღმოჩენის სამი შემთხვევა (სამარხი N1, 112; ტაბ. XXX$_6$, კატ. N512, 513; ტაბ. XXXI$_2$, კატ. N528), მათგან ერთ სამარხში (სამარხი N1) ორი განსხვავებული საყურე დადასტურდა.

**მძივები და საკიდები.** მძივები მეორე ქრონოლოგიური ჯგუფის (ახ.წ. I საუკუნის ბოლო - II საუკუნე) 70 სამარხიდან 20 სამარხში არ დადასტურდა (სამარხი N136, 245, 59, 68, 218, 229, ნაშთი 6, 275, 240, 23, 100, 24, 257, 243, 233, 266, 182, 55, 23 ნაშთი, 114). ისინი დამზადებულია იშვიათ შემთხვევაში ბრინჯაოსგან, უმეტეს შემთხვევაში სხვადასხვა ჯიშის ქვის (სარდიონი, ქალცედონი, გრანატი, აქატი, მთის ბროლი), მინის (მათ შორის ოქროფენილი), გიშრის, ფაიანსის და ქარვისაგან. რაც შეეხება საკიდებს, სამაროვანზე მხოლოდ თითო შემთხვევაა ოქროს საკიდის (სამარხი N13, ტაბ. XXXI$_7$, კატ. N563) და ბრინჯაოს სალტეებში მოქცეული მთის ბროლის საკიდის აღმოჩენის (სამარხი N230, ტაბ. XIII$_2$, კატ. N53). დანარჩენ შემთხვევაში საკიდები დამზადებულია ბრინჯაოს, ქვის, ძვლის, ფაიანსის, ქარვის, გიშრის, მინის და პასტისაგან. მათი ფორმები უმეტეს შემთხვევაში მეორდება.

**საკისრე რკალი.** მთელს სამაროვანზე მხოლოდ ერთ შემთხვევაში აღმოჩნდა ბრინჯაოს საკისრე რკალი (სამარხი N86, კატ. N521), რაც თავისებური გადმონაშთის შთაბეჭდილებას ტოვებს. ამ პერიოდის სამარხებში საქართველოში წინარე პერიოდისაგან განსხვავებით სამარხებში საკისრე რკალები არ გვხვდება, ელინისტური ხანის სამარხებისაგან განსხვავებით.

**ზარაკი.** ბრინჯაოს 61 ზარაკი აღმოჩნდა 24 სამარხში. ეს ნივთები რამდენიმე ტიპითაა წარმოადგენილი. 1. კონუსური (ტაბ. XIII$_1$, კატ. N56 (5ც.); ტაბ. XVII$_2$, კატ. N173 (1); ტაბ. XIX$_3$, კატ. N215 (1); ტაბ. XX$_1$, კატ. N235 (1); ტაბ. XXIII$_2$, კატ. N322 (1); ტაბ. XXIII$_5$, კატ. N340 (1); ტაბ. XXVIII$_1$, კატ. N428(1); ტაბ. XXXI$_1$, კატ. N525 (1); ტაბ. XXXI$_2$, კატ. N531 (1); ტაბ. XXXI$_3$, კატ. N545 (2); ტაბ. XXXI$_7$, კატ. N566 (4)); კონუსური, ირგვლივი ზოლებით (ტაბ. XIV$_1$, კატ. N71 (1ც.); ტაბ. XXII$_1$, კატ. N290 (1); კონუსური სამკუთხედებით დაფანჯრული (ტაბ. XIII$_2$, კატ. N56 (2); ტაბ. XXVI$_1$, კატ. N397(1); კატ. XXX$_1$, კატ. N487(1); კონუსური, დაბალი (ტაბ. XXXII$_7$, კატ. N618 (2). 2. ნახევარსფერული (ტაბ. XIII$_2$, კატ. N56 (7); ტაბ. XV, კატ. N106 (1); ტაბ. XVI, კატ. N147 (1); ტაბ. XVII$_2$, კატ. N173 (5); ტაბ. XXIII$_5$, კატ. N340 (2); ტაბ. XXIV$_2$, კატ. N358 (3); ტაბ. XXX$_3$, კატ. N501 (2); ტაბ. XXXII$_7$, კატ. 618 (1). 3. ოთხწახნაგა (ტაბ. XVIII$_1$, კატ. N428 (1); ტაბ. XXX$_3$, კატ. N501 (1)); ოთხწახნაგა წიბოებთან შვერილებით (ტაბ. XXIII$_1$, კატ. N315 (2); ტაბ. XXXI$_{1,2}$, კატ. NN525 (1), 531 (1)). ოთხწახნაგა, სამკუთხედებით დაფანჯრული, წიბოებთან შვერილებით (ტაბ. XXVI$_1$, კატ. N396 (1)). 4. ცილინდრული, გვერდშეჭრილი (ტაბ. XVIII$_2$, კატ. N190) (1).

ფრაგმენტულადაა შემორჩენილი N15 სამარხის ზარაკები, რომელთა ფორმა და რაოდენობა გაურკვეველია (ტაბ. XXI$_1$, კატ. N269).

სამაროვანზე ერთადერთი შემთხვევაა ჟღარუნის აღმოჩენისა. ის აღმოჩნდა მეორე ქრონოლოგიური ჯგუფის (ახ.წ. I საუკუნის ბოლო - II საუკუნე) N20 სამარხში, რომელიც ბავშვს ეკუთვნოდა (ტაბ. XX$_2$, კატ. N259).

**საკინძი.** სამაროვანზე სულ 7 საკინძი (სამარხი NN230–2ც, 187, 170, 218, 142, 277; ტაბ. XIII$_2$, კატ. N57, 58; ტაბ. XIV$_3$, კატ. N85; ტაბ. XX$_1$, კატ. N236; ტაბ. XXIV$_2$, კატ. N359; ტაბ. XXXII$_{4,5}$, კატ. NN593, 606) და 11 საკინძისთავებად მიჩნეული მინის წაკვეთილი კონუსის ფორმის ნივთი აღმოჩნდა (სამარხი N189, 193, 105, 152, 163, 54, 218, 142, 180, 172, 256; ტაბ. XV, კატ. N107; ტაბ. XVI, კატ. N148; ტაბ. XVII$_{1,2}$, კატ. NN165, 174; ტაბ. XIX$_3$, კატ. N216; ტაბ. XXIII$_2$, კატ. N323; ტაბ. XXIV$_2$, კატ. N360; ტაბ. XXVIII$_1$, კატ. N429; ტაბ. XXX$_{2,3}$, კატ. NN496, 502, ტაბ. XXXII$_5$, კატ. N604). მსგავსი ფორმის ნივთები გავრცელებულია ახ.წ. I-II საუკუნეებში (Haevernick 1981:226). ამ თარიღს არ ეწინააღმდეგება მათი თანმხლები ინვენტარი ურბნისის სამარხებში. დანარჩენი 7 საკინძიდან 6 ბრინჯაოსია, რომელთა ნაწილი

საკმაოდ წვრილღეროიანია (ტაბ. XIII$_2$, კატ. N58; ტაბ. XX$_1$, კატ. N236; ტაბ. XXXII$_5$, კატ. N606), ორი ფრაგმენტულადაა შემორჩენილი (ტაბ. XX$_1$, კატ. N236; ტაბ. XXXII$_5$, კატ. N606). ფრაგმენტულადაა შემორჩენილი თავბურთულოვანი საკინძი N187 სამარხიდან (ტაბ. XIV$_3$, კატ. N85). ოვალური მოყვანილობის საკინძისთავია შემორჩენილი N218 სამარხში (ტაბ. XXIV$_2$, კატ. N359). სრულიად განსაკუთრებული აგებულებისაა N230 სამარხში აღმოჩენილი ბრინჯაოს საკინძი, რომლის თავი მძივებითაა მორთული (ტაბ. XIII$_2$, კატ. N57). მის ანალოგს ვერ მივაკვლიეთ. გამოჩნდა, რომ აღნიშნულ ჯგუფში საკინძები ფორმით ერთმანეთისგან განსხვავდება.

**სამაჯური.** სამაროვნის მხოლოდ ორ სამარხში დადასტურდა სამაჯური, სულ 3 ერთეული (სამარხი N200, 110; ტაბ. XXIV$_1$, კატ. N351, ტაბ. XXXI$_3$, კატ. N546). სამივე სამაჯური ბრინჯაოსია. ერთ შემთხვევაში სამაჯურის ბოლოები გადახვეული, ხოლო N110 სამარხში აღმოჩენილი ორი სამაჯური აღნაგობით ერთმანეთის მსგავსია, მხოლო ერთ შემთხვევაში სამჯურის ბოლოები ისეა გადახვეული, რომ „ჰერაკლეს კვანძს“ ქმნის (ტაბ. XXXI$_3$, კატ. 546).

**ბეჭედი.** მეორე ქრონოლოგიური ჯგუფის (ახ.წ. I საუკუნის ბოლო - II საუკუნე) 70 სამარხიდან ბეჭედი აღმოჩნდა 46 სამარხში, სულ 139 ერთეული. ცამეტ სამარხში თითო ბეჭედი დადასტურდა (სამარხი N163, 15, 155, ნაშთი 7, 231, 57, 229, 200, 162, 256, 243, 279, 201). ამდენივე სამარხში აღმოჩნდა ორ-ორი ბეჭედი (სამარხი N205, 105, 208, 20, 215, 272, 164, 67, 224, 180, 55, 86, 277), ოთხ სამარხში სამ-სამი ბეჭედი აღმოჩნდა (სამარხი NN152, 51, 258, 110), სამ სამარხში ოთხ-ოთხი (სამარხი N187, 115, 191), ოთხ შემთხვევაში ხუთ-ხუთი (სამარხი N230, 234, 1, 142), ხუთ სამარხში ექვს-ექვსი ბეჭედი იყო (სამარხი N193, 54, 165, 218, 84), ერთ სამარხში რვა ბეჭედი დაფიქსირდა (სამარხი NN189) და ორ სამარხში ცხრა-ცხრა ბეჭედი (სამარხი N170, 172). მეორე ქრონოლოგიურ ჯგუფში (ახ.წ. I საუკუნის ბოლო - II საუკუნე) აღმოჩნდავერცხლის 9 ბეჭედი (ტაბ. XIII$_2$, კატ. N59; ტაბ. XV, კატ. NN108, 114; ტაბ. XVIII$_1$, კატ. N184; ტაბ. XIX$_1$, კატ. N200; ტაბ. XX$_1$, კატ. N237; ტაბ. XVIII$_1$, კატ. N430, 438; ტაბ. XXX, კატ. N488), მათგან 7 ინტალიოთი; 77 ბრინჯაოს ბეჭედი (ტაბ. XIII$_2$, კატ. N60, 63; ტაბ. XIV$_{1,3}$, კატ. NN72, 86, 87, 88; ტაბ. XV, კატ. NN109, 110, 111, 115; ტაბ. XVI, კატ. NN149, 150, 151; ტაბ. XVII$_1$, კატ. NN166; ტაბ. XVIII$_1$, კატ. N185; ტაბ. XIX$_{1,3}$, კატ.

NN201, 202, 217; ტაბ. XX$_{1,2}$, კატ. NN238, 239, 241, 242, 243, 260; ტაბ. XXI$_{1,3,4}$, კატ. NN270, 278, 282; ტაბ. XXII$_{2,4}$, კატ. NN302, 310, 311; ტაბ. XXIII$_{2,3,5}$, კატ. NN324, 325, 326, 327, 328, 332, 335, 341, 342, 343; ტაბ. XXIV$_{2}$, კატ. NN361, 362, 363, 364, 365; ტაბ. XXV$_{1,3}$, კატ. NN374, 381, 382, 383, 384, 385; ტაბ. XXVI$_{1}$, კატ. NN386, 398, 409; ტაბ. XXVIII$_{1}$, კატ. NN431, 432, 433, 434, 435; ტაბ. XXIX$_{6}$, კატ. N477; ტაბ. XXX$_{3,5,6}$, კატ. NN503, 509, 515, 518, 519; ტაბ. XXXI$_{1,3}$, კატ. NN526, 527, 547, 548, 549; ტაბ. XXXII$_{1,5,7}$, კატ. NN576 (2), 607, 608, 609, 619, 620), მათგან 42 ინტალიოთი; 46 რკინის ბეჭედი (ტაბ. XIII$_{2}$, კატ. NN61, 62; ტაბ. XIV$_{1,3}$, კატ. NN73, 89; ტაბ. XV, კატ. NN112, 113; ტაბ. XVI, კატ. NN152, 153, 154; ტაბ. XVII$_{1,2}$, კატ. NN167, 175 (2ც.); ტაბ. XX$_{1}$, კატ. NN240, 244; ტაბ. XXII$_{1}$, კატ. N291 (2ც.); ტაბ. XXIII$_{2,4}$ კატ. NN329, 336, 344, 345; ტაბ. XXIV$_{1,2}$, კატ. NN352, 366; ტაბ. XXVI$_{1}$, კატ. NN399, 400; ტაბ. XXVII$_{1}$, კატ. N414; ტაბ. XXVIII$_{1}$, კატ. NN436, 437; ტაბ. XIX$_{3,6}$, კატ. NN468, 478, 479, 480, 481; ტაბ. XXX$_{1,3,5,6}$, კატ. NN489, 504, 510, 516, 517; ტაბ. XXXI$_{4}$, კატ. NN554; ტაბ. XXXII$_{1,3,4,5,7}$, კატ. NN577, 578, 589, 594, 595, 610, 611, 620), მათგან 35 ინტალიოთი; ერთეულების სახითაა ქალცედონის (2 ერთეული - ტაბ. XX$_{2}$, კატ. NN261, 316), მინის (4 ერთეული - ტაბ. XX$_{1}$, კატ. N245; ტაბ. XXIII$_{5}$, კატ. N346; ტაბ. XXVII$_{1}$, კატ. N415; ტაბ. XXXII$_{7}$, კატ. N621) და პასტის (ტაბ. XVII$_{2}$, კატ. N176) ბეჭდები.

**გლიპტიკური ძეგლები.** ჯამში 70 სამარხიდან გლიპტიკური ძეგლი დადასტურდა 35 სამარხში სულ 89 ერთეული. მათი დიდი ნაწილი ბეჭედში ჩასმულ ქვის ან მინის ინტალიოს წარმოადგენს, თუმცა გვხვდება მინის მრავალწახნაგა საბეჭდავებიც (სამარხი NN208, 172. ტაბ. XVIII$_{2}$, კატ. N191; ტაბ. XXVIII$_{1}$, კატ. N439), ფაიანსის ორი ერთმანეთის იდენტური სკარაბეი (სამარხი N218. ტაბ. XXIV$_{2}$, კატ. N367,) და სარდიონის ინტალიო (სამარხი N258. ტაბ. XXVI$_{1}$, კატ. N401). თითო გლიპტიკური ნიმუში დადასტურდა 15 სამარხში (სამარხი NN187, 207, 208, 20, ნაშთი 7, 231, 229, 200, 162, 256, 243, 180, 86, 191, 201. ტაბ. XIV$_{3}$, კატ. N89, XVIII$_{1,2}$, კატ. NN184, 191; ტაბ. XX$_{2}$, კატ. N260; ტაბ. XXI$_{4}$, კატ. N282; ტაბ. XXII$_{1}$, კატ. N293; ტაბ. XXIII$_{3}$, კატ. N332; ტაბ. XXIV$_{1}$, კატ. N352; ტაბ. XXV$_{1}$, კატ. N374; ტაბ. XXVI$_{2}$, კატ. N409; ტაბ. XXIX$_{3}$, კატ. N468; ტაბ. XXX$_{3}$, კატ. N504; ტაბ. XXXI$_{1}$, კატ. N526; ტაბ. XXII$_{1,3}$, კატ. NN577, 589), ორი - ექვს სამარხში (სამარხი NN205, 272, 164, 224, 55, 277; ტაბ. XIV$_{1}$, კატ. N72, 73; ტაბ. XXII$_{4}$, კატ. NN310, 311; ტაბ. XXIII$_{4}$, კატ. NN335, 336; ტაბ. XXX$_{1,5}$, კატ. NN488, 489, 509, 510; ტაბ. XXXII$_{4}$, კატ. NN594, 595), სამი - ხუთ სამარხში (სამარხი

N51, 165, 84, 1, 142; ტაბ. XIX$_1$, კატ. NN200-202; ტაბ. XXIII$_5$, კატ. NN341, 344, 345; ტაბ. XXV$_3$, კატ. NN381-383; ტაბ. XXX$_6$, კატ. NN515-517), ოთხი - სამ სამარხში (სამარხი N230, 170, 258. ტაბ. XIII$_2$, კატ. NN59-62; ტაბ. XX$_1$, კატ. NN237-240; ტაბ. XXVI$_1$, კატ. NN398-401), ხუთი - ორ სამარხში (სამარხი NN54, 234. ტაბ. XXIII$_2$, კატ. NN324, 325, 327-329; ტაბ. XXIX$_6$, კატ. NN477-481), ექვსი - ორ სამარხში (სამარხი N189, 193. ტაბ. XV, კატ. NN108-113; ტაბ. XVI, კატ. NN149-154), შვიდი - ერთ სამარხში (სამარხი N218. ტაბ. XXIV$_2$, კატ. NN361-364, 366, 367), ცხრა - ერთ სამარხში (სამარხი N172. ტაბ. XXVIII$_1$, კატ. N430-439).

**სარკე.** მეორე ქრონოლოგიურ ჯგუფის (ახ.წ. I საუკუნის ბოლო - II საუკუნე) შვიდ სამარხში აღმოჩნდა სარკე (სამარხი N230, ტაბ. XIII$_2$, კატ. N64; სამარხი N205, 193, კატ. NN75, 156; სამარხი N20, ტაბ. XX$_2$, კატ. N262; სამარხი N57, ტაბ. XXIII$_1$, კატ. N317; სამარხი 218, ტაბ. XXIV$_2$, კატ. N368; სამარხი N172, ტაბ. XXVIII$_1$, კატ. N441). ყველა მათგანი ბრინჯაოსგანაა დამზადებული და წრიული მოყვანილობისაა. გამორჩეულია N170 სამარხში აღმოჩენილი სარკე, რომელსაც ორი სახელური აქვს (ტაბ. XX$_2$, კატ. N262), ტყვიის სახელურის ფრაგმენტები ახლდა, სავარაუდოდ, N205 სამარხის სარკეს. ყველა სარკე დამსხვრეულია ან გატეხილი.

**ილარი.** მთელს სამაროვანზე მხოლოდ ერთ შემთხვევაში ახლდა მიცვალებულს ილარი. იგი ვერცხლისაა (სამარხი N189; ტაბ. XV, კატ. N117). სამაროვანზე გათხრილ სამარხთა შორის N189 სამარხი საკმაოდ მდიდრული იყო და მეორე ქრონოლოგიურ ჯგუფში (ახ.წ. I საუკუნის ბოლო - II საუკუნე) მოთავსდა.

**კოვზი.** ბრინჯაოს კოვზები აღმოჩნდა ორ სამარხში (სამარხი N230, 59; ტაბ. XIII$_2$, კატ. N65; ტაბ. XIV$_4$, კატ. N90). კოვზები ერთმანეთის ანალოგიურია, ამის გამო უინვენტარო N59 სამარხი სამარხეული ინვენტარით კარგად დათარიღებულ N230 სამარხის მიხედვით დავათარიღეთ. ორივე სამარხი აღნიშნულ ქრონოლოგიურ ჯგუფში მოექცა.

**კოჭი.** მეორე ქრონოლოგიური ჯგუფის (ახ.წ. I საუკუნის ბოლო - II საუკუნე) ექვს სამარხში აღმოჩნდა ცხოველის (ცხვარი) გახვრეტილი კოჭები (სამარხი N155, 67, 180, 279, 191, 277; კატ. N279, 417, 506, 555, 583, 599). N191 სამარხში ერთი კოჭი აღმოჩნდა (კატ. N583), ორ-ორი იყო N180 და N277 სამარხებში (ტაბ. XXX$_3$, კატ. 506; ტაბ. XXXII$_4$, კატ. N599), ოთხი - N279 სამარხში (ტაბ. XXXI$_4$, კატ. N555), ექვსი - N155 სამარხში, N67 სამარხში 29

კოჭი დადასტურდა (ტაბ. $XXI_3$, კატ. N279). აქვე აღვნიშნავთ, რომ N1 სამარხში აღმოჩნდა ცხოველის გახვრეტილი ფალანგები (2 ცალი) (ტაბ. $XXX_6$, კატ. N520).

**დანა.** მეორე ქრონოლოგიური ჯგუფის (ახ.წ. I საუკუნის ბოლო - II საუკუნე) ოთხ სამარხში აღმოჩნდა რკინის დანები (სამარხი N215, კატ. N293; სამარხი N258, კატ. N405; სამარხი N191, ტაბ. $XXXII_1$, კატ. N579; სამარხი N277, ტაბ. $XXXII_4$, კატ. N597), მათ შორის ერთის ფორმა ფრაგმენტულობის გამო გაურკვეველია (კატ. N293), სამი კი ყუნწიანი დანა ყოფილა.

**მონეტა.** მეორე ქრონოლოგიური ჯგუფის (ახ.წ. I საუკუნის ბოლო - II საუკუნე) 11 სამარხში აღმოჩნდა თითო ვერცხლის მონეტა (სამარხი N189, 193, 207, 208, 51, 178, 215, 231, 258, 243, 142; კატ. N116, 155, 186, 192, 205, 211, 294, 304, 402, 469, 612). მათგან 9 შემთხვევა ქარონის ობოლია - (ყველა შემთხვევაში მიცვალებულს მონეტა პირში ჰქონდა მოთავსებული; კატ. N116, 155, 186, 192, 205, 211, 294, 402, 469, 612). ვერცხლის მონეტებიდან 9 ავგუსტუსის, ხოლო 2 - გოტარზე-არტაბან II-ის გამოსახულებითაა.

**სხვა ნივთები.** N172 სამარხში აღმოჩნდა რომბის მოყვანილობის ოქროს ბუდეში ჩასმული გრანატის თვალი (ტაბ. $XXVIII_1$, კატ. N440).

ცილინდრული ფორმის ბრინჯაოს საავგაროზეს (სამარხი N277; ტაბ. $XXXII_4$, კატ. N592) სამაროვანზე ანალოგი არ აქვს. სხვადასხვა ტიპის ოქროს საავგაროზე აღმოჩენილია სამათავროს სამაროვანზე. მათშორის არის ისეთივე, როგორიც ურბნისშია, ბოლოებზე სახურავებით. სამარხები სადაც ისინი აღმოჩნდა დათარიღებულია ახ.წ. II და ახ.წ. VII-VIII საუკუნეებით (ჯალაბაძე, ჯავახიშვილი 2019:22)

ნემსის, მახათის და სადგისის აღმოჩენის შვიდი შემთხვევა გვაქვს ექვს სამარხში (სამარხი NN189, ტაბ. XV, კატ. N118; სამარხი N68, ტაბ. $XIX_4$, კატ. N219; სამარხი N215, ტაბ. $XXII_1$, კატ. N292; სამარხი N218, ტაბ. $XXIV_2$, კატ. N369; სამარხი N67, ტაბ. $XXVII_1$, კატ. N416; სამარხი N142, ტაბ. $XXXII_5$, კატ. N606). მათგან 6 ბრინჯაოსია, 1 კი, სავარაუდოდ ძვლის სადგისია ( სამარხი N142, ტაბ. $XXXII_5$, კატ. N605).

N51 სამარხში მიცვალებულს ახლდა ბრინჯაოს ბალთა და რკინის აბზინდა (კატ. N203, 204). რკინის ბალთა აღმოჩნდა N277 სამარხშიც (ტაბ. $XXXII_4$, კატ. N596).

ძვლის ღეროვანი ნივთები დადასტურდა ექვს სამარხში (სამარხი N189, ტაბ. XV, კატ. N119; სამარხი N193, ტაბ. XVI, კატ. N158; სამარხი N105, ტაბ. XVII$_1$, კატ. N168; სამარხი N170, ტაბ. XX$_1$, კატ. N246; სამარხი N54, ტაბ. XXIII$_2$, კატ. N330; სამარხი N234, ტაბ. XIX$_6$, კატ. N482). დაზუსტებით ვერაფერს ვიტყვით მის ფუნქციურ დანიშნულებაზე, თუმცა მსგავსი ტიპის ნივთებს სტილოსებად მიიჩნევენ. ერთი რამ ფაქტია, ისინი აღმოჩენილია იმ სამარხებში, რომელიც გამოირჩევა იმპორტული ნივთების სიმრავლით.

ერთადერთი შემთხვევაა სამაროვანზე ისრისპირის აღმოჩენის, რომელიც აღმოჩნდა N277 სამარხში (ტაბ. XXXII$_4$, კატ. N598). რკინის ყუნწიანი ისრისპირი, რომელიც სამფრთიანი უნდა ყოფილიყო. დაჟანგულია და ნაკლული.

სალესი ქვა აღმოჩნდა N191 სამარხში (ტაბ. XXXII$_1$, კატ. N582), რომლის ერთი ბოლო გახვრეტილია.

ნიჟარები დაფიქსირდა რვა სამარხში (სამარხი N193, ტაბ. XVI, კატ. N159; სამარხი N152, ტაბ. XVII$_2$, კატ. N178; სამარხი N57, ტაბ. XXIII$_1$, კატ. N318; სამარხი N165, ტაბ. XXIII$_5$, კატ. N347; სამარხი N172, ტაბ. XXVIII$_1$, კატ. N445; სამარხი N181, ტაბ. XXIX$_4$, კატ. N472; სამარხი N112, ტაბ. XXXI$_2$, კატ. N532; სამარხი N142, ტაბ. XXXII$_5$, კატ. N613).

N205 სამარხში აღმოჩნდა ბრინჯაოს ნივთი, რომლის ანალოგი ვერ მოიძებნა. გაუგებარია მისი ფუნქცია (ტაბ. XIV$_1$, კატ. N74).

მეორე ქრონოლოგიურ ჯგუფში (ახ.წ. I საუკუნის ბოლო - II საუკუნე) გარდა ჩამოთვლილი ნივთებისა, დაფიქსირდა ძვლის ნივთები (კატ. NN177, 443; 550, 580, 581), ბრინჯაოს რგოლები (კატ. NN206, 303, 403, 411, 490), ფრინველის გამოსახულება სადაფისა (კატ. N263), ხორბალი (კატ. N280), კაჟის და ობსიდიანის ფრაგმენტები (კატ. N375), რკინის ძეწკვი (კატ. N404), ბრინჯაოს წრიული ფორმის ფირფიტა სვასტიკით (კატ. N442), ბრინჯაოს საწურები (კატ. N505), რკინის ლურსმნები (კატ. NN120, 295, 376, 462).

## დიაგრამა N6



II ქრონოლოგიური ჯგუფი - სხვადასხვა კატეგორიის ნივთების პროცენტული განაწილება სამარხებში
(ახ.წ. I საუკუნის ბოლო - II საუკუნე)
8%
30%
2%
9%
11%
25%
2%
თიხის ჭურჭელი
მინის ჭურჭელი
სამგლოვიარო გვირგვინი
ბაგისსაფარი
საყურე
მძივ-საკიდები
საკისრე რკალი
ზარაკი
საკინძი
სამაჯური
ბეჭედი, ბეჭედი ინტალიო
გლიპტიკური ძეგლები
სარკე
ილარი
კოვზი
კოჭი
დანა
მონეტა
თვალედი
საავგაროზე
ნემსი, მახათი, სადგისი
ბალთა,აბზინდა
სტილოსი, ძვლის ღერო
ისრისპირი

## თავი III

### §3.3. III ქრონოლოგიური ჯგუფი - ახ.წ. III საუკუნე

**სამარხი N237 (ტაბ. XXXIII1).** სამარხის იატაკად ხის ძელები იყო გამოყენებული. ხის მასალით შეუკრავთ სამარხის გვერდებიც, რომელთა დასაკავშირებლად ლურსმნები იყო გამოყენებული. მიცვალებული იწვა ზურგზე გაშოტილი, გულაღმა, ორიენტირებული OW მიმართულებაზე.

622. დოქი, თიხა. ვარდისფერკეციანი, წითლადშეღებილი. პირი გადაშლილი, ბაკომომრგვალებული, ყელწიბოიანი, სფერული მუცელი, ბრტყელძირა, ცალყურა. ბრტყელგანივკვეთიანი ყური მიძერწილია წიბოსა და მხარზე. აღდგენილი, ნაკლული. სიმაღლე - 16,3 სმ, პირის დიამეტრი - 6,8 სმ, ძირის დიამეტრი - 11,5 სმ. (GNM1-1-62:3949).

623. ჭურჭელი, მინა. მოცისფრო, თავისუფლადნაბერი. ფრაგმენტები. (GNM1-1-62:3950).

624. მძივები, სარდიონი. (GNM1-1-62:3954).

625. ბეჭდები, ბრინჯაო (2 ცალი). ბრტყელგანივკვეთიანი მავთული თვალბუდისკენ ფართოვდება, ოვალურ თვალბუდეში ჩასმულია თეთრი მინის თვალი. ბეჭდის სიმაღლე -1,9 -21,1 სმ, დიამეტრი - 2 – 2,4 სმ. (GNM1-1-62:3952,3953).

626. ბეჭედი, ინტალიო. რკინა, სარდიონი. ბერძნული წარწერით - „კალე“, რაც ქალის საკუთარი სახელია. ინტალიოს ზომები: 0,8X0,4 სმ (GNM1-გლ.ფ. 1085). ახ.წ. III საუკუნე (ჯავახიშვილი 1972:75, კატ. 116).

N237 სამარხში აღმოჩენილი დოქი (ტაბ. XXXIII1, კატ. N622) ფორმით ანალოგიურია ამვე სამაროვნის N92, 276 და N247, სამარხებში აღმოჩენილი დოქებისა (ტაბ. XXXIII2,5,6, კატ. N627, 663, 667). ყელწიბოიანი დოქი აღმოჩნდა N273 სამარხში (ტაბ. XXXIII3, კატ. N640), მაგრამ განსხვავებით ზემოთ აღნიშნული ჭურჭლებისაგან მას შედარებით ფართო ძირი აქვს. ყელწიბოიანი დოქები დაფიქსირებულია ჟინვალის სამაროვანზეც. ვ. ჩიხლაძე სამარხებს, რომელშიც მსგავსი ტიპის ჭურჭელი აღმოჩნდა ახ.წ. I-III საუკუნეებით ათარიღებს (ჩიხლაძე 2015:170-172). მსგავსი დოქი აღმოჩენილია კარსნისხევის სამაროვნის N1 და N27 სამარხებში, რომლებიც დათარიღებულია ახ.წ. II-ახ.წ. III საუკუნის დასაწყისით (ნიკოლაიშვილი 1993:49, 70, ტაბ. LXIV1,2; XCIV1). N237 სამარხის დოქის

ანალოგია ახ.წ. III-IV საუკუნეების სამათავროს სამაროვნის N77 ქვაყუთში და N186 კრამიტსამარხში (მანჯგალაძე 1985:46, 68, კატ. N576, 393), ახ.წ. I-III საუკუნეების მოგვთაკარის სამაროვნის N8 სამარხში (სიხარულიძე, აბუთიძე 1985:128, კატ. N704) და ამავე პერიოდის სამთავროს სამაროვნის N265 სამარხში აღმოჩენილი დოქებისა (Иващенко 1980, кат. 125-126). N237 სამარხის დოქი ფორმით გ. ნარიმანიშვილის კლასიფიკაციის VIII ქრონოლოგიურ ჯგუფს ესადაგება და ახ.წ. III-IV საუკუნეებით თარიღდება (ნარიმანიშვილი 2018:116-117, ტაბ. XXXV, 10, 12). ამავე ავტორის მიხედვით ახ.წ. II საუკუნის შემდეგ შეღებილი ჭურჭლები აღარ გვხვდება (ნარიმანიშვილი 2018:105), რასაც ეწინააღმდგება N237 სამარხში აღმოჩენილი ახ.წ. III საუკუნით დათარიღებული სარდიონის ინტალიო (ტაბ. XXXIII1, კატ. N626) (ჯავახიშვილი 1972:75, კატ. 116). ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით N237 სამარხის თარიღად ახ.წ. II საუკუნის მიწურული - III საუკუნის დასაწყისი უნდა ვივარაუდოთ.

**სამარხი N92 (ტაბ. XXXIII2).** სამარხი ნაგებობა ხის იყო. ჩონჩხი ესვენა მარჯვენა გვერდზე ძლიერ მოხრილი.

627. დოქი, თიხა. ჩალისფრად გამომწვარი. პირგადაშლილი, ბაკომომრგვალებული, ყელწიბოიანი, სფერულ მუცლიანი, ბრტყელძირა, ცალყურა. ბრტყელგანივკვეთიანი ყური მიძერწილია წიბოსა და მუცელზე. სიმაღლე - 13,8 სმ, პირის დიამეტრი - 6 სმ, ძირის დიამეტრი - 8,8 სმ. (GNM1-1-59:2478).

628. ქოთანი, თიხა. მოწითალოდ გამომწვარი. პირი გადაშლილი, პირის კიდე გათხელებული, სფერულმუცლიანი, ბრტყელძირა. პირი ჩამოტეხილი აქვს. სიმაღლე -6,3 სმ, პირის დიამეტრი -7,5 სმ, ძირის დიამეტრი - 8,7 სმ. (GNM1-1-59:2479).

629. ჯამი, თიხა. მოყავისფრო-ლეგად გამომწვარი. ეტყობა ცეცხლში მოხვედრის კვალი. სიმაღლე - 2,5 სმ, პირის დიამეტრი - 7,8 სმ, ძირის დიამეტრი - 6,4 სმ. (GNM1-1-59:2480).

630. ხუფი, თიხა. ყავისფრად გამომწვარი. დიამეტრი - 6,9 სმ. (GNM1-1-59:2481).

631. საკიდები, ოქრო. მილაკებზე მოძრავად შეკიდულია წრიული ფორმის თხელი ფირფიტები. (GNM1-1-59:2489).

632. საკიდები, ბრინჯაო (2 ცალი). 1. ცხვრის ქანდაკება. 2. ბურცობებიანი. (GNM1-1-59:2482, 2488).

633. მძივები. სარდიონი, მინა, პასტა, გიშერი, ქარვა. (GNM1-1-59:2490, 2491, 2492).

634. საკინძისთავი, მინა. წაკვეთილი კონუსის ფორმის, ცენტრში ნახვრეტით. დიამეტრი - 2,5 სმ, სიმაღლე - 0,9 სმ. (GNM1-1-59:2484).

635. საკინძი, რკინა. დამტვრეული. (GNM1-1-59:2494).

636. აბზინდა, ბრინჯაო. სიგრძე - 2,2 სმ, სიგანე - 1,2 სმ. (GNM1-1-59:2483).

637. ნიჟარა. (GNM1-1-59:2485).

638. ამულეტი, პასტა. მრავალკუთხა, შუაში ნახვრეტით. სიგრძე - 1,5 სმ. (GNM1-1-59:2486).

639. ნივთი, რკინა. (GNM1-1-59:2493).

ურბნისის სამაროვნის N92 სამარხის დოქი (ტაბ. XXXIII$_{2}$, კატ. N627) ამავე სამაროვნის N237, 273, 276 და N247 სამარხების დოქების მსგავსია (ტაბ. XXXIII$_{1,3,5,6}$, კატ. NN622, 640, 663, 667). ანალოგიური დოქი აღმოჩენილია კარსნისხევის სამაროვნის N1 და N27 სამარხებში, რომლებიც დათარიღებულია ახ.წ. II- III საუკუნის დასაწყისით (ნიკოლაიშვილი 1993:49, 70, ტაბ. LXIV$_{1,2}$; XCIV$_{1}$). ისინი გ. ნარიმანიშვილის მიერ შემუშავებულ კლასიფიკაციის VIII ქრონოლოგიურ ჯგუფს ესადაგება და ახ.წ. III-IV საუკუნეებით თარიღდება (ნარიმანიშვილი 2018:116-117, ტაბ. XXXV, 10, 12). N92 სამარხში დოქთან ერთად აღმოჩნდა ოქროს ფირფიტოვანი საკიდებისგან შედგენილი სამკაული (ტაბ. XXXIII$_{2}$, კატ. N631), ისეთივე როგორიც ამავე სამაროვნის, ახ.წ. III საუკუნის N96 და N273 სამარხებში. მსგავსი ოქროს საკიდი დადასტურდა დედოფლის გორაზე (ახ.წ. 80 წელი) (Gogiberidze 2008:170, კატ. 145), სამთავროს N135 კრამიტსამარხში და არმაზისხევის ერისთავთა N6 სამარხში. სამარხები თანმხლები ინვენტარით თარიღდება ახ.წ. II საუკუნის ბოლო - III საუკუნის დასაწყისით (ჯალაბაძე, ჯავახიშვილი 2019:21, კატ. 89; აფაქიძე, გობეჯიშვილი 1955:72, 80, სურ. 43.3). მინის საკინძის თავი (ტაბ. XXXIII$_{2}$, კატ. N634) ანალოგიურია ამავე სამაროვნის N189, 193, 105, 152, 163, 54, 218, 172, 266, 180, 142 და N142 სამარხებში აღმოჩენილი საკინძისთავებისა (ტაბ. XV, კატ. N107; ტაბ. XVI, კატ. N148; ტაბ. XVII$_{1,2}$, კატ. NN165, 174; ტაბ. XIX$_{3}$, კატ. N216, ტაბ. XXII$_{2}$, კატ. N323; ტაბ. XXIV$_{2}$, კატ. N360; ტაბ. XXVIII$_{1}$, კატ. N429; ტაბ. XXX$_{2,3}$, კატ. NN496, 502; ტაბ. XXXII$_{5}$, კატ. N604). ყველა სამარხი თანმხლები ინვენტარით ჩვენი ქრონოლოგიური კლასიფიკაციით II

ჯგუფში გაერთიანდა (ახ.წ. I საუკუნის ბოლო - II საუკუნე). ამევე ჯგუფში ერთიანდება ის სამარხები, სადაც ბრინჯაოს ბურცობებით შემკული საკიდებია აღმოჩენილი (სამარხი N193, ტაბ. XVI, კატ. N143; სამარხი N172, ტაბ. XXVIII, კატ. N427; სამარხი N112, ტაბ. $XXXI_2$, კატ. N529; სამარხი N248, ტაბ. $XXXIV_6$, კატ. N711). სამარხეული ინვენტარის საფუძველზე N92 სამარხი უნდა გამართულიყო ახ.წ. III საუკუნის დასაწყისში.

**სამარხი N273 (ტაბ.$VII_2$, XXXIII3).** ჩონჩხი იწვა ზურგზე, გაშოტილი.

640. დოქი, თიხა. ვარდისფრად გამომწვარი. პირი გადაშლილი, ბაკომომრგვალებული, ყელწიბოიანი, მუცელი სფერული, ძირი ბრტყელი, ცალყურა. ბრტყელგანივკვეთიანი ყური მიმაგრებულია წიბოსა და მხარზე. პირმოტეხილი. სიმაღლე - 21,7 სმ, პირის დიამეტრი - 8სმ, ძირის დიამეტრი - 12 სმ. (GNM1-1-64988).

641. სანელსაცხებლე, მინა. მოცისრფო, გამჭვირვალე, თავისუფლადნაბერი. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი, ყელი მაღალი. ძირი ბრტყელი ოდნავ შედრეკილი. სიმაღლე -13,4 სმ, პირის დიამეტრი - 3 სმ, ძირის დიამეტრი - 4,3 სმ. (GNM1-1-64:4989).

642. საყურე, ოქრო. წყვილი. გახსნილ რკალზე უძრავად მირჩილულია ბურთულებისგან შედგენილი მტევანი. (GNM1-1-64:4990).

643. საყურე, ოქრო. წყვილი. რკალზე უძრავად მირჩილულია კალათისებური ფორმის საკიდი. (GNM1-1-64:4991).

644. საკიდი, ოქრო. წრიული ფორმის ფირფიტა მოძრავადაა შეკიდული მილაკზე. წონა - 0,9 გრ. (GNM1-1-64:4992).

645. შემკრები მძივები, გიშერი. (GNM1-1-64:5006).

646. მძივები. ქარვა, გიშერი, პასტა. (GNM1-1-64:5003).

647. საკინძი, რკინა. ორმხრივ წვეტიანი. სიგრძე-3,1 სმ. (GNM1-1-64:5004).

648. ბეჭედი, ინტალიო. ვერცხლი, სარდიონი. გამოახულია კრატერი და თავთავები. ბეჭდის დიამეტრი - 1,7 სმ. (GNM1-გლ.ფ. 1200). ახ.წ. III საუკუნე (გაბუნია 2017:93, კატ. 20).

649. ბეჭედი, ინტალიო. ვერცხლი, სარდიონი. გამოსახულია ცხენი. ბეჭდის დიამეტრი - 2,1 სმ (GNM1-გლ.ფ. 1199). ახ.წ. III საუკუნე (გაბუნია 2017:92, კატ. 19).

650. ბეჭედი, ინტალიო. ვერცხლი, სარდიონი. გამოსახულია ხელის ჩამორთმევა. ბეჭდის დიამეტრი - 1,6 სმ (GNM1-გლ.ფ. 1198). ახ.წ. III საუკუნე (გაბუნია 2017:92, კატ. 18).

651. ბეჭედი, ინტალიო. ვერცხლი, პასტა. გამოსახულია ჰერმესი. ბეჭდის დიამეტრი - 1,1 სმ. (GNM1-გლ.ფ. 1201). ახ.წ. III საუკუნე (გაბუნია 2017:93, კატ. 21).

652. ბეჭედი. ვერცხლი, პასტა. რკალზე მირჩილულია დაბალი წრიული ფორმის თვალბუდე, რომელშიც პასტის თვალია ჩასმული. ბეჭდის დიამეტრი - 2,2 სმ. (GNM1-1-64:4997).

653. ბალთა, ბრინჯაო. ოთხკუთხა. ზომები: 2,1X2,1 სმ. (GNM1-1-64:5002).

654. მონეტები, ვერცხლი (4 ცალი). ავგუსტისა. (GNM1-1-64:4998, 4999, 5000, 5001).

N273 სამარხში აღმოჩენილი დოქი (ტაბ. XXXIII$_3$, კატ. N640) მსგავსია ამავე სამაროვნის N92, N237, N247 და N276 სამარხებში ნაპოვნი ყელწიბოიანი დოქებისა (ტაბ. XXXIII$_{1,2,5,6}$, კატ. NN622, 640, 663, 667), თუმცა მათგან განსხვავებული მაღალი ტანი და შედარებით ფართო ძირი აქვს. ასეთივე დოქი აღმოჩნდა ივრის ხეობაში, შემთხვევით ნახნავში (რამიშვილი 1979, ტაბ. 41$_4$). მსგავსი ტიპის ყელწიბოიანი დოქები გ. ნარიმანიშვილის მიერ შემუშავებულ კლასიფიკაციის VIII ქრონოლოგიურ ჯგუფს ესადაგება და ახ.წ. III-IV საუკუნეებით თარიღდება (ნარიმანიშვილი 2018:116-117, ტაბ. XXXV, 10,12). სამარხში ნაპოვნი ინტალიოები დათარიღებულია ახ.წ. III საუკუნით (გაბუნია 2017:92, 93, კატ. N19, 20, 21). მტევნისებური ფორმის ოქროს საყურეს (ტაბ. XXXIII$_3$, კატ. N642) ანალოგი ეძებნება ამავე სამაროვნის N258 სამარხში (ტაბ. XXVI$_1$, კატ. N391), რომლის თარიღიც თანმხლები ინვენტარით ახ.წ. II საუკუნით განისაზღვრა. მათი პარალელები დასტურდება ამავე პერიოდის სამთავროს სამაროვნის რამდენიმე სამარხში (N134 კრამიტსამარხი, N140 ქვასამარხი, N221 კრამიტსამარხი, N32 კრამიტსამარხი) (ჯალაბაძე ... 2019:14,15, კატ. N26-31). რაც შეეხება კალათისებურ საყურეს (ტაბ. XXXIII$_3$, კატ. N643) მათი ანალოგები სამთავროს სამაროვნის A სამარხში, N144 ქვევრსამარხში და N29 აგურსამარხშია დაფიქსირებული, ისინი ახ.წ. II-III და III საუკუნით თარიღდება (ჯალაბაძე ... 2019:16, 17, კატ. N40, 44, 45). სამარხში აღმოჩენილი ოქროს საკიდი (ტაბ. XXXIII$_3$, კატ. N644) ამავე სამაროვნის N92 და 96 სამარხებში აღმოჩენილი საკიდების იდენტურია (ტაბ. XXXIII$_2$, კატ. N631; ტაბ. XXXVI$_9$, კატ. N825). ასეთი ტიპის საკიდი სამთავროს N135 კრამიტსამარხსა და არმაზისხევის ერისთავთა N6 სამარხში დასტურდება. სამარხები თანმხლები ინვენტარით თარიღდება ახ.წ. II საუკუნის

ბოლოთი - III საუკუნის დასაწყისით (ჯალაბაძე ... 2019:21, კატ. 89; აფაქიძე ... 1955:72, 80, სურ. 43.3). პარალელების გათვალისწინებით N273 სამარხი ჩვენს მიერ შემუშავებული ქრონოლოგიური კლასიფიკაციის III ჯგუფს (ახ.წ. III საუკუნე) მიესადაგა და ახ.წ. II საუკუნის ბოლო - ახ.წ. III საუკუნეს უნდა მიეკუთვნოს.

**სამარხი N263 (ტაბ. XXXIII4).** სამარხი მხოლოდ ორმოს წარმოადგენდა. მიცვალებული იწვა ზურგზე, გაშოტილი და ორიენტირებული OW მიმართულებაზე. სამარხი გაუმართავთ N266 სამარხის თავზე.

655. სანელსაცხებლე, მინა. მოცისფრო, გამჭვირვალე, თავისუფლადნაბერი. ძირშედრეკილი. დამსხვრეული. (GNM1-1-63:4148).

656. საყურე, ბრინჯაო. წყვილი. რკალზე უძრავად მირჩილულია კალათისებური ფორმის საკიდი. სიგრძე - 1,6სმ (GNM1-1-63:4155).

657. მძივები. ქალცედონი, სარდიონი, ქარვა, გიშერი, მინა, პასტა. (GNM1-1-63:4149, 4150, 4151, 4152, 4153).

658. ბეჭედი, ინტალიო. ბრინჯაო, სარდიონი. გამოსახულია პანის ნიღაბი. დაჟანგული. ინტალიოს ზომები: 0,8სმX0,6სმ. (GNM1-გლ.ფ. 1097). ახ.წ. II საუკუნის ბოლო III საუკუნე (ჯავახიშვილი 1972:62-63, კატ. 93).

659. ბეჭედი, ინტალიო. ბრინჯაო, სარდიონი. გამოსახულია ხელის ჩამორთმევა. დაჟანგული. ბეჭდის დიამეტრი - 1,6 სმ, სიმაღლე - 2,1 სმ (GNM1-გლ.ფ. 1096). ახ.წ. II საუკუნის ბოლო III საუკუნე (ჯავახიშვილი 1972:63, კატ. 94).

660. ბეჭედი. ბრინჯაო, სარდიონი. რკალის დიამეტრი - 1,8 სმ (GNM1-1-63:4158). ახ.წ. III საუკუნე (ჯავახიშვილი 1972:63, სურ. 4).

661. ბეჭედი, ბრინჯაო. რკალის დიამეტრი - 2,4 სმ. (GNM1-1-63:4157).

662. ნივთები, ძვალი. წყვილი. ღეროვანი, გაპრიალებული. ერთი ბოლო ბრტყელი აქვს მეორე დაბრტყელებული და ორნამენტირებული. სიგრძე შერჩენილი -9,2-9,6 სმ. (GNM1-1-63:4154). (კერესელიძე 1978:89-90, კატ. N360).

სამარხში აღმოჩენილ ბრინჯაოს ბეჭედს (ტაბ. XXXIII4, კატ. N660) ანალოგი ეძებნება ჟინვალის სამაროვნის ახ.წ. III საუკუნით დათარიღებულ N17 და N255 სამარხებსა (ჩიხლაძე 2015:36,47, ტაბ. LI52, LIII115, LXV117) და ახ.წ. IV საუკუნის N44

ორმოსამარხში (ჩიხლაძე 2015:115, ტაბ. LI64). ასეთივე ტიპის ოქროს ბეჭედი სამთავროს ახ.წ. III საუკუნის N905 აკლდამასა (ჯალაბაძე ... 2019:28, კატ. 160) და ვერცხლის ბეჭედი ახ.წ. II საუკუნის მეორე ნახევრით დათარიღებულ სამთავროს N30 კრამიტყუთშია აღმოჩენილი (ახ.წ. I-III სს) (Иващенко 1980, кат. 313). N263 სამარხში ნაპოვნი ინტალიოების გავრცელება კი ახ.წ. II-III საუკუნეებს უკავშირდება (ტაბ. XXXIII4, კატ. N658, 659) (ჯავახიშვილი 1972:62, 63. კატ. N93, 94). N263 სამარხში აღმოჩენილი ბრინჯაოს წყვილი საყურე (ტაბ. XXXIII4, კატ. N656) იმეორებს ამავე სამაროვნის N273 სამარხში აღმოჩენილი ოქროს საყურის ფორმას, რომლის გავრცელება ახ.წ. II-III საუკუნეებს უკავშირდება (ტაბ. XXXIII3, კატ. N643). როგორც უკვე ითქვა, სამარხი აღმოჩნდა N266 სამარხის თავზე, რომლის ინვენტარის ყველაზე გვიანდელი თარიღი ახ.წ. II საუკუნეა, რამაც განსაზღვრა N263 სამარხის ქვედა თარიღი. ვფიქრობთ, N263 სამარხის თარიღი ახ.წ. III საუკუნეა.

**სამარხი N276 (ტაბ. XXXIII5).**

663. დოქი, თიხა. ჩალისფრად გამომწვარი. ყელწიბოიანი, სფერულმუცლიანი, ბრტყელძირა, ცალყურა. ბრტყელგანივკვეთიანი ყური მიძერწილია წიბოსა და მხარზე. პირმოტეხილი. შერჩენილი სიმაღლე - 15 სმ, ძირის დიამეტრი - 11,7 სმ. (GNM1-1-64:5009).

664. საკიდი, ბრინჯაო. სამტუჩა სურის ფორმის. სიმაღლე - 2,4 სმ. (GNM1-1-64:5011).

665. მძივები. მინა, პასტა. (GNM1-1-64:5010, 5012).

666. ზარაკი, ბრინჯაო. კონუსური, სამკუთხედებით დაფანჯრული. სიმაღლე - 2 სმ, დიამეტრი - 1,2 სმ. (GNM1-1-64:5013).

N276 სამარხში ნაპოვნი ყელწიბოიანი დოქის ანალოგები ამავე სამაროვნის N92, N237, N247 და N273 სამარხებში აღმოჩნდა (ტაბ. XXXIII1,2,3,6, კატ. N622, 627, 640, 667). მსგავსი ტიპის დოქები გ. ნარიმანიშვილმა კლასიფიკაციის VIII ქრონოლოგიურ ჯგუფში გააერთიანა და ახ.წ. III-IV საუკუნეებით დაათარიღა (ნარიმანიშვილი 2018:116-117, ტაბ. XXXV, 10,12). ურბნისში აღმოჩენილი ყელწიბოიანი დოქების შემცველი სამარხები თანმხლები ინვენტარით არაუგვიანეს ახ.წ. III საუკუნის დასაწყისით დავათარიღეთ. ამ თარიღს არ ეწინააღმდეგება აქვე ნაპოვნი ბრინჯაოს სამკუთხედებით დაფანჯრული ზარაკი (ტაბ. XXXIII5, კატ. N666), რომელიც თ. ჭანიშვილის მიხედვით კლასიფიკაციის I

ტიპში ერთიანდება და ახ.წ. II-III საუკუნეების მიჯნაზეა გავრცელებული (ჭანიშვილი, გამყრელიძე 2021:631). სურის ფორმის საკიდი (ტაბ. XXXIII5, კატ. N664) კარსნისხევის N27 სამარხშია დადასტურებული, სამაროვნის თარიღი ახ.წ. II-III საუკუნის დასაწყისითაა განსაზღვრული (ნიკოლაიშვილი 1993:74, ტაბ. XCVI1) ამავე პერიოდით უნდა განისაზღვროს N276 სამარხის თარიღიც.

**სამარხი N247 (ტაბ. XXXIII6).** სამარხი ალიზით ყოფილა ნაგები.

667. დოქი, თიხა. ჩალისფრად გამომწვარი. ყელწიბოიანი, სფერული მუცელი, ძირბრტყელი, ცალყურა. ბრტყელგანივკვეთიანი ყური მიმაგრებულია წიბოსა და მუცელზე. პირჩამოტეხილი. შერჩენილი სიმაღლე - 9,2 სმ, ძირის დიამეტრი - 5,7 სმ. (GNM1-1-63:4082).

N247 სამარხის ინვენტარს მხოლოდ ყელწიბოიანი დოქი წარმოადგენდა, რომელიც ანალოგიურია ამავე სამაროვნის N92, 276, 237 და 273 სამარხებში ნაპოვნი დოქებისა (ტაბ. XXXIII1,2,3,5, კატ. N622, 627, 640, 663). სამარხების თარიღი თანმხლები ინვენტარის საფუძველზე ახ.წ. III საუკუნის დასაწყისით განვსაზღვრეთ. ახ.წ. III-IV საუკუნეებით ათარიღებს ასეთივე ჭურჭლებს გ. ნარიმანიშვილი (ნარიმანიშვილი 2018:116-117, ტაბ. XXXV, 10, 12). ვფიქრობთ, N247 სამარხი სამარხების იმ ჯგუფში უნდა გავაერთიანოთ, სადაც მსგავსი ტიპის ყელწიბოიანი ჭურჭლების შემცველი სამარხები იყრის თავს და დავათარიღოთ ახ.წ. III საუკუნის დასაწყისით.

**სამარხი N265 (ტაბ. XXXIV1).** სამარხი ალიზით იყო ნაგები. მიცვალებული ესვენა ზურგზე, გაშოტილი, ორიენტირებული OW მიმართულებაზე. N265 სამარხის ქვეშ მდებარეობდა N272 სამარხი.

668. ქილა, თიხა. წითლად შეღებილი. პირი გადაშლილი, ბაკოგათხელებული, მუცელი სფერული, ძირი ფართო და ბრტყელი, ორყურა. ბრტყელგანივკვეთიანი ყურები მიმაგრებულია მუცელზე, რომელიც ბურცობებითაა შემკული. სიმაღლე - 18 სმ, პირის დიამეტრი - 8 სმ, ძირის დიამეტრი - 13 სმ. (GNM1-1-63:4161).

669. სანელსაცხებლე, მინა. მოცისფრო, გამჭვირვალე, თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი, ყელი დაბალი და განიერი, ძირი ფართო და ბრტყელი. სიმაღლე - 12,1 სმ,

პირის დიამეტრი - 3,3 სმ, ძირის დიამეტრი - 4,6 სმ. (GNM1-1-63:4162). ახ.წ. I-II საუკუნეები (საგინაშვილი 1970:78, კატ. 154).

670. მძივი, გიშერი. (GNM1-1-63:4164).

N265 სამარხში ნაპოვნი ორყურა ჭურჭლის (ტაბ. $XXXIV_1$, კატ. N668) ანალოგები დადასტურებულია ურბნისის სამაროვნის მე-16 უბნის ახ.წ. I-II საუკუნეების სამარხში (ჭილაშვილი 1964:74-49, ტაბ. $XIII_3$), სამათავროს სამაროვნის ახ.წ. II საუკუნის N140 ქვასამარხში (Иващенко 1980:10, кат. 99-100), ჟინვალის ახ.წ. III საუკუნის N523 სამარხში (ჩიხლაძე 2015:90-91, 264, ტაბ. XXXVIII, 215) და ურბნისის 25-ე უბნის N191, 183 სამარხებსა და N11 სამარხის ნაშთში (ტაბ. $XXXII_1$, კატ. N568; ტაბ. $XXXIV_3$, კატ. N674; ტაბ. $XXXIV_2$, კატ. 671). ჩვენს მიერ ზემოთ განხილული N191 სამარხი ახ.წ. II საუკუნის მიწურულით დავათარიღეთ. ახ.წ. I-II საუკუნეებით ათარიღებს მკვლევარი N265 სამარხში აღმოჩენილ მინის ჭურჭელს (ტაბ. $XXXIV_1$, კატ. N669) (საგინაშვილი 1970:78-79, კატ.154). ამავე პერიოდისაა N265 სამარხის ქვეშ მდებარე N272 სამარხის ინვენტარი (ტაბ. $XXII_4$, კატ. N310, 311). მიგვაჩნია, რომ N272 სამარხის თარიღი ახ.წ. II საუკუნის დასაწყისია, ხოლო N265 სამარხი ახ.წ. II საუკუნის მიწურულსა და ახ.წ. III საუკუნის დასაწყისში გამართეს.

**სამარხი N11 ნაშთი (ტაბ. $XXXIV_2$).**

671. ქილა, თიხა. ჩალისფერკეციანი, წითლად შეღებილი. პირი გადაშლილი, ბაკო დაქანებული, დაბალყელიანი, სფერულმუცლიანი, ფართო ბრტყელი ძირით, ორყურა. ბრტყელგანივკვეთიანი ყურები მუცელზეა მიმაგრებული. შემკულია ბურცობების და ნაჭდევები რიგებით. ყურებს ვერტიკალური ღარები დაუყვება. პირჩამოტეხილი. სიმაღლე - 16 სმ, პირის დიამეტრი - 6 სმ, ძირის დიამეტრი - 10,3 სმ. (GNM1-1-60:2823).

672. სანელსაცხებლე, მინა. თეთრი, გამჭვირვალე, თხელკედლიანი, თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი. ყელი ცილინდრული, მუცელი გვერდებშედრეკილი, ფართო, შეზნექილი ძირით. აღდგენილი, ნაკლული. სიმაღლე - 8,3 სმ, პირის დიამეტრი - 2,5 სმ. (GNM1-1-60:2824). ახ.წ. III საუკუნე (საგინაშვილი 1970:83, კატ. 176).

673. რგოლი, რკინა. დიამეტრი - 4,5 სმ. (GNM1-1-60:2825).

სამარხში ნაპოვნი თიხის ჭურჭელი (ტაბ. XXXIV$_2$, კატ. N671) მსგავსია ამავე სამაროვნის N191, 183, 265 სამარხებში აღმოჩენილი ჭურჭლებისა (ტაბ. XXXII$_1$, კატ. N568; ტაბ. XXXIV$_3$, კატ. N674; ტაბ. XXXIV$_4$, კატ. N679), რომლებიც პარალელური მასალისა და თანმხლები ინვენტარის მიხედვით ახ.წ. II საუკუნის ბოლო III საუკუნით დათარიღდა. სამარხის ნაშთში ნაპოვნი მინის ჭურჭელი სამარხის გამართვის თარიღს ახ.წ. III საუკუნით განსაზღვრავს (საგინაშვილი 1970:83, კატ. 176).

**სამარხი N183 (ტაბ. XXXIV$_3$).** სამარხი ნაგებობა ალიზის ყოფილა. მიცვალებული დაუკრძალავთ ზურგზე, გაშოტილი ორიენტირებული OW მიმართულებაზე.

674. ქილა, თიხა. ღია ჩალისფერი, პირი გადაშლილი, ბაკო მომრგვალებული, ყელი დაბალი, მუცელი სფერული, ძირი ბრტყელი, ორყურა. ბრტყელგანივკვეთიანი ყურები მიძერწილია მხარსა და მუცელზე. შემკულია ირიბი ჭდეებით და ბურცობებით. პირი ჩამოტეხილია, ყური მოტეხილი აქვს. სიმაღლე - 15,3 სმ, პირის დიამეტრი - 7,5 სმ, ძირის დიამეტრი - 11,4 სმ. (GNM1-1-61:3454).

675. ჭურჭელი, მინა. მოთეთრო. ნამტვრევები. (GNM1-1-61:3457).

676. მძივები. სარდიონი, მინა. (GNM1-1-61:3458).

677. ბეჭედი, ინტალიო. რკინა, სარდიონი. გამოსახულია ქალი-ღვთაება. ბეჭდის დიამეტრი - 1,5 სმ.(GNM1-გლ.ფ. N1037). ახ.წ. III საუკუნე (ჯავახიშვილი 1972:76, კატ. 120).

678. ბეჭედი, ინტალიო. რკინა, სარდიონი. გამოსახულია საკურთხეველი, რომელზეც თევზი დევს. ბეჭდის დიამეტრი - 1,5 სმ. (GNM1-გლ.ფ. N1036). ახ.წ. III საუკუნე (ჯავახიშვილი 1972:77, კატ. 121).

სამარხში აღმოჩენილი თიხის ჭურჭლის ანალოგები (ტაბ. XXXIV$_3$, კატ. N674) ამავე სამაროვნის ახ.წ. II-III საუკუნეების N191, N265 სამარხებისა და N11 სამარხის ნაშთშია აღმოჩენილი (ტაბ. XXXII$_1$, კატ. N568; ტაბ. XXXIV$_1$, კატ. N668; ტაბ. XXXIV$_2$, კატ. N671), რომელთა თარიღები თანმხლები ინვენტარით ახ.წ. II საუკუნის ბოლოთი - III საუკუნით განისაზღვრა. N183 სამარხში აღმოჩენილი გლიპტიკური ძეგლები (ტაბ. XXXIV$_3$, კატ. NN677, 678) სამარხის თარიღის ახ.წ. III საუკუნით დათარიღებას არ ეწინააღმდეგება.

**სამარხი N4 (ტაბ. VIII$_1$, XXXIV4).** საოჯახო სამარხი ხის ძელებით იყო აგებული. სამი მიცვალებული ზურგზე, ერთი კი თითქოს მარჯვენა გვერდზე იწვა. სამხრეთით მდებარე

ჩონჩხი მარჯვენა გვერდზე იწვა სახით ჩრდილოეთით. ჩრდილოეთით მდებარე ჩონჩხი ზურგზე იყო გაშოტილი თავით აღმოსავლეთით. მის სამხრეთით და ჩრდილოეთით რიყის ქვები ეწყო. ჩრდილოეთ და სამხრეთ ჩონჩხს შორის ერთი მეორეზე ესვენა ორი მიცვალებული, ზურგზე გაშოტილი თავით აღმოსავლეთით. ოთხივე მიცვალებული ერთ სამარხ ნაგებობაში იყო დაკრძალული. სამარხი ქალაქის ზღუდის ქვედა წყობიდან 40-45 სმ სიღრმეზე დაფიქსირდა. აღსანიშნავია, რომ N4 სამარხში სამხრეთის მიცვალებულის დაკრძალვის დროს დაუზიანებიათ მის ქვეშ მდებარე N1 სამარხის ნაშთი.

*სამხრეთით მდებარე ჩონჩხის ინვენტარი*

679. ქილა, თიხა. ჩალისფერი, პირგადაშლილი, ბაკო მომრგვალებული, დაბალყელიანი, ყელს ქვემოთ ირიბად დაჭდეული საფეხურისებრი შემაღლებით, მომრგვალებული მუცელი, ძირი ბრტყელი, ორყურა. ბრტყელგანივკვეთიანი ყურები მიძერწილია მუცელზე. მუცელი შემკულია ბურცობებით. აღდგენილი, ნაკლული. სიმაღლე - 12,9 სმ, პირის დიამეტრი - 6,2 სმ, ძირის დიამეტრი - 8,5 სმ. (GNM1-1-57:953).

680. საკიდი, ფაიანსი. გულმკერდის არეში. (GNM1-1-57:966).

681. ბეჭედი, ინტალიო. რკინა, სარდიონი. გამოსახულია ძაღლი. ინტალიოს ზომები: 0,9X0,6სმ. ეკეთა მარცხენა ხელის თითზე. ახ.წ. III საუკუნე. (GNM1-გლ.ფ. N938)(ჯავახიშვილი 1972:78, კატ. 124).

*სამარხის ცენტრში დაკრძალული ქვედა მიცვალებულის ინვენტარი.*

682. მძივები. სარდიონი, მინა. (GNM1-1-57:954).

*სამარხის ცენტრში დაკრძალული ზედა მიცვალებულის ინვენტარი*

683. მძივები. სარდიონი, ქვა, მინა, პასტა, ქარვა, გიშერი. თავის, ყელისა და მკლავების არეში. (GNM1-1-57: 956, 957, 964, 965).

684. დანა, რკინა. თავწაწვეტებული, ყუნწიანი. გატეხილი. სიგრძე - 14,1 სმ. (GNM1-1-57:962).

685. აბზინდები, რკინა. დიამეტრი - 2,5-3,8 სმ. (GNM1-1-57:959, 960).

686. მონეტა. ავგუსტეს დენარი. ქარონის ობოლი. (GNM1-1-57:955).

687. ფირფიტა, ბრინჯაო. (GNM1-1-57:963).

*სამარხის ჩრდილოეთით მდებარე ჩონჩხი*

688. ბეჭედი, ინტალიო. ვერცხლი, სარდიონი. გამოსახულია სიუხვის ყანწი. ბეჭდის დიამეტრი - 1,1 სმ. ეკეთა მარცხენა ხელის თითზე. (GNM1-გლ.ფ. 937). ახ.წ. II საუკუნე (ჯავახიშვილი 1972:77, კატ. 123).

N4 სამარხის სამხრეთ ნაწილში მიცვალებულის დაკრძალვის დროს დაუზიანებიათ მის ქვეშ მდებარე N1 სამარხის ნაშთი, რომელიც ახ.წ. II საუკუნით თარიღდება, N4 სამარხის სამხრეთის ჩონჩხს კი ახ.წ. III საუკუნის ბეჭედი ახლდა, რამაც განსაზღვრა მიცვალებულის დაკრძალვის სავარაუდო თარიღი. N4 სამარხის ცენტრში დაკრძალული ქვედა მიცვალებულის თანმხლები თიხის ორყურა ჭურჭლის ზუსტი ანალოგი ვერ მოვიძიეთ (ტაბ. XXXIV4, კატ. N679), თუმცა აგებულებით და მუცელზე დატანილი ორნამენტით ის ძალიან ჰგავს ამავე სამაროვნის N191, 265, 183 სამარხებისა და N11 სამარხის ნაშთში დადასტურებულ ასეთივე ჭურჭლებს (ტაბ. XXXII1, კატ. N568; ტაბ. XXXIV1, კატ. N668; ტაბ. XXXIV2, კატ. N671; ტაბ. XXXIV3, კატ. N674), რომლებიც პარალელური მასალის საფუძველზე ახ.წ. II საუკუნის მეორე ნახევრით და III საუკუნით თარიღდება. ჩრდილოეთით დაკრძალული ჩონჩხის ბეჭდის თარიღი კი ახ.წ. II საუკუნითაა განსაზღვრული (ჯავახიშვილი 1972:77, კატ. 123). სამარხეული ინვენტარი გვაფიქრებინებს, რომ N4 სამარხში მიცვალებულთა დაკრძალვა ახ.წ. III საუკუნის განმავლობაში, სხვადასხვა დროის მონაკვეთში ხდებოდა, რასაც არ ეწინააღმდეგება სამარხში აღმოჩენილი ნივთების თარიღები.

**სამარხი N73 (ტაბ. XXXIV5).** სამარხში ჩონჩხი ესვენა ზურგზე, გაშოტილი და ორიენტირებული OW მიმართულებაზე. სამარხი გამართული იყო N7 სამარხის ნაშთის თავზე.

689. ქილა, თიხა. ჩალისფერკეციანი. პირგადაშლილი, ბაკოგათხელებული, დაბალყელიანი, მუცელი სფერული, ძირი ბრტყელი, ორყურა. ბრტყელგანივკვეთიანი ყურები მიმაგრებულია მხარსა და მუცელზე. სიმაღლე - 16,1 სმ, პირის დიამეტრი -7 სმ, ძირის დიამეტრი - 10,9 სმ. (GNM1-1-59:2377).

690. სანელსაცხებლე, მინა. მწვანე, გამჭვირვალე. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი, ყელი მაღალი, მუცელი კონუსური, ძირი ბრტყელი, ოდნავ შედრეკილი. დამტვრეული

აღდგენილი, ნაკლული. სიმაღლე - 16,7 სმ, პირის დიამეტრი - 2,9 სმ, ძირის დიამეტრი - 4,2 სმ. (GNM1-1-59:2378). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:72, კატ. 123).

691. სანელსაცხებლე, მინა. თეთრი, გამჭვირვალე. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი, ყელი ცილინდრული, მუცელი გვერდებშედრეკილი. ნაწილობრივ აღდგენილი, ნაკლული. (GNM1-1-59:2396). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:72, კატ. 122).

692. პიქსიდა, ძვალი. ცილინდრული. სახურავი და ძირი ნაპირებში გახვრეტილია. სიმაღლე -2,1 სმ, ძირის და ხუფის დიამეტრი - 1,6 სმ. (GNM1-1-59:2395). (კერესელიძე 1978:77, კატ. N268).

693. საყურე, ოქრო. წყვილი. მრგვალგანივკვეთიან ღეროზე უძრავად შეკიდულია ბურთულებისგან შედგენილი მტევანი. (GNM1-1-59:2386).

694. საკიდი, ბრინჯაო. ირმის ქანდაკება. სიმაღლე - 2,4 სმ. (GNM1-1-59:2387).

695. საკიდი, ძვალი. კარგად ნაპრიალები, საგანგებოდ გახვრეტილი. სიგრძე - 2 სმ. (GNM1-1-59:2393).

696. მძივები. ბრინჯაო, სარდიონი, ოპალი/ქალცედონი, მინა, პასტა. (GNM1-1-59:2400, 2401).

697. სამკაულის დეტალები. (2ც.) ბრინჯაო, სარდიონი. ბრინჯაოს მავთულოვან ღეროზე ასხმულია სფერული ფორმის სარდიონის მძივი. მავთული თავსა და ბოლოში შეკრულია. მძივის დიამეტრი - 1,6-1,9 სმ. (GNM1-1-59:2398, 2399).

698. ზარაკები, ბრინჯაო. 1. კონუსური, სამკუთხედებით დაფანჯრული (4ც.). 2. ოთხწახნაგა. სიმაღლე - 2 სმ. (GNM1-1-59:2389, 2390).

699. ბეჭედი. ვერცხლი, მინა. ოვალურ თვალბუდეში ჩასმულია იისფერი მინის თვალი. დიამეტრი - 2,7 სმ, სიმაღლე - 2,4 სმ. (GNM1-1-59:2385).

700. ბეჭედი, ინტალიო. ბრინჯაო, სარდიონი. გამოსახულია კრატერი თავთავებით. ბეჭდის დიამეტრი - 1,7 სმ. (GNM1-გლ.ფ. 982). ახ.წ. III საუკუნე (ჯავახიშვილი 1972:65, კატ. 99).

701. ბეჭედი. ბრინჯაო, პასტა. ოვალურ თვალბუდეში ჩასმულია თეთრი პასტის თვალი. დიამეტრი - სიგანე 2,5, სიმაღლე 2 სმ. ეკეთა მარჯვენა ხელის თითზე. (GNM1-1-59:2382).

702. ბეჭედი. ბრინჯაო, პასტა. ოვალური ფორმის თვალბუდეში ჩასმულია თეთრი თვალი. ნაკლული. (GNM1-1-59:2383).

703. ბეჭედი, მინა. ყვითელი მინის რკალი ბრტყელდება და მასზე დასმულია ლურჯი მინის თვალი, რომელსაც გარშემო თეთრი მინის ძაფი შემოუყვება. დიამეტრი - 2 სმ, სიმაღლე - 2,1 სმ. (GNM1-1-59:2384). ახ.წ. II საუკუნის ბოლო III საუკუნის დასაწყისი (ჯავახიშივილი 1972:65, N99).

704. სარკე, ბრინჯაო. დამტვრეული (GNM1-1-59:2380).

705. ნივთი, ბრინჯაო. ბრინჯაოს მრგვალგანივკვეთიანი ღეროს ცენტრში ყუნწია ხოლო ბოლოებზე ორმაგი წრეებია, რომელთა შორის შერჩენილია რკინის ფრაგმენტები. სიგრძე - 3,2 სმ, სიმაღლე - 2,1 სმ (GNM1-1-59:2388)[5].

706. საკეტი, ბრინჯაო. მასიური ღეროს ერთი ბოლო მართი კუთხით არის მოხრილი, მეორე კი წრიული ფორმისაა და მასზე პატარა შვერილია. სიგრძე - 3,9 სმ, წრის დიამეტრი - 1,5 სმ. (GNM1-1-59:2391).

707. რგოლი, ბრინჯაო. დიამეტრი - 3 სმ. (GNM1-1-59:2392).

708. ფირფიტები, რკინა. ფრაგმენტები. (GNM1-1-59:2394).

709. ნივთი, ძვალი (სტილოსი?). მრგვაგანივკვეთიანი ღერო ერთ მხარეს შემსხვილებულია მეორე მხარეს წვრილი. გატეხილი. შერჩენილი სიგრძე - 13,3. (GNM1-1-59:2397). (კერესელიძე 1978:81, კატ. N293).

სამარხში ნაპოვნი ორყურა თიხის ჭურჭლის კორპუსი (ტაბ. XXXIV$_5$, კატ. N689) (გათხელებული ბაკო, სფერული მუცელი), მსგავსია ამავე სამაროვნის ახ.წ. III საუკუნით დათარიღებულ N265 სამარხში აღმოჩენილი ბურცობებით შემკული ჭურჭლისა (ტაბ. XXXIV$_1$, კატ. N668). აქვე ნაპოვნი ოქროს საყურეები (ტაბ. XXXIV$_5$, კატ. N693) მსგავსია ამავე სამაროვნის, N258 და N273 სამარხებში დადასტრებულია საყურეებისა (ტაბ. XXVI$_1$, კატ. N391; ტაბ. XXXIII$_3$, კატ. N642) რომლის ანალოგები დათარიღებულია ახ.წ. II საუკუნით (ჯალაბაძე, ჯავახიშვილი 2019:15, კატ. 30, 31). ბრინჯაოს ბეჭედში ჩასმული ინტალიო, ახ.წ. II საუკუნის ბოლო - III საუკუნის დასაწყისით თარიღდება (ტაბ. XXXIV$_5$,

[5] როგორც ჩანს ეს ნივთი წარმოადგენს საკიდის ფრაგმენტს. იდენტური ფორმის ირმისთავიანი საკიდი აღმოჩენილია კარსნისხევის სამაროვნის 27-ე სამარხში (ნიკოლაიშვილი 1993, ტაბ. XCIV). ურბნისის საკიდზე არაა შერჩენილი ცხოველის თავის გამოსახულება.

კატ. N700) (ჯავახიშვილი 1972:65, კატ. 99). სამარხში აღმოჩნდა მინის ბეჭედი (ტაბ. XXXIV5, კატ. N703), რომლის მსგავსი ამავე სამაროვნის N67 სამარხშია აღმოჩენილი (ტაბ. XXVII1, კატ. N414). მათი თარიღი ახ.წ. III საუკუნითაა განსაზღვრული (Henkel 1913, taf. 1751; ჯავახიშვილი 1972:65, N99). ასეთივე ბეჭედი მეტროპოლიტენ მუზეუმშია დაცული და დათარიღებულია ახ.წ. I საუკუნით (https://www.metmuseum.org/art/collection/search/249583?searchField=All&sortBy=Relevance&ft=glass+fingerring&offset=0&rpp=20&pos=20). 25-ე უბნის სამაროვანზე სულ ძვლის ორი პიქსიდაა ნაპოვნი - N73 დაN96 სამარხებში (ტაბ. XXXIV5, კატ. N692; ტაბ. XXXVI9, კატ. N824) და ერთიც XVI-5 უბანზე, ახ.წ. I-II საუკუნეების N3 სამარხში (ჭილაშვილი 1964:51-52, სურ. 28). მსგავსი ნივთები აღმოჩენილია დედოფლის გორის სასახლეში (Gagoshidze 2008:97-98, kat. 78-88), ქერჩსა და ოლბიაში (Шелов 1984:321, Таб. CXXX6,7, ახ.წ. I-II საუკუნეები). ბრინჯაოს ზარაკები (ტაბ. XXXIV5, კატ. N698) თ. ჭანიშვილის მიერ შემუშავებული კლასიფიკაციის I ტიპში ერთიანდება და ახ.წ. II-III საუკუნეებშია გავრცელებული (ჭანიშვილი, გამყრელიძე 2021:631). N73 სამარხის ქვედა თარიღი მის ქვეშ მდებარე N7 სამარხის ნაშთმა განსაზღვრა, რომელიც N73 სამარხი ორმოს გათხრის დროს დაზიანდა. N7 სამარხის ნაშთი ახ.წ. II საუკუნის დასაწყისით დავათარიღეთ, რომელზე ადრეულიც N73 სამარხი ვერ იქნება. ვფიქრობთ, N73 სამარხის თარიღი ახ.წ. III საუკუნის დასაწყისით განვსაზღვროთ.

**სამარხი N248 (ტაბ. XXXIV6).** მიცვალებული დაუკრძალავთ სამარხი ნაგებობის გარეშე. ესვენა ზურგზე, გაშოტილი და ორიენტირებული OW მიმართულებაზე. სამარხი გამართული იყო N256 სამარხის თავზე.

710. დოქი, თიხა. ყავისფერიკეციანი. სამტუჩა, ყელი გამოყვანილი, მუცელი სფერული, ძირი ბრტყელი, ცალყურა. ბრტყელგანივკვეთიანი ყური მიძერწილია პირის კიდესა და მხარზე. პირთან მიერთების ადგილას ცერისებური შვერილია. მუცელს ბურცობების რიგები შემოუყვება. აღდგენილი, ნაკლული. სიმაღლე - 19 სმ, პირის ზომები: 8 სმ X 7 სმ, ძირის დიამეტრი - 12,5 სმ. (GNM1-1-63:4083).

711. საკიდები, ბრინჯაო. 1. ვერძის ქანდაკება, 2. ბურცობებიანი. სიმაღლე-1,6 -1,8 სმ; (GNM1-1-63:4085, 4086).

712. საკიდები, ძვალი. (2ც.). წარმოადგენს მტაცებელი ცხოველის ეშვებს. სიგრძე- 2,6- 4,8 სმ. (GNM1-1-63:4088, 4089). (კერესელიძე 1978:63, კატ. N175-176).

713. მძივები. გიშერი, ქარვა, სარდიონი, პასტა. (GNM1-1-63:4092).

714. ზარაკი, ბრინჯაო. ოთხკუთხაფუძიანი პირამიდის ფორმისა, ყუნწიანი. ფუძეების წვეროებზე შვერილები აქვს. სიმაღლე - 2,7 სმ, ფუძის ზომები:1,7X1,7 სმ. (GNM1-1-63:4084).

715. ბეჭედი, ინტალიო. რკინა, სარდიონი. გამოსახულია მამალი. ბეჭდის სიმაღლე - 2,4 სმ. (GNM1-გლ.ფ. 1088). ახ.წ. III საუკუნე (ჯავახიშვილი1972:76, კატ. 118).

716. ბეჭედი, ინტალიო. რკინა, სარდიონი. გამოსახულია ორი თავთავი. ინტალიოს ზომები: 0,7X0,6 სმ. (GNM1-გლ.ფ. 1089). ახ.წ. III საუკუნე (ჯავახიშვილი 1972:76, კატ. 119).

717. ბეჭედი, ინტალიო. რკინა, სარდიონი. გამოსახულია კრევეტი. ბეჭდის დიამეტრი - 1,4 სმ. (GNM1-გლ.ფ. 1090). ახ.წ. III საუკუნე (ჯავახიშვილი1972:75, კატ. 117).

718. დანა, რკინა. ყუნწიანი, წვერმოტეხილი. სიგრძე- 11,3 სმ. (GNM1-1-63:4091).

719. ჯაჭვი/ბადე, რკინა. დაჟანგული. სიგრძე-4,1სმ, სიგანე 2,5 სმ. (GNM1-1-63:4087).

720. კოჭი, ძვალი. გახვრეტილი. (GNM1-1-63:4090).

721. ობსიდიანი. (GNM1-1-63:4093).

N248 სამარხში აღმოჩენილი თიხის დოქი (ტაბ. XXXIV₆, კატ. N710) მსგავსია ჟინვალის სამაროვანზე, N356 ორმოსამარხში აღმოჩენილი დოქისა, რომელიც შემკულია წნეხვით გამოყვანილი კოპებით. კომპლექსი ახ.წ. III საუკუნითაა დათარიღებული (ჩიხლაძე 2015:60, ტაბ. XXX 374). აქვე ნაპოვნი გლიპტიკური ნიმუშები დათარიღდა ახ.წ. III საუკუნით (ტაბ. XXXIV₆, კატ. N715-717) (ჯავახიშვილი 1972:75-76, კატ. N117, 118, 119), ბრინჯაოს ზარაკი კი ტიპოლოგიური კლასიფიკაციის მე-5 ჯგუფში თავსდება და ახ.წ. II საუკუნით თარიღდება (ჭანიშვილი, გამყრელიძე 2021:631). მსგავსი ზარაკები აღმოჩენილია ამავე სამაროვნის N112, 57, 86 სამარხებში, ყველა სამარხი ჩვენს მიერ შემუშავებული კლასიფიკაციის II ქრონოლოგიურ ჯგუფში (ახ.წ. I საუკუნის ბოლო - II საუკუნე) თავსდება და ახ.წ. I საუკუნის ბოლოთი - II საუკუნის დასაწყისით თარიღდება. N248 სამარხის დათარიღებისთვის გასათვალისწინებელია სამარხის მდებარეობა. ის აღმოჩნდა N256 სამარხის თავზე, რომელიც სამარხეული კონტექსტის მიხედვით ახ.წ. I

საუკუნის ბოლო - II საუკუნის დასაწყისით დათარიღდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, N248 სამარხის თარიღი არაუადრეს ახ.წ. II საუკუნის ბოლო, III საუკუნის დასაწყისით უნდა განვსაზღვროთ.

**სამარხი N153 (ტაბ. XXXV1).** სამარხს იატაკად ხის ძელები ჰქონია დაწყობილი, კედლებიც ხის ძელებით იყო ამოშენებული და ლურსმნებით შეკრული. მიცვალებული ესვენა ზურგზე, გაშოტილი და ორიენტირებული OW მიმართულებაზე.

722. დოქი, თიხა. ჩალისფრად გამომწვარი, სამტუჩა, ბაკომომრგვალებული, სფერულმუცლიანი, ბრტყელძირა, ცალყურა. ბრტყელგანივკვეთიანი ყური მიძერწილია პირის კიდესა და მხარზე, პირთან მიერთების ადგილი ოდნავ შემაღლებულია. აღდგენილი. სიმაღლე - 17 სმ, ტუჩის ზომები: 8X7 სმ, ძირის დიამეტრი - 11,2 სმ. (GNM1-1-61:3264).

723. სანელსაცხებლე, მინა. თეთრი, გამჭვირვალე, თავისუფლადნაბერი. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი, ყელი მაღალი, მუცელი სფერული, ძირი ოდნავ შედრეკილი. ნაკლული. სიმაღლე - 6,5 სმ, პირის დიამეტრი - 1,6 სმ, ძირის დიამეტრი - 1,7 სმ. (GNM1-1-61:3265). ახ.წ. II საუკუნის მეორე ნახევარი (საგინაშვილი 1970:81, კატ. 164).

724. ბეჭედი, ინტალიო. რკინა, სარდიონი. გამოსახულია ფორტუნა. ნაკლული. ინტალიოს ზომები: 0,9X0,6 სმ. (GNM1-გლ.ფ. 1004). ახ.წ. II-III საუკუნეები (ჯავახიშვილი 1972:59, კატ. 85).

725. ბეჭედი, ინტალიო. რკინა, ჰელიოტროპი. გამოსახულია მუხა. ნაკლული. ინტალიოს ზომები: 1,2X1 სმ. (GNM1-გლ.ფ. 1003). ახ.წ. II-III საუკუნეები (ჯავახიშვილი 1972:59, კატ. 84).

N153 სამარხში აღმოჩენილი თიხის დოქი (ტაბ. XXXV1, კატ. N722) აგებულებით (გამოყვანილი ყელი, სფერული მუცელი, ფართო ძირი) ემსგავსება ამავე სამაროვნის N224, 191 და N168 სამარხებში დადასტურებულ დოქებს (ტაბ. XXX1, კატ. N483; ტაბ. XXXII1, კატ. N567; ტაბ. XXXV2, კატ. N726). აღნიშნული სამარხები ახ.წ. II საუკუნის ბოლოთი - III საუკუნით განვსაზღვრეთ; აქვე ნაპოვნი მინის სანელსაცხებლე - ახ.წ. II საუკუნის მეორე ნახევრით (ტაბ. XXXV1, კატ. N723) (საგინაშვილი 1970:81, კატ. N164), ხოლო ინტალიოები ახ.წ. II-III საუკუნეებითაა დათარიღებული (ტაბ. XXXV1, კატ. N724, 725) (ჯავახიშვილი

1972:59, კატ. 84, 85). პარალელური მასალის შემცველი სამარხების სტრატიგრაფიისა (N168 სამარხი აღმოჩნდა ახ.წ. II საუკუნის N170 სამარხის თავზე) და თანმხლები ინვენტარის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, ახ.წ. III საუკუნის დასაწყისი N153 სამარხისთვის სავსებით მისაღები თარიღია.

**სამარხი N168 (ტაბ. XXXV2).** ხის ძელებით აგებული სამარხის გარშემო რიყის ქვები იყო შემოწყობილი. მიცვალებული ესვენა ზურგზე, გაშოტილი ორიენტირებული OW მიმართულებაზე. N168 სამარხი გამართული იყო N170 სამარხის თავზე.

726. დოქი, თიხა. ვარდისფრად გამომწვარი. სამტუჩა, ბაკომომრგვალებული, სფერულმუცლიანი, ბრტყელძირა, ცალყურა. ბრტყელგანივკვეთიანი ყური მიძერწილია პირის კიდესა და მხარზე. პირთან მიერთების ადგილი ოდნავ შემაღლებულია. პირმოტეხილი. სიმაღლე - 17,1სმ, ძირის დიამეტრი -11 სმ.(GNM1-1-61:3343).

727. საკიდი. ბრინჯაო, სარდიონი. ბრინჯაოს მავთულზე ასხმულია სარდიონის სფერული მძივი. სიგრძე - 2,6 სმ, მძივის დიამეტრი - 1,2 სმ. (GNM1-1-61:3348).

728. მძივები. სარდიონი, ქალცედონი, მინა, პასტა. (GNM1-1-61:3350).

729. ამულეტი. კბილი, ბრინჯაო. ბრინჯაოს ფირფიტოვან სალტეში ჩასმულია კბილი. სიგრძე - 2,8 სმ. (GNM1-1-61:3349).

730. ავგაროზი, კამეა, ფაიანსი. ოთხკუთა მოყვანილობის ბრტყელ სადგარზე მწოლიარე ლომის გამოსახულებაა. სადგარი სიგრძივ გახვრეტილია. ზომები: 2,8-2,2-1სმ. (GNM1-გლ.ფ. 1020).

731. ბეჭედი, ინტალიო. ვერცხლი, სარდიონი. გამოსახულია ნიამორი, თევზის ბოლოთი. ბეჭდის დიამეტრი - 14 სმ (GNM1-გლ.ფ. 1017). ახ.წ. III საუკუნე (ჯავახიშვილი 1972:71, კატ. 107).

732. ბეჭედი, ინტალიო. ბრინჯაო. გამოსახულია ვეფხვი. (GNM1-გლ.ფ. 1019). ახ.წ. III საუკუნე (ჯავახიშვილი 1972:72, კატ. 109).

733. ბეჭედი, ინტალიო. რკინა, სარდიონი. გამოსახულია ღვთაება. ინტალიოს ზომები: 0,9-0,6 სმ (GNM1-გლ.ფ. 1018). ახ.წ. III საუკუნე (ჯავახიშვილი 1972:72, კატ. 108).

N168 სამარხში აღმოჩენილ თიხის ჭურჭელს (ტაბ. XXXV2, კატ. N726)ზუსტი ანალოგი ვერ მოეძებნა, თუმცა ცილინდრული ყელი, რომელიც გამოყოფილია სფერული

მუცლისაგან და ყურის პირთან მიერთების ტექნიკა მსგავსია ახ.წ. II საუკუნის დასასრულით დათარიღებულ N224 სამარხშია აღმოჩენილი დოქისა (ტაბ. XXX1, კატ. N483), ასეთივე ფორმისაა ახ.წ. III საუკუნით დათარიღებულ N153 სამარხში ნაპოვნი დოქიც (ტაბ. XXXV1, კატ. N722). სამარხში ნაპოვნი ბრინჯაოს ბეჭედი (ტაბ. XXXV2, კატ. N732) მსგავსია ამავე სამაროვნის N93, 104 და N197 სამარხებში ნაპოვნი ბეჭდებისა (ტაბ. XXXV6,10, კატ. N762, 779; ტაბ. XXXVI1, კატ. N792), რომელთა თარიღი ახ.წ. II-III საუკუნეებით განისაზღვრა (ჯავახიშვილი 1972:61, 72-74, კატ. N90, 109, 110, 111). N168 სამარხის ქვეშ მდებარეობდა ჩვენს მიერ ახ.წ. II საუკუნის პირველი ნახევრით დათარიღებული N170 სამარხი. ვფიქრობთ, N168 სამარხის გამართვის თარიღად მისაღებია ახ.წ. III საუკუნე.

**სამარხი N267 (ტაბ. XXXV3).** ალიზით ნაგებ სამარხში ერთი მოზარდი და ერთი ზრდასრული ადამიანი დაუკრძალავთ, ზურგზე გაშოტილი, ორიენტირებული OW მიმართულებაზე.

734. სანელსაცხებლე, მინა. მოცისფრო, გამჭვირვალე, თავისუფლადნაბერი. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი, ყელი ცილინდრული. ნაკლული. პირის დიამეტრი - 1,6 სმ. (GNM1-1-63:4175). ახ.წ. II საუკუნე. (საგინაშვილი 1970:81, კატ. 166).

735. ჭურჭელი, მინა. თეთრი, გამჭვირვალე. ნამტვრევები. (GNM1-1-63:4174).

736. სამაჯური, ბრინჯაო. დამტვრეული. (GNM1-1-63:4176).

737. ბალთა, რკინა. დიამეტრი - 2,8 სმ (GNM1-1-63:4177).

738. ბეჭედი, ინტალიო. ბრინჯაო, სარდიონი. ქვაზე ნიამორია გამოსახული. ბეჭდის დიამეტრი 1,7 სმ. (GNM1-გლ.ფ. 1098). ახ.წ. II საუკუნის ბოლო - III საუკუნის დასაწყისი. (ჯავახიშვილი 1972:63, კატ. 95).

739. ბეჭედი. ბრინჯაო, მინა. გამოსახულება გაურკვეველია. (GNM1-1-63:4184).

740. ბეჭედი, ბრინჯაო. ბრტყელგანივკვეთიანი რკალი. დამტვრეული. (GNM1-1-63:4185).

741. დანა, რკინა. მოხრილი, ყუნწიანი. შერჩენილი სიგრძე-10,2 სმ. (GNM1-1-63:4178).

742. დანის ვადა, რკინა. შერჩენილი აქვს ორი მანჭვალი. ფრაგმენტები. (GNM1-1-63:4179).

743. სალესი ქვა. გახვრეტილი. სიგრძე - 5,9 სმ. (GNM1-1-63:4180).

744. კოჭები, ძვალი. გახვრეტილი. (GNM1-1-63:4181). (კერესელიძე 1978:81, კატ.N302).

სამარხში აღმოჩნდა ახ.წ. II საუკუნით დათარიღებული მინის ჭურჭელი (ტაბ. XXXV3, კატ. N734) (საგინაშვილი 1970:81, N166) და ახ.წ. II საუკუნის დასასრულითა და III საუკუნის დასაწყისით დათარიღებული ინტალიო (ტაბ. XXXV3, კატ. N738) (ჯავახიშვილი 1972:63, კატ. 95), რომლებმაც სამარხის თარიღი ახ.წ. III საუკუნის დასაწყისით განსაზღვრა.

**სამარხი N148 (ტაბ. XXXV4).** ჩონჩხი დაფიქსირდა ზურგზე მწოლარე, გაშოტილი და ორიენტირებული OW მიმართულებაზე.

745. მძივები. ქალცედონი, მინა, პასტა, ფაიანსი. (GNM1-1-61:3243).

746. ბეჭედი, ინტალიო. რკინა, სარდიონი. გამოსახულია ნიამორი. ინტალიოს ზომები: 0,7X0,6 სმ. (GNM1- გლ.ფ. 1002). ახ.წ. II საუკუნის ბოლო III საუკუნის დასაწყისი (ჯავახიშვილი 1972:64, კატ. 96).

747. კოჭი, ძვალი. გახვრეტილი. (GNM1-1-61:3244). (კერესელიძე 1978:81, კატ. N29).

ფაიანსის მძივი (ტაბ. XXXV4, კატ. N745) ე. ალექსეევა კლასიფიკაციის 13-ა ტიპს შეეფერება და ახ.წ. I-II საუკუნეებშია გავრცელებული (Алексеева 1975:33, таб. 526). თარიღს არ ეწინააღმდეგება სამარხში აღმოჩენილი ახ.წ. III საუკუნის დასაწყისით დათარიღებული ინტალიო (ტაბ. XXXV4, კატ. N746) (ჯავახიშვილი 1972:64, კატ. 96). სამარხეული ინვენტარის მიხედვით N148 სამარხ ახ.წ. III საუკუნეს მიეკუთვნება.

**სამარხი N14 (ტაბ. XXXV5).** სამარხი ხის ძელებით იყო ნაგები. დაკრძალული იყო ორი მიცვალებული, ორივე ზურგზე ესვენა, გაშოტილი და ორიენტირებული იყო OW მიმართულებაზე, თავით აღმოსავლეთით.

748. საყურე, ბრინჯაო. მრგვალგანივკვეთიანი მავთული ბოლოებდაბრტყელებულია. დიამეტრი - 1,3 (GNM1-1-58:1877).

749. მძივები. გიშერი, პასტა, სარდონიქსი, მინა. (GNM1-1-58:1885).

750. საკინძი, ბრინჯაო. ღეროვანი, თავი ოდნავ შემსხვილებულია. სიგრძე - 6,3 სმ. (GNM1-1-58:1876).

751. საკინძი, რკინა. ღეროვანი, ორად გატეხილი. სიგრძე - 4,5 სმ. (GNM1-1-58:1883).

752. ბეჭედი, ვერცხლი. ოვალური თვალბუდიდან თვალი ამოვარდნილია. დიამეტრი - 2,1 სმ. ეკეთა მარცხენა ხელის თითზე. (GNM1-1-58:1873).

753. ბეჭედი, ინტალიო. ბრინჯაო, სარდიონი. ქვაზე გამოსახულია ასკლეპიოსი. დიამეტრი - 1,7 სმ. (GNM1-გლ.ფ. 945). ახ.წ. II საუკუნის დასასრული - III საუკუნის დასაწყისი (ჯავახიშვილი 1972:64, კატ. 97).

754. რგოლი, ბრინჯაო. შეკრული. დიამეტრი - 2,9 სმ. (GNM1-1-58:1879).

755. ღერო, ძვალი. გაპრიალებული. ერთი ბოლო წაწვეტებული. სიგრძე - 12,2 სმ, (GNM1-1-58:1884). (კერესელიძე 1978:73, კატ. N240).

756. კოჭი, ძვალი. გახვრეტილი. (GNM1-1-58:1882). (კერესელიძე 1978:80, კატ. N282).

ბრინჯაოს ბეჭდის მიხედვით (ტაბ. XXXV5, კატ. N753) (ჯავახიშვილი 1972:64), სამარხის თარიღი ახ.წ. III საუკუნით განისაზღვრა.

**სამარხი N93 (ტაბ. XXXV6).** სამარხი ხის ძელებით იყო ნაგები, მიცვალებული იწვა ზურგზე, გაშოტილი.

757. სანელსაცხებლე, მინა. მწვანე, გამჭვირვალე, სქელკედლიანი. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი, მუცელი კონუსური, ძირი ბრტყელი, ოდნავ შედრეკილი. სიმაღლე - 11,6 სმ, პირის დიამეტრი - 3,4 სმ, ძირის დიამეტრი – 4,2 სმ. (GNM1-1-59:2495). ახ.წ. I საუკუნე. (საგინაშვილი 1970:64, კატ. 78).

758. ჭურჭელი, მინა. მოყვითალო-მომწვანო. ნამტვრევები. (GNM1-1-59:2496).

759. საკიდი, ბრინჯაო. ბრინჯაოს მავთულის ბადეში მოქცეულია კუბის ფორმის პირიტი. სიგრძე - 2,5 სმ. (GNM1-1-59:2501).

760. მძივები. ბრინჯაო, სარდიონი, ქალცედონი, მინა, პასტა. (GNM1-1-59:2503, 2504, 2505).

761. ზარაკები, ბრინჯაო. 1. კონუსური, ყუნწიანი, შერჩენილი აქვს ენის დასაკიდი მავთული, კორპუსი დაფარულია ერთმანეთის პარალელური ღარებით. 2. კონუსური, სამკუთხედებით დაფანჯრული. სიმაღლე- 2,2 -2 სმ, დიამეტრი - 1,3-1 სმ. (GNM1-1-59:2499, 2500).

762. ბეჭედი, ინტალიო. ბრინჯაო. გამოსახულია მტაცებელი ფრინველი. (GNM1-გლ.ფ.986). ახ.წ. II-III საუკუნეები (ჯავახიშვილი 1972:73, კატ. 110).

763. ხვია, ბრინჯაო. სიგრძე - 1,5 სმ. (GNM1-1-59:2502).

764. რგოლი, ბრინჯაო. დიამეტრი - 2,2 სმ. (GNM1-1-59:2498).

მინის სანელსაცხებლის თარიღი განსაზღვრულია ახ.წ. I საუკუნით (ტაბ. XXXV6, კატ. N761) (საგინაშვილი 1970:64, კატ. 78). N93 სამარხში აღმოჩენილი ბრინჯაოს ბეჭედი (ტაბ. XXXV6, კატ. N762) ამავე სამაროვნის N168, 104 და N197 სამარხებში დასტურდება (ტაბ. XXXV5,10, კატ. N732, 779; ტაბ. XXXVI1, კატ. N792) და განსაზღვრულია ახ.წ. II-III საუკუნეებით (ჯავახიშვილი 1972:61, 72-74, კატ. N90, 109, 110, 111). ბრინჯაოს საკიდი (ტაბ. XXXV6, კატ. N759) ანალოგიურია ამავე სამაროვნის ახ.წ. II საუკუნის დასასრულით დათარიღებულ N191 სამარხში აღმოჩენილი საკიდისა (ტაბ. XXXII1, კატ. N574). აქვე ნაპოვნი ბრინჯაოს ზარაკები (ტაბ. XXXV6, კატ. N761) ახ.წ. I-II საუკუნეებშია გავრცელებული (ჭანიშვილი, გამყრელიძე 2021:631). სამარხეული ინვენტარის მიხედვით სამარხის თარიღი ახ.წ. III საუკუნის დასაწყისით უნდა განისაზღვროს.

**სამარხი N129 (ტაბ. XXXV7).** მიცვალებული ზურგზე იწვა, გაშოტილი.

765. მძივები. გიშერი, პასტა. (GNM1-1-60:2844).

766. ბეჭედი, ინტალიო, ბრინჯაო. ფირფიტოვანი, ფარაკზე გამოსახულია ღვთაება. რკალი გატეხილი. (GNM1-გლ.ფ. 991). ახ.წ. II-III საუკუნეები. (ჯავახიშვილი 1972:61 კატ. 91).

767. ბეჭედი, რკინა. ოვალურფარაკიანი, გატეხილი. (GNM1-1-60:2843).

N129 სამარხში ნაპოვნი ბეჭედი (ტაბ. XXXV7, კატ. N762)დათარიღებულია ახ.წ. II-III საუკუნეებით (ჯავახიშვილი 1972:61, კატ. 91). აქვე ნაპოვნ პასტის მძივებს ანალოგები ამავე სამაროვნის N187, 164 და N35 სამარხებში ეძებნება (ტაბ. XIV3, კატ. N84; ტაბ. XXIII4, 334; ტაბ. XXV8, კატ. N768), რომლებიც პარალელური მასალით ახ.წ. I-III საუკუნეებით თარიღდება. სამარხის თარიღს მასში აღმოჩენილი ყველაზე გვიანდელი ნივთი, გლიპტიკური ნიმუში განსაზღვრავს (ტაბ. XXXV7, კატ. N766). ვფიქრობთ, N129 სამარხი ახ.წ. III საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს.

**სამარხი N35 (ტაბ. XXXV8).** სამარხი ხის იყო. დაკრძალული იწვა ზურგზე, გაშოტილი და ორიენტირებული OW მიმართულებაზე, თავით აღმოსავლეთით.

768. მძივები. მინა, პასტა, სარდიონი, გიშერი. (GNM1-1-59:2224).

769. ზარაკები, ბრინჯაო. (2 ცალი). კონუსური. სიმაღლე - 1,6 სმ. (GNM1-1-59:2223).

770. ბეჭედი, ინტალიო. რკინა, სარდიონი. ქვაზე გამოსახულია დელფინი. ინტალიოს ზომები: 0,8X0,6 სმ. (GNM1-გლ.ფ. 970). ახ.წ. II-III საუკუნეები (ჯავახიშვილი 1972:60, კატ. 86).

771. ბეჭედი, ინტალიო. რკინა, სარდიონი. ქვაზე გამოსახულია ათენა. (GNM1-გლ.ფ. 969). ახ.წ. II-III საუკუნეები (ჯავახიშვილი 1972:60, კატ. 87).

772. ზალთა, რკინა. ფრაგმენტები. (GNM1-1-59:2225).

N35 სამარხში აღმოჩენილი კონუსური ზარაკების (ტაბ. XXXV8, კატ. N769) ანალოგები აღმოჩენილია ურბნისის სამაროვნის 25-ე უბნის N271, 152, 163, 86, 165, 13 და N115 სამარხებში, რომელთა გავრცელების თარიღი ძვ.წ. I საუკუნის ბოლო ახ.წ. II საუკუნეებში მერყეობს. სამარხის თარიღი განსაზღვრა გლიპტიკური ნიმუშმა, რომლებიც ახ.წ. II-III საუკუნეებით თარიღდება (ტაბ. XXXV9, კატ. N774, 775) (ჯავახიშვილი 1972:60, კატ. 86, 87). სამარხი ახ.წ. III საუკუნეს მივაკუთვნეთ.

**სამარხი N22 ნაშთი (ტაბ. XXXV9).**

773. ზალთა, რკინა. რგოლის დიამეტრი - 2,4-2,6 სმ. (GNM1-1-63:4220).

774. ბეჭედი, ინტალიო. ბრინჯაო, სარდიონი. გამოსახულია კრევეტი. დაჟანგული, ინტალიოს ზომები: 0,7სმX0,6 სმ. (GNM1-გლ.ფ. 1103). ახ.წ. III საუკუნე (ჯავახიშვილი 1972:74, კატ. 113).

775. ინტალიო, სარდიონი. გამოსახულია მეომრის აღჭურვილობა. ინტალიოს ზომები: 1,6სმX1,2 სმ. (GNM1-გლ.ფ. 1102). ახ.წ. III საუკუნე (ჯავახიშვილი 1972:74, კატ. 114).

776. კოტა. ძვალი, რკინა. (GNM1-1-63:4218). (კერესელიძე 1978:38, კატ. 24).

777. სტილოსი? ძვალი. მრგვალგანივკვეთიანი ღეროს ერთი ბოლო გაწვრილებულია, მეორე - ბრტყელი. სიგრძე - 18, 2 სმ. (GNM1-1-63:4219). (კერესელიძე 1978:76, კატ. N259).

სამარხეულ ინვენტარში დამათარიღებელი ნივთები მხოლოდ ინტალიოებია (ტაბ. XXXV9, კატ. N774, 775). მათ შორის ერთ-ერთზე გამოსახულია კრევეტი, ამავე სამაროვნის N248 სამარხის ბეჭდის მსგავსად (ტაბ. XXXIV6, კატ. N717). სამარხის თარიღი ინვენტარისა და სტრატიგრაფიული მონაცემების მიხედვით ახ.წ. III საუკუნით განვსაზღვრეთ. სამარხის ნაშთი N22-ის თარიღი გლიპტიკურმა ძეგლებმა ახ.წ. III საუკუნით განსაზღვრა (ჯავახიშვილი 1972:74, კატ. N113, 114).

**სამარხი N104 (ტაბ. XXXV10).** ხის სამარხში მიცვალებული მარცხენა გვერდზე ესვენა მოხრილი.

778. მძივები. მინა, სარდიონი. (GNM1-1-60:2777).

779. ბეჭედი, ინტალიო. ბრინჯაო. გამოსახულია ორნამენტი. ნაკლული. (GNM1-გლ.ფ. 989). ახ.წ. II-III საუკუნეები (ჯავახიშვილი 1972:61, კატ. 90).

N104 სამარხში ნაპოვნი მინის ოქროფენილი მძივები (ტაბ. XXXV10, კატ. N778) გაერთიანებულია ე.მ. ალექსეევას კლასიფიკაციის I ბ ჯგუფში და მათი გავრცელების ხანა ახ.წ. I საუკუნეს ემთხვევა (Алексеева 1978:29-30, таб. 26 4,7). აგრეთვე, N104 სამარხში აღმოჩენილი ბეჭდის თარიღი (ტაბ. XXXV10, კატ. N779), მისი ანალოგები (ტაბ. XXXV2,6, კატ. NN732, 762; ტაბ. XXXVI1, კატ. N792) და თანმხლები ინვენტარი ამავე სამაროვნის N168, 93 და N197 სამარხებიდან სამარხის თარიღს ახ.წ. III საუკუნით განსაზღვრავს.

**სამარხი N242 (ტაბ. XXXV11).** სამარხ ორმოში არავითარი ნაგებობა არ შეიმჩნეოდა. მიცვალებული ესვენა ზურგზე, გაშოტილი და ორიენტირებული იყო OW მიმართულებაზე. სამარხის ქვეშ გამართული იყო N245 სამარხი.

780. ჭურჭელი, თიხა. ჩალისფერი, სფერულმუცლიანი, ბრტყელძირა. ბრტყელგანივკვეთიანი ყურით. დამტვრეული, ნაკლული. ძირის დიამეტრი - 13,5 სმ. (GNM1-1-62:3970).

781. მძივები. სარდიონი, გიშერი. (GNM1-1-62:3972).

782. ბეჭედი, ინტალიო. რკინა, სარდერი. გამოსახულია დელფინი. ინტალიოს ზომები: 0,9სმX0,7სმ. (GNM1-გლ.ფ. 1086). ახ.წ. III საუკუნე (ჯავახიშვილი 1972:77, კატ. 122).

სამარხში აღმოჩნდა გიშრის თორმეტწახნაგა მძივი (ტაბ. XXXV11, კატ. N781), ისეთივე როგორიც ამავე სამაროვნის ახ.წ. III საუკუნის N72 სამარხში (ტაბ. XXXV12, კატ. N784). N242 სამარხის ქვეშ დაფიქსირდა ჩვენს მიერ ახ.წ. I საუკუნის ბოლოთი დათარიღებული N245 სამარხი. სამარხის სტრატიგრაფიული მონაცემები, N72 სამარხის თარიღი და სამარხში აღმოჩენილი ინტალიოს თარიღები (ტაბ. XXXV11, კატ. N782) (ჯავახიშვილი 1972:77, კატ. 122) N242 სამარხს ახ.წ. III საუკუნით განსაზღვრავს.

**სამარხი N72 (ტაბ. XXXV12).** სამარხ ორმოში შეიმჩნეოდა ხის ნაგებობის კვალი. ორი მიცვალებული ზურგზე დაუკრძალავთ, ორიენტირებული OW მიმართულებაზე.

783. საკიდი, ბრინჯაო. სურის ფორმის. სიმაღლე - 2,1 სმ (GNM1-1-59:2368).

784. მძივები. სარდიონი, პასტა, გიშერი, მინა. (GNM1-1-59:2375, 2376).

785. ბალთა, რკინა. დამტვრეული, დაჟანგული. (GNM1-1-59:2372).

786. ბეჭედი. ბრინჯაო, მინა. (GNM1-1-59:2369). ახ.წ. III საუკუნე (ჯავახიშვილი 1972:75, სურ. 10).

787. ბეჭედი, ინტალიო. რკინა, სარდერი. გამოსახულია ხელისჩამორთმევა. ნატეხი. ინტალიოს ზომები: 0,6X0,5 სმ (GNM1-გლ.ფ. 981). (ჯავახიშვილი 1972:75, კატ. 115).

788. დანა, რკინა. ყუნწიანი. ძლიერ დაჟანგული. სიგრძე - 10,8 სმ. (GNM1-1-59:2371).

789. კოჭები, ძვალი. (3 ც.). გახვრეტილი. (GNM1-1-59:2374) (კერესელძე 1978: 80, კატ. 285).

N72 სამარხში აღმოჩენილი ბრინჯაოს საკიდის (ტაბ. XXXV12, კატ. N783) ანალოგები აღმოჩენილია სამთავროს სამაროვნის N138 და N221 ორმოსამარხებში, რომლებიც ახ.წ. II საუკუნის მეორე ნახევრითაა დათარიღებული (Иващенко 1980:12, кат. 224, 306). სამარხის ყველაზე გვიანდელ ნივთს ბრინჯაოს ბეჭედი წარმოადგენს (ტაბ. XXXV12, კატ. N787) (ჯავახიშვილი 1972:75, სურ. 10), რის საფუძველზეც სამარხის თარიღი ახ.წ. III საუკუნით განისაზღვრა.

**სამარხი N197 (ტაბ. XXXVI1).** სამარხი ხის ძელებით იყო ნაგები, შემოსაზღვრული იყო რიყის ქვებისა და ალიზის აგურის წყობით. მიცვალებული ესვენა ზურგზე, გაშოტილი და ორიენტირებული OW მიმართულებაზე.

790. ქოთანი, თიხა. მოყავისფრო-მოშავო. ფართო პირი, სფერული მუცელი, ბრტყელი ძირი, ცალყურა. ყური მიმაგრებულია პირსა და მუცელზე. პირის კიდიდან ყური ზემოთაა აზიდული. სიმაღლე - 10,2 სმ, პირის დიამეტრი - 8 სმ, ძირის დიამეტრი - 5,9 სმ. (GNM1-1-62:3707).

791. მძივები. ბრინჯაო, მინა, სარდიონი, პასტა. (GNM1-1-62:3706).

792. ბეჭედი, ინტალიო. ბრინჯაო. გამოსახულია მტაცებელი ფრინველი. გატეხილი. ბეჭდის დიამეტრი - 1,5 სმ. (GNM1-გლ.ფ. 1060). ახ.წ. III საუკუნე. (ჯავახიშვილი 1972:73, კატ. 111).

793. ბეჭედი, ინტალიო. ბრინჯაო, მინა. გამოსახულია სიუხვის ყანწი. ბეჭდის დიამეტრი - 1,5 სმ. (GNM1-გლ.ფ. 1059). ახ.წ. III საუკუნე. (ჯავახიშვილი 1972:73, კატ. 112).

794. დანა, რკინა. ყუნწიანი. სიგრძე- 9,1 სმ. (GNM1-1-62:3702).

795. რგოლი, ბრინჯაო. დიამეტრი -2,4 სმ. (GNM1-1-62:3705).

N197 სამარხში აღმოჩენილი ბრინჯაოს ბეჭდის (ტაბ. XXXVI1, კატ. N792) ანალოგები ამავე სამაროვნის კიდევ სამ სამარხში დასტურდება (სამარხი NN168, 93, 104; ტაბ. XXXV2,6,10, კატ. NN732, 762, 766) და დათარიღებულია ახ.წ. II-III საუკუნეებით (ჯავახიშვილი 1972:61, 72-74, კატ. N90, 109, 110, 111). N197 სამარხის თარიღს ახ.წ. III საუკუნით განსაზღვრავს აქვე აღმოჩენილი გლიპტიკური ნიმუშები (ტაბ. XXXVI1, კატ. N792, 793).

**სამარხი N109 (ტაბ. XXXVI2).** ხის სამარხში მიცვალებული მარჯვენა გვერდზე დაუსვენებიათ ძლიერად მოხრილი ქვედა კიდურებით. დამხრობა - SO-NW.

796. საყურე, ბრინჯაო. წყვილი. მრგვალგანივკვეთიანი მავთულისა. დიამეტრი 2,3-1,9 სმ. (GNM1-1-60:2792).

797. მძივები და მძივსაკიდები. მინა, პასტა, ფაიანსი, გიშერი, სარდიონი, ქარვა, მთის ბროლი. (GNM1-1-60:2794).

798. ბეჭედი, ინტალიო. რკინა, სარდიონი. გამოსახულია თევზი. დაჟანგული. ინტალიოს დიამეტრი 0,8 სმ. (GNM1-გლ.ფ. 990). ახ.წ. II-III საუკუნეები (ჯავახიშვილი 1972:61, კატ. 89).

799. რგოლი, რკინა. დიამეტრი - 2,4 სმ. (GNM1-1-60:2793).

N109 სამარხში აღმოჩენილი რკინის ბეჭედი სარდიონის ინტალიოთი დათარიღებულია ახ.წ. II-III საუკუნეებით (ტაბ. XXXVI2, კატ. N798) (ჯავახიშვილი 1972:61, კატ. 89), რამაც სამარხის თარიღი ახ.წ. III საუკუნით განსაზღვრა.

**სამარხი N38 (ტაბ. XXXVI3).** სამარხი ნაგებობა ხის იყო. მიცვალებული იწვა ზურგზე, გაშოტილი, თავით აღმოსავლეთით.

800. სანელსაცხებლე, მინა. მწვანე, გამჭვირვალე, თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი, ყელი მაღალი, მუცელი მსხლისებური, ძირი ბრტყელი. საზერავი მილის კვალით. სიმაღლე - 13,2 სმ, პირის დიამეტრი - 2,6 სმ, ძირის დიამეტრი - 2 სმ. (GNM1-1-59:2229). ახ.წ. I-II საუკუნე (საგინაშვილი 1970:77, კატ. 148).

801. სანელსაცხებლე, მინა. მოთეთრო, ნახევრადგამჭვირვალე, თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი, ყელი მაღალი, ძირი ბრტყელი, ოდნავ შედრეკილი. სიმაღლე - 9,4 სმ, პირის დიამეტრი - 3,5 სმ, ძირის დიამეტრი - 3,8 სმ. (GNM1-1-59:2230). ახ.წ. III საუკუნე (საგინაშვილი 1970:82, კატ. 174).

სამარხში სანელსაცხებლეების გარდა სხვა ინვენტარი არ დაფიქსირდა. მათი პარალელები ამავე სამაროვანზე არ გვხვდება. ჭურჭლების მიხედვით სამარხის თარიღი ახ.წ. III საუკუნით უნდა განისაზღვროს.

**სამარხი N157 (ტაბ. XXXVI4).** სამარხის იატაკად ხის ძელები იყო გამოყენებული. ხის მასალით შეუკრავთ სამარხის გვერდებიც, რომელთა დასაკავშირებლად ლურსმნებია გამოყენებული. მიცვალებული იწვა ზურგზე გაშოტილი, გულაღმა, ორიენტირებული OW მიმართულებაზე. N157 სამარხის ქვეშ მდებარეობდა N172 სამარხი.

802. სანელსაცხებლე, მინა. ყვითელი, გამჭვირვალე, თავისუფლადნაბერი. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი, ყელი დაბალი, მუცელი მსხლისებური, ძირი ოდნავ შედრეკილი. სიმაღლე - 9,5 სმ, პირის დიამეტრი - 1,8 სმ, მუცლის დიამეტრი - 3,6 სმ. (GNM1-1-61:3292). ახ.წ. II საუკუნე (საგინაშვილი 1970:79, კატ. 158).

803. მძივები, გიშერი. (GNM1-1-61:3294).

804. საკინძი, რკინა. ნატეხები. (GNM1-1-61:3293).

805. ბეჭედი, ინტალიო. ბრინჯაო, სარდიონი. გამოსახულია ხელისჩამორთმევა. ბეჭდის დიამეტრი - 1,7 სმ. (GNM1-გლ.ფ. 1005). ახ.წ. II-III საუკუნეები (ჯავახიშვილი 1972:61, კატ. 92).

მინის სანელსაცხებლე დათარიღებულია ახ.წ. II საუკუნით (ტაბ. XXXVI4, კატ. N802) (საგინაშვილი 1970:79, კატ. 158), ხოლო სამარხში ყველაზე გვიანდელ ნივთს გლიპტიკური ნიმუში წარმოადგენს, რომელიც ახ.წ. II საუკუნის ბოლო წლებითა და III საუკუნის დასაწყისით თარიღდება (ჯავახიშვილი 1972:61-62, კატ. 92). N157 სამარხის ქვეშ აღმოჩნდა N172 სამარხი, რომელიც დათარიღებულია ახ.წ. II საუკუნის დასარულით. სამარხეული კონტექსის გათვალისწინებით N157 სამარხი ახ.წ. III საუკუნით უნდა განისაზღვროს.

**სამარხი N47 (ტაბ. XXXVI5).** სამარხში ბავშვი დაუკრძალავთ ზურგზე, თავით აღმოსავლეთით, სამარხი ნაგებობის კვალი არ შეინიშნება.

806. სანელსაცხებლე, მინა. გამჭვირვალე, იისფერი, თავისუფლად ნაბერი. სწორი, ჩაკეცილი პირით, ყელი მაღალი, ძირი ბრტყელი. ნაკლული. სიმაღლე - 4,7 სმ, პირის დიამეტრი - 1,3 სმ, ძირის დიამეტრი - 1,7 სმ. (GNM1-1-59:2247). ახ.წ. II-III საუკუნე (საგინაშვილი 1970:82, კატ. 172).

807. სანელსაცხებლე, მინა. გამჭვირვალე, მომწვანო, თავისუფლად ნაბერი. პირი გადაშლილი, მუცელი გამობერილი, ძირი შედრეკილი. აღდგენილი, ფრაგმენტული. (GNM1-1-59:2246). ახ.წ. III საუკუნე (საგინაშვილი 1970:83, კატ. 175).

სამარხი მინის ჭურჭლის მიხედვით ახ.წ. III საუკუნით უნდა დათარიღდეს.

**სამარხი N135 (ტაბ. XXXVI6).** ჩონჩხი ესვენა ზურგზე გაშოტილი, ორიენტირებული OW მიმართულებაზე. სამარხი ნაგებობის კვალი არ შეიმჩნეოდა.

808. საკიდები, ფაიანსი (3 ერთეული). (GNM1-1-60:2852).

809. მძივები. მთის ბროლი, პასტა, მინა. (GNM1-1-60:2851).

810. ბეჭედი, ინტალიო. რკინა, სარდიონი. ქვაზე გამოსახულია ხელის ჩამორთმევა. ბეჭედი დაჟანგულია. ინტალიოს ზომები: 0,8X0,7 სმ. (GNM1-გლ.ფ. 992). ახ.წ. II-III საუკუნეები. (ჯავახიშვილი 1972:60, კატ. 88).

811. რგოლი, ბრინჯაოსი. დიამეტრი -1,8 სმ. (GNM1-1-60:2850).

N135 სამარხში მძივებთან ერთად მიცვალებულს ახლდა რკინის ბეჭედში ჩასმული სარდიონის ინტალიო (ტაბ. XXXVI6, კატ. N810), რომლის თარიღი ახ.წ. II-III საუკუნეებით განისაზღვრა (ჯავახიშვილი 1972:60, კატ. 88). სამარხში აღმოჩენილი მწვანე მინის მძივები ანალოგიურია ამავე სამაროვნის N7 სამარხის ნაშთში ნაპოვნი მძივებისა (ტაბ. XXI4, კატ. N281). სამარხი აქვე დადასტურებული ბეჭდის მიხედვით ახ.წ. II საუკუნის დასაწყისით განისაზღვრა. ვფიქრობთ, N135 სამარხის თარიღი ახ.წ. III საუკუნით უნდა განისაზღვროს.

**სამარხი N158 (ტაბ. XXXVI7).** ხის ძელებით აგებული სამარხის გარშემო რიყის ქვები ყოფილა შემოწყობილი.

812. საყურე, ბრინჯაო. მავთულოვანი. გატეხილი, ნაკლული. (GNM1-1-61:3296).

813. ბეჭედი, ინტალიო. რკინა, სარდიონი. ქვაზე გამოსახულია ღვთაება. ბეჭედი დაჟანგულია. ინტალიოს ზომები: 0,7X0,9 სმ. (GNM1-გლ.ფ. 1006). ახ.წ. II საუკუნის ბოლო III საუკუნე (ჯავახიშვილი 1972:58-59, კატ. 157).

სამარხის თარიღი ინტალიოს საფუძველზე ახ.წ. III საუკუნით უნდა განისაზღვროს.

**სამარხი N167 (ტაბ. XXXVI₈).** სამარხ ორმოში არავითარი ნაგებობა არ შეინიშნებოდა.

814. საყურე. ბრინჯაო, წყვილი. ნაკლული. (GNM1-1-61:3335).

815. მძივები. გიშერი, სარდიონი, პასტა, ქარვა. (GNM1-1-61:3336, 3338).

816. ზარაკი, ბრინჯაო. ოთხწახნაგა, ყუნწიანი. შერჩენილი აქვს რკინის ენის ფრაგმენტი. სიმაღლე - 2,8 სმ, ფუძის ზომები: 1,6X1,6 სმ. (GNM1-1-61:3337).

817. ბეჭედი, ინტალიო. ვერცხლი, სარდიონი. გამოსახულია ლარნაკი, რომელზეც ფრინველი ზის. ლარნაკის წინ დგას თხა. ბეჭდის დიამეტრი - 1,9 სმ. (GNM1-გლ.ფ. 1013). ახ.წ. III საუკუნე (ჯავახიშვილი 1972:70, კატ. 104).

818. ბეჭედი, ინტალიო. ვერცხლი, სარდიონი. გამოსახულია ეროტი. ბეჭდის დიამეტრი - 1,7 სმ. (GNM1-გლ.ფ. 1014). ახ.წ. III საუკუნე (ჯავახიშვილი 1972:69, კატ. 103).

819. ბეჭედი, ინტალიო. ვერცხლი, სარდიონი. გამოსახულია ფრთოსანი ნემეზიდა. ბეჭდის დიამეტრი - 1,8 სმ. (GNM1-გლ.ფ. 1015). ახ.წ. III საუკუნე (ჯავახიშვილი 1972:70, კატ. 105).

820. ბეჭედი, ინტალიო. ბრინჯაო. ებრაული წარწერით - „მოწმობა". ინტალიოს ზომები: 1სმX0,8სმ. (GNM1-გლ.ფ.1016). ახ.წ. III საუკუნე (ჯავახიშვილი 1972:83, კატ. 138).

821. ბეჭედი, ბრინჯაო. დამტვრეული, ნაკლული. (GNM1-1-61:3334).

822. ნივთი, ბრინჯაო. სიგრძე - 3,5, სიგანე-3,8 სმ. (GNM1-1-61:3339).

N167 სამარხში აღმოჩენილი ზარაკი (ტაბ. XXXVI₈, კატ. N816) შეესაბამება V ტიპს და გავრცელებულია ახ.წ. II საუკუნეში (ჭანიშვილი, გამყრელიძე 2021:631). ინტალიოები ახ.წ. III საუკუნით არის დათარიღებული (ტაბ. XXXVI₈, კატ. N817-820) (ჯავახიშვილი 1972:69-70, 83. კატ. 103-105,138), რამაც ამავე პერიოდით განსაზღვრა სამარხის თარიღი.

**სამარხი N96 (ტაბ. XXXVI9).** ხის ძელებით აგებული სამარხის გარშემო რიყის ქვები იყო შემოწყობილი. ჩონჩხი ესვენა ზურგზე გაშოტილი, ორიენტირებული OW მიმართულებაზე.

823. სანელსაცხებლე, მინა. მწვანე, გამჭვირვალე, თავისუფლადნაბერი. პირი სწორი, ყელი მაღალი და ცილინდრული. დამტვრეული. პირის დიამეტრი - 3,1 სმ. (GNM1-1-61:2518). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:58, კატ. 47).

824. პიქსიდა, ძვალი. ცილინდრული ფორმისა. ნაპრიალები. ღარებით ორნამენტირებული. ხუფი ცენტრში გახვრეტილია. კოლოფის სიმაღლე - 5 სმ, დიამეტრი 4 სმ. ხუფის სიმაღლე - 1,8 სმ, დიამეტრი - 4,2 სმ. (GNM1-1-59:2520). (კერესელიძე 1978:89, კატ.N359).

825. მძივები და საკიდები, ოქრო. გოფრირებულ მილაკებზე მოძრავად შეკიდულია საკიდები (6 ცალი) და სადა მილაკზე ასეთივე პრინციპით შეკიდულია წრიული ფორმის ფირფიტა. მძივი, ოქრო. შემკულია ბურცობებით. (GNM1-1-59:2529).

826. საკიდები. ქარვა, მინა. (GNM1-1-59:2530). ტაბ.

827. მძივები. ქარვა, გიშერი, მინა, სარდიონი, პასტა, აქატი. (GNM1-1-59:2531,2532).

828. ზარაკები, ბრინჯაო. (2 ც.) კონუსური. სიმაღლე - 1,4-1,6სმ, დიამეტრი - 1,6-1,8 სმ. (GNM1-1-59:2525, 2526).

829. საკინძი, ბრინჯაო. გატეხილი. შერჩენილი სიგრძე - 10,2 სმ. (GNM1-1-59:2523).

830. ბეჭედი. ვერცხლი, მინა. წრიული ფორმის ბუდეში ჩასმულია ლურჯი მინის თვალი. ბეჭდის ზომები: 2X2,3სმ, ბუდის დიამეტრი - 1,2 სმ. აღმოჩნდა ძვლის კოლოფში. (GNM1-1-59:2533, 2534). ახ.წ. III საუკუნე (ჯავახიშვილი 1972:71).

831. ბეჭედი, ბრინჯაო. სიმაღლე - 1,8 სმ, სიგანე -2 სმ. მარჯვენა ხელის თითზე ეკეთა. (GNM1-1-59:2541).

832. ბეჭედი, ბრინჯაო. ფირფიტოვანი, ფრაგმენტები. იდო ძვლის კოლოფში. (GNM1-1-59:2535).

833. ბეჭედი, ქალცედონი. (2 ცალი). ოვალურფარაკიანი. სიმაღლე - 2,2-2,3 სმ, სიგანე - 2,6 სმ. აღმოჩნდა ძვლის კოლოფში. (GNM1-1-59:2537, 2538).

834. ბეჭედი, გიშერი. ფრაგმენტული. იდო ძვლის კოლოფში. (GNM1-1-59:2536). ახ.წ. III საუკუნე (ჯავახიშვილი 1972:71).

835. ინტალიო, მინა. ყვითელი, გამოსახულია მამაკაცის პორტრეტი. ინტალიოს ზომები: 1,4X1,2 (GNM1-გლ.ფ. 988). (ჯავახიშვილი 1972:23, კატ. 4).

836. ინტალიო, ამეთვისტო. გამოსახულია მუზა. ინტალიოს ზომები: 1X0,8 სმ. (GNM1-გლ.ფ. 987). (ჯავახიშვილი 1972:71, კატ. 106).

837. ნივთი/სტილოსი? ძვალი. შერჩენილი სიგრძე - 12,1 სმ. (GNM1-1-59:2522). (კერესელიძე 1978:74, კატ. N247).

838. ნივთი, ძვალი. ფირფიტოვანი, ნატეხები. შერჩენილი სიგრძე - 8,8 სმ; სიგანე - 3 სმ. (GNM1-1-59:2521). (კერესელიძე 1978:48, კატ. N80).

839. სარკე, ბრინჯაო. წრიული მოყვანილობის. დიამეტრი - 9,3 სმ. აღდგენილი. (GNM1-1-59:2519).

840. ამულეტი, პასტა. ფრაგმენტი. სიგრძე - 1,2 სმ. (GNM1-1-59:2528).

841. ნივთი, ქვა/სადაფი? გულის ფორმის. კარგად დამუშავებული, ზედაპირზე რელიეფური ორნამენტით, ცენტრში გახვრეტილი. სიგრძე - 4 სმ, სიგანე - 4,1 სმ, (GNM1-1-59:2524).

N96 სამარხში ყურადღება მიიქცია იმ ფაქტმა, რომ მასში აღმოჩენილია სხვადასხვა პერიოდის ნივთები. მინის ჭურჭელი დათარიღებულია ახ.წ. I საუკუნით (ტაბ. XXXVI$_9$, კატ. N823) (საგინაშვილი 1970:58, კატ. 47), აქვე ნაპოვნი ქარვის საკიდების გავრცელება ახ.წ. I საუკუნის ბოლოს - II საუკუნის დასაწყისში ივარაუდება (ტაბ. XXXVI$_9$, კატ. N826)(Алексеева 1978:25, таб. 25-$_6$, тип. 36), ოქროს საკიდების (ტაბ. XXXVI$_9$, კატ. N825) ანალოგები ცნობილია სამთავროს სამაროვნიდან და დათარიღებულია ახ.წ. II საუკუნის მეორე ნახევრით (ჯალაბაძე ... 2019:21, კატ. 88), ამავე სამაროვნის N135 კრამიტსამარხში აღმოჩენილია წრიული ფორმის ფირფიტოვანი საკიდები, რომელიც მსგავსია ურბნისის საკიდისა (ტაბ. XXXVI$_9$, კატ. N825) და დათარიღებულია ახ.წ. II საუკუნის მეორე ნახევრით - III საუკუნის დასაწყისით (ჯალაბაძე ... 2019:21, კატ. 89). ქალცედონის ბეჭდები (ტაბ. XXXVI$_9$, კატ. N833) N96 სამარხის მსგავსად აღმოჩენილია ამავე სამაროვნის N20 და N57 სამარხებში (ტაბ. XX$_2$, კატ. N261; ტაბ. XXIII$_1$, კატ. N316). ბეჭდის ზუსტი

ანალოგია ახ.წ. I საუკუნის მიწურულით და II საუკუნის პირველი ნახევრით დათარიღებული N57 სამარხის ქალცედონის ბეჭედია (ტაბ. XXIII$_{1}$, კატ. N316). მსგავსი ტიპის ბეჭდები იმეორებს რომის იმპერიაში გავრცლებული ბეჭდების ფორმას, მათზე დატანილი გამოსახულება სასანურია და არაუადრეს ახ.წ. III საუკუნით თარიღდება (რამიშვილი 2021:257-265). აღსანიშნავია, რომ ურბნისის არცერთ ბეჭედზე გამოსახულება არაა, თუმცა ფარაკის დამუშავება გვავარაუდებინებს, რომ ის იყო ნამზადი. N96 სამარხში ყველაზე გვიანდელია გიშრისა და ვერცხლის ბეჭდები (ტაბ. XXXVI$_{9}$, კატ. N830, 834), რომლებიც ფ. ჰენკელის მიხედვით ახ.წ. III საუკუნით თარიღდება (Henkel 1913:181, taf. 1639,13) ქ. ჯავახიშვილის მოსაზრებით, აქვე ნაპოვნი ინტალიოები ახ.წ. III საუკუნეზე ადრეულია (ტაბ. XXXVI$_{9}$, კატ. N835, 836) (ჯავახიშვილი 1972:23, 71, კატ. 4, 106). სამარხის თარიღი ახ.წ. III საუკუნით უნდა განისაზღვროს.

**III ქრონოლოგიური ჯგუფის (ახ.წ. III საუკუნე) ანალიზი**

*სამარხთა აგებულება და დაკრძალვის წესი: (იხ. დანართი N1 და N2, დიაგრამა NN7, 8).*

მესამე ქრონოლოგიურ ჯგუფში (ახ.წ. III საუკუნე) გაერთიანებული 33 სამარხიდან არ გვაქვს ინფორმაცია რვა სამარხის აგებულებაზე (სამარხი N273, ტაბ. XXXIII$_{3}$, სამარხი N276, ტაბ. XXXIII$_{5}$; სამარხის ნაშთი N11, ტაბ. XXXIV$_{2}$; სამარხი N73, ტაბ. XXXIV$_{5}$; სამარხი N148, ტაბ. XXXV$_{4}$; სამარხი N129, ტაბ. XXXV$_{7}$; სამარხის ნაშთი N22, XXXV$_{9}$; სამარხი N109, XXXV$_{2}$), ექვსი სამარხი ნაგებობის გარეშე იყო (სამარხი NN263, 248, 242, 47, 135, 167). სამარხი ორმო ათ შემთხვევაში ხის ძელებით იყო აშენებული (სამარხი NN237, ტაბ. XXXIII$_{1}$; სამარხი N92, ტაბ. XXXIII$_{2}$; სამარხი N153, ტაბ. XXXV$_{1}$; სამარხი N14, ტაბ. XXXV$_{5}$; სამარხი N93, ტაბ. XXXV$_{6}$; სამარხი N35, ტაბ. XXXV$_{8}$; სამარხი N104, ტაბ. XXXV$_{10}$; სამარხი N72, ტაბ. XXXV$_{12}$; სამარხი N38, ტაბ. XXXVI$_{3}$; სამარხი N157, ტაბ. XXXVI$_{4}$), ხის ძელებით ამოუშენებიათ და ქვით შემოუსაზღვრავთ სამი სამარხი (სამარხი NN168, ტაბ. XXXV$_{2}$; სამარხი N158, ტაბ. XXXVI$_{7}$; სამარხი N96, ტაბ. XXXVI$_{9}$), ალიზით ნაგებია ოთხი სამარხი (სამარხი N247, 265, 183, 267), ხის ძელებით და ალიზით აუგიათ N4 სამარხი, ხე, ქვა და ალიზია გამოყენებული N197 სამარხი ნაგებობის გასამართად.

**დიაგრამა N7**




39 შემთხვევიდან არ არის ინფორმაცია შვიდი ინდივიდის დაკრძალვის პოზაზე (სამარხი NN 276, 247, ნაშთი 11, ნაშთი 22, 158, 167, 96; ტაბ. XXXIII$_{5,6}$, XXXIV$_{2}$, XXXV$_{9}$, XXXVI$_{4,8,9}$). დარჩენილი 32 შემთხვევიდან მიცვალებულთა 28 ინდივიდი დაკრძალულია ზურგზე, რომელთაგან 25 ინდივიდი ორიენტირებული იყო თავით აღმოსავლეთით (სამარხი NN237, 263, 265, 183, 4 - სამი მიცვალებული, 73, 248, 153, 168, 267 - ორი მიცვალებული, 148, 14 - ორი მიცვალებული, 35, 242, 72 - ორი მიცვალებული, 197, 38, 157, 135, 47; ტაბ. XXXIII$_{1,4}$, XXXIV$_{1,3,4,5,6}$, XXXV$_{1\text{-}5,8,11,12}$, XXXVI$_{1,3,4,6,7}$). დანარჩენის დამხრობა უცნობია (სამარხი NN273, 93, 129; ტაბ. XXXIII$_{3}$, XXXV$_{6,7}$). გვერდზე მწოლიარე, კიდურებმოხრილია სულ 4 ინდივიდი (სამარხი NN92, 4, 104, 109; ტაბ. XXXIII$_{2}$, XXXIV$_{4}$, XXXV$_{10}$) მათგან მარცხენა გვერდზე კიდურებმოხრილია 1 ინდივიდი (სამარხი N104), მარჯვენა გვერდზე კიდურებმოხრილია 3 ინდივიდი (სამარხი NN92, 4, 109). მათ შორის ორი ინდივიდი დამხრობიალია SO-NW მიმართულებით (სამარხი NN4,109), ერთის დამხრობა უცნობია (სამარხი N104). ჯამში, მესამე ქრონოლოგიურ ჯგუფში (ახ.წ. III საუკუნე) არ გვაქვს ინფორმაცია თორმეტი ჩონჩხის დამხრობაზე (სამარხი NN92, 273, 276,

247, ნაშთი 11, 93, 129, ნაშთი 22, 104, 158, 167, 96; ტაბ. XXXIII2,3,5,6, XXXIV2, XXXV6,7,9,10, XXXVI7-9).

**დიაგრამა N8**




*სამარხეული ინვენტარი (იხ. დიაგრამა N9):*

**თიხის ჭურჭელი**. მესამე ქრონოლოგიური ჯგუფის (ახ.წ. III საუკუნე) თიხის ჭურჭელი ადგილობრივ ნაწარმს წარმოადგენს. 33 სამარხში თიხის ჭურჭლის აღმოჩენის 14 შემთხვევაა, სულ 16 ჭურჭელი და ერთი ხუფი (ტაბ. XXXIII2, კატ. N630). 14 ჭურჭელი ჩალისფრადაა გამომწვარი, მხოლოდ ორ შემთხვევაში საქმე გვაქვს, ხელით ნაძერწ, შავად შემურულ ჭურჭელთან (ტაბ. XXXIII2, კატ. N629, ტაბ. XXXVI1, კატ. N790). ჭურჭლებიდან წარმოდგენილია: ჯამი (ტაბ. XXXIII2, კატ. N629), ცალყურა ქოთანი (ტაბ. XXXVI1, კატ. N790), უყურო ქოთანი (ტაბ. XXXIII2, კატ. N628), 9 დოქი (ტაბ. XXXIII1-3, კატ. N622, 627, 640, 663, 667; ტაბ. XXXIV6, კატ. N710) და 5 ორყურა ქილა (ტაბ. XXXIV1,2,4,5 კატ. 668, 671, 674, 679, 689). სამარხში ძირითადად თითო ჭურჭელი ფიქსირდება, არის გამონაკლისიც N92 სამარხში 3 სხვადასხვა სახეობის ჭურჭელი და ერთი ხუფი აღმოჩნდა. წითლად შეღებილია სამი ჭურჭელი: ერთი დოქი (ტაბ. XXXIII1, კატ. N622) და ორი ქილა (ტაბ. XXXIV1,2, კატ. N668, 671).

**მინის ჭურჭელი.** მესამე ქრონოლოგიური ჯგუფის (ახ.წ. III საუკუნე) 33 სამარხში მინის ჭურჭლის აღმოჩენის 14 შემთხვევა დაფიქსირდა, სულ 19 ერთეული. თითო მინის ჭურჭელი 12 სამარხში (სამარხი NN237, 273, 263, 265, ნაშთი 11, 183, 153, 267, 93, 157, 47, 96; ტაბ. XXXIII$_{1,3,4}$, XXXIV$_{1-3}$, XXXV$_{1,3,6}$, XXXVI$_{4,7,9}$), ხოლო ორი ორ სამარხში (სამარხი NN73, 38; ტაბ. XXXIV$_{5}$, XXXVI$_{3}$) აღმოჩნდა. სამარხებში ყველა სანელსაცხებლე თავისუფლადნაბერია. მათგან 11 ჭურჭლის ფორმის განსაზღვრა გახდა შესაძლებელი, დანარჩენი დამტვრეულია. აღმოჩნდა, რომ ამ ჯგუფში შემავალი არცერთი მინის ჭურჭელი არ ჰგავს ტიპოლოგიურად ერთმანეთს. მხოლოდ მსხლისებურმუცლიანი (ტაბ. XXXIII$_{3}$, კატ. N641) და კონუსურმუცლიანი (ტაბ. XXXIV$_{5}$, კატ. N690; ტაბ. XXXV$_{6}$, კატ. N757) სანელსაცხებლეები გვხვდება როგორც მეორე, ისე მეოთხე ქრონოლოგიურ პერიოდში (ახ.წ. I საუკუნის ბოლო- II საუკუნე, ახ.წ. IV საუკუნე).

**პიქსიდა, ძვალი.** სამაროვანზე მხოლოდ ორ სამარხში დადასტურდა ძვლის კოლოფი, ე.წ. პიქსიდა (ტაბ. XXXIV$_{5}$, კატ. N692; ტაბ. XXXVI$_{9}$, კატ. N824). საინტერესოა, რომ ერთ-ერთ კოლოფში მოთავსებული იყო ბეჭდები.

**საყურე.** 33 სამარხიდან 7 სამარხში აღმოჩნდა საყურე, მათ შორის 5 წყვილი და 3 ცალი. ერთ სამარხში ორი წყვილი, სხვადასხვა ტიპის ოქროს საყურე დადასტურდა (სამარხი N273, ტაბ. XXXIII, კატ. N642, 643), დანარჩენ სამარხებში 1 წყვილი ოქრო (ტაბ. XXXIV$_{5}$, კატ. N693), 2 წყვილი ბრინჯაო (ტაბ. XXXIII$_{4}$, კატ. N656; ტაბ. XXXVI$_{8}$, კატ. N814) და ცალი ბრინჯაოს საყურის აღმოჩენის 3 შემთხვევა (ტაბ. XXXV$_{5}$, კატ. N748; ტაბ. XXXVI$_{2,7}$, კატ. NN796, 812).

**მძივები და საკიდები.** მძივები არ დადასტურდა მესამე ქრონოლოგიური ჯგუფის (ახ.წ. III საუკუნე) 8 სამარხში (სამარხი N247, 153, 267, 38, 47, 158, სამარხის ნაშთი N11 და N22). აღმოჩენილია ძირითადად სხვადასხვა ჯიშის ქვის (სარდიონი, ქალცედონი, გრანატი), მინის, გიშრის და ქარვის მძივები. თითო შემთხვევაა მთის ბროლის (ტაბ. XXXVI$_{6}$, კატ. N809), ფაიანსის (ტაბ. XXXV$_{4}$, კატ. N745) და ოქროს მძივების (ტაბ. XXXVI$_{9}$, კატ. N825), ხოლო სამ სამარხში ბრინჯაოს მძივების აღმოჩენის (ტაბ. XXXIV$_{5}$, კატ. N696, ტაბ. XXXV$_{6}$, კატ. N760, ტაბ. XXXVI$_{1}$, კატ. N791). ორ სამარხში აღმოჩნდა ოქროს საკიდები (ტაბ. XXXVI$_{9}$, კატ. N825), რომლებიც მილაკზე მოძრავად შეკიდულ წრიული ან ნახევარწრიული

ფორმის ფირფიტებს წარმოადგენს (ტაბ. XXXIII$_{2}$, კატ. N631, ტაბ. XXXVI$_{9}$, კატ. N825). ბრინჯაოს საკიდები სამი ტიპისაა და წარმოადგენს ცხოველების ქანდაკებებს (3 ერთეული), სამტუჩა დოქის ფორმის (2 ერთეული) და ბურცობებიან საკიდებს (2 ერთეული) (ტაბ. XXXIII$_{2}$, კატ. N632, ტაბ. XXXIV$_{5,6}$, კატ. NN694, 711). ერთ შემთხვევაში აღმოჩნდა ბრინჯაოს ბადეში მოქცეული კუბის ფორმის პირიტი (ტაბ. XXXV$_{6}$, კატ. N759). ძვლის საკიდი აღმოჩნდა ორ სამარხში (ტაბ. XXXIV$_{5,6}$, კატ. N695, 712), ქარვის მძივსაკიდების ჯგუფი აღმოჩნდა N96 სამარხში, ამავე სამარხში იყო მინის საკიდებიც (ტაბ. XXXVI$_{9}$, კატ. N826). საყურადღებოა ფაიანსის საკიდი კატის გამოსახულება (ტაბ. XXXIV$_{4}$, კატ. N680).

**ზარაკი.** ბრინჯაოს 14 ზარაკი აღმოჩნდა 8 სამარხში. რამდენიმე ტიპია წარმოდგენილი. 1. კონუსური (ტაბ. XXXV$_{6,8}$, კატ. NN761, 769, ტაბ. XXXVI$_{9}$, კატ. N828); კონუსური, სამკუთხედებით დაფანჯრული (ტაბ. XXXIII$_{5}$, კატ. N666, ტაბ. XXXIV$_{5}$, კატ. N698, ტაბ. XXXV$_{6}$, კატ. N761); 2. ოთხწახნაგა (ტაბ. XXXIV$_{5}$, კატ. N698; ტაბ. XXXVI8, კატ. N816), 3. ოთხწახნაგა წიბოებთან შვერილებით (ტაბ. XXXIV$_{6}$, კატ. N714).

**საკინძი.** 6 სამარხში დაფიქსირდა 7 საკინძი: 2 ბრინჯაოს (სამარხი N14 – 2 ცალი, N96; ტაბ. XXXV$_{5}$, კატ. N750; ტაბ. XXXVI$_{9}$, კატ. N829), 4 რკინის (სამარხი N92, 273, 14, 157; ტაბ. XXXIII$_{2,3}$, კატ. NN635, 647; ტაბ. XXXV$_{5}$, კატ. N751; ტაბ. XXXVI$_{4}$, კატ. N804) და ერთი მინის საკინძისთავი (ტაბ. XXXIII$_{2}$, კატ. N634). ბრინჯაოს საკინძებიდან ერთ-ერთი საკმაოდ წვრილღეროვანია (ტაბ. XXXV$_{5}$, კატ. N750). რაც შეეხება რკინის საკინძებს, ფორმის განსაზღვრა ფრაგმენტულობის გამო ვერ მოხერხდა 3 მათგანზე (ტაბ. XXXIII$_{2,3}$, კატ. N635, 647; ტაბ. XXXVI$_{4}$, კატ. N804), N14 სამარხში აღმოჩენილი საკინძი წარმოდგენს მრგვალგანივკვეთიან ღეროს (ტაბ. XXXV$_{5}$, კატ. N751). საკინძები ფორმით ერთმანეთისგან განსხვავდება.

**სამაჯური.** მესამე ქრონოლოგიურ ჯგუფში (ახ.წ. III საუკუნე) აღმოჩნდა ბრინჯაოს მხოლოდ ერთი სამაჯური (სამარხი N267; ტაბ. XXXV$_{3}$, კატ. N736).

**ბეჭედი.** 33 სამარხიდან ბეჭედი 26 სამარხში აღმოჩნდა, სულ 62 ერთეული. 11 შემთხვევაში მიცვალებულს მხოლოდ ერთი ბეჭედი ახლავს (სამარხი N4 ორ მიცვალებულს თითო ბეჭედი ახლდა, 148, 93, სამარხის ნაშთი N22, 104, 242, 109, 157, 135,

158), 7 შემთხვევაში 2 ბეჭედი (სამარხი N183, 153, 14, 129, 35, 72, 197), 4 შემთხვევაში 3 ბეჭედი ახლდა (სამარხი N237, 248, 168, 267), ერთ შემთხვევაში 4 ბეჭედი (კატ. N263), სამ შემთხვევაში 5 ბეჭედი (სამარხი N273, 73, 167), ერთ შემთხვევაში 6 ბეჭედი (სამარხი N96). 62 ბეჭდიდან 43 გლიპტიკური ძეგლია. მესამე ქრონოლოგიურ ჯგუფში (ახ.წ. III საუკუნე) აღმოჩნდა 13 ვერცხლის ბეჭედი (ტაბ. XXXIII$_{3}$, კატ. N648-652; ტაბ. XXXIV$_{4,5}$, კატ. NN688, 699; ტაბ. XXXV$_{1,5}$, კატ. NN731, 752; ტაბ. XXXVI$_{8,9}$, კატ. NN817-819, 830), მათგან 10 ინტალიოთი; 26 ბრინჯაოს ბეჭედი (ტაბ. XXIII$_{1,4}$, კატ. N625 (2ც.), 626, 658-661; ტაბ. XXXIV$_{5}$ კატ. NN700-702; ტაბ. XXXV$_{2,3,5,6,7,9,10,12}$, კატ. NN732, 738, 739, 740, 753, 762, 766, 774, 779, 786; ტაბ. XXXVI$_{1,4,8,9}$, კატ. NN792, 793, 805, 820, 821, 831) მათგან 15 ინტალიოთი, რკინა 19 (ტაბ. XXXIII$_{1}$, კატ. N626; ტაბ. XXXIV$_{3,4,6}$, კატ. NN677, 678, 681, 715, 716, 717; ტაბ. XXXV$_{1,2,4,7,8,11,12}$, კატ. NN724, 725, 733, 746, 767,770, 771, 782, 787; ტაბ. XXXVI$_{2,6,7}$, კატ. NN798, 810, 813) ყველა ინტალიოთი), ქალცედონი 2 ერთეული (ტაბ. XXXVI$_{9}$, კატ. N833), გიშერი 1 ერთეული (ტაბ. XXXVI$_{9}$, კატ. N834), მინა 1 ერთეული (ტაბ. XXXIV$_{5}$, კატ. N703).

**გლიპტიკური ძეგლები:** სამარხის ნაშთ N22-ში აღმოჩნდა სარდიონის ინტალიო (ტაბ. XXXV$_{9}$, კატ. N775), N96 სამარხში მინისა და ამეთვისტოს ინტალიოები (ტაბ. XXXVI$_{9}$, კატ. N835, 836), ხოლო N168 სამარხში ფაიანსის კამეა ლომის გამოსახულებით (ტაბ. XXXV$_{2}$, კატ. N730). ჯამში მესამე ქრონოლოგიური ჯგუფის (ახ.წ. III საუკუნე) 33 სამარხიდან გლიპტიკური ნიმუში დადასტურდა 26 სამარხში, სულ 43 ერთეული. თითო ნიმუში აღმოჩნდა თოთხმეტ სამარხში (სამარხი NN237, 73, 267, 148, 14, 93, 129, 104, 242, 72, 109, 157, 135, 158), ორი - შვიდ სამარხში (სამარხი NN263, 183, 4, 153, 35, 22, 197), სამი - ერთ სამარხში (სამარხი N248), ოთხი - სამ სამარხში (სამარხი NN273, 168, 167).

**ბალთა, აბზინდა.** ბრინჯაოს ერთი და რკინის ოთხი ბალთა დადასტურდა ხუთ სამარხში (სამარხი N273, 267, 35, ნაშთი 22, 72; ტაბ. XXXIII$_{3}$, კატ. N653; ტაბ. XXXV$_{3,8,9,12}$, კატ. N737, 772, 773, 785). აბზინდები დადასტურდა 2 სამარხში, სულ 3 ერთეული. ბრინჯაოს ერთი აბზინდა N92 სამარხში (ტაბ. XXXIII$_{2}$,კატ. N637) და რკინის წყვილი აბზინდა N4 სამარხში (ტაბ. XXXIV$_{4}$, კატ. N685).

**იარაღი.** მესამე ქრონოლოგიურ ჯგუფში (ახ.წ. III საუკუნე) ოთხ სამარხში რკინის სამაურნეო დანიშნულების დანები აღმოჩნდა (ტაბ. $XXXIV_{4}$, კატ. N684; ტაბ. $XXXV_{12}$, კატ. N788; ტაბ. $XXXV_{3}$, კატ. N741 - მოხრილი; ტაბ. $XXXVI_{1}$, კატ. N794).

**სარკე.** წრიული ფორმის ბრინჯაოს სარკეები დაფიქსირდა ორ სამარხში (სამარხი N73, ტაბ. $XXXIV_{5}$, კატ. N704, სამარხი N96, ტაბ. $XXXVI_{9}$, კატ. N839).

**მონეტა.** მონეტები აღმოჩნდა ორ სამარხში, სულ 5 ერთეული. N273 სამარხში მიცვალებულს ავგუსტუსის ვერცხლის ოთხი მონეტა (ტაბ. $XXXIII_{3}$, კატ. N654) ახლდა, მათგან ერთი ხელში ეჭირა, ერთი პირში ედო. N4 სამარხში მიცვალებულს ავგუსტუსის დენარი პირში ედო (ტაბ. $XXXIV_{4}$, კატ. N686).

**კოჭი**. ხუთ სამარხში აღმოჩნდა ცხოველის (ცხვარი) გახვრეტილი კოჭები (სამარხი N248, 267, 148, 14, 72; ტაბ. $XXXIV_{6}$, კატ. N720; ტაბ. $XXXV_{3,4,6,12}$, კატ. N744, 747, 756, 789). ოთხ სამარხში ისინი თითოა, ხოლო N72 სამარხში 3 კოჭი აღმოჩნდა.

**სხვა ინვეტარი.** დანარჩენ ინვენტარს წარმოადგენს ძვლის ღეროვანი ნივთები, რომელიც 5 სამარხში დაფიქსირდა (სამარხი N263, 73, 14, ნაშთი N22, 96; ტაბ. $XXXIII_{4}$, კატ. N662; ტაბ. $XXXIV_{5}$, კატ. N709; ტაბ. $XXXV_{5,9}$, კატ. NN755, 777; ტაბ. $XXXVI_{9}$, კატ. N837). მათ ფუნქციურ დანიშნულებაზე ვერაფერს ვიტყვით. N267 სამარხში აღმოჩნდა სალესი ქვა, რომელიც გახვრეტილია (ტაბ. $XXXV_{3}$, კატ. N743). სამარხის ნაშთი N22-ში აღმოჩნდა კოტა, რომელიც ერთადერთია მთელს სამაროვანზე (ტაბ. $XXXV_{9}$, კატ. N776).

## დიაგრამა N9


III ქრონოლოგიური ჯგუფი - სხვადასხვა კატეგორიის ნივთების პროცენტული განაწილება სამარხებში
(ახ.წ. III საუკუნე)
10%
12%
5%
5%
8%
4%
38%
2%
3%
3%
3%
3%
თიხის ჭურჭელი
მინის ჭურჭელი
ძვლის პიქსიდა
საყურე
მძივები
ზარაკი
საკინძი
სამაჯური
ბეჭედი, ბეჭედ-ინატლიო

## თავი IV

### §3.4. IV ქრონოლოგიური ჯგუფი - ახ.წ. IV საუკუნე

**სამარხი N125 (ტაბ. XXXVII1).** სამარხი ორმო ხის ძელებით და ალიზით იყო ნაგები, სახურავადაც ალიზი გამოუყენებიათ. ჩონჩხი ესვენა ზურგზე, გაშოტილი ორიენტირებული OW მიმართულებაზე. ძვლები დაზიანებული იყო.

842. დოქი, თიხა. მოაგურისფრო-მოწითალო, პრიალა, პირი გადაშლილი, ბაკომომრგვალებული, ყელი გამოყვანილი, ცილინდრული, ტანი მსხლისებური ფორმის, ძირი ბრტყელი, ცალყურა. ბრტყელგანივკვეთიანი ყური მიმაგრებულია ყელსა და მუცელზე. ყურზე დატანილია ნაკაწრი ნიშნები. სიმაღლე - 12,3 სმ, პირის დიამეტრი - 4,2 სმ, ძირის დიამეტრი - 4,4 სმ. (GNM1-1-60:2833).

843. სანელსაცხებლე, მინა. მომწვანო, გამჭვირვალე, თხელკედლიანი მინისა, პირმოყრილი, დაბალყელიანი, კონუსური მუცლით, ძირი შედრეკილი. სიმაღლე - 5,9 სმ, პირის დიამეტრი - 1,6 სმ. (GNM1-1-60:2834). ახ.წ. IV საუკუნე (საგინაშვილი 1970:83 კატ. 178).

844. საყურე, ოქრო. წყვილი. (GNM1-1-60:2835).

845. მძივები, გიშერი, ქვა? (GNM1-1-60:2837).

846. სარკე, მოკალული ბრინჯაო. წრიული ფორმის, ორად გატეხილი. დიამეტრი - 11,3 სმ. (GNM1-1-60:2836).

N125 სამარხში აღმოჩენილი დოქი (ტაბ. XXXVII1, კატ. N842) იდენტურია მოდინახეს გვიანანტიკური ხანის N3 სამარხში აღმოჩენილი ჭურჭლის (ნადირაძე 1975:45, სურ. 5) და ჟინვალის სამაროვანზე N511 სამარხში აღმოჩენილი კერამიკისა, რომელიც დათარიღებულია ახ.წ. IV საუკუნით (ჩიხლაძე 2015:233, ტაბ. VII, 114). ასეთივე ხელადა ნაპოვნია ლოჭინის ნასოფლარზე, რომელზეც დატანილია ორი ასომთავრული ქართული ასო (ძე) და შედარებით გვიანდელი ხანით თარიღდება (აბრამიშვილი, ჭილაშვილი 1962: 200-201, სურ. 4). N125 სამარხში აღმოჩენილი ოქროს საყურეების (ტაბ. XXXVII1, კატ N844)ანალოგი დადასტურებულია სამთავროს სამაროვნის N303 ქვასამრხში, რომელიც დათარიღებულია ახ.წ. IV საუკუნით (ჯალაბაძე ... 2019:18, კატ. 59). აქვე ნაპოვნი მინის

ჭურჭელიც ამავე პერიოდით თარიღდება (ტაბ. XXXVII1, კატ. N843) (საგინაშვილი 1970:178, კატ. 178). განხილული ინვენტარის საფუძველზე N125 სამარხი ახ.წ. IV საუკუნეს მივაკუთვნეთ.

**სამარხი N238 (ტაბ.VIII2, XXXVII2).** სამარხის იატაკად ხის ძელები იყო გამოყენებული. ხის მასალით შეუკრავთ სამარხის გვერდებიც, რომელთა დასაკავშირებლად ლურსმნები გამოუყენებიათ. მიცვალებული იწვა ზურგზე გაშოტილი, ორიენტირებული OW მიმართულებაზე.

847. სანელსაცხებლე, მინა. მწვანე, გამჭვირვალე, სქელკედლიანი, თავისუფლადნაბერი. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი, ყელი მაღალი, მუცელი კონუსური, ძირი ბრტყელი, ოდნავ შედრეკილი. აღდგენილი, ნაკლული. სიმაღლე - 14,3 სმ, პირის დიამეტრი - 3,7 სმ, ძირის დიამეტრი - 4,3 სმ. (GNM1-1-62:3956). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:61, კატ. 65).

848. სანელსაცხებლე, მინა. მოთეთრო-მოცისფრო, გამჭვირვალე, სქელკედლიანი, თავისუფლადნაბერი. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი, ყელი მაღალი, ძირი ბრტყელი. სიმაღლე - 10,4 სმ, პირის დიამეტრი - 3 სმ, ძირის დიამეტრი - 4,2 სმ. (GNM1-1-62:3957). ახ.წ. I-II საუკუნე (საგინაშვილი 1970:74, კატ. 133).

849. სანელსაცხებლე, მინა. მოცისფრო გამჭვირვალე, თავისუფლადნაბერი. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი, ყელი ცილინდრული, მუცელი კონუსური, ძირი ბრტყელი. სიმაღლე - 17,4 სმ, პირის დიამეტრი - 4 სმ, ძირის დიამეტრი - 4,8 სმ. (GNM1-1-62:3958). ახ.წ. I-II საუკუნე (საგინაშვილი 1970:74, კატ. 134).

850. სანელსაცხებლე, მინა. მოცისფრო, გამჭვირვალე, სქელკედლიანი, თავისუფლადნაბერი. პირი გადაშლილი ჩაკეცილი, ყელი მაღალი, მუცელი მსხლისებური, ძირი ბრტყელი, ოდნავ შედრეკილი. სიმაღლე - 13 სმ, პირის დიამეტრი - 3,4 სმ, ძირის დიამეტრი - 1,9 სმ. (GNM1-1-62:3959). ახ.წ. I საუკუნე (საგინაშვილი 1970:69, კატ. 105).

851. ჭურჭელი, მინა. მომწვანო, გამჭვირვალე, სქელკედლიანი, თავისუფლადნაბერი. პირგადაშლილი, ჩაკეცილი. ყელი გამოყვანილი, მუცელი, მომრგვალებული, ძირი ბრტყელი, შედრეკილი. სიმაღლე - 10,3 სმ, პირის დიამეტრი - 5,9 სმ, ძირის დიამეტრი - 6 სმ. (GNM1-1-62:3960). ახ.წ. I-II საუკუნე (საგინაშვილი 1970:79, კატ. 156).

852. სანელსაცხებლე, მინა. მომწვანო, გამჭვირვალე, თავისუფლადნაბერი. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი, ყელი ვიწრო და მაღალი, ძირი ბრტყელი, ოდნავ შედრეკილი, დეფორმირებული. სიმაღლე -10,6 სმ, პირის დიამეტრი -1,8 სმ, ძირის დიამეტრი - 1,5 სმ. (GNM1-1-62:3961). ახ.წ. IV საუკუნე (საგინაშვილი 1970:83, კატ. 177).

853. სანელსაცხებლე, მინა. თეთრი, გამჭვირვალე, თავისუფლადნაბერი. პირი გადაშლილი, ჩაკეცილი, ყელი მაღალი, მუცელი მომრგვალებული, ძირი ბრტყელი, მცირედ შეზნექილი. სიმაღლე - 5,1 სმ, პირის დიამეტრი-1,4 სმ, ძირის დიამეტრი - 1,7 სმ. (GNM1-1-62:3955). ახ.წ. II საუკუნე (საგინაშვილი 1970:80, კატ. 161).

854. სანელსაცხებლე, მინა. მწვანე, გამჭვირვალე, თავისუფლადნაბერი. პირგადაშლილი, ჩაკეცილი, მუცელი კონუსური. გატეხილი. პირის დიამეტრი - 2,8 სმ. (GNM1-1-62:3962).

855. ბეჭედი, რკინა. ფარაკიანი. დამტვრეული. (GNM1-1-62:3963).

საინტერესო გამოდგა N238 სამარხი, სადაც რკინის ბეჭედთან ერთად აღმოჩნდა სხვადასხვა ტიპის მინის სანელსაცხებლეები. მათი თარიღები ახ.წ. I საუკუნიდან ახ. წ. IV საუკუნის ფარგლებში მერყეობს (ტაბ. XXXVII$_2$, კატ. NN847-854) (საგინაშვილი 1970:61, 69, 74, 79, 80, 83; კატ. N65, 105, 133, 156, 161, 177). ახ.წ. IV საუკუნით დათარიღებული ჭურჭლის (ტაბ. XXXVII$_2$, კატ. N852) ანალოგები ფიქსირდება სამთავროს სამაროვანზეც N187 სამარხში, რომელიც ასევე ახ.წ. IV საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდება (მანჯგალაძე 1985:102, კატ. 261-265). გამოჩნდა, რომ მინის ჭურჭლის ადრეულ სახეობებს დიდხანს უარსებია (ტაბ. XXXVII$_2$, კატ. N847-851, 853, 854) და გვიანდელ სამარხში მოიყარა თავი. სამარხში აღმოჩენილი მინის ჭურჭლის მიხედვით (ტაბ. XXXVII$_2$, კატ. 852) N238 სამარხი ახ.წ. IV საუკუნით დავათარიღეთ.

**სამარხი N179 (ტაბ. XXXVII$_3$).** სამარხის იატაკად ხის ძელები იყო გამოყენებული. ხის მასალით შეუკრავთ სამარხის გვერდებიც, რომელთა დასაკავშირებლად ლურსმნები გამოუყენებიათ. მიცვალებული იწვა ზურგზე გაშოტილი, ორიენტირებული OW მიმართულებაზე. ჩანაწერებიდან ირკვევა, რომ სამარხში ოთხი მიცვალებული იყო დაკრძალული, რომლებიც ერთიმეორეზე იყვნენ დასვენებული. ზუსტად არ ვიცით, რომელი ნივთი რომელ მიცვალებულს ეკუთვნოდა. ჩვენ განვსაზღვრავთ მხოლოდ ინვენტარის თარიღს და სამარხს ვათარიღებთ გვიანდელი ნივთის მიხედვით.

856. დოქი, თიხა. მოყავისფრო, პირი გადაშლილი, ბაკომომრგვალებული, ყელი ცილინდრული, ყელის ქვეშ წიბოა, მხრები დაქანებული, ძირი ბრტყელი, ცალყურა. ბრტყელგანივკვეთანი ყურით. აღდგენილი, ნაკლული. პირის დიამეტრი - 6,3 სმ, ძირის დიამეტრი -6,6 სმ. (GNM1-1-61:3427).

857. ბეჭედი, ინტალიო. ვერცხლი, სარდიონი. გამოსახულია კურდღელი. ბეჭდის დიამეტრი - 1,7 სმ. (GNM1-გლ.ფ. 1034). (ჯავახიშვილი 1972:79, კატ. 127).

858. ბალთა, რკინა. დამტვრეული. აღმოჩნდა ზედა მიცვალებულთან. (GNM1-1-61:3429).

N179 სამარხში აღმოჩენილ თიხის ჭურჭელს (ტაბ. XXXVII$_3$, კატ. N856) დ. ქორიძე ახ.წ. IV საუკუნით ათარიღებდა (იხ. ჯავახიშვილი 1972:127), ამ თარიღს ეთანხმება აქვე აღმოჩენილი ვერცხლის ბეჭედში ჩასმული სარდიონის ინტალიო (ტაბ. XXXVII$_3$, კატ. N857) (ჯავახიშვილი 1972:79, კატ. 127). დამატებითი ცნობების სიმცირის გამო ვიზიარებთ აღნიშნულ თარიღს და სამარხს ახ.წ. IV საუკუნით განვსაზღვრავთ.

**სამარხი N151 (ტაბ. XXXVII$_4$).** გამართული იყო N152 სამარხის თავზე. ჩონჩხი ესვენა ზურგზე, გაშოტილი და ორიენტირებული იყო NO-SW მიმართულებაზე.

859. მძივები. მინა, გიშერი. (GNM1-1-61:3250).

860. ბალთა, რკინა. შერჩენილი აქვს ენა. დაჟანგული, ნაკლული. (GNM1-1-61:3251).

სამარხი აღმოჩნდა ახ.წ. I საუკუნის მეორე ნახევრით დათარიღებული N152 სამარხის თავზე (ტაბ. XVII$_2$). N151 სამარხში აღმოჩენილი ოქროფენილი მინის მძივები მიეკუთვნება ე.მ. ალექსეევას კლასიფიკაციის 28-ე ტიპს და გავრცელებულია ახ.წ. II-IV საუკუნეებში (ტაბ. XXXVII$_4$, კატ. N859) (Алексеева 1978:32, таб. 26-$_{35}$). სამარხის თარიღს ახ.წ. IV საუკუნით განვსაზღვრავთ.

## IV ქრონოლოგიური ჯგუფის ანალიზი

## (ახ.წ. IV საუკუნე)

*სამარხთა აგებულება და დაკრძალვის წესი: (იხ. დანართი N1 და N2; დიაგრამა NN10, 11).*

მეოთხე ქრონოლოგიურ ჯგუფში (ახ.წ. IV საუკუნე) გვაქვს მხოლოდ 4 სამარხი. ორი სამარხი აგებულია ხის ძელებით (სამარხი NN238,179; ტაბ. XXXVII2,3), ერთი - ხის ძელებითა და ალიზით (სამარხი N125; ტაბ. XXXVII1), ერთის შესახებ კი არ გაგვაჩნია ინფორმაცია.

**დიაგრამა N10**




ოთხ სამარხში ჯამში 7 ინდივიდი იყო დაკრძალული. ყველა იწვა ზურგზე გაშოტილი: ექვს შემთხვევაში ორიენტირებულია OW მიმართულებაზე, ერთ შემთხვევაში კი NO-SW მიმართულებაზე.

**დიაგრამა N11**




*სამარხეული ინვენტარი (იხ. დიაგრამა N12).*

**თიხის ჭურჭელი.** თიხის ჭურჭელი დაფიქსირდა ორ სამარხში (სამარხი N125,179) (ტაბ. XXXVII1,3, კატ. N842, 856). ორივე წარმოადგენს სწორპირიან ჭურჭლებს. მსგავსი ფაქტურისა და აღნაგობის ჭურჭელი ჩვენს მიერ შესწავლილ არცერთ სამარხში არ აღმოჩენილა.

**მინის ჭურჭელი.** ორ სამარხში ჯამში 9 მინის სანელსაცხებლე აღმოჩნდა (სამარხი N125, 238; ტაბ. XXXVII1,2, კატ. N843, 847-854). აღსანიშნავია, რომ N238 სამარხში სამარხეულ ინვენტარს მხოლოდ მინის სანელსაცხებლეები შეადგენდა (კატ. N847-854). მეოთხე ქრონოლოგიურ ჯგუფში (ახ.წ. IV საუკუნე) აღმოჩენილი არცერთი სანელსაცხებლე არ ჰგავს ერთმანეთს.

**საყურე.** მხოლოდ ერთ სამარხში აღმოჩნდა ოქროს საყურე (სამარხი N125, ტაბ. XXXVII1, კატ. N844).

**მძივები.** მძივები აღმოჩნდა ორ სამარხში (N125, N151). ერთ შემთხვევაში გიშრის (კატ. N845, მეორე შემთხვევაში გიშრისა და მინის ოქროფენილი მძივები (კატ. N859). გიშრის მძივები ფორმით ერთმანეთის მსგავსია.

**ბალთა.** მეოთხე (ახ.წ. IV საუკუნე) ჯგუფში რკინის ბალთები დადასტურდა N179 და N151 სამარხებში (ტაბ. XXXVII$_{3,4}$, კატ. N858, 860).

**ბეჭედი.** რკინის ფარაკიანი ბეჭედი ახლდა N238 სამარხის მიცვალებულს (ტაბ. XXXVII$_2$, კატ. N855), ხოლო ვერცხლის ბეჭედი ინტალიოთი - N179 სამარხის ერთ-ერთ მიცვალებულს (ტაბ. XXXVII$_3$, კატ. N856). მეოთხე ქრონოლოგიურ ჯგუფში (ახ.წ. IV საუკუნე) ეს გლიპტიკური ნიმუშის აღმოჩენის ერთადერთ შემთხვევაა.

**სარკე.** წრიული ფორმის, ბრინჯაოს სარკე აღმოჩნდა N125 სამარხში (ტაბ. XXXVII$_1$, კატ. N846).

აღსანიშნავია, რომ IV ქრონოლოგიური ჯგუფის (ახ.წ. IV საუკუნე) სამარხები მასალით ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდება.

**დიაგრამა N12**



## თავი IV

### ურბნისის სამაროვნის კვლევის შედეგები:

ახ.წ. I-IV საუკუნეები დროის საკმარისად ხანგრძლივი პერიოდია იმისათვის, რომ თვალი გავადევნოთ მასში სხვადასხვა ქრონოლოგიურ მონაკვეთში მომხდარ ცვლილებებს. სწორედ ამიტომ, საჭიროდ მივიჩნიეთ გაგვეშუქებინა სამაროვნის ყველა ის ასპექტი, რომლებიც საშუალებას იძლეოდა გამოგვეყო სამარხების ცალკეული ქრონოლოგიური ჯგუფები და მათ შორის არსებული მსგავსებები თუ განსხვავებები.

**§4.1. სამარხთა აგებულება და დაკრძალვის წესი**

**სამარხთა აღნაგობის და დაკრძალვის წესის (იხ. დანართი NN1, 2; დიაგრამა NN13, 14) შესაბამის მონაცემთა საფუძველზე დადგინდა, რომ:**

1. ურბნისის სამაროვანზე ძირითადად დაფიქსირებულია ინდივიდუალური სამარხები, თუმცა გვაქვს წყვილადი დაკრძალვის შვიდი შემთხვევა, რომელთაგან სამი სამარხი მეორე ქრონოლოგიურ ჯგუფში (ახ.წ. I საუკუნის ბოლო - II საუკუნე) (სამარხი NN51, 57, 258; ტაბ. $XIX_{1}$, $XXIII_{1}$, $XXVI_{1}$) და ამდენივე მესამე ქრონოლოგიურ ჯგუფში (ახ.წ. III საუკუნე) მოთავსდა (სამარხი NN267, 14, 72; ტაბ. $XXXV_{3,5,12}$). ამავე ქრონოლოგიურ ჯგუფს (ახ.წ. III საუკუნე) მიეკუთვნება საოჯახო სამარხიც, სადაც ოთხი მიცვალებული იყო დაკრძალული (სამარხი N4, ტაბ. $XXXIV_{4}$). მეოთხე ქრონოლოგიური ჯგუფის (ახ.წ. IV საუკუნე) სამარხში ოთხი მიცვალებულია დაკრძალული (სამარხი N125, ტაბ. $XXXVII_{1}$).

სამაროვანზე გამოვლენილია მიცვალებულისათვის ცხოველის ჩატანების ფაქტებიც. კერძოდ, N23 სამარხში ადამიანთან ერთად ცხენი და ძაღლი დაუკრძალავთ, ინვენტარი მხოლოდ ადამიანს ახლდა განსხვავებით N13 სამარხისა, სადაც ადამიანთან ერთად მსხვილფეხა საქონელი და შეკაზმული ცხენი იყო დაკრძალული. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ცხოველთა დასასვენებლად საგანგებო ბაქანი იყო მოწყობილი. მსგავსი შემთხვევები დადასტურებულია საირხეში, ვანში, ტახტიძირში, რიყიანების ველზე და ჟინვალში (მახარძე, წერეთელი 2007:50-59; კაჭარავა ... 2007:58; გაგოშიძე ... 2020:40,154; ლიჩელი 2018:72; მირიანაშვილი 1983:32; რამიშვილი 1983:86).

2. სამარხთა აგებულების თვალსაზრისით აღსანიშნავია, რომ ნაშრომში განხილული გვიანანტიკური ხანის 116 სამარხიდან მათი აგებულების შესახებ ინფორმაცია არ გვაქვს 33 შემთხვევაში (28,5%). დარჩენილი 83 სამარხიდან 65 (78,3%) ორმოში გამართულ ხის ნაგებობას წარმოადგენდა. მათ შორის: 17% შემთხვევაში სამარხების გარშემო ან ზემოდან ქვები იყო შემოწყობილი (სამარხი NN59, 51, 20, 90, 155, 57, 54, 67, 168, 158, 96; ტაბ. XIV$_{4}$, XIX$_{1}$, XX$_{2}$, XXI$_{2,3}$, XXIII$_{1,2}$, XXVII$_{1}$, XXXV$_{2}$, XXXVI$_{7,9}$), 4,5% შემთხვევაში ხესთან ერთად გამოყენებულია ალიზი (NN136, 207, 125; ტაბ. XIII$_{1}$, XVIII$_{1}$, XXXVII$_{1}$, მათ შორის საინტერესოა N136 სამარხის აგებულება, რომლის ორმო ჯერ ალიზით შეულესავთ, შემდეგ კი ხის ძელები შემოუწყვიათ), სამარხთა 3%-ში კი ხესთან ერთად გამოყენებულია ალიზი და ქვა (სამარხი NN115, 197; ტაბ. XXXII$_{7}$, XXXVI$_{1}$). სამარხების 7,2% ალიზითაა აგებული (სამარხი NN116, 201, 247, 265, 183, 267; ტაბ. XII$_{1}$, XXXII$_{3}$, XXXIII$_{6}$, XXXIV$_{1,3}$, XXXV$_{3}$), 2,4% მხოლოდ ქვითაა შემოსაზღვრული (სამარხი NN7, 1; ტაბ. XII$_{2}$, XXX$_{6}$), ალიზი და ქვა გამოყენებულია 1,2% შემთხვევაში (სამარხი N4; ტაბ. XXXIV$_{4}$), ხოლო 10,9% შემთხვევაში სამარხი ნაგებობა არ არსებობს (სამარხი NN118, 164, 55, 263, 248, 242, 47, 135, 167; ტაბ. X$_{4}$, XXIII$_{4}$, XXX$_{5}$, XXXIII$_{4}$, XXXIV$_{6}$, XXXV$_{11}$, XXXVI$_{5,6,8}$). ურბნისის 25-ე უბნის სამაროვანზე 128 მიცვალებულიდან 21 შემთხვევაში უცნობია დაკრძალულის პოზა. დანარჩენი 107 შემთხვევიდან 97-ში ადამიანი ზურგზე გაშოტილი დაუკრძალავთ (90%), 10 კი გვერდზე, კიდურებმოხრილი. დამხრობა ცნობილია 103 ინდივიდის, რომელთაგან 88 დაკრძალულია თავით აღმოსავლეთით (85,5%), 4 - თავით ჩრდილო-აღმოსავლეთით, 1 ჩრდილო-დასავლეთით, 1- სამხრეთ-აღმოსავლეთით.

3. დამხრობის პოზისა და ორიენტაციის მხრივ დადგინდა, რომ მიცვალებულთა დიდი უმრავლესობა ორმოში გამართულ ხის ნაგებობაშია დაკრძალული, ზურგზე გაშოტილი და ორიენტირებული თავით აღმოსავლეთით, რაც აქ დაკრძალვის ერთი წესის არსებობაზე მეტყველებს. თუ გადავხედავთ საქართველოში აღმოჩენილ ურბნისის სამაროვნის თანადროულ სამარხებს, განსხვავებული სურათი იკვეთება: ძვ.წ. I საუკუნის მეორე ნახევრის მარტაზისხევის ქვევრსამარხში დაკრძალული მიცვალებული მარცხენა გვერდზე ხელფეხმოკეცილი, თავით აღმოსავლეთით ესვენა (ნარიმანიშვილი, მანჯგალაძე 1995: 168-171). ძვ.წ. I - ახ.წ. I საუკუნეების ტახტიძირის, რიყიანების ველის,

საყარაულოს სერის სამაროვნებზე, მიცვალებულები სხვადასხვა ტიპის სამარხებში დაუკრძალავთ (ორმოსამარხები, თიხის სარკოფაგი, ქვევრსამარხები) მარცხენა ან მარჯვენა გვერდზე (გაგოშიძე 2020:257-259; მირიანაშვილი 1983:18-43; ჯინჯიხაშვილი 1980:42-59). ახ.წ. II-IV  საუკუნეების არმაზისხევის სამარხებში ჩონჩხების უმეტესობა გაშოტილ პოზაში, თავით დასავლეთითაა დაკრძალული, ორი შემთხვევა დასტურდება თავით აღმოსავლეთით დაკრძალვის (აფაქიძე ... 1955:22-134). ამავე სამაროვნის ღარიბულ სამარხებში (კრამიტსამარხები, ქვისსამარხები) ხუთი შემთხვევიდან სამი კიდურებმოხრილია დაკრძალული, ერთ შემთხვევაში დადასტურდა ზურგზე გაშოტილი პოზა. მიცვალებულები თავით დასავლეთით დაუკრძლავთ (აფაქიძე ... 1955:  22-134). სამთავროს ახ.წ. II-IV სს. სამაროვანზე სხვადასხვა ტიპის სამარხებში (ქვაყუთი, ორმოსამარხი, თიხის სარკოფაგი, კრამიტსამარხი, თიხის ფილასამარხი და კომბინირებული სამარხი) მიცვალებულთა დიდი უმრავლესობა დაკრძალულია გაშოტილ პოზაში და არ არსებობს დამხრობის კანონზომიერება  (დაკრძალულნი არიან თავით დასავლეთით, აღმოსავლეთით, ჩრდილოეთით, ჩრდილო-აღმოსავლეთით, ჩრდილო-დასავლეთით, სამხრეთ-დასავლეთით, სამხრეთ-აღმოსავლეთით (აფაქიძე ... 1982:191-213; აფაქიძე ... 1981:153-158; მანჯგალაძე 1985:43-108; აფაქიძე ... 1989:8-39; აფაქიძე ...  1982:6-54). მცხეთის წარჩინებულთა განსასვენებელ - აკლდამა N905-ში, ორი მიცვალებული ერთმანეთის პირისპირ, ხელფეხმოკეცილი - ერთი მარჯვენა, მეორე მარცხენა გვერდზე, თავით აღმოსავლეთით დაუკრძალავთ (აფაქიძე ... 1995:7-42). მოგვიანებით, ახ.წ. IV საუკუნეზე გვიანდელ სამაროვანზე კი (144 სამარხი) მიცვალებულები ზურგზე გაშოტილი, ხელჩამოშვებულები, თავით დასავლეთით არიან დაკრძალულნი (აფაქიძე ... 1955:135).  კარსნისხევის ახ.წ. II-III საუკუნეების სხვადასხვა ტიპის სამარხებში (კრამიტსამარხები, ორმოსამარხები, ხის ძელებით გადახურული ორმოსამარხები, თიხის ფილასამარხები და ქვევრსამარხი. სულ 36 სამარხი), მიცვალებულთა უმრავლესობა დაკრძალულია მოკრუნჩხულ პოზაში, სხვადასხვა მიმართულებით ორიენტირებული. მხოლოდ სამ შემთხვევაშია ზურგზე გაშოტილი ჩონჩხი, ორიენტირებული თავით ჩრდილო-დასავლეთით ან დასავლეთით ორიენტირებული (ნიკოლაიშვილი 1993:49-92). ახ.წ. I-III სს მოგვთაკარის სამარხებში

(ფილებით და ქვით ნაგები სამარხები, ქვიშაქვის და კრამიტისაგან ნაშენი სამარხები, ორმოსამარხი, კრამიტსამარხები, ქვასამარხი, კომბინირებული) მიცვალებულები მოკრუნჩხული დაუკრძალავთ პირით დასავლეთით (აფაქიძე ... 1981:119-127; სიხარულიძე, აბუთიძე 1985:109-131). იგივე სურათია წიწამური III-ის მეხუთე ფენაში აღმოჩენილი ახ.წ. პირველი საუკუნეების სხვადასხვა ტიპის სამარხებში (ორმოსამარხები, ქვევრსამარხები, დერგსამარხები), სადაც მიცვალებულები სხვადასხვა მიმართულებით არიან დამხრობილნი (ნიკოლაიშვილი ... 1995:58-82). ახ.წ. II-IV საუკუნეების ბაიათხევის სამაროვნის სხვადასხვა ტიპის სამარხებში (კრამიტსამარხები, ქვის ფილებით გადახურული ორმოსამარხები, ქვასამარხები, თიხისფილა სამარხები) ყველა მიცვალებული დაკრძალულია ზურგზე გაშოტილი, ორიენტირებული სხვადასხვა მიმართულებით (ჩრდილო-აღმოსავლეთით, ჩრდილო-დასავლეთით, სამხრეთ-აღმოსავლეთით, აღმოსავლეთით, სამხრეთ-დასავლეთით, სამხრეთ-აღმოსავლეთით) (ნიკოლაიშვილი, გიუნაშვილი 1995:97-134). დიდი მცხეთის ტერიტორიაზე, სვეტიცხოვლის უბანზე გათხრილ გვიანანტიკური ხანის სამარხებში (ქვასამარხები, ფილასამარხები, კრამიტსამარხები, ორმოსამარხები, ქვის ფილებით გადახურული) მიცვალებულები გულაღმა ზურგზე გაშოტილი ესვენა თავით დასავლეთით (აფაქიძე ... 1989:40-48). ჟინვალის სამაროვანზე გათხრილია ახ.წ. I-IV საუკუნეებით დათარიღებული 500-მდე სამარხი (მიწაყრილიანი ორმოსამარხები, ხის ძელებით გადახურული ორმოსამარხები, ქვამიწაყრილიანი ორმოსამარხები, ქვით შემოსაზღვრული, ქვის ფილებით გადახურული, ყორეკედლიანი სამარხები). მიცვალებულთა უმრავლესობა დაუკრძალავთ მოხრილ მდგომარეობაში მარჯვენა ან მარცხენა მხარეს ორიენტირებული, თავით დასავლეთით, სამხრეთით ან ჩრდილოეთით. ახ.წ. IV საუკუნიდან კი იწყება მიცვალებულთა ზურგზე გაშოტილი დაკრძალვა თავით დასავლეთით და არსებობს არქაულ დაკრძალვის ტრადიციასთან (მოკრუნჩხული პოზა) ერთად. აღსანიშნავია, რომ ამ დროისათვის მოხრილ მდგომარეობაში დაკრძალული მიცვალებულები ქალები და ბავშვები არიან (ჩიხლაძე 2015:162-167). ახ.წ. III საუკუნის ახალი ჟინვალის სამაროვანზე გათხრილ ორმოსამარხებში მიცვალებულები მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე თავით დასავლეთით დაუკრძალავთ (რამიშვილი 1983:111-130). ქუშანაანთგორის II სამაროვანზე

ძირითადად მოკრუნჩხული მიცვალებულები თავით დასავლეთით დაუკრძალავთ. დაფიქსირებულია ერთ სამარხში მიცვალებულთა როგორც მოკრუნჩხულ, ისე გაშოტილ პოზაში დაკრძალვა. დაფიქსირებულია სამარხთა რამდენიმე ტიპი (ორმოსამარხები, კრამიტსამარხები, ქვისსამარხები (ივრის ხეობა, ერწოს ველი) (რამიშვილი 1979:56-62). ციხისძირში გამოვლენილი 14 გვიანანტიკური-ადრეშუასაუკუნეების ორმოსამარხებსა და ამფორა-სამარხებში მიცვალებულები დაკრძალულნი არიან როგორც მოხრილ, ისე გაშოტილ პოზაში (ინაიშვილი 1993:81-98). ყვირილის ხეობაში გათხრილია გვიანანტიკური ხანის ორმოცამდე სამარხი (ორმოსამარხები და მშრალი წყობის კედლებით), სადაც მიცვალებულები თავით დასავლეთით არიან ორიენტირებული, როგორც მოკრუნჩხულ ისე გაშოტილ პოზაში. მოდინახეს ახ.წ. II-IV საუკუნეების სამარხებში კი ქალები დაკრძალულნი არიან მოკრუნჩხულ პოზაში, მამაკაცები კი ზურგზე გაშოტილი, ე.წ. ქრისტიანული წესით (ნადირაძე 1975:43-76). ახ.წ. II საუკუნის კლდეეთის სამაროვანზე, სადაც შემოუზღუდავ სამარხებს თავზე ეყარა ქვების გროვა, გვერდზე მწოლიარე ჩონჩხები დაფიქსირდა. (ლომთათიძე 1957:100-161).

მოყვანილი მაგალითები ნათლად მეტყველებს, რომ ურბნისის თანადროულ სამაროვნებზე არ არსებობს დაკრძალვის მკაცრად განსაზღვრული, ერთი წესი, როგორც ეს ურბნისის სამაროვანზე დაფიქსირდა. გარდა დაკრძალვის ტრადიციისა, ჩვენს მიერ შესწავლილ სამაროვანს დანარჩენებისგან გამოარჩევს სამარხეული ინვენტარიც, კერძოდ იმპორტული ნივთების სიმრავლე.

## §4.2. სამარხეული ინვენტარის ანალიზი

**ანალიზის შედეგად დადგინდა (იხ. დიაგრამა N15):**

**თიხის ჭურჭელი (ტაბ. XXXVIII1).**

სამაროვნის 116 სამარხიდან თიხის ჭურჭელი აღმოჩნდა 68 სამარხში, სულ 75 ერთეული. სამარხებში ძირითადად თითო თიხის ჭურჭელი ფიქსირდება და მათი უმრავლესობა (93%) ადგილობრივი ნაწარმია. იმპორტული ჭურჭელი მხოლოდ ხუთი სანელსაცხებლით შემოიფარგლება. თიხის სანელსაცხებლეების შემცველი სამარხები (სამარხი NN136, 230, 205, 245; ტაბ. XIII1,2, XIV2) ვიწრო ქრონოლოგიურ ჩარჩოში ექცევა და

თარიღდება არაუგვიანეს ახ.წ. I საუკუნის დასასრულით, რასაც ეთანხმება თითოეული სამარხის არქეოლოგიური კონტექსტი და თიხის სანელსაცხებლეების ტიპოლოგიური კლასფიკაცია (Lafli 2003:245-246, fig. 11b,c; Tuluk 1999:148, taf. 5; kat. N47, 48; Максимова 1979:108-109; Anderson-Stojanović 1987:105-122..; სახვაძე 2019). ადგილობრივ ნაწარმში თიხის ჭურჭლის რამდენიმე სახეობაა წარმოდგენილი: დოქი, დერგი, პელიკისებური ჭურჭელი, ქილა, ტოლჩა, ქოთანი, კოჭობი და ჯამი. მათ შორის ყველაზე გავრცელებული სახეობა დოქია (67 %). ამ მასალის ანალიზი კონკრეტული დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევა. კერძოდ, ფორმებისა და ორნამენტის დეტალებში გაჩენილი ცვლილებები მათ ქრონოლოგიურ სხვაობას უსვამს ხაზს.

**ქრონოლოგიური ჯგუფების ანალიზის შედეგად გაირკვა შემდეგი, რომ:**

1. პირველი ქრონოლოგიური ჯგუფის (ძვ.წ. I საუკუნის ბოლო - ახ.წ. I საუკუნის დასაწყისი) დოქები დაბალყელიანი და სფერულტანიანია. ყური ძირითადად დაძერწილია პირის კიდესა და მხარზე. პირის კიდესთან მიერთების ადგილი ზოგიერთ შემთხვევაში შემსხვილებულია. სადა, ირგვლივი ზოლებით შედგენილი მოხატულობა ჭურჭლის ხაოიან ზედაპირზეა შესრულებული.

2. მეორე ქრონოლოგიურ ჯგუფში (ახ.წ. I საუკუნის ბოლო - II საუკუნე) აღმოჩენილი დოქების უმეტესობა ჩალისფერკეციანია, გვხვდება შავადგამომწვარი, პრიალა ზედაპირიანი ჭურჭლებიც. ამ პერიოდის დოქებს, პირველი ქრონოლოგიური ჯგუფის (ახ.წ. I საუკუნის ბოლო - II საუკუნე) კერამიკასთან შედარებით უკეთ განლექილი კეცი აქვთ. ისინი ფართოპირიანი, სფერულმუცლიანი, იშვიათად ელიფსოიდურმუცლიანი (ტაბ. XXVI1,2, კატ. N387, 406) ან მსხლისებურმუცლიანი (ტაბ. XXXII6, კატ. N614) და ფართოძირიანი ჭურჭლებია. ყური მიერთებულია პირის კიდესა და მხარზე. ძირითად შემთხვევაში შეერთების ადგილი შემსხვილებულია. მეორე ქრონოლოგიურ ჯგუფში (ახ.წ. I საუკუნის ბოლო - II საუკუნე) გამოჩენას იწყებს ყელწიბოიანი ჭურჭლები (დოქი, დერგი, პელიკისებური ჭურჭელი), რომელთა ყური წიბოსა და მხარზეა დაძერწილი. გამორჩეულ ჯგუფს შეადგენს წითლად მოხატული

ჭურჭლები (სახვაძე 2019ა), რომელიც იდენტურია დედოფლის გორაზე აღმოჩენილი კერამიკის. მიგვაჩნია, რომ დედოფლის გორას და ურბნისს ამ პერიოდისთვის ერთი სამეთუნეო ცენტრი ამარაგებდა. დედოფლის გორის სასახლის ნგრევის თარიღი (ახ.წ. 80 წელი) განმსაზღვრელი აღმოჩნდა ურბნისის სამარხების ერთი ჯგუფის დათარიღებისათვის (სამარხები: NN189, 193, 105, 152, 207, 208, 51, 178, 163; ტაბ. XV, XVI, $XVII_{1,2}$, $XVIII_{1,2}$, $XIX_{1,2,3}$). მეორე ქრონოლოგიური ჯგუფის (ახ.წ. I საუკუნის ბოლო - II საუკუნე) კერამიკაზე ორნამენტი დატანილია ხაოიან ზედაპირზე, გარდა ერთი შემთხვევისა (სამარხი N178, ტაბ. $XIX_{2}$, კატ. N207). ჭურჭელი შემკულია ტალღოვანი, წერტილოვანი და ირგვლივი ზოლების მონაცვლეობით, ზოგ შემთხვევაში მხარზე მოკლე ირიბი ზოლები და მცენარეული ორნამენტია წარმოდგენილი. ამავე ქრონოლოგიური ჯგუფის ბოლო ეტაპზე დასტურდება ჭურჭლის წითლად შეღებვის ფაქტები (ტაბ. XXVIII, კატ. N420; ტაბ. $XXXII_{1,4,6}$, კატ. N568, 590, 614), დოქებს ყურზე უჩნდება ცერისებური დანაძერწი (ტაბ. $XXXII_{4,5,6}$, კატ. N590, 600, 614), მუცელი შემკულია ბურცობებით ან ნაჭდევებით. აქვე ჩნდება ჭურჭლის ახალი ფორმა ორყურა ქილა (ტაბ. $XXXII_{1}$, კატ. N568).

3. მესამე ქრონოლოგიურ ჯგუფში (ახ.წ. III საუკუნე) კარგად განლექილი, ჩალისფერკეციანი დოქებია წარმოდგენილი. არსებობას აგრძელებს სფერულმუცლიანი, ფართოძირიანი დოქები, რომელთა ყური უშუალოდ პირის კიდეს უერთდება და ჩნდება ახალი ტიპის ყელწიბოიანი დოქები. მეორე ქრონოლოგიური ჯგუფის (ახ.წ. I საუკუნის ბოლო - II საუკუნე) დოქებისაგან განსხვავებით წიბოდან გამოსული ყური განივად არის დაძერწილი ჭურჭლის მხარზე. ჭურჭლები იდენტურია სამთავროს, კარსნისხევის და მოგვთაკარის სამაროვნებზე აღმოჩენილი ყელწიბოიანი დოქებისა. ორყურა ქილების უმეტესეობა (ექვსიდან ხუთი შემთხვევა) მესამე ქრონოლოგიურ ჯგუფში (ახ.წ. III საუკუნე) ფიქსირდება. შავპრიალა და მოხატული ჭურჭლები არცერთ ამ პერიოდის სამარხში არ აღმოჩენილა. ორნამენტი შემოიფარგლება ქილებსა და დოქზე დატანილი ნაჭდევებისა და ბურცობების ირგვლივი რიგებით. წითლად

შეღებილია ერთი ყელწიბოიანი დოქი (ტაბ. XXXII1, კატ. N622) და ორი ორყურა ქილა (ტაბ. XXXIV1,2, N668, 671).

4. მეოთხე ქრონოლოგიურ ჯგუფში (ახ.წ. IV საუკუნე) აღმოჩენილი დოქი სრულიად განსხვავებულია სამაროვანზე აღმოჩენილი სხვა დოქებისაგან (ტაბ. XXXVII1, კატ. N842). მსგავსი ტიპის ვიწროყელიანი, მსხლისებურტანიანი, მოწითალო, კარგად ნაპრიალები ჭურჭლები დამახასიათებელია ახ.წ. IV საუკუნის და მის შემდგომი პერიოდისათვის.

**მინის ჭურჭელი (ტაბ. XXXVIII2).**

ურბნისის სამაროვანს თანადროული ძეგლებისაგან გამოარჩევს იმპორტული ნაწარმის (სირია, ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნები), განსაკუთრებით კი მინის ჭურჭლის სიმრავლე. სამაროვნის 116 სამარხში მინის ჭურჭლის აღმოჩენის 64 შემთხვევა დაფიქსირდა, ჯამში 196 ჭურჭელი, რაც თიხის ნაწარმის რაოდენობას 2,5 - ჯერ აღემატება. ურბნისში აღმოჩენილი მინის ჭურჭელი შესწავლილია მკვლევარ მ. საგინაშვილის მიერ (საგინაშვილი 1970) და მათი ფორმების თავისებურებების შესახებ აქ აღარ ვისაუბრებთ. კვლევებმა გვიჩვენა, რომ პირველ ქრონოლოგიურ ჯგუფში (ძვ.წ. I საუკუნის ბოლო - II საუკუნე) მინის ჭურჭლის ჩატანების მხოლოდ ერთი ფაქტი დადასტურდა. მეორე ქრონოლოგიურ ჯგუფის (ახ.წ. I საუკუნის ბოლო - II საუკუნე) სამარხებში მინის ჭურჭლის რაოდენობა ერთიდან თვრამეტამდე მერყეობს. 47 სამარხიდან მხოლოდ 14 სამარხშია თითო ჭურჭელი. აღსანიშნავია, რომ:

I. ფორმაში გამობერილი მინის ჭურჭლები მეორე ქრონოლოგიური ჯგუფის (ახ.წ. I საუკუნის ბოლო - II საუკუნე) ადრეულ სამარხებში დასტურდება (სამარხები NN230, 205, 187, 152, 207, 170, 20, 15, 57; ტაბ. XIII2, XIV1,3, XVII2, XVIII1, XX1,2, XXI1, XXIII1) და მომდევნო ეტაპზე აღარ ფიქსირდება.

II. მესამე ქრონოლოგიურ ჯგუფში (ახ.წ. III საუკუნე) მინის ჭურჭელი თითო ან ორია სამარხში, განსხვავებით ადრეული მეორე ქრონოლოგიური ჯგუფისგან ჯგუფისაგან (ახ.წ. I საუკუნის ბოლო - II საუკუნე).

III. მეოთხე ქრონოლოგიურ ჯგუფში (ახ.წ. IV საუკუნე) ოთხი სამარხიდან ორში აღმოჩნდა მინის ჭურჭელი, მათგან ერთ შემთხვევაში მხოლოდ მინის

სხვადასხვა ტიპის ჭურჭლები ჩაუყოლებიათ სამარხში (სამარხი N238; XXXVII2), მსგავსი ტიპის ჭურჭლები გვხვდება მეორე და მესამე ქრონოლოგიურ პერიოდებშიც (ახ.წ. I საუკუნის ბოლო - II საუკუნე; ახ.წ. III საუკუნე) და როგორც ჩანს, ახ.წ. IV საუკუნეშიც განაგრძობს არსებობას.

**ძვლის ჭურჭელი, პიქსიდა (ტაბ. XXXIX1).**

სამაროვანზე დადასტურდა ძვლის ორი კოლოფი, ე.წ. პიქსიდა (ტაბ. XXXIV5, კატ. N692, XXXVI9, 824). საინტერესოა, რომ მათგან ერთში აღმოჩნდა ბეჭდები, რომლებში ჩასმული ქვები ინტალიოებს წარმოადგენს. ასეთი ფაქტი დადასტურებულია ტახტიძირის სამაროვანზე, სადაც ბავშვებისთვის წვრილი ნივთებით სავსე ხის კოლოფები და ქისები ჩაუყოლებიათ სამარხში (გოგიბერიძე 2012:42-45; გოგიბერიძე 2020:25). ჩანს, ეს ტრადიცია გვიან პერიოდშიც გრძელდება.

**საავგაროზე.** სამაროვანზე აღმოჩნდა ერთადერთი საავგაროზე, რომელიც ცილნდრული ფორმისაა, თავსა და ბოლოზე სახურავით. სხვადასხვა ტიპის ოქროს საავგაროზე აღმოჩენილია სამათავროს სამაროვანზე. მათშორის არის ისეთივე, როგორიც ურბნისშია, ბოლოებზე სახურავებით. სამარხები სადაც ისინი აღმოჩნდა დათარიღებულია ახ.წ. II და ახ.წ. VII-VIII საუკუნეებით (ჯალაბაძე, ჯავახიშვილი 2019:22)

**სამკაული.**

**საყურე (ტაბ. XXXIX1).**

116 სამარხიდან საყურის აღმოჩენის 22 შემთხვევა ფიქსირდება. პირველ ქრონოლოგიურ ჯგუფში (ძვ.წ. I საუკუნის ბოლო - ახ.წ. I საუკუნის დასაწყისი) ისინი ცხრიდან ორ სამარხში დასტურდება; მეორე ქრონოლოგიურ ჯგუფში (ახ.წ. I საუკუნის ბოლო – II საუკუნე) 70 დამარხიდან 12 სამარხში, მესამე ქრონოლოგიურ ჯგუფში (ახ.წ. III საუკუნე) 33-დან შვიდ სამარხში, მეოთხე ქრონოლოგიურ ჯგუფში (ახ. წ. IV საუკუნე) ოთხიდან ერთ სამარხში. პირველი ქრონოლოგიური ჯგუფის საყურეები ბრინჯაოს წრიული ფორმის, ბოლოებგახსნილ რგოლებს წარმოადგენს. მეორე ქრონოლოგიურ ჯგუფში საყურე ორი ტიპისაა: 1) სადა, ბოლოებგახსნილი საყურეები (ოქრო, ვერცხლი); 2) მტევნისებური (ოქრო); ორი ტიპის საყურეა მესამე ქრონოლოგიურ ჯგუფში: 1) მტევნისებურსაკიდიანი (ოქრო); 2) კალათისებური ფორმის (ბრინჯაო, ოქრო); მეოთხე

ქრონოლოგიურ ჯგუფში წყვილი ოქროს საყურე აღმოჩნდა, რომელიც არცერთ სამარხში აღმოჩენილ საყურეს ჰგავს, ის მრგვალგანივკვეთიან ღეროზე ცალ-ცალკე მირჩილულ მცირე ზომის რგოლსა და ღეროს წარმოადგენს. თითოეული ტიპი იმეორებს საქართველოს თანადროულ ძეგლებზე აღმოჩენილი საყურეების ფორმას.

**მძივები და საკიდები (ტაბ. XXXIX$_2$).**

სამკაულის უმეტესობას მძივები და საკიდები წარმოადგენს, რომელიც სამაროვნის 81 სამარხში დადასტურდა. მძივები ბრინჯაოს, სხვადასხვა ჯიშის ქვის, მინის, მთის ბროლის, ფაიანსის, ქარვის, გიშრისა და ნიჟარისაგანაა დამზადებული. საკიდები კი ოქროს, ბრინჯაოს, ქვის, ქარვის, ძვლის, ნიჟარისა და ფაიანსისაა. მძივებმა და საკიდებმა ურბნისის სამაროვნის რამდენიმე სამარხის თარიღი დაგვიდასტურა (სამარხი NN193, 152, 178, 163, 20, 15, 155, 54, 218, 172, 86, 112, 110, 279, 13, 142, 115, 148, 96, 151; ტაბ. XVI, XVII$_2$, XIX$_3$, XX$_2$, XXI$_{1,3}$, XXIII$_2$, XXIV$_2$, XXVIII$_1$, XXXI$_{1-4,7}$, XXXII$_{5,7}$, XXXV$_4$, XXXVI$_9$, XXXVII$_4$). ამდენად, მათი შესწავლა მნიშვნელოვანია ამა თუ იმ ძეგლისთვის თარიღის განსასაზღვრად.

**საკისრე რკალი (ტაბ. XXXIX$_2$).**

სამაროვანზე ერთადერთი საკისრე რკალი აღმოჩნდა (N86 სამარხი, ტაბ. XXXI$_1$, კატ. N521), რაც თავისებური გადმონაშთის შთაბეჭდილებას ტოვებს. ამ პერიოდის სამარხებში, ელინისტური ხანის სამარხებისაგან განსხვავებით, საკისრე რკალები არ გვხვდება.

**საკინძი (ტაბ. XXXIX$_2$).**

სამაროვანზე აღმოჩენილი ბრინჯაოსა და რკინის საკინძები, რომელთა ფორმაზე შესაძლებელია საუბარი, სხვადასხვაგვარია. ამ სახეობის ნივთებში გამორჩეული ჯგუფია მინის საკინძისთავები (სამარხი NN193, 105, 152, 163, 54, 218, 172, 266, 180, 142, 92; ტაბ. XVI, XVII$_{1,2}$, XIX$_3$, XX$_1$, XXIII$_2$, XXIV$_2$, XXVIII$_1$, XXX$_{2,3}$, XXXII$_5$, XXXIII$_2$; კატ. N148, 165, 174, 216, 323, 360, 429, 496, 502, 604, 634). მსგავსი ტიპის მინის საკინძისთავები შესწავლილი აქვს ე. ჰევერნიკს, მათ შორის ურბნულიც, რომელთა თარიღი ახ.წ. I-II საუკუნეებით განსაზღვრა (Haevernick 1981:226). თანმხლები ინვენტარის გათვალისწინებით ამ თარიღს ემთხვევა ურბნისის სამაროვნის სამარხების უმეტესობა, სადაც მსგავსი ტიპის ნივთები

აღმოჩნდა (NN193, 105, 152, 163, 54, 218, 172, 266, 180, 142). გამონაკლისია N92 სამარხი, რომელიც სამარხეული ინვენტარის მიხედვით შედარებით გვიანდელი ხანით, ახ.წ. III საუკუნით დავათარიღეთ (ტაბ. XXXIII$_2$, კატ. N634). ჩანს, ამ დროისთვის მინის საკინძისთავები იშვიათ შემთხვევებში მაინც შემორჩა.

**სამაჯური (ტაბ. XXXIX$_2$).**

სამაროვანზე სულ ხუთი სამაჯური აღმოჩნდა ოთხ სამარხში (სამარხი NN241, 200, 110, 267), მათგან 4 ბრინჯაოსი (ტაბ. XXIV$_1$, XXXI$_3$, XXXV$_3$; კატ. NN351, 546, 736), ერთი კი რკინისაა (ტაბ. X$_2$, კატ. N5). რკინის სამაჯური პირველ ქრონოლოგიურ ჯგუფში (ძვ.წ. I საუკუნის ბოლო - ახ.წ. I საუკუნის დასაწყისი) აღმოჩნდა და ფრაგმენტულადაა შემორჩენილი. მეორე და მესამე ქრონოლოგიური ჯგუფის (ახ.წ. I საუკუნის ბოლო - II საუკუნე; ახ.წ. III საუკუნე) ბრინჯაოს სამაჯურები ტიპოლოგიურად ერთმანეთის იდენტურია და მათი ფორმა გვიანანტიკური ხანის ძეგლებზე აღმოჩენილი სამაჯურების მსგავსია (ზღუდერის სარკოფაგი, არმაზისხევის ერისთავთა სამარხი).

**ბეჭედი (ტაბ. XXXIX$_1$).**

სამაროვნის 79 სამარხში (სამარხების 68%) დაფიქსირდა ბეჭედი, სულ 208 ერთეული. მათი 57,6% გლიპტიკური ძეგლია. ვერცხლის ბეჭდები დადასტურდა მეორე, მესამე და მეოთხე ქრონოლოგიურ ჯგუფებში (ახ.წ. I საუკუნის ბოლო - II საუკუნე, ახ.წ. III საუკუნე, ახ.წ. IV საუკუნე), სულ 22 ერთეული (კატ. NN59, 108, 114, 184, 200, 237, 430, 438, 488, 648-652, 688, 699, 731, 752, 817-819, 830), მათგან 18 ინტალიოთი. ბრინჯაოს ბეჭდები მხოლოდ მეორე და მესამე ქრონოლოგიურ ჯგუფში გვხვდება (ახ.წ. I საუკუნის ბოლო - II საუკუნე, ახ.წ. III საუკუნე) (კატ. NN60, 63, 72, 86, 87, 88, 109, 110, 111, 115, 149, 150, 151, 166, 185, 201, 202, 217, 238, 239, 241, 242, 243, 260, 270, 278, 282, 302, 310, 311, 324, 325, 326, 327, 328, 332, 335, 341, 342, 343, 361, 362, 363, 364, 365, 374, 381, 382, 383, 384, 385, 386, 398, 409, 431, 432, 433, 434, 435, 477, 503, 509, 515, 518, 519, 526, 527, 547, 548, 549, 576 (2), 607, 608, 609, 619, 620, 625 (2ც.), 626, 658-661, 700-702, 732, 738, 739, 740, 753, 762, 766, 774, 779, 786, 792, 793, 805, 820, 821, 831), ჯამში 103 ერთეული, მათგან 57 ინტალიოთი. რკინის ბეჭედი დაფიქსირდა ოთხივე ქრონოლოგიურ ჯგუფში, სულ 71 ერთეული (კატ. NN6, 17, 21 (2), 22 (2), 61, 62, 73, 89, 112, 113, 152, 153, 154, 167, 175 (2ც.), 240, 244, 291 (2ც.),

329, 336, 344, 345, 352, 366, 399, 400, 414, 436, 437, 468, 478, 479, 480, 481, 489, 504, 510, 516, 517, 554, 577, 578, 589, 594, 595, 610, 611, 620, 626, 677, 678, 681, 715, 716, 717, 724, 725, 733, 746, 767, 770, 771, 782, 787, 798, 810, 813, 855), მათგან 54 ინტალიოთი. 4 ქალცედონის (კატ. NN261, 316, 833 (2)) და 5 მინის ბეჭედი (NN245, 346, 415, 621, 703) აღმოჩნდა მეორე და მესამე ქრონოლოგიურ ჯგუფებში (ახ.წ. I საუკუნის ბოლო - II საუკუნე, ახ.წ. III საუკუნე,). 1 პასტის ბეჭედი აღმოჩნდა  მეორე ქრონოლოგიურ ჯგუფში (კატ. N176) (ახ.წ. I საუკუნის ბოლო - II საუკუნე), 1 გიშრის ბეჭედია (კატ. N834) მესამე ქრონოლოგიურ ჯგუფში (ახ.წ. III საუკუნე).

**გლიპტიკური ნაწარმი (ტაბ. XXXIX$_{1}$).**

სამაროვანი გამორჩეულია გლიპტიკური ძეგლების სიმრავლითაც. 116 სამარხიდან გლიპტიკური ნიმუში დადასტურდა 63 სამარხში, სულ 197 ნივთი, მათი უმეტესობა ვერცხლის, ბრინჯაოს ან რკინის ბეჭედში ჩასმული ინტალიოა. გვხვდება მინის  (კატ. NN29, 191, 367, 439, 730, 835), სარდიონის (კატ. NN401, 775) და ამეთვისტოს ინტალიოები (კატ. N836), მინის მრავალწახნაგა საბეჭდავები (კატ. NN191, 439), ორი თიხის სკარაბეოიდი (კატ. N367),  ერთი ფაიანსის კამეა (კატ. N730). აღსანიშნავია მესამე ქრონოლოგიურ ჯგუფში (ახ.წ. III საუკუნე) აღმოჩენილი ბეჭდები ბერძნულ და ებრაული წარწერებით (კატ. N626, 820) და ერთი ბეჭედი ლათინური ასო “P”- ს გამოსახულებით (კატ. N608).

**ზარაკი (ტაბ. XXXIX$_{1}$).**

სამაროვანზე აღმოჩენილი ყველა ზარაკი ბრინჯაოსია, რომელთა ძირითად ნაწილს რკინის ენა ჰქონდა შებმული. ზარაკები აღმოჩნდა პირველ, მეორე და მესამე ქრონოლოგიური ჯგუფის (ახ.წ. I საუკუნის ბოლო - III საუკუნე) 34 სამარხში (სამარხი NN271, 230, 189, 193,  205, 152, 163, 170, 215, 54, 165, 258, 172, 224, 86, 112, 110, ნაშთი 13, 115, 276, 73, 93, 35, 96; ტაბ. XI$_{1}$, XIII$_{2}$, XIV$_{1}$, XV, XVI, XVII$_{2}$, XVIII$_{2}$, XIX$_{3}$, XX$_{1}$, XXII1, XXIII$_{1,2,5}$, XXIV$_{2}$, XXVI1, XXVIII$_{1}$, XXX$_{1,3}$, XXXI$_{1,2,3,7}$, XXXII$_{7}$, XXXIII$_{5}$, XXXIV$_{5,6}$, XXXV$_{6,8}$, XXXVI$_{9}$). ძირითადად წარმოადგენილია ოთხი ტიპი: კონუსური, ნახევარსფერული, ოთხწახნაგა და ცილინდრული, გვერდშეჭრილი.

I. პირველ ქრონოლოგიურ ჯგუფში (ძვ.წ. I საუკუნის ბოლო - I საუკუნის დასაწყისი) მხოლოდ ნახევარსფერულ და კონუსურ ზარაკებს ვხვდებით;

II. მეორე ქრონოლოგიურ ჯგუფში (ახ.წ. I საუკუნის ბოლო - II საუკუნე) ოთხივე ტიპი დაფიქსირდა, თუმცა მათ ნაწილს დამატებითი ნიშნები აქვთ. მაგალითად, ზოგიერთ კონუსური ფორმის ზარაკს ირგვლივი ზოლები აქვს, ან დაფანჯრულია. ზოგიერთ ოთხწახნაგა ზარაკს წიბოებზე შვერილები აქვთ ან დაფანჯრულია. ცილინდრული, გვერდშეჭრილი ზარაკები მხოლოდ მეორე ქრონოლოგიურ ჯგუფში (ახ.წ. I საუკუნის ბოლო - II საუკუნე) დაფიქსირდა. ამავე ჯგუფში აღმოჩნდა ერთადერთი ჟღარუნა, რომელიც N20 სამარხში, ბავშვისთვის ჩაუყოლებიათ.

III. მესამე ქრონოლოგიურ ჯგუფში (ახ.წ. III საუკუნე) მხოლოდ კონუსური და ოთხწახნაგა ზარაკებია. კონუსური ზარაკების ნაწილი დაფანჯრულია, ხოლო ოთხწახნაგა ზარაკების ნაწილს წიბოებთან შვერილები აქვს.

**სამგლოვიარო გვირგვინი, ბაგისსაფარი (ტაბ. XXXIX$_1$).**

ურბნისის სამაროვანზე აღმოჩენილი სამგლოვიარო გვირგვინები (ხოირა) ფურცლოვანი ოქროსგანაა დამზადებული და რამდენიმე ფორმისაა: სამკბილა, ოთხკუთხა და რომბის ფორმის. მათზე ფოთლის იმიტაციის შესაქმნელად ძარღვებია გამოყვანილი. სამგლოვიარო გვირგვინი სამაროვნის რვა სამარხში აღმოჩნდა (სამარხი N189, 193, 51, 170, 215, 231, 216, 191; ტაბ. XV, კატ. N101; ტაბ. XVI, კატ. N140; ტაბ. XIX, კატ. N198; ტაბ. XX$_1$, კატ. N231; XXII$_{1,2,3}$, კატ. NN287, 299, 305; ტაბ. XXXII$_1$, კატ. N572;), მათგან ოთხ შემთხვევაში ბაგისსაფართან ერთად (სამარხი N189, 193, 216, 191; კატ. N103, 141, 306, 573;).

ანტიკურ სამყაროში გვირგვინებს სხვადასხვა ფუნქცია ჰქონდა, ისინი ძირითადად შეჯიბრებებში (სპორტულ, ლიტერატურულ, მუსიკალურ) გამარჯვებულთა დასაჯილდოებლად გამოიყენებოდა. გვირგვინს გადასცემდნენ ღვინის სმაში გამარჯვებულს და სხვა. ის დაკავშირებული ჩანს დაკრძალვის რიტუალთან, კლასიკურ, შემდეგ ელინისტურ და რომაულ ხანაში. სამგლოვიარო გვირგვინის ხასიათის გარკვევისას ფიქრობდნენ, რომ, ერთის მხრივ, ცოცხალი გვირგვინი კარგ სურნელებას აფრქვევდა მიცვალებულთან, მეორეს მხრივ, გვირგვინი, როგორც გამარჯვების ნიშანი,

აგრძელებდა მიცვალებულის ტრიუმფს სიცოცხლის შემდეგ. სამგლოვიარო გვირგვინები ოქროსგან მზადდებოდა და სხვადასხვა ფოთლების იმიტაციას (ზეთისხილის, მუხის, დაფნის, ნიახურის, ვაზის) წარმოადგენდა (ჭყონია 1981:59-63).

სამგლოვიარო გვირგვინის სამარხში ჩატანების შემთხვევები დასავლეთ საქართველოში ელინისტურ ხანაში (ძვ.წ. IV-II საუკუნეები) გვხვდება, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში გვიანანტიკურ ხანიდან დასტურდება (ახ.წ. I-IV საუკუნეები). სამგლოვიარო გვირგვინები მრავლად არის აღმოჩენილი გვიანანტიკური ხანის ძეგლებზე: არმაზისხევში, ბერსუმა ერისთავის სამარხში, სადაც გვირგვინს მუხის და ნიახურის ფოთლები შეადგენს (აფაქიძე ... 1955: 49), ზაიათხევის N32-ე, 33-სამარხში (ნიკოლაიშვილი, გიუნაშვილი 1995: 97-134, სურ. 1030-1046) და სხვა. ჩამოთვლილთაგან არცერთი ჰგავს ფორმით ურბნულს, რომელთა უმეტესობას რომბის ფორმა აქვს ზედ გამოყვანილი რელიეფური ძარღვები ახასიათებს. ფაიუმის, ჰავარას, ერ-რუბაიატში, ანტინოოპოლისსა და სხვა ძეგლებზე აღმოჩენილ პორტრეტებზე გამოსახულ ადამიანებს ასეთივე ფორმის ფურცლებით შედგენილი გვირგვინი ამკობს. პორტრეტების თარიღი ახ.წ. 50-170 წლების ფარგლებში მერყეობს (Walker, Bierbier 1997: 40, 56, 71, 94-96 , 108,113, 115-116; cat. 13, 32, 48, 84, 86, 103, 108, 111), რის მიხედვითაც განისაზღვრა ურბნისის ხოირის შემცველი სამარხების თარიღიც (სამარხი NN189, 193, 51, 170, 215, 231, 216; ტაბ. XV, კატ. N101; ტაბ. XVI, კატ. N140; ტაბ. XIX, კატ. N198; ტაბ. $XX_1$, კატ. N231; $XXII_{1,2,3}$, კატ. NN287, 299, 305). შესაბამისი კომპლექსების თანმხლები ინვენტარი თარიღს არ ეწინააღმდეგება. საინტერესოა, რომ N93 სამარხში რომბის ფორმის ფურცლებთან ერთად აღმოჩნდა სამკბილა ფურცლებიც, რომლებიც ფართოდ არის გავრცელებული თანადროულ სამაროვნებზე მცხეთასა და მის შემოგარენში. განსხვავებულია N191 სამარხში აღმოჩენილი ფურცლები, რომლებსაც მართკუთხა ფორმა აქვს და მასზე რელიეფურად გამოყვანილია ძარღვები ფოთლის იმიტაციის შესაქმნელად (ტაბ. $XXXII_1$, კატ. N572). სამარხი, თანმხლები ინვენტარით ახ.წ. II საუკუნის მეორე ნახევრით დავათარიღეთ. ჩანს, ფურცლების გამოჭრის დროს ფორმას ყურადღება აღარ ექცევა და ინარჩუნებს გვირგვინის ჩატანების ტრადიციას. აშკარაა, რომ მცირე ქრონოლოგიურმა სხვაობამაც კი ნივთის ფორმაზე იქონია გავლენა. მესამე და მეოთხე ქრონოლოგიურ

პერიოდებში (ახ.წ. III-IV საუკუნეები) სამგლოვიარო გვირგვინის ფურცლები აღარ დასტურდება.

სამგლოვიარო გვირგვინების შემცველი სამარხებიდან ოთხში ბაგისსაფარი ფირფიტებიც აღმოჩნდა (სამარხი NN189, 193, 216, 191; ტაბ. XV, კატ. N103, ტაბ. XVI, კატ. N141, ტაბ. XXII$_3$, კატ. N306, ტაბ. XXXII$_1$, კატ. N573). ბაგისსაფარი საქართველოში, წინწყაროსა და ყანჩაეთის ელინისტური ხანით დათარიღებულ კომპლექსებში გვხვდება (გაგოშიძე 1964: 15-19). მოგვიანებით მსგავსი ფირფიტები გვიანანტიკური ხანის სამარხებშიც (მცხეთა, კლდეეთი) დადასტურდა. ჩანს, მათი სამარხში ჩაყოლება ელინისტური ტრადიციაა, რომელიც გრძელდება ახ.წ. I-II საუკუნეებშიც. აღსანიშნავია, რომ ხოირის ფურცლების მსგავსად N191 სამარხში აღმოჩენილი ბაგისსაფარი ფორმით განსხვავდება დანარჩენებისაგან. ეს უკანასკნელი მართკუთხა ფორმისაა, ხოლო დანარჩენ შემთხვევაში წაგრძელებული რომბის ფორმა ახასიათებს. ბაგისსაფარები ბოლოებზე გახვრეტილია.

**მონეტა - ქარონის ობოლი (ტაბ. XXXIX$_1$).**

ცნობილია, რომ ტერმინი „ქარონის ობოლი“ მომდინარეობს ბერძნული მითოლოგიიდან და სწორედ მას უკავშირდება ანტიკური ხანის სამარხებში მიცვალებულის პირში ან ხელში მონეტების ჩაყოლების ტრადიცია. ურბნისის სამაროვნის თორმეტ სამარხშია ნაპოვნი თითო ვერცხლის მონეტა (სამარხი NN189, 193, 207, 208, 51, 178, 215, 231, 258, 243, 142, 4; ტაბ. XV, XVI, XVIII$_{1,2}$, XIX$_{1,2}$, XXII$_{1,2}$, XXVI$_1$, XIX$_3$, XXXII$_5$, XXXIV$_4$) და ერთ სამარხში ოთხი (სამარხი N273, ტაბ. XXXIII$_3$, კატ. 654). მათგან თერთმეტი შემთხვევა ქარონის ობოლია (მონეტები მიცვალებულებს პირში ჰქონდათ, მხოლოდ ერთ შემთხვევაში N273 სამარხის მიცვალებულს მონეტა პირშიც ჰქონდა და ხელშიც ეჭირა), რაც უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტია ქართლში ელინისტური ტრადიციების ინფილტრაციის ქრონოლოგიასთან მიმართებაში, რომელიც ჯერ კიდევ ტახტიძირის ძვ.წ. IV-III საუკუნეების სამარხებში იღებს სათავეს. მონეტები პართულია, ოქტავიანე ავგუსტუსის და არტაბან II-ის (გოტარზეს) გამოსახულებით. თერთმეტი მონეტა მეორე ქრონოლოგიური ჯგუფის (ახ. I საუკუნის ბოლო - II საუკუნე), ხუთი კი მესამე ქრონოლოგიური ჯგუფის (ახ.წ. III საუკუნე) სამარხებში დაფიქსირდა.

ავგუსტუსის დენარები ძვ.წ. 27-ახ.წ. 14 წლებში, ხოლო არტაბან II-ის მონეტები ახ.წ. 10-38 წლებში იჭრებოდა და თითქმის სამი საუკუნის განმავლობაში მიმოიქცეოდა, შესაბამისად, მათი საშუალებით სამარხის ზუსტი თარიღის განსაზღვრა შეუძლებელია.

**იარაღი (ტაბ. XXXIX1).**

სამაროვნის მასალებში იარაღში სამეურნეო დანიშნულების რკინის დანებით და ერთადერთი რკინის ისრისპირით შემოიფარგლება. სულ აღმოჩენილია 9 დანა, მათგან 1 პირველ ქრონოლოგიურ ჯგუფში (ძვ.წ. I საუკუნის ბოლო - ახ.წ. I საუკუნის დასაწყისი) (სამარხი N271, ტაბ. XI1, კატ. N18), 4 მეორე ქრონოლოგიურ ჯგუფში (ახ.წ. I საუკუნის ბოლო - II საუკუნე) (სამარხი NN215, 258, 191, 277; ტაბ. XXII1, კატ. N293; ტაბ. XXVI1, კატ. N405; ტაბ. XXXII1,4, კატ. NN579, 597), ამდენივე მესამე ქრონოლოგიურ ჯგუფში (ახ.წ. III საუკუნე) (სამარხი NN4, 267, 72, 197; ტაბ. XXIV4, XXXV3,12, XXXVI1, კატ. NN684, 741, 788, 794). პირველ ქრონოლოგიურ ჯგუფში (ძვ.წ. I საუკუნის ბოლო - ახ.წ. I საუკუნის დასაწყისი) აღმოჩენილ დანას ვადაზე მანჭვლები აქვს შერჩენილი. მეორე ქრონოლოგიური ჯგუფის (ახ.წ. I საუკუნის ბოლო - II საუკუნე) დანებიდან ერთი მოკლე დანაა, ყუნწიანი (სამარხი N191, კატ. N579), დანარჩენები კი ნაკლულია. მესამე ქრონოლოგიური ჯგუფის (ახ.წ. III საუკუნე) დანებიდან ერთი მოხრილი დანაა, დანარჩენებს მოკლე ყუნწი აქვს და სწორი პირი, რომელიც ბოლოსკენ ვიწროვდება. ზოგიერთი დანის ფორმა გაურკვეველია. რაც შეეხება რკინის ისრისპირს, ის დადასტურდა მეორე ქრონოლოგიური ჯგუფის (ახ.წ. I საუკუნის ბოლო - II საუკუნე) N277 სამარხში (ტაბ. XXXII4, კატ. N598).

**სარკე (ტაბ. XXXIX1).**

სარკე პირსაფარეშო ნივთებს შორის ერთ-ერთი გამორჩეული ნივთია. მას სხვადასხვა მასალისაგან (მარმარილო, პირიტი, ბრინჯაო, ვერცხლი, ოქრო, ობსიდიანი) ამზადებდნენ (ჭანიშვილი 2018:145-154). ურბნისის სამაროვანზე აღმოჩენილია 10 სარკე, რომელთაგან 8 დამზადებულია ბრინჯაოსაგან, ხოლო 1 ბრწყინვალე პირიტისაგან. 7 წრიული ფორმის ბრინჯაოს სარკე აღმოჩნდა ურბნისის სამაროვნის მეორე ქრონოლოგიურ ჯგუფში (ახ.წ. I საუკუნის ბოლო - II საუკუნე) (სამარხი N230, ტაბ. XIII2, კატ. N64; სამარხი N205, ტაბ. XIV1, კატ. N75; სამარხი N193, ტაბ. XVI, კატ. N156; სამარხი

N170, ტაბ. XX2, კატ. N262; სამარხი N57, ტაბ. XXIII1, კატ. N317; სამარხი N218, ტაბ. XXIV2, კატ. N368; სამარხი N172, ტაბ. XXVIII1, კატ. N441). მათგან გამორჩეულია N170 სამარხში ნაპოვნი ორ სახელურიანი სარკე (კატ. N262). მესამე ქრონოლოგიურ ჯგუფში (ახ.წ. III საუკუნე) აღმოჩნდა ორი ბრინჯაოს სარკე (სამარხი N73, ტაბ. XXXIV5, კატ. N704; სამარხი N96, ტაბ. XXXVI9, კატ. N839). მეოთხე ქრონოლოგიურ ჯგუფში (ახ.წ. IV საუკუნე) ასევე წრიული ფორმის, მხოლოდ მოკალული ბრინჯაოს სარკე აღმოჩნდა (სამარხი N125; ტაბ. XXXVII1, კატ. N846). სარკეების შესწავლის დროს მნიშვნელოვანია მათი მდებარეობა სამარხში. მათი უმეტესობა აღმოჩენილია მიცვალებულის თავის არეში - თავის ქვეშ, სახესთან. ურბნისის 10 სარკიდან ვიცით 7 სარკის მდებარეობა სამარხში, 6 ზარძაყთან ან მკლავთან არის აღმოჩენილი, 1 კი თავთან. აღსანიშნავია, რომ დაბლაგომის ძვ.წ. III საუკუნის სამარხში სარკე მიცვალებულის ფეხებთან დაფიქსირდა (თოლორდავა 1983:74), ძვ.წ. V საუკუნის, ფიჭვნარის ბერძნულ ნეკროპოლზე სარკე თავთან და მოგვიანებით, მცხეთის ახ.წ. III საუკუნის N905 აკლდამაში თავის ქვეშ ფიქსირდება (კახიძე 2007:164-165; აფაქიძე, ნიკოლაიშვილი 1996: 12). შემთხვევითი არ უნდა იყოს ის, რომ ჩვენს მიერ შესწავლილ სამაროვანზე აღმოჩენილი სარკეები დამსხვრეული ან რამდენიმე ნაწილადაა გატეხილი. ეს გაცილებით ადრეული ტრადიციაა. ფიქრობენ, რომ სარკის გატეხვის რიტუალს მაგიური მნიშვნელობა ენიჭებოდა (Кузнецова 1980: 103). ის, რომ ყველა სარკე, გარდა ერთისა, ერთსა და იმავე ადგილას, ჩონჩხის ზარძაყთან აღმოჩნდა, კიდევ ერთხელ მიუთითებს აქ ერთიანი დაკრძალვის ტრადიციის არსებობაზე.

**ბალთა, აბზინდა.**

სამაროვანზე რამდენიმე სამარხში აღმოჩენილია ბრინჯაოს და რკინის ბალთები და აბზინდები (სამარხი N51, 277, 273, 92, 4, 267, 35, 104, 72, 179, 151). მეორე ქრონოლოგიურ ჯგუფში (ახ.წ. I საუკუნის ბოლო - II საუკუნე) დადასტურდა მხოლოდ ერთი შემთხვევა, დანარჩენი კი მესამე (ახ.წ. III საუკუნე) და მეოთხე ქრონოლოგიური ჯგუფის (ახ.წ. IV საუკუნე) სამარხებშია ნაპოვნი და ძირითადად რკინისაა.

**სალესი ქვა.**

სამაროვნის მხოლოდ ორ სამარხში (სამარხი N191, 267; ტაბ. XXXII1, XXXV3; კატ. NN582, 743) დაფიქსირდა თითო სალესი ქვის აღმოჩენის ფაქტი, ორივე გახვრეტილია და

ეტყობა გამოყენების კვალი. სამარხები ეკუთვნის მეორე და მესამე ქრონოლოგიურ ჯგუფებს (ახ.წ. I საუკუნის ბოლო - II საუკუნე, ახ.წ. III საუკუნე).

**კოვზი.**

სამაროვანზე ორ სხვადასხვა სამარხში ერთმანეთის იდენტური ბრინჯაოს ორი კოვზია აღმოჩენილი (სამარხი NN230, 59; ტაბ. XIII$_{2}$, XIV$_{4}$; კატ. NN65, 90). ერთ-ერთი აღმოჩნდა კარგად დათარიღებულ N230 სამარხში, რომლის მიხედვითაც დავათარიღეთ N59 სამარხი, სადაც სამარხეული ინვენტარი ერთადერთი კოვზით იყო წარმოდგენილი.

**ილარი.**

ილარი პირსაფარეშო ნივთია, რომლის ერთი ბოლო კოვზისებურად ჩაღრმავებულია. ფიქრობენ, რომ მას ყურის საწმენდად იყენებდნენ. საქართველოში უძველესი ილარი ბეშთაშენშია აღმოჩენილი და თარიღდება ძვ.წ. V საუკუნით (Куфтин 1941; დავლიანიძე 1983:8). საგანგებოდაა შესწავლილი ძვ.წ. IV-III საუკუნეების ილარები, რომელიც ცხოველებისა და ფრინველების გამოსახულებებითაა შემკული (გოგიბერიძე 2008:12). გვიანანტიკური ხანის ჟინვალის სამაროვანზე აღმოჩენილია 5 ილარი (ჩიხლაძე 2015:197), III-IV საუკუნეების სამარხებშია ნაპოვნი გოსტიბეში აღმოჩენლი ილარები (თორთლაძე 2015 :49-56). ურბნისის სამაროვანზე აღმოჩენილ ვერცხლის ილარს თანადროულ ძეგლებზე ანალოგი არ ეძებნება (ტაბ. XV, კატ. N117).

**ძვლის ღეროვანი ნივთები/სტილოსები (ტაბ. XXXIX$_{1}$).**

სამაროვნის 12 სამარხში აღმოჩნდა ძვლის ღეროვანი ნივთები (სამარხი NN269, 189, 193, 105, 170, 54, 234, 263, 73, 14, ნაშთი N22, 96; ტაბ. XI$_{2}$, XV, XVI, XVII$_{1}$, XX$_{1}$, XXIII$_{2}$, XIX$_{6}$, XXXIII$_{4}$, XXXIV$_{5}$, ტაბ. XXXV$_{5,9}$, XXXVI$_{9}$; კატ. NN24, 119, 158, 168, 246, 330, 482, 662, 709, 755, 777, 837), რომელთა დანიშნულების შესახებ არაფრის თქმა შეგვიძლია, თუმცა მსგავსი ტიპის ნივთებს ხშირად სტილოსებად მოიხსენიებენ (Gagoshidze 2008:112-113, cat. N99; კერესელიძე 1978). ურბნისის სამაროვანზე ისინი იმპორტული ნივთების (მინის ჭურჭელი, გლიპტიკური ძეგლები) შემცველ სამარხებში აღოჩნდა, მხოლოდ ერთ შემთხვევაში (სამარხი N269, ტაბ. ტაბ. XI$_{2}$) აღმოჩნდა ადგილობრივ კერამიკასთან.

**კოჭები (ტაბ. XXXIX$_{1}$).**

ცხოველის (ცხვარი) კოჭები აღმოჩნდა მეორე ქრონოლოგიური ჯგუფის (ახ.წ. I საუკუნის ბოლო- II საუკუნე) ექვს (სამარხი NN155, 67, 180, 279, 191, 277; ტაბ. XXI$_{3}$, XXVII$_{1}$, XXX$_{3}$, XXXI$_{4}$, XXXII$_{1}$; კატ. N279, 417, 506, 555, 583) და მესამე ქრონოლოგიური ჯგუფის (ახ.წ. III საუკუნე) ხუთ სამარხში (სამარხი NN248, 267, 148, 14, 72; ტაბ. XXXIV$_{6}$, XXXV$_{3}$, XXXV$_{4,5,12}$, კატ. N720, 744, 747, 756, 789). ყველა კოჭი საგანგებოდაა გახვრეტილი. გახვრეტილი კოჭებია აღმოჩენილი დედოფლის გორის სასახლეში (Gagoshidze 2008:89-90)

**ნემსი, მახათი, სადგისი.**

მეორე ქრონოლოგიური ჯგუფის (ახ.წ. I საუკუნის ბოლო- II საუკუნე) ექვს სამარხში აღმოჩნდა ბრინჯაოს 5 ნემსი, 1 მახათი (სამარხი NN189, 68, 215, 218, 67, 142; ტაბ. XV, XIX$_{4}$, XXII$_{1}$, XXIV$_{2}$, XXVII$_{1}$, XXXII$_{5}$; კატ. N118, 219, 292, 369, 416, 606) და 1 ძვლის სადგისი (სამარხი N142 (ტაბ. XXXII$_{5}$, კატ. N605)).

**თვალი.**

მეორე ქრონოლოგიური ჯგუფის (ახ.წ. I საუკუნის ბოლო- II საუკუნე) N172 სამარხში აღმოჩნდა რომბის ფორმის ოქროს ბუდეში ჩასმული გრანატის თვალი, ზურგის მხარეს ნახვრეტებით (ტაბ. XXVIII$_{1}$, კატ. N440).

## დასკვნა

ურბნისის სამაროვანი გვიანანტიკური ხანის მრავალფეროვან და მრავალრიცხოვან მასალას შეიცავს. ნაშრომში განხილულია სამაროვნის ერთ კონკრეტულ უბანზე (XXV) აღმოჩენილი ახ.წ. I-IV საუკუნეების 116 სამარხი. კვლევას მეცნიერულ ღირებულებას სძენს მათი კომპლექსურად შესწავლა. თითოეულ სამარხში აღმოჩენილმა სხვადასხვა კატეგორიის დამათარიღებელმა ნივთმა სამარხების ქრონოლოგიის დაზუსტების საშუალება მოგვცა. სამარხები ოთხ ძირითად ქრონოლოგიურ ჯგუფში განაწილდა, რომელთა ხანგრძლივობა არაუმეტეს 100-150 წელია.

I ქრონოლოგიურ ჯგუფს (ძვ.წ. I საუკუნის ბოლო-ახ.წ. I საუკუნის დასაწყისი) განეკუთვნება 9 სამარხი. მათგან ხის ძელებით აგებულია 1; ალიზისაგან - 1; ქვით შემოუსაზღვრავთ 1; ნაგებობა არ ჰქონდა 1 სამარხს; დანარჩენი უცნობია;

9 ინდივიდიდან ზურგზე გაშოტილია 4 მიცვალებული, რომელთაგან 2 ორიენტირებულია OW მიმართულებაზე, დანარჩენი უცნობია; მარცხენა გვერდზე მოხრილ მდგომარეობაში დაკრძალულია - 3, რომელთაგან 1 ორიენტირებულია OW მიმართულებაზე, დანარჩენი უცნობია; (შეად. დანართი 1, 2).

II ქრონოლოგიურ ჯგუფს (ახ.წ. I საუკუნის ბოლო - II საუკუნე) განეკუთვნება 70 სამარხი. მათგან ხის ძელებით აგებულია 47, რომელთაგან 8 სამარხი ქვით შემოუსაზღვრავთ, ხესთან ერთად ალიზია გამოყენებული 2 შემთხვევაში, ხე, ქვა და ალიზი კი, 1 შემთხვევაში. ალიზსაგან აუგიათ - 1, ქვით შემოუზღუდავთ 1, ნაგებობის გარეშე იყო 2, დანარჩენი უცნობია;

73 ინდივიდიდან ზურგზე გაშოტილი იწვა 58, რომელთაგან 55 ორიენტირებულია OW მიმართულებაზე; 3 - NO-SW მიმართულებაზე; 1 - NW-SO მიმართულებაზე. მარცხენა გვერდზე მოხრილ მდგომარეობაში დაკრძალულია 1, რომელიც ორიენტირებული OW მიმართულებაზე; დანარჩენი უცნობია; (შეად. დანართი 1, 2).

III ქრონოლოგიურ ჯგუფს (ახ.წ. III საუკუნე) განეკუთვნება 33 სამარხი. მათგან ხის ძელებით აგებულია 14, რომელთა შორის ქვითაა შემოსაზღვრული 3, ქვა და ალიზია გამოყენებული 1 შემთხვევაში. ალიზისგან აუგიათ 4; ალიზი და ქვაა გამოყენებული ერთ შემთხვევაში; ნაგებობის გარეშე იყო 6; დანარჩენი უცნობია.

33 ინდივიდიდან ზურგზე გაშოტილი დაუკრძალავთ 27, რომელთაგან 25 ორიენტირებულია OW მიმართულებაზე. მარცხენა გვერდზე მოხრილ მდგომარეობაში ესვენა 1; მარჯვენა გვერდზე მოხრილი 3, რომელთაგან SO-NW მიმართულებაზე ორიენტირებულია 2; დანარჩენი უცნობია. (შეად. დანართი 1, 2).

IV ქრონოლოგიურ ჯგუფს (ახ.წ. IV საუკუნე) განეკუთვნება 4 სამარხი. მათგან ხის ძელებით აუგიათ 3, რომელთაგან 1 შემთხვევაში გამოიყენეს ალიზი. დანრჩენი უცნობია. შვიდივე ინდივიდი ზურგზეა გაშოტილი, რომელთაგან 6 ორიენტირებულია OW მიმართულებაზე, 1 - NO-SW მიმართულებაზე. (შეად. დანართი 1, 2).

სტრატიგრაფიულმა მონაცემებმა და არქეოლოგიურმა კონტექსტმა ხშირ შემთხვევაში საშუალება მოგვცა ძირითადი ქრონოლოგიური ჯგუფები კიდევ უფრო დაგვენაწევრებინა. ქრონოლოგიური ჯგუფების მიხედვით აშკარა სხვაობა შეინიშნება კონკრეტული კატეგორიის ნივთებში.

**თიხის ჭურჭელი**. სამაროვანზე თიხის ჭურჭლის რამდენიმე ტიპია აღმოჩენილი: სანელსაცხებლე, დოქი, დერგი, ქილა, ქოთანი, კოჭობი, ჯამი და პელიკისებური ჭურჭელი. მათგან იმპორტულია თითისტარისებური ფორმის სანელსაცხებლეები, რომელიც მეორე ქრონოლოგიური ჯგუფის (ახ.წ. I საუკუნის ბოლო- II საუკუნე) საწყისი ეტაპით დათარიღებულ სამარხებშია აღმოჩენილი და გარე სამყაროსთან არსებულ მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკურ კონტაქტებზე მეტყველებს. ადგილობრივი თიხის ჭურჭელი იმეორებს გვიანანტიკური ხანის ქართლში გავრცელებული კერამიკის ფორმებს. თიხის ჭურჭლის უმეტესობა სამაროვანზე დოქებია, რომელთა ფორმისა და ორნამენტის ცვლილება ქრონოლოგიური ჯგუფის ყველა ეტაპზე იკვეთება. აღმოჩნდა, რომ **პირველი ქრონოლოგიური ჯგუფი**ს (ძვ.წ. I საუკუნის ბოლო - ახ.წ. I საუკუნის დასაწყისი) დოქები დაბალყელიანი და სფერულმუცლიანია, რომელთა ყური პირის კიდესა და მხარზეა მიმაგრებული. მოხატულობა წითელი, სადა ან ტალღოვანი ზოლებია, რომელიც ჭურჭლის ხაოიან ზედაპირზეა შესრულებული. ამავე ჯგუფში წითლად შეღებილი დოქიც გვხვდება, რომელზეც საღებავი ნაწილობრივაა შერჩენილი. გვხვდება შავად გამომწვარი ხაოიან ზედაპირიანი და მდარე სიპრიალის ხარისხის მქონე ჭურჭლებიც. აღსანიშნავია, რომ გრეხილყურიანი ჭურჭლების უმეტესობა პირველ

ქრონოლოგიურ ჯგუფში (ძვ.წ. I საუკუნის ბოლო - II საუკუნე) იყრის თავს. **მეორე ქრონოლოგიურ ჯგუფში** (ახ.წ. I საუკუნის ბოლო- II საუკუნე) გვხვდება კარგად განლექილი თიხისაგან დამზადებული ჩალისფერკეციანი და შავპრიალა ჭურჭლები. დოქები ფართოპირიანი, სფერულმუცლიანი, იშვიათად ელიფსოიდურმუცლიანი ან მსხლისებურმუცლიანი და ფართოძირიანია. ყური მიძერწილია პირის კიდესა და მხარზე. ამავე ქრონლოგიურ ჯგუფში გამოჩენას იწყებს ჭურჭლის ახალი ფორმები: ყელწიბოიანი დოქები, დერგი და პელიკისებური ჭურჭელი. დერგის გარდა, ყველა ყელწიბოიან ჭურჭელს ყური წიბოსა და მხარზე აქვს დაძერწილი. ამ ჯგუფის კერამიკის მოხატულობა წინარე პერიოდთან შედარებით დატვირთულია. გვხვდება ჭურჭელზე წითლად დატანილი ტალღოვანი, სადა და წერტილოვანი ორნამენტი. დოქების უმეტესობას მხარზე მოკლე, ირიბი წითელი ზოლები აქვს. შავად გამომწვარ ჭურჭლებს დაბალი ხარისხის სიპრიალე ახასიათებს. ძირითადად მდარეა ჭურჭლების შეღებვის ხარისხიც, თუმცა, მეორე ქრონოლოგიური ჯგუფის ფინალურ ეტაპზე გვხვდება საკმაოდ მკვეთრი, წითელი საღებავით შეღებილი რამდენიმე დოქი. ამავე პერიოდში იწყებს გამოჩენას ჭურჭლის ახალი ფორმა - ორყურა ქილა, სიახლეა ზოგიერთი დოქის ყურზე დატანილი ცერისებური დანაძერწი, ჩნდება ორნამენტის ახალი სტილი - ჭურჭლის კორპუსის რელიეფური ბურცობებით ან ღარებით შემკობა. **მესამე ქრონოლოგიური ჯგუფის** (ახ.წ. III საუკუნე) ყელწიბოიანი დოქები ფორმით განსხვავდება მეორე ჯგუფის ამავე ტიპის ჭურჭლისაგან. ფორმაში თითქოს არაფერი იცვლება, თუმცა ჭურჭლის ბაკო შედარებით გათხელებულია და წიბოდან გამოსული ყური მხარზე განივად არის დაძერწილი. ჭურჭლების ძირი ადრეულ პერიოდთან შედარებით ფართოა. იმატებს ორყურა ქილების რაოდენობა. ახ.წ. III საუკუნის დასაწყისისთვის ჭურჭლის წითლად შეღებვის ტრადიცია გრძელდება და საღებავიც საკმაოდ მკვეთრია. მოხატული კერამიკა აღარ გვხვდება, ორნამენტი კი, მხოლოდ ჭურჭლის კორპუსზე დატანილი ირგვილივი ბურცობების რიგებით შემოიფარგლება. **მეოთხე ქრონოლოგიურ ჯგუფში** (ახ.წ. IV საუკუნე) ჭურჭლის აბსოლუტურად განსხვავებული ფორმა გვხვდება. მსხლისებური ფორმის დოქს ყელსა და მხარზე ყური აქვს დაძერწილი. თიხა მკვეთრად კრიალა, მოწითალო ფერისაა.

სამაროვანზე აღმოჩენილი თიხის ნაწარმი გვიანანტიკური ხანის ქართლში გავრცელებული კერამიკის იდენტურია. გაირკვა, რომ პირველი ქრონოლოგიური ჯგუფის კერამიკა (ძვ.წ. I ს ბოლო - ახ.წ. I საუკუნის დასაწყისი) ბამბების ნამოსახლარის, მოგვთაკარის, სამთავროს და ტახტიძირის სამაროვნების ჭურჭელს ჰგავს; მეორე ქრონოლოგიური ჯგუფის (ახ.წ. I საუკუნის ბოლო - II საუკუნის) - დედოფლის გორის სასახლის თიხის ნაწარმს, მესამე ქრონოლოგიური ჯგუფის (ახ.წ. III საუკუნე) - სამთავროს და ჟინვალის სამაროვნებზე აღმოჩენილი თიხის ჭურჭლის ფორმებს იმეორებეს, ხოლო მეოთხე ქრონოლოგიური ჯგუფში (ახ.წ. IV საუკუნე) აღმოჩენილია ჟინვალისა და მოდინახეს ძეგლებზე ნაპოვნი დოქების იდენტური ჭურჭელი.

ადგილობრივი კერამიკის ანალოგებმა წარმოდგენა შეგვიქმნა ქართლის შიდა რეგიონებს შორის არსებულ მჭიდრო კონტაქტებზე. იმპორტული თიხის სანელსაცხებლეების არსებობა კი, ამავე საზოგადოების გარესამყაროსთან მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების დამადასტურებელია.

**მინის ჭურჭელი.** სამაროვანი გამორჩეულია მინის ჭურჭლის სიმრავლით. გაირკვა, რომ მისი რაოდენობა თიხის ნაწარმის რაოდენობას 2,5-ჯერ აღემატება. სამაროვანზე მინის ნაწარმის მასიურად გამოჩენა მეორე ქრონოლოგიური ჯგუფიდან (ახ.წ. I საუკუნის ბოლო- II საუკუნე) იწყება. ფორმაში გამობერილი მინის ჭურჭელი ახ.წ. I საუკუნის ბოლო - II საუკუნის დასაწყისით დათარიღებულ სამარხებში იყრის თავს. კონუსურ, მსხლისებურ და კოლბისებურმუცლიანი სანელსაცხებლეები მეორე, მესამე და მეოთხე ქრონოლოგიურ ჯგუფში (ახ.წ. IV საუკუნე) დასტურდება. გვხვდება იშვიათი ფორმის ჭურჭელიც, რომელიც სხვადასხვა ქრონოლოგიურ ჯგუფშია გაბნეული და ჩვენს მიერ შემუშავებულ ქრონოლოგიურ შკალაზეა დატანილი (იხ. შკალა N2). თანადროული სამაროვნებისაგან განსხვავებით, ურბნისის სამაროვანზე მინის ჭურჭლის განსაკუთრებული მოზღვავება შეინიშნება, რაც, შესაძლოა, დაკრძალვის რიტუალთან იყოს კავშირში. აღსანიშნავია, რომ სამაროვანზე დადასტურდა მინის კუბიკოსი, რომელიც კომპაქტური და მოსახერხებელი ჭურჭელი იქნებოდა დიდ მანძილზე სითხის გადასაზიდად. დასაშვებია, რომ თიხისა და მინის სანელსაცხებლე ჭურჭლით

ნელსაცხებლის იმპორტი ხდებოდა, რომელსაც ურბნისში მცხოვრები საზოგადოება დაკრძალვის რიტუალისთვის საჭიროებდა.

**გლიპტიკური ძეგლები.** გლიპტიკურმა ძეგლებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სამარხთა თარიღის განსაზღვრაში. მათი რაოდენობრივი წილი სამაროვანზე საკმაოდ მაღალია და აღმოჩენილი ინვენტარის მეოთხედს აღემატება. აღსანიშნავია სამაროვანზე აღმოჩენილი ბერძნულ, ლათინურ და ებრაულ წარწერიანი ბეჭდები, რაც აქ მცხოვრები საზოგადოების კავშირებსა და სოციალურ სტატუსზე მეტყველებს.

**სამგლოვიარო გვირგვინი.** დამათარიღებელი მნიშვნელობისაა სამგლოვიარო გვირგვინიც, რომლის ფორმა საქართველოში აღმოჩენილ არცერთ ძეგლზე ფიქსირდება ხოლო მისი ანალოგები, ამიერკავკასიის ფარგლებს გარეთ არაერთ ძეგლზე აღმოჩენილ პორტრეტს ამკობს. პორტრეტები ახ.წ. 50-170 წლებით თარიღდება. სამარხების კომპლექსურად შესწავლამ გვიჩვენა, რომ სამგლოვიარო გვირგვინის ფურცლების შემცველი სამარხების გამართვა პორტრეტების ასაკს ემთხვევა. ურბნისში მცხოვრები საზოგადოება არ ჩამორჩებოდა იმდროინდელ სამყაროში არსებულ ტენდენციებს.

**მონეტა - ქარონის ობოლი (იხ. შკალა N3).** ურბნისის სამაროვანზე აღმოჩენილია პართული და რომაული მონეტები (16 ერთეული), რომელთაგან 12 ქარონის ობოლია, რაც უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტია ქართლში ელინისტური ტრადიციების ინფილტრაციის ქრონოლოგიასთან მიმართებაში. მათი მოჭრის თარიღი ყველა შემთხვევაში წინ უსწრებს სამარხების გამართვის თარიღებს.

ურბნისის სამაროვანი საქართველოში გათხრილი თანადროული სამაროვნებისაგან დაკრძალვის წესითაც განსხვავდება. მეცნიერების აზრით, ერთ სამაროვანზე დაკრძალვის სხვადასხვა წესის არსებობა ეთნიკურ სიჭრელეზე მეტყველებს. ურბნისში კი სამარხების 90%-ში მიცვალებული ზურგზეა გაშოტილი და ორიენტირებულია თავით აღმოსავლეთით; თითქმის 80% შემთხვევაში სამარხ ორმოში ხის კონსტრუქციაა გამართული. დაკრძალვის წესის ისეთი ერთგვაროვნება, როგორიც ურბნისისთვისაა დამახასიათებელი, მიანიშნებს აქ მცხოვრები საზოგადოების საერთო ეთნიკურ წარმომავლობაზე, ან რელიგიურ კუთვნილებაზე. მიუხედავად მათი მჭიდრო კონტაქტებისა ადგილობრივ რეგიონებთან, ისინი ოთხი საუკუნის მანძილზე მკაცრად

ინარჩუნებენ თვითმყოფად ტრადიციებს. სამაროვანზე აღმოჩენილი ინვენტარი არ გამოირჩევა განსაკუთრებული  სიმდიდრით. ჩანს, ის საზოგადოების საშუალო ფენას ეკუთვნოდა, რომლისთვისაც ხელმისაწვდომი იყო ფუფუნების ისეთი ნივთები, როგორიცაა: იმპორტული ნელსაცხებელი და გლიპტიკური ნაწარმი. მასთან ერთად რომაული და პართული მონეტების არსებობა, კარგი ილუსტრაციაა გვიანანტიკურ ხანაში იბერიის მჭიდრო კონტაქტებისა გარე სამყაროსთან - რომთან, პართიასთან და ახლოაღმოსავლეთის ქვეყნებთან.  ის ფაქტი, რომ იმპორტული ნაწარმი დამზადებიდან მალევე ხვდება ურბნისის ტერიტორიაზე (მინის ჭურჭელი, გლიპტიკური ნაწარმი, სამგლოვიარო გვირგვინი) მეტყველებს იმაზე, რომ იქ მცხოვრები საზოგადოება იმდროინდელ სამყაროში გავრცელებულ ტენდენციებს არ ჩამორჩება. ცხადია, გარე სამყაროსთან  აქტიურ კავშირს ხელს უწყობდა გვიანანტიკურ ხანაში იბერიაზე გამავალი ერთ-ერთი სავაჭრო-სატრანზიტო გზა.

**დიაგრამა N13 - სამარხთა ტიპები**



## დიაგრამა N14 - მიცვალებულთა პოზა და ორიენტაცია




## დიაგრამა N15 - ინვენტარის პროცენტული გადანაწილება სამაროვანზე



<table>
<tr><th colspan="19">დანართი 1. სამარხთა აგებულება და დაკრძალვის წესი</th></tr>
<tr><th rowspan="4">ქრონოლოგიური ჯგუფი</th><th rowspan="4">სამარხების რაოდენობა</th><th rowspan="4">ინდივიდის რაოდენობა</th><th colspan="9" rowspan="3">სამარხის აგებულება</th><th colspan="7">მიცვალებულთა პოზა, დამხრობა</th></tr>
<tr><th colspan="3" rowspan="2">ზურგზე გაშოტილი</th><th colspan="2">მოხრილი</th><th rowspan="2">პოზა?</th><th rowspan="2">დამხრობა?</th></tr>
<tr><th>მარცხენა</th><th>მარჯვენა</th></tr>
<tr><th>ხე</th><th>ხე, ქვა</th><th>ხე, ალიზი</th><th>ხე,, ქვა, ალიზი</th><th>ალიზი</th><th>ქვა</th><th>ალიზი, ქვა</th><th>ნაგებობის გარეშე</th><th>არ არის ინფორმაცი ა</th><th>OW</th><th>NO-SW</th><th>NW-SO</th><th>OW</th><th>SO-NW</th><th></th><th></th></tr>
<tr><td rowspan="3">I</td><td rowspan="3">9</td><td rowspan="3">9</td><td rowspan="3">1</td><td rowspan="3">-</td><td rowspan="3">-</td><td rowspan="3">-</td><td rowspan="3">1</td><td rowspan="3">1</td><td rowspan="3">-</td><td rowspan="3">1</td><td rowspan="3">5</td><td colspan="3" rowspan="2">4</td><td colspan="2">4</td><td rowspan="3">1</td><td rowspan="3">6</td></tr>
<tr><td>3</td><td>-</td></tr>
<tr><td>2</td><td>-</td><td>-</td><td>1 (OW)</td><td>-</td></tr>
<tr><td rowspan="3">II</td><td rowspan="3">70</td><td rowspan="3">73</td><td rowspan="3">36</td><td rowspan="3">8</td><td rowspan="3">2</td><td rowspan="3">1</td><td rowspan="3">1</td><td rowspan="3">1</td><td rowspan="3">-</td><td rowspan="3">2</td><td rowspan="3">19</td><td colspan="3">58</td><td colspan="2">1</td><td rowspan="3">14</td><td rowspan="3">15</td></tr>
<tr><td rowspan="2">55</td><td rowspan="2">3</td><td rowspan="2">1</td><td>1</td><td>-</td></tr>
<tr><td>-</td><td>-</td></tr>
<tr><td rowspan="3">III</td><td rowspan="3">33</td><td rowspan="3">39</td><td rowspan="3">10</td><td rowspan="3">3</td><td rowspan="3">-</td><td rowspan="3">1</td><td rowspan="3">4</td><td rowspan="3">-</td><td rowspan="3">1</td><td rowspan="3">6</td><td rowspan="3">8</td><td colspan="3">27</td><td colspan="2">4</td><td rowspan="3">7</td><td rowspan="3">12</td></tr>
<tr><td rowspan="2">25</td><td rowspan="2">-</td><td rowspan="2">-</td><td>1</td><td>3</td></tr>
<tr><td>-</td><td>2</td></tr>
<tr><td>IV</td><td>4</td><td>7</td><td>2</td><td>-</td><td>1</td><td>-</td><td>-</td><td>-</td><td>-</td><td>-</td><td>1</td><td>6</td><td>1</td><td>-</td><td colspan="2">-</td><td>-</td><td>-</td></tr>
<tr><td rowspan="3">სულ</td><td rowspan="3">116</td><td rowspan="3">128</td><td rowspan="3">49</td><td rowspan="3">11</td><td rowspan="3">3</td><td rowspan="3">2</td><td rowspan="3">6</td><td rowspan="3">2</td><td rowspan="3">1</td><td rowspan="3">9</td><td rowspan="3">33</td><td colspan="3">97</td><td colspan="2">9</td><td rowspan="3">22</td><td rowspan="3">33</td></tr>
<tr><td rowspan="2">88</td><td rowspan="2">4</td><td rowspan="2">1</td><td>5</td><td>3</td></tr>
<tr><td>1</td><td>2</td></tr>
</table>

| დანართი N2. სამარხთა აგებულება და დაკრძალვის წესი ცალკეული სამარხების მიხედვით. | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სამარხი N | სამარხის აგებულება | | | | | პოზა, დამხრობა | | | | | | | | |
| | | ხე | ალიზი | ქვა | ნაგებობის გარეშე | არ არის ინფორმაცია | გაშოტილი ზურგზე | | | მოხრილი | | | | პოზა ? | დამხრობა? |
| | | | | | | | OW | NO-SW | NW-SO | მარცხენა | მარჯვენა | OW | SO-NW | | |
| 1 | 50 | | | | | + | | | | + | | | | | + |
| 2 | 241 | | | | | + | | | | | | | | + | + |
| 3 | 77 | + | | | | | | | | + | | | | | + |
| 4 | 118 | | | | + | | | | | + | | | | | + |
| 5 | 28 | | | | | + | | | | + | | + | | | |
| 6 | 271 | | | | | + | + | | | | | | | | |
| 7 | 269 | | | | | + | | + | | | | | | | + |
| 8 | 116 | | + | | | | | + | | | | | | | + |
| 9 | 7 | | | + | | | + | | | | | | | | |
| 10 | 136 | + | + | | | | | | | | | | | + | + |
| 11 | 230 | + | | | | | + | | | | | | | | |
| 12 | 205 | + | | | | | + | | | | | | | | |
| 13 | 245 | + | | | | | | + | | | | | | | |
| 14 | 187 | + | | | | | | | | | | | | + | + |
| 15 | 59 | + | | + | | | + | | | | | | | | |
| 16 | 189 | + | | | | | + | | | | | | | | |
| 17 | 193 | + | | | | | + | | | | | | | | |
| 18 | 105 | + | | | | | | + | | | | | | | |
| 19 | 152 | + | | | | | + | | | | | | | | |
| 20 | 207 | + | + | | | | + | | | | | | | | |
| 21 | 208 | + | | | | | + | | | | | | | | |
| 22 | 51 | + | | + | | | ++ | | | | | | | | |
| 23 | 178 | + | | | | | + | | | | | | | | |
| 24 | 163 | + | | | | | + | | | | | | | | |
| 25 | 68 | + | | | | | + | | | | | | | | |
| 26 | 170 | + | | | | | + | | | | | | | | |
| 27 | 20 | + | | + | | | + | | | | | | | | |
| 28 | 15 | + | | | | | + | | | | | | | | |
| 29 | 90 | + | | + | | | + | | | | | | | | |
| 30 | 155 | + | | + | | | + | | | | | | | | |
| 31 | ნაშთი 7 | | | | | + | | | | | | | | + | + |
| 32 | 215 | + | | | | | + | | | | | | | | |
| 33 | 231 | + | | | | | + | | | | | | | | |

| | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 34 | 216 | | | | | + | + | | | | | | | | |
| 35 | 272 | + | | | | | + | | | | | | | | |
| 36 | 57 | + | | + | | | ++ | | | | | | | | |
| 37 | 54 | + | | + | | | + | | | | | | | | |
| 38 | 229 | | | | | + | + | | | | | | | | |
| 39 | 164 | | | | + | | + | | | | | | | | |
| 40 | 165 | | | | | + | + | | | | | | | | |
| 41 | 200 | + | | | | | + | | | | | | | | |
| 42 | 218 | + | | | | | + | | | | | | | | |
| 43 | 162 | + | | | | | + | | | | | | | | |
| 44 | ნაშთი 6 | | | | | + | | | | | | | | + | + |
| 45 | 84 | + | | | | | + | | | | | | | | |
| 46 | 258 | | | | | + | ++ | | | | | | | | |
| 47 | 256 | + | | | | | + | | | | | | | | |
| 48 | 275 | | | | | + | | | | | | | | + | + |
| 49 | 67 | + | | + | | | + | | | | | | | | |
| 50 | 240 | | | | | + | | | | | | | | + | + |
| 51 | 172 | + | | | | | + | | | | | | | | |
| 52 | 23 | + | | | | | + | | | | | | | | |
| 53 | 100 | + | | | | | + | | | | | | | | |
| 54 | 24 | + | | | | | + | | | | | | | | |
| 55 | 221 | + | | | | | + | | | | | | | | |
| 56 | 257 | + | | | | | + | | | | | | | | |
| 57 | 243 | + | | | | | + | | | | | | | | |
| 58 | 181 | + | | | | | + | | | | | | | | |
| 59 | 233 | | | | | + | | | | | | | | + | + |
| 60 | 234 | + | | | | | + | | | | | | | | |
| 61 | 224 | | | | | + | + | | | | | | | | |
| 62 | 266 | | | | | + | | + | | | | | | | |
| 63 | 180 | | | | | + | + | | | | | | | | |
| 64 | 182 | | | | | + | | | | | | | | + | + |
| 65 | 55 | | | | + | | + | | | | | | | | |
| 66 | 1 | | | + | | | + | | | | | | | | |
| 67 | 86 | + | | | | | + | | | | | | | | |
| 68 | 112 | | | | | + | | | | | | | | + | + |
| 69 | 110 | + | | | | | + | | | | | | | | |
| 70 | 279 | | | | | + | | | | | | | | + | + |
| 71 | 128 | | | | | + | | | | + | | | | | + |
| 72 | 13 | | | | | + | | | | | | | | + | |
| 73 | 191 | + | | | | | + | | | | | | | | |
| 74 | ნაშთი 23 | | | | | + | | | | | | | | + | + |
| 75 | 201 | | + | | | | | | + | | | | | | |
| 76 | 277 | | | | | + | | | | | | | | + | + |

| | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 77 | 142 | + | | | | | + | | | | | | | | |
| 78 | 114 | + | | | | | + | | | | | | | | |
| 79 | 115 | + | + | + | | | + | | | | | | | | |
| 80 | 237 | + | | | | | + | | | | | | | | |
| 81 | 92 | + | | | | | | | | | + | | | | + |
| 82 | 273 | | | | | + | | + | | | | | | | |
| 83 | 263 | | | | + | | + | | | | | | | | |
| 84 | 276 | | | | | + | | | | | | | | + | + |
| 85 | 247 | | + | | | | | | | | | | | + | + |
| 86 | 265 | | + | | | | + | | | | | | | | |
| 87 | ნაშთი 11 | | | | | + | | | | | | | | + | + |
| 88 | 183 | | + | | | | + | | | | | | | | |
| 89 | 4 | | + | + | | | ++ | | | | + | | + | | |
| 90 | 73 | | | | | + | + | | | | | | | | |
| 91 | 248 | | | | + | | + | | | | | | | | |
| 92 | 153 | + | | | | | + | | | | | | | | |
| 93 | 168 | + | | + | | | + | | | | | | | | |
| 94 | 267 | | + | | | | ++ | | | | | | | | |
| 95 | 148 | | | | | + | + | | | | | | | | |
| 96 | 14 | + | | | | | ++ | | | | | | | | |
| 97 | 93 | + | | | | | | + | | | | | | | + |
| 98 | 129 | | | | | + | | + | | | | | | | + |
| 99 | 35 | + | | | | | + | | | | | | | | |
| 100 | ნაშთი 22 | | | | | + | | | | | | | | + | + |
| 101 | 104 | + | | | | | | | | + | | | | | + |
| 102 | 242 | | | | + | | + | | | | | | | | |
| 103 | 72 | + | | | | | ++ | | | | | | | | |
| 104 | 197 | + | + | + | | | + | | | | | | | | |
| 105 | 109 | | | | | + | | | | | + | | + | | |
| 106 | 38 | + | | | | | + | | | | | | | | |
| 107 | 157 | + | | | | | + | | | | | | | | |
| 108 | 47 | | | | + | | + | | | | | | | | |
| 109 | 135 | | | | + | | + | | | | | | | | |
| 110 | 158 | + | | + | | | | | | | | | | + | + |
| 111 | 167 | | | | + | | | | | | | | | + | + |
| 112 | 96 | + | | + | | | | | | | | | | + | + |
| 113 | 125 | + | + | | | | + | | | | | | | | |
| 114 | 238 | + | | | | | + | | | | | | | | |
| 115 | 179 | + | | | | | ++++ | | | | | | | | |
| 116 | 151 | | | | | + | | + | | | | | | | |

**გამოყენებული ლიტერატურა:**

**წყაროები**

1. **ქართლის ცხოვრება** ტ. IV, ბატონიშვილი ვახუშტი აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. "საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1973.

2. **ლეონტი მროველი** ცხოვრება ქართველთა მეფეთა. ნინოს მიერ ქართლის მოქცევა, რედ. მ. ლორთქიფანიძე, „ნიკე". თბილისი, 1996, გვ. 37-132.

3. **აბრამიშვილი ... 1962:** აბრამიშვილი რ., ჭილაშვილი ლ., ლოჭინის ნასოფლარის არქეოლოგიური გათხრები, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XXIII-B, თბილისი, 1962, გვ. 197-206.

4. **აფაქიძე ... 1955:** აფაქიძე ა., გობეჯიშვილი გ., კალანდაძე ა., ლომთათიძე გ., მცხეთა - არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, მცხეთა I, „სსრ საქართველოს მეცნიერებათა აკადემია", თბილისი, 1955.

5. **აფაქიძე ...1978:** აფაქიძე ა., კალანდაძე ალ., ნიკოლაიშვილი ვ., მცხეთა 1975, მცხეთის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიციის 1975 წლის მუშაობის ანგარიში, თბილისი, 1978, გვ. 8-80.

6. **აფაქიძე ... 1981:** აფაქიძე ა., აბდუშელაშვილი მ., ნიკოლაიშვილი ვ., სიხარულიძე ა., მანჯგალაძე გ., გიუნაშვილი გ., ძნელაძე მ., სადრაძე ვ., ირემაშვილი შ. მცხეთა - 1978 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, მცხეთა V, თბილისი, 1981, გვ. 153-158.

7. **აფაქიძე ... 1981:** აფაქიძე ა., აბდუშელიშვილი მ., ნიკოლაიშვილი ვ., სიხარულიძე ა., სადრაძე ვ., მანჯგალაძე გ., ჯღარკავა თ., გიუნაშვილი გ., ირემაშვილი შ, გავაშელი ე., მელითაური კ., მცხეთა - 1977 წლის საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, მცხეთა V, თბილისი, 1981, გვ. 119-127.

8. **აფაქიძე … 1982:** აფაქიძე ა, ნიკოლაიშვილი ვ., მელითაური კ., სიხარულიძე ა., სადრაძე ვ., ძნელაძე მ., მანჯგალაძე გ., ხეცურიანი ლ., ჭანიშვილი თ., გიუნაშვილი გ., დავლიანიძე რ., გავაშელი ე., ირემაშვილი შ., ბიბილური თ., ღლონტი ნ., დიდი მცხეთა, 1979, მცხეთა VI, თბილისი, 1982, გვ. 191-213.

9. **აფაქიძე … 1989:** აფაქიძე ქ., ნიკოლაიშვილი ვ., სიხარულიძე ა., ბიბილური თ., გიუნაშვილი გ., ირემაშვილი შ., მანჯგალაძე გ., სადრაძე ვ., დიდი მცხეთა 1980, მცხეთა IX, თბილისი, 1989, გვ. 6-39.

10. **აფაქიძე … 1989:** აფაქიძე ა., ნიკოლაიშვილი ვ., სიხარულიძე ა., ბიბილური თ., გიუნაშვილი გ., ირემაშვილი შ., მანჯგალაძე გ., სადრაძე ვ., ხეცურიანი ლ., დიდი მცხეთა, 1981, საველე-არქეოლოგიური კველვა-ძიების შედეგები. მცხეთა IX, თბილისი, 1989, გვ. 40-76.

11. **აფაქიძე … 1995:** ა. აფაქიძე, ვ. ნიკოლაიშვილი, გ. გიუნაშვილი, გ. მანჯგალაძე, მ. ძნელაძე, ვ. სადრაძე, რ. დავლიანიძე მცხეთა - 82, საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, მცხეთა X, თბილისი, 1995, გვ. 6-58.

12. **აფაქიძე … 1996:** აფაქიძე ა., ნიკოლაიშვილი ვ., მცხეთა XI, მცხეთის წარჩინებულთა განსასვენებელი ახ.წ. III საუკუნის - აკლდამა 905, თბილისი, 1996, გვ. 7-42.

13. **ბრაუნდი … 2009:** ბრაუნდი დ., ჯავახიშვილი ქ., ნემსაძე გ., საგანძური ზღუდერიდან, თბილისი, 2009.

14. **გაბუნია 2017:** გაბუნია ა., გლიპტიკის ნიმუშები საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექციიდან, იბერია-კოლხეთი, N13, თბილისი, 2017, გვ. 87-98.

15. **გაგოშიძე 1964:** გაგოშიძე ი., ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან, მეცნიერება, თბილისი, 1964.

16. **გაგოშიძე 2020:** გაგოშიძე ი., ტახტიძირის სამაროვნები, გვაიანაქემენიდური-ადრეელინისტური ხანის სამაროვანი, თბილისი, 2020, გვ. 19-177.

17. **გაგოშიძე 2020:** გაგოშიძე ი., გაგოშიძე დ., გვიანელინისტური-ადრერომაული ხანის სამაროვანი, ტახტიძირის სამაროვნები, თბილისი, 2020, გვ. 255-300.

18. **გოგიბერიძე 2008:** გოგიბერიძე ნ., საკინძებისა და ილარების ზოგიერთი ტიპის თარიღისათვის, იბერია-კოლხეთი, N4, თბილისი 2008, გვ. 5-13.

19. **გოგიბერიძე ... 2010:** გოგიბერიძე ნ., ჯავახიშვილი ქ., ლითონის სამკაული დედოფლის გორიდან, იბერია-კოლხეთი N6, თბილისი, 2010, გვ. 25-38.

20. **გოგიბერიძე 2012:** გოგიბერიძე ნ., ბავშვების სამარხების ერთი ჯგუფი ტახტიძირის ძვ.წ. IV-III სს. სამაროვნიდან, იბერია-კოლხეთი, N8, თბილისი, 2012, გვ. 42-45.

21. **გოგიბერიძე 2016:** გოგიბერიძე ნ., ოქროფენილი მძივები დედოფლის გორიდან, საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე, სერია VII (52-B), თბილისი, 2016, გვ. 31-38.

22. **გოგიბერიძე ... 2020:** გოგიბერიძე ნ., გაგოშიძე ი., ზარდახშა, ტახტიძირის სამაროვნები, თბილისი 2020, გვ. 25.

23. **დავლიანიძე 1983:** დავლიანიძე ც., ქვემო ქართლის (თრიალეთის) კულტურა ძვ.წ. I ათასწლეულის მეორე ნახევარში, „მეცნიერება", თბილისი, 1983.

24. **ზაქარაია 1990:** ზაქარაია პ., ურბნისი, საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, თბილისი, 1990, გვ. 396-403.

25. **თოლორდავა 1963:** თოლორდავა ვ., მასალების ქართლის სამეფოს ისტორიისათვის ძვ.წ. III-I სს. (ქვევრსამარხები აღმოსავლეთ საქართველოში) - მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. III, თბილისი, 1963, გვ. 137-167.

26. **თოლორდავა 1980:** თოლორდავა ვ., დამარხვის წესები ელინისტური ხანის საქართველოში, „მეცნიერება", თბილისი, 1980.

27. **თოლორდავა 1983:** თოლორდავა ვ., მდიდრული სამარხი დაბლაგომიდან, ვანი II, თბილისი, გვ. 68-79.

28. **თორთლაძე 2015:** თორთლაძე ზ., გოსტიბეს არქეოლოგიური ძეგლები, „მერიდიანი", თბილისი.

29. **ინაიშვილი 1993:** ინაიშვილი ნ., ციხისძირის ახ.წ. I-VI საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები, „მეცნიერება", თბილისი, 1993.

30. **კაჭარავა 2007:** კაჭარავა დ., ახვლედიანი დ., კვირკველია გ., ვანი ძვ.წ. IV საუკუნესა და III საუკუნის პირველ ნახევარში, იბერია-კოლხეთი, N3, თბილისი 2007, გვ. 57-62.

31. **კახიძე 2007:** კახიძე, ა. ფიჭვნარი II, ბათუმი, ოქსფორდი, 2007.

32. **კერესელიძე 1978:** კერესელიძე თ., ძვლის ნივთების კატალოგი (მუზეუმის შუასაუკუნეების არქეოლოგიის განყოფილების მიხედვით), „მეცნიერება" თბილისი 1978.

33. **კიკვიძე 1972:** კიკვიძე ი., ხიზანაანთ გორის (ურბნისის) ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარი, თბილისი, 1972.

34. **ლიჩელი 1991:** ძველი ვანი, სამეურნეო უბანი, თბილისი, 1991.

35. **ლიჩელი 2018:** კავკასიის არქეოლოგია, ანტიკური კავკასია, ენციკლოპედია ტ. III, “ლოგოსი“, თბილისი, 2018.

36. **ლომთათიძე 1957:** ლომთათიძე გ., კლდეეთის სამაროვანი, მეცნიერება, თბილისი, 1957.

37. **ლომთათიძე 1964:** ლომთათიძე გ., ურბნისის ნაქალაქარის არქეოლოგიური კვლევის დასაწყისი, N2, „მაცნე“, თბილისი, 1964.

38. **მანჯგალაძე 1985:** მანჯგალაძე გ., სამთავროს სამაროვნის გვიანანტიკური ხანის სამარხები, მცხეთა VII, თბილისი, 1985, გვ. 43-108.

39. **მახარაძე ... 2007:** მახარაძე გ., წერეთელი მ., საირხე, თბილისი, 2007.

40. **მირიანაშვილი 1983:** მირიანაშვილი ნ., შიდა ქართლის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, (აღაიანის არქეოლოგიური ძეგლები), ნასტაკისის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები II, მეცნიერება, თბილისი, 1983.

41. **ნადირაძე 1975:** ნადირაძე ჯ., 1975. ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1975.

42. **ნარიმანიშვილი ... 1995:** ნარიმანიშვილი გ., მანჯგალაძე გ., „მარტაზისხევის ქვევრსამარხი“, მცხეთა IX, თბილისი, 1995, გვ. 168- 171.

43. **ნარიმანიშვილი 2018:** ნარიმანიშვილი გ., აღმოსავლეთ საქართველოს ძვ.წ. VII - ახ.წ. VII სს კერამიკა (ნაწილი II) იბერია-კოლხეთი N14, თბილისი 2018, გვ. 77-144.

44. **ნიკოლაიშვლი 1993:** ნიკოლაიშვლი ვ., კარსნისხევის მეთუნე-ხელოსანთა დასახლება, „მეცნიერება“, თბილისი, 1993.

45. **ნიკოლაიშვილი 1995:** ნიკოლაიშვილი ვ., ნარიმანიშვილი გ., წიწამური III, მცხეთა X, თბილისი, 1995, გვ. 58-96.

46. **ნიკოლაიშვილი 1995:** ნიკოლაიშვილი, ვ., გიუნაშვილი, გ., მცხეთა - არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, ბაიათხევი, მცხეთა X, თბილისი, 1995, გვ. 97-134.

47. **რამიშვილი 2021:** რამიშვილი ქ.რ., „სასანური ბეჭდების ერთი ჯგუფი დიდი მცხეთის არქეოლოგიური სახელმწიფო მუზეუმ-ნაკრძალიდან“, მუზეუმი და კულტურული მემკვიდრეობა, მუზეუმის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, ტ. II, თბილისი, 2021, გვ. 257-265.

48. **რამიშვილი 1983:** რამიშვლი რ., არქეოლოგიური კვლევა-ძიება არაგვის ხეობაში, ტ. I. თბილისი, 1983.

49. **რამიშვილი 1979:** რამიშვილი რ., ერწოს ველი გვიანარმაზულ ხანაში, ივრის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები III, "მეცნიერება", თბილისი, 1979.

50. **საგინაშვილი 1970:** საგინაშვილი მ., ურბნისის სამაროვნის მინის ჭურჭელი, თბილისი, 1970.

51. **სახვაძე 2019:** სახვაძე ა., თიხის სანელსაცხებლეები ურბნისიდან, სპეკალი N13, თბილისი, 2019.

52. **სახვაძე 2019ა:** სახვაძე ა., ურბნისის სამაროვანი. ქართველოლოგი N13, თბილისი, 2019.

53. **სიხარულიძე ... 1985:** სიხარულიძე ა., აბუთიძე ა., მოგვთაკარის სამაროვანი. მცხეთა VII, თბილისი, 1985, გვ. 109-131.

54. **სულავა 2014:** სულავა ნ., ცხეთის სამაროვანი, ცაგერის ისტორიული მუზეუმის შრომები I, თბილისი, 2014, გვ. 87-97.

55. **ქორიძე 1958:** ქორიძე დ., თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, 1958.

56. **შატბერაშვილი ... 2017:** შატბერაშვილი ვ., ჩადუნელი ნ., ანტიკური ხანის მასალა კასპის მუზეუმიდან, იბერია-კოლხეთი N13, თბილისი 2017, გვ. 112-119.

57. **ჩიხლაძე 2015:** ჩიხლაძე ვ., წინაქრისტიანული ხანის ჟინვალის სამაროვანი, თბილისი, 2015.

58. **ჭანიშვილი 2018:** ჭანიშვილი თ., სარკე-საქართველოს არქეოლოგიური ძეგლებიდან, იბერია-კოლხეთი N14, თბილისი, 2018, გვ. 145-154.

59. **ჭანიშვილი 2021:** ჭანიშვილი თ., გამყრელიძე გ., ზარაკები, არქეოლოგიის ნარკვევები, თბილისი, 2021, გვ. 348-350, 630-631.

60. **ჭილაშვილი 1964:** ჭილაშვილი ლ., ნაქალაქარი ურბნისი (ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა), „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა", თბილისი, 1964.

61. **ჭყონია 1981:** ჭყონია ა., ოქროს სამკაულები ვანის ნაქალაქარიდან, ვანი ტ. VI, „მეცნიერება“, თბილისი, 1981.

62. **ხახუტაიშვილი 1964:** ხახუტაიშვილი დ., უფლისციხე I, 1957-1963 წწ. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებ, „მეცნიერება“, თბილისი, 1964.

63. **ჯავახიშვილი 1972:** ჯავახიშვილი ქ., ურბნისის ნაქალაქარის გლიპტიკური ძეგლები, თბილისი, 1972.

64. **ჯავახიშვილი ... 1962:** ჯავახიშვილი ალ., ღლონტი ლ., ურბნისი, ტ. I, ქვაცხელების (ტვლეპია-ქოხის) ნამოსახლარზე 1954-1961 წწ. ჩატარებული გათხრები, „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“, თბილისი, 1962.

65. **ჯალაბაძე … 2019:** ჯალაბაძე მ., ჯავახიშვილი ქ., დავლიანიძე ც., კუბლაშვილი მ., ქობალია ნ., სახვაძე ა., (რედ. ანთიძე ნ.,) ქართული ოქრმოჭედლობის ნიმუშები სამთავრო სამაროვნიდან, თბილისი, 2019.

66. **ჯაფარიძე 1956:** ჯაფარიძე ო., არქეოლოგიური გათხრები სოფ. არკნეთში, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 63. თბილისი, 1956, გვ.183-206.

67. **ჯინჯიხაშვილი 1980:** ჯინჯიხაშვილი გ., ძვ.წ. I და ახ.წ. I ს. ქვევრსამარხები საყარაულო სერის სამაროვნიდან, კავთისხევის არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი1980, გვ. 6-59.

68. **Anderson-Stojanović 1987:** Anderson-Stojanović V. R., The chronology and function of ceramic unguentaria, American Journal of Archaeology, vol. 91, N1, Archaeological Institute of America, Boston, 1987, pp. 105-122

69. **Cappelletto … 2016:** Cappelletto E., Hallvard, I., New acquisitions from the Hellenistic-Roman-Byzantine east necropolis of Hierapolis in Phrygia: The Unguentaria: “Rei Cretariæ Romanæ Favtorvm" (ed. Viegas, K.,), 44, Bonn, 2016, pp. 681-689.

70. **Chanishvili …2008:** ChaniShvili T., Furtwängler, A., Gagoshidze, I., Löhr, H., Ludvig, N., (eds), Pottery, The excavations of the palace at Dedoplis Gora and the Roman influence in the Caucasian kingdom of Iberia, Iberia and Rome, Langenweißbach, 2008, pp. 63-86.

71. **Gagoshidze … 2008:** Furtwängler, A., Gagoshidze, I., Löhr, H., Ludvig, N., (eds), Bone Objects, The excavations of the palace at Dedoplis Gora and the Roman influence in the Caucasian kingdom of Iberia, Iberia and Rome, Langenweißbach, 2008, pp. 87-116.

72. **Gagoshidze … 2008a:** Furtwängler, A., Gagoshidze, I., Löhr, H., Ludvig, N., (eds), Metal Implements, The excavations of the palace at Dedoplis Gora and the Roman influence in the Caucasian kingdom of Iberia, Iberia and Rome, Langenweißbach, 2008, pp. 155-164.

73. **Gagoshidze 2017:** Gagoshidze I., "A Roman pantheon on a Zoroastrian altar", Georgian National Museum, N3, 2017, pp. 42-45.

74. **Gogiberidze … 2008:** Gogiberidze N., Furtwängler, A., Gagoshidze, I., Löhr, H., Ludvig, N., (eds), Jewelry, The excavations of the palace at Dedoplis Gora and the Roman influence in the Caucasian kingdom of Iberia, Iberia and Rome, Langenweißbach, 2008, pp. 165-190.

75. **Haevernick 1981:** Haevernick E., Beiträge zur Glasforschung (Die Wichtigsten aufsätze von 1938 bis 1981. Verlag Philipp von zabern, Mainz am Rhein, 1981, pp. 221-227

76. **Henkel 1913:** Henkel F., Römische Fingerringe der Rheinland, Berlin, 1913.

77. **Kunina 1997:** Kunina N., Ancient Glass in the Hermitage collection, Petersburg, 1997.

78. **Lafli 2003**: Lafli E., Unguentari Romani d'Argilla dalla pisida (Turchia occidentale), Quademi Friulant di Archaeologia XIII, Izmiri, 2003. pp. 235-252.

79. **Mgaloblishvili … 1998:** Mgaloblishvili T., Gagoshidze I., The Jewish Diaspora and Early Christianity in Georgia, Ancient Christianity in the Caucasus: Iberia Caucasica, V, 1. London, 1998, pp. 39-58.

80. **Tuluk 1999:** Tuluk G.G., Die Unguentarien in museum von Izmir, Anatolia Antiqua VII, Eski Anadolu, 1999, pp. 127-166.

81. **Walker 1997:** Walker S., (ed.) Ancient Faces, New York, 1997.

82. **Yaraş 2018:** Yaraş A., Terracotta unguentaria from the necropolis hill site of Maymun Sekisi, Mysia, Unguentarium. A terracotta vessel form and other related vessels in the HJellenistic, Roman and early Byzantine Mediterranean. An international symposium, Ismir 2018, pp. 74-74.

83. **Алексеева 1975:** Алексеева Е.М., Античные бусы Северного Причерноморья, Археология СССР, Свод Археологических источников, Вып. Г1-12., «Наука», Москва, 1975.

84. **Алексеева 1978:** Алексеева Е.М., Античные бусы Северного Причерноморья, Археология СССР, Свод Археологических источников, Вып. Г1-12., «Наука», Москва, 1978.

85. **Алексеева 1982:** Алексеева Е.М., Античные бусы Северного Причерноморья, Археология СССР, Свод Археологических источников, Вып. Г1-12., «Наука», Москва, 1982.

86. **Гагошидзе 1975:** Гагошидзе Ю., К дотировке могилника Нерон Дереси: (с. Санта Цалского района Груз. ССР.). Мацне (Вестник). Серия ист., арх., этногр. и истории искусства. N2, 1975, с. 90-103.

87. **Иващенко 1980:** Иващенко М.М., Самтаврские погребения первых трех веков н.э., Мцхета III, Тбилиси, 1980.

88. **Кузнецова 1980:** Кузнецова Т., Зеркала из Сарматских погребений Ставрополья, КСИА 162, Москва, сс. 1980, 101-104.

89. **Куфтин 1941:** Куфтин Б. А., Археологические раскопки в Триалети, I. Опыт периодизации памятников, Тбилиси, 1941.

90. **Максимова 1979:** Максимова М.И. Артюховский Курган, Ленинград, 1979.

91. **Нариманишвили 1991:** Нариманишвили Г.К. Керамика Картли VI-I в.в. до Н.Э., «Мецниереба», Тбилиси,1991.

92. **Рамишвили 1982:** Рамишвили Р.М., Археологические Изыскания в зоне строительства Жинвальского гидротехнического комплекса в 1976-1979 гг. Археологические исследования на новостройках грузинской ССР, “Мецниереба”, Тбилиси, 1982, сс.25-47.

93. **Стрелков 1936:** Стрелков А., Фаюмский портрет, “Academia”, Москва, 1936.

94. **Уварова 1894:** Уварова П.С., Тифлисская губерниа, Урбнисси, Материалы по археологии Кавказа, IV, Москва, 1894.

95. **Шелов 1984:** Шелов Д.Б. Античные государства Северного Причерноморья, Москва, 1984.

**ინტერნეტ წყარო:**

1. https://www.pinterest.com/pin/163888873910649138/?d=t&mt=login
2. https://www.metmuseum.org/art/collection/search/249583?searchField=All&sortBy=Relevance&ft=glass+fingerring&offset=0&rpp=20&pos=20

**ტაბულების აღწერა:**

I. ურბნისის ნაქალაქარის გეგმა და განათხარი ობიექტების ტოპოგანლაგება (ლ. ჭილაშვილის მიხედვით).

II. სამაროვნის გეგმა. დ. ქორიძის არქივიდან, 1958 წელი.

III. სამარხი N20, დ. ქორიძის არქივიდან, მხატვარი, ა. ბაქრაძე, 1957 წელი.

IV. სამარხი N51. დ. ქორიძის არქივიდან.

V. სამარხი N13. დ. ქორიძის არქივიდან.

VI. 1. სამარხი N230, 2. სამარხი N67, 3. სამარხი N234. დ. ქორიძის არქივიდან.

VII. 1. სამარხი N13, 2. სამარხი N273. დ. ქორიძის არქივიდან.

VIII. 1. სამარხი N4, 2. სამარხი N238. დ. ქორიძის არქივიდან.

IX. 1. სამარხი N234, 2. სამარხი N238, სამარხი N245. დ. ქორიძის არქივიდან.

X. სამარხეული ინვენტარი: 1. სამარხი N50, 2. სამარხი N241, 3. სამარხი N77, 4. სამარხი N118, 5. სამარხი N28.

XI. სამარხეული ინვენტარი: 1. სამარხი N271, 2. სამარხი N269.

XII. სამარხეული ინვენტარი: 1. სამარხი N116, 2. სამარხი N7.

XIII. სამარხეული ინვენტარი: 1. სამარხი N136, 2. სამარხი N230.

XIV. სამარხეული ინვენტარი: 1. სამარხი N205, 2. სამარხი N245, 3. სამარხი N187, 4. სამარხი N59.

XV. სამარხეული ინვენტარი: სამარხი N189.

XVI. სამარხეული ინვენტარი: სამარხი N193.

XVII. სამარხეული ინვენტარი: 1. სამარხი N105, 2. სამარხი N152.

XVIII. სამარხეული ინვენტარი: 1. სამარხი N207, 2. სამარხი N208.

XIX. სამარხეული ინვენტარი: 1. სამარხი N51, 2. სამარხი N178, 3. სამარხი N163, 4. სამარხი N68.

XX. სამარხეული ინვენტარი: 1. სამარხი N170, 2. სამარხი N20.

XXI. სამარხეული ინვენტარი: 1. სამარხი N15, 2. სამარხი N90, 3. სამარხი N155, 4. სამარხი N7 ნაშთი.

XXII. სამარხეული ინვენტარი: 1. სამარხი N215, 2. სამარხი N231, 3. სამარხი N216,

4. სამარხი N272.

XXIII. სამარხეული ინვენტარი: 1. სამარხი N57, 2. სამარხი N54, 3. სამარხი N229, 4. სამარხი N164, 5. სამარხი N165.

XXIV. სამარხეული ინვენტარი: 1. სამარხი N200, 2. სამარხი N218.

XXV. სამარხეული ინვენტარი: 1. სამარხი N162, 2. სამარხი N6 ნაშთი, 3. სამარხი N84.

XXVI. სამარხეული ინვენტარი: 1. სამარხი N258, 2. სამარხი N256, 3. სამარხი N275.

XXVII. სამარხეული ინვენტარი: 1. სამარხი N67, 2. სამარხი N240.

XXVIII. სამარხეული ინვენტარი: 1. სამარხი N172, 2. სამარხი N23, 3. სამარხი N100, 4. სამარხი N24.

XXIX. სამარხეული ინვენტარი: 1. სამარხი N221, 2. სამარხი N257, 3. სამარხი N243, 4. სამარხი N181, 5. სამარხი N233, 6. სამარხი N234.

XXX. სამარხეული ინვენტარი: 1. სამარხი N224, 2. სამარხი N266, 3. სამარხი N180, 4. სამარხი N182, 5. სამარხი N55, 6. სამარხი N1.

XXXI. სამარხეული ინვენტარი: 1. სამარხი N86, 2. სამარხი N112, 3. სამარხი N110, 4. სამარხი N279, 5. სამარხი N128, 6. სამარხი N13, 7. სამარხი N13 ნაშთი.

XXXII. სამარხეული ინვენტარი: 1. სამარხი N191, 2. სამარხი N23 ნაშთი, 3. სამარხი N201, 4. სამარხი N277, 5. სამარხი N142, 6. სამარხი N114, 7. სამარხი N115.

XXXIII. სამარხეული ინვენტარი: 1. სამარხი N23, 2. სამარხი N92, 3. სამარხი N273, 4. სამარხი N263, 5. სამარხი N276, 6. სამარხი N247.

XXXIV. სამარხეული ინვენტარი: 1. სამარხი N265, 2. სამარხი N11 ნაშთი, 3. სამარხი N183, 4. სამარხი N4, 5. სამარხი N73, 6. სამარხი N248.

XXXV. სამარხეული ინვენტარი: 1. სამარხი N153, 2. სამარხი N168, 3. სამარხი N267, 4. სამარხი N148, 5. სამარხი 14, 6. სამარხი N93, 7. სამარხი N129, 8. სამარხი N35, 9. სამარხი N22 ნაშთი, 10. სამარხი N104, 11. სამარხი N242, 12. სამარხი N72.

XXXVI. სამარხეული ინვენტარი: 1. სამარხი N197, 2. სამარხი N109, 3. სამარხი N38, 4. სამარხი N157, 5. სამარხი N47, 6. სამარხი N135, 7. სამარხი N158, 8. სამარხი N167, 9. სამარხი N96.

XXXVII. სამარხეული ინვენტარი: 1. სამარხი N125, 2. სამარხი N238, 3. სამარხი

N179, 4. სამარხი N151.

XXXVIII. 1. თიხის ჭურჭლის ტიპოლოგიური კლასიფიკაცია და მათი გავრცელების ქრონოლოგია სამარხთა თარიღის მიხედვით. 2. მინის ჭურჭლის ტიპოლოგიური კლასიფიკაცია და მათი გავრცელების ქრონოლოგია სამარხთა თარიღის მიხედვით.

XXXIX. ნივთების ტიპოლოგიური კლასიფიკაცია და მათი გავრცელების ქრონოლოგია სამარხთა თარიღის მიხედვით: 1. სამგლოვიარო გვირგვინი, საყურე, ზარაკი, ბეჭედი, გლიპტიკური ძეგლები, მონეტა, იარაღი, ძვლის ნივთები, სარკე. 2. მძივები და საკიდები, საკინძი, სამაჯური.

I




უ რ ბ ნ ი ს ი
უბ. XXV
სამარხების გეგმა
1:25

III



IV

# ურბნისი

უბ. XXV

სამარხი 51



მ = 1:5

V





1



2



3



1



2



1



2



1



2



3

X

სამარხი N50



1

[1]

სამარხი N241



2



3



4

[2]

სამარხი N77



7



8

[3]

სამარხი N118



12

[4]

სამარხი N28



9



10



11

[5]

XI

## სამარხი N271




1

## სამარხი N269




2

## სამარხი N116



25



26

0 1 2 3

1

## სამარხი N7



28

0 1 2 3



29

2

სამარხი N136




სამარხი N230



სამარხი N205




1

სამარხი N245




2

სამარხი N187




3

სამარხი N59




4


91
92
93
94
95
96
97
99
101
102
103
104
105
106
107
108
109
110
111
112
113
114
116
117
118
119


121
123
124
125
126
128
129
130
131
132
133
134
140
141
142
143
144
145
146
147
148
149
150
151
152
153
155
159

სამარხი N105




1

სამარხი N152




2

სამარხი N207



179



180



181



182

0 1 2 3



183



185



186

1

სამარხი N208



189



190



0 1 2 3

191



187



188

0 1 2 3



192

2

XIX

სამარხი N51




სამარხი N178




სამარხი N163




სამარხი N68



სამარხი N170




1

სამარხი N20




2

სამარხი N15




1

სამარხი N90




2

სამარხი N155




3

სამარხის ნაშთი N7




4

XXII

სამარხი N215




სამარხი N231




სამარხი N216




სამარხი N272



სამარხი N57




სამარხი N54




სამარხი N229




სამარხი N164




სამარხი N165



XXIV

სამარხი N200




სამარხი N218



სამარხი N162




სამარხი N6 ნაშთი




სამარხი N84



XXVI

სამარხი N258




სამარხი N256




სამარხი N275



XXVII

სამარხი N67



412



413



414



415



417



418

1

სამარხი N240



419

2

სამარხი N172




1

სამარხი N24




4

სამარხი N23




2

სამარხი N100




3

სამარხი N221




სამარხი N257




სამარხი N243




სამარხი N181




სამარხი N233




სამარხი N234



XXX

სამარხი N224




სამარხი N266




სამარხი N180




სამარხი N182




სამარხი N55




სამარხი N1



XXXI

სამარხი N86




1

სამარხი N112




2

სამარხი N110




3

სამარხი N279




4

სამარხი N128




5

სამარხი N13




6

სამარხი N13 ნაშთი




7

XXXII


სამარხი N191
567
568
569
572
573
574
575
576
577
579
580
581
582
1
სამარხი N23 ნაშთი
584
585
2
N201 სამარხი
586
587
588
589
3
სამარხი N277
590
591
592
594
595
596
597
598
599
4
სამარხი N142
600
601
602
603
604
605
607
608
609
610
612
5
სამარხი N114
614
6
სამარხი N115
617
618
619
620
621
7

XXXIII

სამარხი N237




სამარხი N92




სამარხი N273




სამარხი N263




სამარხი N276




სამარხი N247



სამარხი N265




სამარხის ნაშთი N11




სამარხი N183




სამარხი N4




სამარხი N73




სამარხი N248



XXXV


სამარხი N153
722
723
724
725
1
სამარხი N168
726
727
728
729
730
731
732
733
2
სამარხი N267
734
736
737
738
741
743
744
3
სამარხი N148
745
746
747
4
სამარხი N14
748
749
750
751
752
753
754
755
5
სამარხი N93
757
759
760
761
762
763
764
6
სამარხი N129
765
766
767
7
სამარხი N35
768
769
770
771
8
სამარხის ნაშთი N22
773
774
775
776
777
9
სამარხი N104
778
779
10
სამარხი N242
781
782
11
სამარხი N72
783
784
787
788
789
12

XXXVI


სამარხი N197
790
791
792
793
794
795
1
სამარხი N109
796
797
798
799
2
სამარხი N38
800
801
3
სამარხი N157
802
803
805
4
სამარხი N47
806
5
სამარხი N135
808
809
810
811
6
სამარხი N158
812
813
7
სამარხი N96
823
824
825
826
827
828
829
830
831
833
834
835
836
837
839
841
9
სამარხი N167
814
815
816
819
817
818
820
8

სამარხი N125




სამარხი N238




სამარხი N179




სამარხი N151




საუკუნე
სანელსაცხებლე
ტოლჩა
დერგი
ყელწიბოიანი
დოქი
პელიკისებური ჭურჭელი
ქილა
ჯამი
კოჭობი
IV ქრ. ჯგუფი
ახ.წ. IV
III ქრ. ჯგუფი
ახ.წ. III
II ქრ. ჯგუფი
ახ.წ. II
ახ.წ. I
I ქრ ჯგუფი
ძვ.წ. I

1


საუკუნე
IV ქრ. ჯგუფი
ახ.წ. IV
III ქრ. ჯგუფი
ახ.წ. III
II ქრ. ჯგუფი
ახ.წ. II
ახ.წ. I
I ქრ ჯგუფი
ძვ.წ. I

2


საუკუნე
სამგლოვიარო გვირგვინი
საყურე
ზარაკი
ბეჭედი
გლიპტიკური ძეგლები
მონეტა
დანა, ისრისპირი
სტილოსი, პელიკა, კოჭი
სარკე
IV ქრ. ჯგუფი
ახ.წ. IV
III ქრ. ჯგუფი
ახ.წ. III
II ქრ. ჯგუფი
ახ.წ. II
ახ.წ. I
I ქრ ჯგუფი
5 რკინის ბეჭედი
ძვ.წ. I

1


საუკუნე
მძივები, საკიდები, საკისრე რკალი
საკინძი, საკინძისთავები
სამაჯური
IV ქრ. ჯგუფი
ახ.წ. IV
III ქრ. ჯგუფი
ახ.წ. III
II ქრ. ჯგუფი
ახ.წ. II
ახ.წ. I
I ქრ ჯგუფი
ძვ.წ. I

2